

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
მ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

თ. ოქროშიძე



ქართული სალხური  
მშობის

ჰოქსია



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი

1963

გამოკვლევაში მიმოხილულია ქართული ხალხურ ტრადიციული შრომის პოეზიის ძირითადი სახეები, მოცემულია მათი მეცნიერული ანალიზისა და კლასიფიკაციის ცდა.

მსოფლიოში გავრცელებული შრომის თითქმის ყველა ძირითადი სახე მოიპოვება ჩვენში. ამ საქმიანობას თან ახლავს მისი რიტმისა და შინაარსის ამსახველი სპეციფიკური პოეზია: ხენა-თესვას, თოხნას, პურის მკას, ლეწვას, თიბვას, ყურძნის კრეფასა და წურვას, ფეიქრობას, წელის მოტანას, ურემზე მუშაობასა და სხე.

მრავალფეროვან შრომის პოეზიაში მძლავრად ვლინდება ჩვენი ხალხის სულიკეცვთება, მსოფლმხედველობა და მიზნები. ისტორიული განვითარების მანძილზე ქართული ერი დაუღალავად ებრძოდა გარეთუ შინა მტერს. ბრძოლასა და შრომაში წარმოშობილ წინააღმდეგობებს მახეილი სოციალური მოტივებით გადმოგვცემს შრომის პოეზია.

ქართული ხალხის პოეტური შემოქმედების ამ დარგის პრობლემების გაშუქება დიდად მნიშვნელოვანია ზოგადად ქართული კულტურის ისტორიის ბევრი საკითხის შესწავლის თვალსაზრისითაც.



# შესავალი

შრომის პოეზია კაცობრიობის ცხოვრების დასაწყისიდან მომდინარე ხალხური შემოქმედების მძლავრი ნაკადია, რომელსაც თან მოაქვს კვალი ადამიანთა უძველესი საწარმოო კოლექტიური ურთიერთობებისა და აზროვნებისა.

ხალხის მხატვრული სიტყვიერება საზოგადოების განვითარების უძველეს საფეხურზე წარმოიშვა. ადამიანს დასაბამიდანვე თან სდევდა მუდმივი ზრუნვა ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის, ამისათვის საკირო იყო შრომა, რომელიც ფ. ენგელსს ადამიანის მთელი სიცოცხლის პირველ ძირითად პირობად მიაჩნდა, მასვე ეკუთვნის კლასიკური ფორმულა, სადაც ნათლად არის ნაჩვენები შრომის როლი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში<sup>1</sup>.

პირველყოფილი საზოგადოებისათვის უპირველესი პირობა იყო კოლექტიური წარმოება, კოლექტიური შრომა. რაც მოითხოვდა ადამიანთა მკიდრო საურთიერთო კავშირს. აღნიშნული კავშირის დამყარება უნდა მომხდარიყო ენის საფუძველზე<sup>2</sup>.

ამრიგად, ბგერითი მეტყველება წარმოიშვა იმ პრაქტიკული საკიროების ნიადაგზე, რომელიც თან ახლდა ადამიანთა გაერთიანებას საწარმოო კოლექტივში. პირველყოფილი საზოგადოების ცხოვრების პირობები თვითონ კარნახობდა შრომის კოლექტიურ ფორმას. ბგერითმა მეტყველებამ ფრიად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. იგი იყო ის მძლავრი იარაღი, რომელმაც ხელი შეუწყო ადამიანთა საზოგადოებებად შექმნა-ჩამოყალიბებას, მანვე დააჩქარა აზროვნების განვითარება.

<sup>1</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1950, გვ. 84.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 87.

პოეზია. მსგავსად ენისა, შეიქმნა კოლექტივში. პოეზიის შექმნაში მონაწილეობდა მრავალი თაობა.

თავდაპირველად ხელოვნების ფორმები ერთ მთლიან შრომის პროცესს გვიჩვენებს, იგი ასახავს საზოგადოების ეკონომიურ ვითარებას, მასების სულისკვეთებას, რეალურ გარემოს, რომელშიაც აღმოცენდა. ამ საფეხურზე შრომის კოლექტიური ფორმებისათვის დამახასიათებელია ხელოვნების დაუნაწევრებელი სახეები.

პირველყოფილი მეურნეობის პირობებში მკლავდება ხელოვნების პრაქტიკული დანიშნულება: იმ პერიოდის ხელოვნების სხვადასხვა დარგი გადმოგვცემს ადამიანთა წარმოებით ურთიერთობებს, მათ საქმიანობას<sup>3</sup>. ე. წ. „ბიზონებისა“ და „დათვის ცეკვებში“ აშკარად ჩანს სამეურნეო ფუნქცია. ადამიანისათვის იმდენად რეალურია ცეკვის მნიშვნელობა, რომ იგი მას მიმართავს ნადირობის დაწყების წინ. ნადირის მოზიდვის მიზნით.

შრომასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული აგრეთვე სიმღერა. რომელიც თან ახლდა სამეურნეო საქმიანობის ყოველ სახეს. ეს სიმღერები სრულდებოდა შრომის პროცესში მისი შემსუბუქების მიზნით. სიმღერას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კოლექტიური შრომის დროს, სიმღერა მართავდა მომუშავეთა მოძრაობის რიტმს და ქმნიდა ჯანსაღ შრომით გაწყობილებას. შრომა თავის თავში შეიცავდა ხელოვნების ძირითადი დარგების ცეკვის, მუსიკისა და პოეზიის ჩანასახს.

პირველყოფილი კოლექტიური მეურნეობის შესახებ მკდარ მონაზრებას გამოთქვამს ბურჟუაზიული მკვლევარი კ. ბიუხერი. რომელიც ამტკიცებს ველური ადამიანის უალრეს ინდივიდუალურობას. ეკმათება რა მას. პლენანოვი აღნიშნავს, რომ ხელოვნება, უპირველეს ყოვლისა. საზოგადოებრივი მოვლენა არის, ველური ადამიანის ბუნების ბიუხერისეული გაგება კი გამორიცხავს ხელოვნების არსებობის შესაძლებლობას აღრინდელ საფეხურზე<sup>4</sup>.

კ. ბიუხერის თეორიის მიხედვით, საერთოდ ხელოვნებასა და კერძოდ პოეზიას წარმოშობს არა სოციალური კოლექტივის საზოგადოებრივი შრომა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, შრომის პროცესის რიტმი. ფიზიოლოგიური ფაქტორი. ბიუხერისათვის რიტმი არის

<sup>3</sup> Г. В. Плеханов, Письма без адреса, „Искусство и литература“, 1948, გვ. 113.

<sup>4</sup> იქვე. გვ. 105—106.



უცვლელი, მარადიული საწყისი, საიდანაც სათავეს იღებს ცეკვა, მუსიკა და პოეზია. ბიუხერმა შეამჩნია წარმოებასა და ხელოვნებას შორის კავშირი, მაგრამ ეს კავშირი ახსნა იდეალისტურად. ადამიანის საწარმოო მოქმედება ბიუხერმა წარმოიდგინა რიტმის საფუძველზე აღმოცენებულად და ბიოლოგიური ინსტინქტის გამოვლინებად. მექანიკურად აქვს გადატანილი ბიუხერს პოეტურ მეტყველებაზე რიტმის ცნება: „...რადგან პოეტურ მეტყველებას თავისთავად არ შეუძლია წარმოქმნას რიტმი,—ამბობს ბიუხერი,—იგი უნდა შემოტანილი იქნას საიდანაც. გარედან და აქ ბუნებრივია უნდა ვივარაუდოთ, რომ თვით რიტმულად დანაწევრებულმა სხეულის მოძრაობამ უკანახა პოეტურ მეტყველებას თავისი საკუთარი აგებულების კანონები“<sup>5</sup>. რამდენადაც ხელოვნების წარმოშობაში ბიუხერი ამოსავალ წერტილად ცნობს ფიზიოლოგიურ მომენტს, პოეტურ მეტყველებაშიაც სწორედ ეს მომენტი მიაჩნია გადამწყვეტად. პოეტური მეტყველების კანონების სხეულის რიტმულ მოძრაობამდე დაყვანა ცალმხრივი და მექანიკურ-ფიზიოლოგიური გაგებაა. რაც ერთხანს ძალზე იყო გავრცელებული ანტიმარქსისტულ ლიტერატურაში.

პოეზიას წარმოშობს სოციალური კოლექტივის შრომა და არა შრომის პროცესიდან მომდინარე რიტმი, ფიზიოლოგიური ფაქტორი.

საზოგადოების განვითარების ადრინდელ საფეხურზე, გამოკვეთილი მხატვრული სახის მიღებამდე, მელოდიაში სიტყვიერი მასალა მკარავდება წარმოებისა და ენის განვითარებასთან ერთად ვითარდება სასიმღერო ტექსტი. რომელიც გუნდურად სრულდება. იგი თანდათან ხდება მელოდიის საყრდენი და დროთა ვითარებაში გამთლიანებულ პოეტურ ნაწარმოებად იქცევა. მხატვრული სიტყვიერების უძველესი ნიმუშების გადმონაშთი, რომელშიაც ტექსტი ჯერ კიდევ ჩანასახის საბითაა მოცემული, დღესაც გვხვდება საქართველოს მთიან კუთხეებში. პოეტური ქმნილებს ეს არქაული ფორმა გუნდურმა შესრულებამ შემოგვინახა<sup>6</sup>.

ქართული მუსიკის მკვლევარი დ. არაყიშვილი ხაზს უსვამს ქართული სიმღერების განვითარების დამოუკიდებელ გზას და „დასავლეთ საქართველოს მთიელებში, რაქველებსა და სვანებში... ძველს. თანამედროვე კულტურით ხელუხლებელ სიმღერებს“<sup>7</sup>. იმავე მკვლე-

<sup>5</sup> იხ. რუსული თარგმანი К. Б. Х. С. Р. Рибнта и ритм, 1923, გვ. 259.

<sup>6</sup> სვანური პოეზია. I. 1939, გვ. 266—267.

<sup>7</sup> დ. არაყიშვილი, ქართული მუსიკა (პოეტურ-ისტორიული მიმოხილვა), 1925, გვ. 21.

ვარს ხევსურული ორხმიანი სიმღერები უძველესი სახის სიმღერებად მიაჩნია<sup>6</sup>.

ქართულმა პოეტურმა ფოლკლორმა, როგორც ჩვენი ხალხის ეკონომიური და ინტელექტუალური ცხოვრების სარკემ, ჩვენამდე შემოინახა მრავალფეროვან შრომის სახეებთან დაკავშირებული, ბევრი შესანიშნავი მხატვრული ნიმუში, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ძველი საქართველოს მეურნეობის ძირითად დარგებზე, მის სოციალურ-პოლიტიკურსა და ეკონომიურ მდგომარეობაზე.

ჩვენი გამოკვლევა შრომის პოეზიის სწორედ ამ უმთავრესი სახეების შესწავლას ისახავს მიზნად.

საქართველო ძველთაგანვე ცნობილი იყო, როგორც სამიწათმოქმედო ქვეყანა, ამიტომ გუთნური თავისი მრავალფეროვანი თემატიკით ქართული შრომის პოეზიის ძირითადი სახეა.

ნადური—ასახავს საქართველოში გავრცელებული კოლექტიური დახმარების ტრადიციას შრომაში, რაც მოძალებული, გადაუდებელი სამუშაოების დროს იმთავითვე იყო გამოყენებული.

შრომის პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს სამკალ, მეძნეურ და კალოურ ლექს-სიმღერებს.

მთბლური, ეს მეტად საინტერესო და თავისებური არქაიკის შემცველი ლექსი გავრცელებულია საქართველოს მთიანეთში.

ვენახის სამუშაოები შეიცავს ვენახის ბარვის, ყურძნის კრეფის, საწნახლურსა და ქვევრების რეცხვის ლექს-სიმღერებს.

შინამრეწველობის დარგებიდან ცნობილია მეტივეობისა და ფეიქრობის ამსახველი ლექს-სიმღერები.

ცალკე უნდა აღინიშნოს წყლის მოტანის ანუ საწყალზედო სიმღერები და ურშული, განსაკუთრებით გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში.

ჩვენ მიერ განხილული ხალხური პოეზიის ნიმუშები თავისი წარმომობით დაკავშირებულია ამა თუ იმ სახის შრომის პროცესთან, ასახავს მის სპეციფიკურ რიტმს და მშრომელის განწყობილებას. შრომის ლექსებისა და სიმღერების შინაარსი ხშირად სამუშაო იარაღებსა და მუშა საქონელს ეხება, მაგრამ ყოველთვის გადმოგვცემს პირად განცდებს. ამრიგად, შეიძლება არსებობდეს ლექს-სიმღერა რიტმითა და ტაქტით დახვეწილი და მისადაგებული შრომასთან, ხო-

<sup>6</sup> Д. М. Аракишвили, Обзор народной песни восточной Грузии, 1948, гл. 8.

ლო შინაარსობლივად არ გამოხატავდეს აღნიშნული შრომის პროცესს, ამის მაგალითები იშვიათი არ არის ხალხურ პოეზიაში.

ფოლკლორის სხვადასხვა ეანრისა და სახის ნიმუშები ადვილად ერწყმიან ერთმანეთს. მთავარია მუსიკალური და პოეტური რიტმის ერთგვარობა, ერთმანეთთან დამთხვევა. ეს მკაფიოდ ჩანს შრომის ლექსებში, სადაც ხშირია საგმირო თუ სატრფიალო ლირიკის ნიმუშების შეხამება ფეიქრობასთან, ხენის, თოხნისა და მკის პროცესებთან.

შრომის პოეზიაში ინდივიდუალური თუ კოლექტიური შრომის მიხედვით ორგვარი შესრულების ლექს-სიმღერები მოგვეპოვება; დამოუკიდებლად მშრომელის სიმღერა სოლური, ერთსმიანი სიმღერაა, ქართულ სინამდვილეში ასეთია ურმული, საფეიქრო, კერძოდ, საქსოვი, მიწის ბარვის სიმღერები და სხვ. სწორედ შრომის ეს ინდივიდუალური სიმღერები, მკვლევართა აზრით, დაედო საფუძვლად მონოდურ ლირიკას<sup>9</sup>.

კოლექტიური ანუ ჯგუფური შრომა ამა თუ იმ საქმისათვის მოითხოვს რამდენიმე შემსრულებელს, რომელთაც უხდებათ არა მარტო შრომის რიტმთან შეთანხმება, არამედ ურთიერთშორისაც საერთო ტაქტის, ტემპისა და რიტმის გამონახვა. ეს ხდება სიმღერის საშუალებით, ამ დროს მომუშავეთა მოძრაობა და შინაგანი რიტმი აღწევს სრულ შეთანხმებას. ასე შექმნილი რიტმი შემდეგში უკუმოქმედებს შრომის პროცესზე და იქვემდებარებს მას, ასეთია გუნთური. ნადური, სამკალი და სხვ.

ქართულ შრომის პოეზიას უთუოდ შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი ხალხური მხატვრული სიტყვიერების საერთო მდიდარ საგანძურში მრავალი თავისებურებით, რომლის ტრადიციებიც ხანგრძლივი ისტორიული ყოფისა და შრომის პროცესში შემუშავდა.

<sup>9</sup> ე. ლ. ვირსალაძე. ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკის ძროთადი სახეობანი. ლიტერატურული ძიებანი. VIII, 1953, გვ. 280.





# შრომის პოეზია ქველ ქართულ მწერლობაში

ქართულ წერილობით ძეგლებში დაცული ცნობები შესაძლებლობას იძლევა ხალხური შემოქმედების ნიმუშების აღრინდელი გავრცელების. ტრადიციულობისა თუ მის ისტორიულ ასპექტში შესწავლისათვის. აღნიშნული ცნობები ნაწილობრივ აესებს იმ ხარვეზებს, რომელიც არსებობს საერთოდ ხალხური პოეზიის სფეროში უძველესი პერიოდებიდან.

დღემდე მოღწეული სამიწათმოქმედო არქაული ტერმინები და შრომის სიმღერები ადასტურებს მათ მრავალსაუკუნოვან ტრადიციას და საერთოდ ხალხური სიტყვიერების, კერძოდ, ჩვენთვის საინტერესო დარგის. უძველესობას. წერილობითი წყაროების მიხედვით შრომის ლექსებს იმთავითვე თავისი გარკვეული ფუნქცია ჰქონდა.

უძველესი ცნობები შრომის სიმღერების შესახებ მოიპოვება ბიბლიაში. ძველი აღთქმის წიგნების ქართულ თარგმანში ვკითხულობთ წისქვილის შესახებ: „...და უქმ იქმნეს მტკველნი რამეთუ შემციირდენ. და დაბნელდეს მხედველნი ნაპარალთა შინა. და დაეკშნენ კარნი უზანთა ზედა. უძლურებათა შინა კმისა მტკველთასა და აღდგენ კმათა ზედა სირისათა დამდაბლდენ ყოველნი ას ულნი გალობისანი“ (ეკლესიასტე XII, 3). კ. ბიუხერს „ასულნი გალობისანი“ ესმის როგორც მეწისქვილე ქალის სიმღერები<sup>10</sup>. მართლაც. იშვი ბიბლიაში (პირი A—471) „ასულნი გალობისანის“ შესა-

<sup>10</sup> ბიუხერ. დასახ. წიგნი, გვ. 44.

ტყვისია: „ასულნი იგი სახიობისანი“, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით კი „სახიობა—ესე არს მუსიკა მწყობრი ძალთა და საკრავთანნი და კმოანება ტკბილი გალობა, თუ სიმღერა“ (კმოანება ტკბილი გალობათა, თუ სოფლიერთა სიმღერათა) (1928).

ვფიქრობთ აქ, ბიბლიის ამ ფრაზაში, იგულისხმება „სოფლიერი“ ანუ საერო, ხალხური სიმღერა, ვინაიდან წისქვილში სხვა სიმღერა—გალობაზე ლაპარაკი არ უნდა ყოფილიყო.

ბიბლიაში მეორე ადგილას ყურძნის მწურავთა სიმღერაა მოხსენებული: „...და იგინიკა ვითარცა საწნეხელის მწნეხელნი მიუგებდენ ყოველთა მიმართ მსხდომარეთა ქუეყანაა ზედა“ (იერემია, XXV, 30). ამ შემთხვევაში „მიუგებდენ“ ნიშნავს ხმის მიცემას, სიმღერით გამოხმაურებას, რასაც ადასტურებს მაკაბელთა წიგნიდან შემდეგი ფრაზა: „...ხოლო ლოცვასა ჰყოფდეს მღდელნი; ოდეს შექროდა მსხუჭრპლი. და მღდელნი და ყოველნივე იონათანის დამწყებლისა. ხოლო სხვათა მიმგებელთა, ვითარცა ნემიას“... (II მაკაბელთა, I, 23—24).

ყურძნის მწურავთა სიმღერის თვალსაზრისით საინტერესოა ბიბლიაში შემდეგი ადგილი: „...დასწყდა შუება და მხიარულება კარმელისა, და ქუეყნისაგან მოაბიტელთასა. და ღვინო საწნეხელთა შინა შენთა არა დაწინიხეს, განთაად იდად. არცა მიმწუხრი არა ყუქს იდად“ (იერემია III, 33. მცხეთის ბიბლია A—51).

ალსანიშნავია. რომ 1684 წელს დაბეჭდილ ბიბლიაში „განთიად იდად“ ერთ სიტყვად იკითხება „განთიადიდად“, ხოლო მცხეთის ბიბლიაში კი სულხან-საბა ორბელიანს ეს ადგილი შეუსწორებია და ორ სიტყვად გადაუკეთებია. როგორც ზემოთ არის მოყვანილი. სულხან-საბა-სთავისი ლექსიკონის C რედაქციაში „იდად“—ს მნიშვნელობა შემდეგნაირად აქვს ახსნილი: „ესე... არს შეწყობილი ხმა“. ვგულისხმობთ. რომ აქ უშუალოდ ყურძნის მწურავთა ანუ მწნეხელთა სიმღერასთან გვაქვს საქმე, რომელიც არ ისმოდა არც განთიადისას და არც მწუხრისასო. ეს ადგილები ასევეა ინტერპრეტირებული დაბადების ბერძნულ. ინგლისურ, გერმანულ. რუსულ და სომხურ თარგმანებში.

მეტად ძვირფასია ძველი აღთქმის წიგნებში დაცული ცნობები ჩვენთვის საინტერესო ჟანრის შესახებ. „სამღვთო“ წიგნების ავტორებს ზოგჯერ უნებლიეთ აღუწესხავთ „სოფლიერი სიმღერები“. რომელიც უთუოდ წარმართული პერიოდიდან მომდინარეობს.

კოლექტიური შრომა იმ თავითვე ცნობილი იყო საქართველოში.

მის ერთ გავრცელებულ სახეს „ნადი“, „მამითადი“ ან „მუშა“ ეწოდებოდა. ყანის მკაში კოლექტიური მუშაობის პროცესის თვალსაზრისით საგულისხმოა X საუკუნის ლიტერატურული ძეგლი, გიორგი მერჩულის — „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისაჲ“, როდესაც ეპიფანე მივიდა დიდი აბულასადის წინაშე „უამსა მკისასა როკიკისა თსოვანუ ხანძთისათჳს. ხოლო მან ჰრქუა. „ძმათა შენთა ღღესა შინაერთსა რაჲ მკონ, მიმიცემია...“ ეპიფანე შეიკრიბნა ძმანი თჳსნი კეთილად მომკალნი და მიიწინეს გუნათლეს სიტყუსაებრ პირველთქმულისა და იწყეს მკად კეთილსა ყანასა ვიღრე. განზოგებადმდე ღღისა მის ფრიადითა გულსმოდგინებითა...“<sup>11</sup> როგორც ზემოთაც გვაქვს აღნიშნული, აქ მოყვანილ ტექსტში შრომის სიმღერა არც იხსენიება, მაგრამ, ეს ამონაწერი საინტერესოა ჩვენთვის, როგორც ადრინდელი სურათი კოლექტიური შრომის პროცესისა, სადაც საერისკაცო ცხოვრებაში უთუოდ შრომასთან დაკავშირებულ სიმღერასაც ექნებოდა ადგილი.

საქართველოში შრომის ლექსებზე პირველი წერილობითი ცნობა ეკუთვნის XII საუკუნეს. თამარ მეფის ისტორიკოსი „ქართლის ცხოვრებაში“, ოფიციალური პოეზიის გვერდით, იქ, სადაც აკროსტიხები იქმნებოდა მეფე ქალზე, ასახელებს გლეხურ სიმღერას, რაც მის დიდ ტრადიციანზე მიგვითითებს. კარის პოეტებთან ერთად იხსენიებიან თამარის ხოტბის შემსხმელნი მხვნელნი და მენავენი: „...რომელთა პირსა შინა პირველ სხუა არაჲა მოაქუნდა, ვითარ თამარ. რამეთუ სახლთა ზედა აკროსტიხორად თამარის შესხმათა დასწერდეს, ბეჭედთა ზედა და დანათა და არგანთა შეამკობდეს, და ზედა თამარის ქებასა დასწერდეს. და ყოველთა პირნი ერთბამად მზა იყვნეს, რათა ღიხსი რამე თამარის საქებლობისა სიტყუა აღმოთქუან: ყრმანი მემროწლენი, განაებასა შინა ორნატათასა, თამარის ქებათა მელექსეობდიან; ერაცს მყოფნი მეებნენი, გინა მეჩანგენი თამარის შესხმათა მუსიკელობდიან; ფრანგნი და ბერძენნი. ზღუასა შინა მენავენი ნიავეთილობათა შინა, თამარის ქებათა იტყობიან“<sup>12</sup>.

მოხსენებულ მელექსეობაში ჩვენ საქმე გვაქვს შრომის ლექსთან, რომელიც თან ახლავს მიწის დამუშავებას, ხვნას. აქ უნდა ვიგულისხმოთ გუთანთან დაკავშირებული სიმღერები, ე. წ. გუთნური, თავისი დამახასიათებელი რიტმით, მელოდიითა და სპეციფიკური

<sup>11</sup> Георгий Мерчуя, Жизнь св. Григория Хандзтийского. Грузинский текст. Введение, издание, перевод Н. Марра. СПб., 1911, гл. 5а.

<sup>12</sup> ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. უაუხჩიშვილის მიერ. ტომი II, თბ., 1959, გვ. 146.

ტექსტუალური მასალით. ამ ადრინდელი ცნობის შიხედვით შრომის პოეზიის პერსონაჟად ისტორიული პირი გვევლინება და თემატიკაც სახობო ხასიათისაა. იგი ნათელ სურათს იძლევა შრომის პოეზიის. როგორც ადრიდანვე ჩამოყალიბებული ჟანრის შესახებ საქართველოში.

საგულისხმო ცნობებს გვაწვდიან ნადის შესახებ აღორძინების ხანის მწერლები. სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუის“ ერთ-ერთ არაკვი ვკითხულობთ: „...მოუვიდა კაცი მოურავისა სამკალად აწვიეს“<sup>13</sup> ...აქ ჩვეულებრივ მოსამზადებელ პერიოდთანა გვაქვს საქმე, როცა ნადის შესაყრელად კაცი იგზავნება მეზობლებში.

ბესიკი პირდაპირ ასახელებს გუთნურ სიმღერას „ოროველას-ლექსში—„მზექაბუჯ ორბელიანზედ“, როცა მას დასციენის და უკუჩინებს ქართული ოროველის უცხოურ ოსმალურ კილოზე შესრულებას:

„ოსმალები ოხრავს ოღითგან. ისურად ოროველასა“<sup>14</sup>.

„დავითიანის“ ავტობიოგრაფიულ ნაწილში დავით გურამიშვილი აგვიწერს შორიდან მომსვლელ მუშა-მომკელთათვის სადილის სამზადისს, რაც ჩვეულებრივ გულუხვ და მდიდარ მასპინძლობაში გამოიხატებოდა:

დილაზე აედქ წინა წინ,  
წაველ კაცითა ორითა,  
ესთქვი, მუშას სადილს უმზადებთ,  
ძროხით, ცხვრითა და ღორითა;  
არ შეყრილიყო ჭერ მუშა,  
იყვნენ მოსასვლელ შორითა“<sup>15</sup>.

ცნობილია, რომ დავით გურამიშვილმა შემოიტანა ქართულ მწერლობაში ხალხური მოტივები და მწიგნობრული კლასიკური ტონი ცოცხალი, სასაუბრო მეტყველებით შეცვალა. გურამიშვილი ახლოს დგას სოფლის ცხოვრებასთან. კარგად იცნობს სოფლის საქმიანობას, რაც თავს იჩენს კიდევ პოეტის შემოქმედებაში, ამ მხრეზე მეტად საყურადღებოა დ. გურამიშვილის ცნობა „ქართა ლალას“ შემსახებ:

საღმრთოს რომ ვერას გალობდეს,  
იმღერდეს „ქართა ლალასა“<sup>16</sup>

<sup>13</sup> სულხან-საბა ორბელიანი. სიბრძნე-სიცრუისა, 1938, გვ. 125.

<sup>14</sup> ბესიკი, თხზულებანი, III გამოცემა. 1932, გვ. 81.

<sup>15</sup> დ. გურამიშვილი, დავითიანი, V გამოცემა, 1931, გვ. 84.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 13.

აქ დაპირისპირებულია სასულიერო და საერო სიმღერა. დ. გუ-  
რამიშვილს განსწავლულად მიაჩნია იგი. ვისაც სასულიერო განათ-  
ლება მიუღია, ამიტომ ადამიანი. რომელსაც ეს განათლება არ ექნე-  
ბოდა. მეხრედ, ხართ მალავეად თუ გამოდგებოდა; საღმრთოს რომ  
ვერას იგალობებდა. „ქართა ლალას“ სიმღერას შესძლებდა მხო-  
ლოდ. „ქართა ლალაში“, ვფიქრობთ. იგულისხმება ხართ მალაკი  
მეხრის სიმღერები.

დ. გურამიშვილმა ამ დაპირისპირების წყალობით დაგვისახელა  
მისთვის კარგად ცნობილი. საქართველოს სოფლებში გაერცელებუ-  
ლი იმდროინდელი ხალხური სიმღერები—მეხრისა.

არჩილ მეფე თავის ლექსში „გვამისა რვათა ასოთა“, საგულისხ-  
მო ცნობას გვაწვდის ნადის პარმონიული მუშაობის შესახებ:

ყოველი ასო გულისა მსახურია და მონა და,  
გარე მოისხა საშრომლად. აშუშავენს და მონადა<sup>17</sup>.

იმავე ავტორის ლექსში „ანბანთქება ამიყანად სათარგმანებელ-  
ნი“ ეკითხულობთ:

უმა არა ჰყავს, ამას ჟერა, შეეერება მას ნადი როს<sup>18</sup>.

აქ ინტერესი რომ არ ყოფილიყო წარმართული ნაწარმოების  
ამოცანური ხასიათისაკენ, ჩვენ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ საქმე  
გვეკონდა ფეოდალური წყობილების გამომხატველ ფაქტთან. როცა  
ნადი შედგებოდა ყმებისაგან.

არც ერთ ზემოდანახელებულ ცნობას არ შემოუნახავს ქართუ-  
ლი ხალხური შრომის სიმღერის ტექსტი. ამ მხრივ გამონაკლისს  
წარმოადგენს იოანე ბატონიშვილის თხზულება—„კალმასობა“, სა-  
დაც ერთ-ერთ თავში „პოეზიისა ანუ მოლექსეობისათვის“ ავტორი  
გვისახელებს მკის ლექსს: „მკაში ლექსები არის ესგვარი სიმღერით“

იერუსალმს მიმავალი ეუბნება ბერი ბერსა:  
ჩემი სულის ცხონებამა, არას ეყვის გერი გერსა.  
ქალო, ადი შავა ხესა, ჩამოყარე ბროწეული.  
ერთი შეცა ჩამომიგდე. შენგან უფრო მოწეული,  
ეპ. ოპ ჩასართავად<sup>19</sup>.

<sup>17</sup> არჩილიანი, ტ. 1, 1936, გვ. 16.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 283.

<sup>19</sup> ი. ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. 1, 1936, გვ. 295.



ეს საყურადღებო ლექსი დღეს ორ დამოუკიდებელ შაიხად აოსებობს<sup>2</sup>. „კალმასობაში“ დაცული სახით მას ჩვენამდე არ მოუღწევია, შეიძლება ამის მიზეზი ლექსის ანტიპოდური პერსონაჟები და ხასიათი იყოს.

ძველ წერილობით ძეგლებსა და აღოჩინების პერიოდის თხზულებებში ფიქსირებული ცნობები შრომის სიმღერებისა და ტერმინების შესახებ ცხადპყოფს მათ უძველესობას. კაცობრიობას თავის გაჩენის დღიდან თან ახლავს შრომა, ხოლო შრომა საკუთარ პოეზიას ქმნიდა.



## შრომის პოეზიის შექმნავლის საკითხისათვის

ქართული ზეპირსიტყვიერება განსაკუთრებით მდიდარია შრომის პოეზიით. თავისი მრავალფეროვანი სახეებითა და თემატიკით შრომის პოეზია დამოუკიდებელი დარგია და მონოგრაფიულ შესწავლას მოითხოვს.

აკაკის „კრებულსა“ და „ძველი საქართველოს“ ტომებში, მ. კელენჯერიძის, ს. გორგაძის, პ. უმიკაშვილისა და სხვ. ქრესტომათიებსა და კრებულებში შრომის პოეზიის ნიმუშები მრავლად იბეჭდებოდა. მათ რაობაზე კი თითქმის არაფერი თქმულა. შრომის პოეზიის შესახებ არსებულ რამდენიმე ცალკეულ მიმოხილვას კი ამჟამად მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რომელთაც სიმცირის გამო ქრონოლოგიური თანამიმდევრობით განვიხილავთ.

შრომის პოეზიის ზოგიერთი საკითხის აღძვრა პირველად უკავშირდება ი. ევლახოვის სახელს. რომელმაც დაბეჭდა სპეციალური სტატია<sup>21</sup> ქართულ ხალხურ სიმღერებსა და მომღერლებზე. ამ სტატიაში ფ. ევლახოვი მოკლე ისტორიულ ექსკურსთან ერთად აქვეყნებს ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშებს. მისი საგაზეთო წერბრი აავსეა წინააღმდეგობებით, ავტორი ეტყობა კარგად ვერ გარკვეულა ქართული ხალხური პოეზიისა და მუსიკის სფეროში, მათ ხასიათში იგი წერს: „...У грузин не могло сохраниться песен, в которых бы выражались их древний быт, ясное, у них почти нет песен характеризующих их жизнь под влиянием прошедших событий.“ ამის გამო, განავრძობს იგი, ქართველი ხალხი ითვისებდა თათრულ, ირანულ და სომხურ სიმღერებს. რომლებიც დღესაც გაბა-

<sup>20</sup> ა. პ. ც ა ნ ა ე ა. იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ და ხალხური სიტყვიერება, ლიტ. ძიებანი, V, 1949, გვ. 363—371.

<sup>21</sup> И. Е в л а х о в, О народных песнях и певичах в Грузии, „Кавказ“, 1850, №№ 264. 265.

ტონებულია საქართველოში. ასე გაუგია ეროვნული მუსიკის იმ-  
დრფინდელი მდგომარეობა ი. ევლახოვს. მისი აზრით, ჩვენამდე მცა-  
რე რაოდენობით მოღწეულ ქართულ სიმღერებს რომ ჩაუკვირდეთ,  
დავინახავთ, რომ იგი წარმოადგენს უაზრო სიტყვათა შემთხვევიო  
გროვას, რომელიც უშინაარსობისა გამო სწრაფადვე ქრება მეხნი-  
ერებიდან. თავისი მოსაზრების დასადასტურებლად ავტორს მოჰყავს  
სწორედ შრომის ლექსი, სადაც პატარა ბიჭი ანუ სამეტაო მეხრე ჯუ-  
თანში შებმულ კამეჩებს მიმართავს:

პოტუ კამეჩო რქიანო, შენი მეუღლე მქვიანო,  
მეუღლობას ვერ გაგიწევ. პატარა ბიჭი მქვიანო.

ამ მშვენიერი ხალხური ლექსის გარჩევაში ავტორი ერთმანეთ-  
ში ურევს ხვნისა, მკისა და კალოს სამუშაოებს. ამიტომ გვაკვირვება  
ქართული მუსიკის ღვაწლმოსილი მკვლევრის დ. არაყიშვილის  
შეფასება, რომელიც მან მისცა ევლახოვის ამ წერილს, თითქოს  
„ი. ევლახოვი მშვენიერის დალაგებით აჯგუფებს სიმღერებს. აღ-  
ნიშნავს, თუ რანაირად სრულდება თვითეული მათგანი და მოჰყავს  
დამახასიათებელი სიმღერები და მათი ტექსტები“<sup>22</sup>. ი. ევლახოვმა  
თავისი წერილით დაამტკიცა, რომ იგი ნაკლებად ერკვეოდა ქართულ  
ხალხურ სიმღერებში, ვერ არჩევდა მის კილოს სომხურ, თათრულ  
და ირანული სიმღერებისაგან, არ იცოდა მელოდიის ფუნქცია შრო-  
მის პროცესში და არც მისი შესრულების წესები.

სამწუხაროდ ი. ევლახოვის ამ უნიდადგო ცდამ გამოხატულება  
ჰპოვა ცნობილი მკვლევარის ალ. ხახანაშვილის მოსაზრებებში, რო-  
მელმაც თითქმის სიტყვა-სიტყვით გაიმეორა ი. ევლახოვის მცდარი  
შეხედულებანი მისივე არგუმენტაციით. ქართული ხალხური შრომის  
პოეზიის მრავალფეროვან მასალაში ა. ხახანაშვილმა სხვა ნიმუში ვერ  
ნახა, თუ არ იგივე ევლახოვის მიერ მითითებული ლექსი და გაიზი-  
არა მისივე მცდარი განმარტებანი.

თავისი ოთხტომეულის ქართულ გამოცემაში ალ. ხახანაშვილმა  
შედარებით უხვი მაგალითები მოიტანა შრომის პოეზიიდან და თან  
შრომის რამდენიმე სახის თონისა თიბვის, მკისა და ნამგლის ლეს-  
ვის სიმღერები გააჩვენა<sup>23</sup>.

<sup>22</sup> დ. არაყიშვილი, ქართული მუსიკა (მოკლე ისტორიული მიმოხილ-  
ვა), 1925, გვ. 38.

<sup>23</sup> ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, 1904, გვ. 64.

ღირსშესანიშნავია მე-19 საუკ. მეორე ნახევარში უცხოურ ლიტერატურაში ქართული შრომის სიმღერების შესწავლისა და გაანალიზების ცდა, რომელიც ეკუთვნის კ. ბიუხერს. მისი წიგნის „შრომა და რიტმი“-ს V თავში მსოფლიოს ხალხური პოეზიის გვერდით წარმოდგენილია საქართველო თოხნური და მკის სიმღერებით.

კ. ბიუხერი განსაკუთრებით დაინტერესებულა ჩვენში გავრცელებული კოლექტიური შრომის ფორმებით<sup>24</sup>, ყურადღება მიუქცევია ყურძნის, კრეფისა, სიმინდის თესვა-მარგელისა, ტეხვა-გარჩევისა და მკისათვის. კ. ბიუხერი აღნიშნავს, რომ შრომის ეს სახეები განუყრელად არის დაკავშირებული სიმღერებთან, ასეთ სამუშაოებს უპირველეს ყოვლისა სიმინდის თოხნა ეკუთვნის<sup>25</sup>.

კ. ბიუხერი სიმღერა-ნადურის სამ სახეს განიხილავს პირველ ნადურში უმთავრესად სიმღერის ტექსტი არა ჩანს, აქ მხოლოდ მოცემულია ნადურის—„დამახასიათებელი წამოძახილები. მომუშავენი მღერინან ორ გუნდად სხვადასხვა არტიკულაციით. პირველი და მეორე გუნდი შენაცვლებით მღერის მოკლე ხუთ სტრიქონიან ლექსს, რითაც აღნიშნავს „სამუშაოს სისწრაფის ხუთ ხარისხს“<sup>26</sup>.

პირველ ნადურში ნიმუშად მოყვანილია გურიაში ჩაწერილი ტექსტი:

აბა. ნადო, მოგვეხმარე და მოუსვით თოხი ჩქარა  
ნაპირები გავიტანოთ, თორემ მზეი გალიარა<sup>27</sup>.

ტექსტს წამოძახილების სახით მიჰყვება 1, 2 და 3 ხმის მინამღერი თანდათანობითი აჩქარებით.

მეორე ნადური ქართლ-კახურია „ეთოხნოთ და ეთოხნოთ სიმინდი“, სიმღერა წარმოდგენილია სანოტო ნიშნებით<sup>28</sup>.

მესამე ნადური ამოღებულია ზ. ჩხიკვაძის ქართული ხალხური სიმღერების 1896 წლის კრებულიდან. ტექსტად აკაკი წერეთლის ცნობილი ლექსი „მუშური“ გამოუყენებიათ. ამ ლექსის შესახებ კ. ბიუხერი წერს: ეს მგრძნობიარე სიმღერა, ეტყობა შექმნილია ბა-

<sup>24</sup> ბ ი უ ხ ე რ ი, დასახ. წიგნი, გვ. 197—207.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 198.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 199.

<sup>27</sup> იქვე.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 200—201.

ტონყმობის დროს. იგი არ უდგება თანამედროვე დახმარების პირობებს<sup>29</sup>.

ქართული მასალები კ. ბიუხერისათვის, როგორც თვითონვე აღნიშნავს, მიუწოდებია ფ. გოგინაიშვილს. კარგი იქნებოდა ქართველ მეცნიერს განემარტა, რომ ხსენებული ლექსი ეკუთვნოდა აკაკი წერეთელს, ხოლო წიგნის 204 გვერდზე მკის სიმღერებში შეტანილი ნიმუში რაფიელ ერისთავს. მაშინ კი ბიუხერს არ დასჭირდებოდა ლექსის დათარიღებისათვის ეპოქის ძიება.

წიგნში აღწერილია მკის პროცესი, სადაც ისევ აკაკი წერეთლის ლექსია მოტანილი.

კ. ბიუხერი, ალბათ, მიწოდებულ მასალაზე დაყრდნობით მკისა და თიბვის სიმღერებს აიგივებს, სამუშაო იარაღადაც ორივე შემთხვევაში ნამგაღს ასახელებს, ხოლო თოხნურს კი მათგან განასხვავებს თავისი ტემპით<sup>30</sup>.

სამკალ სიმღერებს განსაკუთრებით მკაფიო რიტმი ახასიათებს, მკის პროცესში ისევე, როგორც თოხნურში, ტემპის აჩქარება კულმინაციურ წერტილს აღწევს. რაც შეეხება მკისა და თიბვის სიმღერებს საქართველოში, ვინც კარგად იცნობს მას, მისთვის აშკარაა შრომის ამ ორ სახეთა შორის სხვაობა.

შრომის სიმღერების დამოუკიდებელი სახეა მთიბლური, რომელიც მხოლოდ მთიანეთს შემორჩენია. შრომის იარაღადაც იქ, თუ თავიდან არა, ყოველ შემთხვევაში. უძველესი საუკუნეებიდან ცელი ითვლებოდა, რასაც გვიდასტურებს აკად. ივ. ჭავჭავაძე: „გ. მერჩულის თხზულებითგან მაინც ჩანს,—წერს მკვლევარი.—რომ მე-IX ს. თიბვა უკვე ჩვეულებრივი ტერმინია, ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცელი ამაზე უწინარეს უნდა იყოს შემოსული“<sup>31</sup>. ამის დამადასტურებელია უთუოდ ის ამბავიც, რომ თიბვის ლექსებში ხშირი და ორგანულია ცელისადმი მიმართვა. ამრიგად, კ. ბიუხერის თქმა, რომ საქართველოში ცელით სარგებლობენ არც ისე დიდხინიდან<sup>32</sup>, საფუძველს მოკლებულია.

დ. არაყიშვილის მუსიკალურ ნარკვევებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული ხალხური შრომის სიმღერების მიმოხილვას<sup>33</sup>. მკვლევარი ეხება საქართველოში გავრცელებულ შრომის სა-

<sup>29</sup> ბ ი უ ხ ე რ ი, გვ. 201—202.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 203.

<sup>31</sup> ივ. ჭავჭავაძე, საქ. ენონომიური ისტორია, წგ. II, 1934. გვ. 90.

<sup>32</sup> ბ ი უ ხ ე რ ი, დასახ. წიგნი, გვ. 203.

<sup>33</sup> Д. И. Д р а к и ш в и л и, Краткий очерк развития грузинской, картаинно-кахетинской народной песни, 1905; Обзор народной песни во-

ხეებთან დაკავშირებულ სიმღერებს: სამკალს, თოხნურს, გუთნურს, კალოურს, მთიბლურს, ურმულსა და სხვ. და აღნიშნავს, რომ იგი სრულდება როგორც გუნდურად, ისე ერთი ხმით<sup>24</sup>.

დ. არაყიშვილი ასხვავებს მინდერის სამუშაოებიდან დაბრუნების სიმღერების თემატიკას. მკვლევარი ქართველების დამახასიათებელ თვისებად მიიჩნევს თემატიკურად სხვადასხვა—ეროტიულს, იუმორისტულსა და ზოგჯერ საგმირო ხასიათის ერთ პანგზე სიმღერას<sup>25</sup>.

„ნადური“ და „ხელხვაი“ დ. არაყიშვილის აზრით, წმინდა გურული წარმომობისაა და სრულდება გუნდურად. ნადური ხანგრძლივად იმღერება და შეიცავს ჩიტების ქიკიკისა და საერთოდ ბუნების ყოველგვარი ბგერების მიბადვას<sup>26</sup>.

ფშაური და ხევსურული სიმღერების განხილვისას იგი აღნიშნავს, რომ ამ მასალათა საფუძველზე შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საერთოდ ქართული ხალხური სიმღერის ევოლუცია. ფშავ-ხევსურული სიმღერები მკვლევარს შესანიშნავ მასალად მიაჩნია უძველესი დროის ზოგადი ქართული ლექსების დახასიათებისათვის<sup>27</sup>.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შრომის სიმღერებში „მთიბლურს“, ეს ციკლი პირველად გამოაქვეყნა აკად. აკ. შანიძემ<sup>28</sup>. აკ. შანიძემ აღნიშნა მთიბლურის თავისებურებანი და მიუთითა, რომ მას რითმა არა აქვს, ძირითადად ცხრა მარცვლიანია და ზოგიერთი მათგანი იმღერება არა მარტო თიბვის დროს, არამედ თავისი შინაარსით მკედრის დატირილსაც წარმოადგენს.

ხევსურული მთიბლური პოეზიის საფუძველზე აკ. შანიძე დაასკვნის, რომ „ასეთ სიმღერებში უნდა გვქონდეს ერთ-ერთი ნიმუში უძველესი ქართული ლექსისა“<sup>29</sup>. მკვლევარი ხაზს უსვამს მთაში ლექსის მუსიკალური შესრულების წესს,—რომელიც იმაში მდგომარე-

---

сточной Грузии, 1948; Народная песня западной Грузии, 1906; ქართული მუსიკა (ისტორ. მიმოხილვა), 1925 და სხვ.

<sup>24</sup> Д. И. Аракишвили, Краткий очерк развития грузинской харталино-халетинской народной песни, 1905. გვ. 21.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 22.

<sup>26</sup> Д. И. Аракишвили, Народная песня западной Грузии, 1906. გვ. 18.

<sup>27</sup> Д. И. Аракишвили, Обзор народной песни восточной Грузии, 1948. გვ. 4. 8. 12.

<sup>28</sup> აკ. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, 1931, გვ. 288—297.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 022

ობს, რომ სიტყვები გალობით წარმოითქმის, იმღერება ფანდურზე, ზშირად მესამე ელემენტთან—პლასტიკასთან შეერთებით. ტაშისკვ-რითა და ცეკვათამაშობით<sup>40</sup>, რაც ხელოვნების განვითარების საკმა-ოდ ადრინდელ საფეხურზე მიგვიტოლებს-

პროფ. მ. ჩიქოვანმა ისტორიული თანამიმდევრობის საფუძველ-ზე ხალხური პოეზიიდან სამართლიანად გამოაყუ შრომის ლექსები და სიმღერები, როგორც ცალკე დარგი და სპეციალური მიმობილება მიუძღვნა მას<sup>41</sup>. წარმოშობის მიხედვით შრომის სიმღერებს ავტორი ორ ძირითად ჯგუფად ჰყოფს—პირველი ჯგუფის სიმღერებში სიტყ-ვის ნაცვლად „უშინაარსო“ შეძახილებთან გვაქვს საქმე, როგორი-ცაა, მაგ., დასავლეთ საქართველოში გავრცელებული „ნადური“, რომელიც მკვლევარის აზრით, ერთ-ერთი უძველესი სიმღერათაგა-ნია<sup>42</sup>. მეორე ჯგუფის სიმღერებში მოკლე ლექსი და ლიტერატურული ამოძახილები ერთმანეთთან მკიდროდ არის დაკავშირებული. მ. ჩი-ქოვანმა სევანურ პოეზიაში ხაზგასმით აღნიშნა იგივე თავისებურება, რაც ახასიათებს ხევსურულ მთიბლურს.

აპ. წულაძეს, განიხილავს-რა ნადურს<sup>43</sup> როგორც ყველა სიმღე-რაზე უფრო ძველ და რთულ სიმღერას, მიაჩნია, რომ იგი შეთხზუ-ლია ბატონყმობის დროს ყმა გლეხების მიერ; თავის მოსაზრებას გურიაში გავრცელებული ჩვეულებით ასაბუთებს: სამუშაოდან დაბ-რუნებული ნადი ქვით მოპირული თოხებით მასპინძლის ეზოში ხეს მოსჭრიდა და რაც უფრო დიდი იქნებოდა ეს ხე. მით უფრო სასა-ხელი იყო. „ეს იყო ბატონების მოთხრების დამახასიათებელი მოსა-გონარიო“, დაასკვნის წერილის ავტორი, რაც ცხადია, გულუბრყვი-ლო ანაქრონიზმს წარმოადგენს. /

საყურადღებოა ავტორის ცნობა იმის გამო, რომ „ნადური“ გან-საკუთრებით მდიდარია მახვილი სოციალური მოტივების შემცველი ტექსტებით. გურიაში საჩივარ-ლექსებს რომ უწოდებენ. სტატიაში წარმოდგენილი ტექსტებიდან ბევრი ძველისძველი წარმოშობისაა, ზოგი მათგანი შელოცვებს წააგავს, სადაც სიტყვის მაგიური ძალა ხაზგასმული.

<sup>40</sup> ა.კ. შანიძე, დასახელებული ნაშრომი.

<sup>41</sup> მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1938, გვ. 91—120; მისივე, ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტ., 1956, გვ. 225—247.

<sup>42</sup> აპ. წულაძე, ეთნოგრაფიული გურია „მნათობი“. 1939, № 3, გვ. 182—190.

<sup>43</sup> იქვე, გვ. 108.

თ. ბეგიაშვილი თოთხმეტი სახის შრომის სიმღერას ასახელებს<sup>43</sup>. მათგან განიხილავს „გუთნურს“ და „მეხრის“ სიმღერას, რომელიც თემატიკურად „გუთნურს“ მიეკუთვნება, „სამკალს“, „მთიბლურს“, და „მწყემსურს“, დანარჩენი სახეებიდან კი მხოლოდ ნიმუშებს წარმოგიდგენს.

ქართული თეატრის ხალხური საწყისების მეკლევარი დ. ჭანელიძე უურადლებას ამახვილებს ნადის საზეიმო ელფერზე, იგი ნადის სასიმღერო რეპერტუარსა და ორგანიზაციულ წყობაში ეძიებს სანახაობის ელემენტებს. ნადურის სიმღერებში „კოლექტიური შრომის წასახალისებლად ქარბად არის შესული სიმღერისა და გართობის ელემენტებიო“<sup>44</sup>, რომელთა თეატრის საწყისად ჩათვლა, როგორც ავტორი ცდილობს, ნაძალადევი ჩანს.

ვ. შილაკაძე კრიმანჭულისა და გამყივანი ხმის თანამიმდევრობით განხილვისას აღნიშნავს ნადურის სპეციფიკას<sup>45</sup>.

მისი დასკვნით ნადურს მხოლოდ ყანაში არ მღეროდნენ. ნადური ვ. შილაკაძის შენიშვნით „არის მოგონება შორეული წარსულის, როცა ჩვენი წინაპრები ერთად, კოლექტიურად ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ“.

ვ. შილაკაძე ნადურის ხნიერებას არკვევს ტექსტების საფუძველზე. ნადურს აკუთვნებს აგრეთვე ძველისძველი სიმღერების ჯგუფს (იავნანა, მზეშინა, ლაზარეს სიმღერა და სხვა)<sup>46</sup>. ავტორს მოკუყავს თვალსაჩინო პარალელი გურული ნადურისა და იმავე კუთხის შელოცვისა. ტექსტუალურად არჩევს ზოგიერთი ნადური—საჩივარის ლექსს და სრულიად მართებულად მიდის იმ დასკვნამდე, რომ ცალკეული სიტყვისა და ტერმინის ხმარება ტექსტში საკმარისი არ არის რომელიმე ნადური ლექსი წარმოვიდგინოთ ბატონყმობის ეპოქაში შექმნილად, მაშინ, როცა ამ სიტყვის გარდა ტექსტში გვაქვს საკმარისი არქაიკაო<sup>47</sup>.

1956 წელს გამოქვეყნებული ქრესტომათიის „ქართული ხალხური სიტყვიერების“ პირველ ტომში პროფ. ქს. სიხარულიძემ შრომის

<sup>43</sup> თ. ბეგიაშვილი, ქართული ფოლკლორი, ქრესტომათია, 1914, გვ. 28—46.

<sup>44</sup> დ. ჭანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, 1943, გვ. 34—43.

<sup>45</sup> ვ. შილაკაძე, ქართული ხალხური მუსიკის შესწავლისათვის, 1949, გვ. 36—45, 58—39.

<sup>46</sup> იქვე, გვ. 42.

<sup>47</sup> იქვე, გვ. 43—44.



პოეზიის ძირითადი სახეების საუკეთესო ნიმუშები წარმოგვიდგინა თავისი ვარიანტებით. აღნიშნულ განყოფილებას ერთვის განმარტებითი ბარათი, სადაც მოკლედ, მაგრამ ამომწურავად არის ნაჩვენები შრომის პოეზიის რაობა, მისი როლი, ფუნქცია და ხასიათი, ნაჩვენებია აგრეთვე ქართული შრომის სიმღერების ადგილი მსოფლიოს ხალხთა ზეპირსიტყვიერებაში<sup>48</sup>.

მკვლევარს უყურადღებოდ არ დაუტოვებია აღნიშნული სიმღერების გენეზისის საკითხი და შრომის პროცესთან დაკავშირებული მათი შესრულების თავისებურება<sup>49</sup>. ქრესტომათიაში ბევრი დღემდე უცნობი ლექსია დაბეჭდილი, როგორცაა საფიქრო: „ქალთანელთ მჩეჩელნი ხყვან“, „ახალათ ხორიკაი ორ“, „დაკვეხნებაზე ნუ იყვეს“, „ამაგდებ, ამავახანებ“, საწყალზედო „წამავე საწყალზედოდა“ და სხვ.

ზოგადქართული მნიშვნელობა აქვს ა. ინაიშვილის, ჯ. ნოღაიძის და გრ. ჩხიკვაძის ნაშრომში<sup>50</sup> გამოქვეყნებულ აქარულ მასალას ოთხმედიანობის შესახებ, რომელიც დაუტყავს ნაღურს.

მრავალფეროვან სიმღერებთან ერთად აქ ყურადღებას იპყრობს სამეურნეო საქმიანობის ამსახველი ასევე მრავალფეროვანი ტექსტები, რაც საიმედო მასალას იძლევა „მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების დასახასიათებლად“. ნაღურის გარდა აქარაში კარგად შემონახულა შინამრეწველობასთან დაკავშირებული „ხერტლის ნაღი“, რომელსაც ქალები ასრულებენ მატყლის რთვის დროს და რომლის მელოდია საქართველოს სხვა კუთხეებში არ არის ფიქსირებული. შრომის პოეზიის სახეებიდან აღსანიშნავია ვენახის სიმღერა „ჩაღმა ჩაყრილო ვენახო“, ხელხვაგი და სხვ.

ავტორები აქარული სიმღერების პარალელებს პოულობენ საქართველოს სხვა რაიონების სასიმღერო შემოქმედებაში. საგულისხმოა, რომ წმინდა აქარულ, კუთხურ ნიმუშებთან ერთად იქაურ ნაღურში შესულია ასევე ზოგადქართული მნიშვნელობის ტექსტები, როგორცაა „აეთანდილ გადინადირა“, „ლეკებმა რომ დამიქირეს“ და სხვ.

<sup>48</sup> ქართული ხალხური სიტყვიერება. ქრესტომათია. შეადგინა, შესავალი წერილი, განმარტებითი ბარათები და შენიშვნები დაურთო ქს. სიხარულიძემ, თბ., 1956, გვ. 15.

<sup>49</sup> იქვე.

<sup>50</sup> ა. ინაიშვილი, ჯ. ნოღაიძე, გრ. ჩხიკვაძე, მასალები აქარული მუსიკალური ფოლკლორიდან, 1961, გვ. 9—15.

აპარული ნაღურის შესრულებაში საინტერესოა ორი ჯგუფის მონაცვლეობა და რეჩიტატივის არსებობა, რაც მიუთითებს შრომის პოეზიის აღნიშნული სახის ძველ წარმოშობაზე.

აპარის შრომის პოეზიის ძირითადი სახეების შესწავლას ისახავს მიზნად ჯ. ჩხეიძე. ნაღურთან ერთად, რომელსაც დიდი ტრადიცია აქვს აღნიშნულ კუთხეში, ავტორი განიხილავს ხელხვავს, მთიბლურს და მემთიერულს, სამკალ და მევენახეობასთან დაკავშირებულ ლექს-სიმღერებს, საფეიქროს, ელესასა და სხვ.

ქობულეთის მხარის ნაღური ლექს-სიმღერებისა და აპარის წყლის ხეობის ნაღური ლექს-სიმღერების შედარების საფუძველზე, ავტორი ცდილობს, გვაჩვენოს ამ უკანასკნელის თავისებურებანი<sup>81</sup>.

ჯ. ჩხეიძის საინტერესო დაკვირვებით ჭვანის ხეობაში დღემდეა შემონახული „მსოფლიო სხვადასხვა ხალხებში უძველესი დროიდან არსებული ჩვეულება—სამიწათმოქმედო სამუშაოების დროს საკრავიერი ინსტრუმენტების გამოყენებისა“<sup>82</sup>. შემონახულია აგრეთვე უტექსტო, დიფუზური შექანილებით შესრულებული ნაღურები<sup>83</sup>.

ნაშრომში ყურადღებას იქცევს ტერმინი „ხელთახვა“ (ხელხვა-ვი) და მისი სინონიმი „ჩათხრობილი“.

აპარაში გავრცელებული შრომის კოლექტიური ფორმების გვერდით არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო ინდივიდუალური შრომა, რომელსაც უკავშირდება სრული სიმღერები. წიგნის ავტორის კატეგორიული განცხადება, რომ „შრომის ინდივიდუალური სიმღერები აპარაში არ გვხვდება“<sup>84</sup>, ნაადრევად მიგვაჩნია.

აღნიშნულ თავში ჩვენ შევეცადეთ ზოგადად გაგვეხილა ყველა ის მასალა, რომელიც შეეხებოდა ჩვენთვის საინტერესო დარგს. როგორც შრომის პოეზიის შესწავლის მდგომარეობიდან ჩანს, ქართული კულტურის ეს მეტად მნიშვნელოვანი სფერო ჯერ მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის. მასალა მეტად დიდიე და მრავალფეროვანი; მისი შესწავლის მნიშვნელობა სცილდება ფოლკლორის ფარგლებს.

<sup>81</sup> ჯ. ჩხეიძე. შრომის პოეზიის ძირითადი სახეები აპარის ზეპირსიტყვიერებაში. ბათუმი, 1961, გვ. 5.

<sup>82</sup> იქვე, გვ. 38, 40.

<sup>83</sup> იქვე, გვ. 33.

<sup>84</sup> იქვე, გვ. 13.





ქართლის სამეფოს სახეები





# გუთნური

ხალხური სიტყვიერი შემოქმედების იმ მდიდარ უბანს, რომელიც საქართველოში დაკავშირებულია ხენა-თესვასთან, გუთნური ეწოდება. საქართველო ძველთაგანვე ცნობილი იყო, როგორც მიწათმოქმედი ქვეყანა, ამიტომ გუთნური თავისი მრავალფეროვანი თემატიკით შრომის პოეზიის ძირითადი სახეა.

ძველ ნათარგმნ თუ ორიგინალურ ძეგლებში დაცული სამეურნეო ტერმინები ადასტურებს მიწათმოქმედების უძველეს ტრადიციას საქართველოში.

ძველ ქართულში მიწას „ქუეყანა“ ეწოდებოდა, ხოლო მიწათმოქმედებას, დაბადების ქართულ თარგმანში დაცული ტერმინით „ქუეყანის მოქმედება“. აკად. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, „ქუეყანის მოქმედება“ ზოგადი ტერმინი იყო და მასში იგულისხმებოდა არა მარტო საველე მუშაობა, ხენა-თესვა, არამედ იგი შეიცავდა აგრეთვე „მევენახეობასაც“<sup>1</sup>.

გ. მერჩულის მიერ ხმარებული სამეურნეო ტერმინები დღესაც იმავე შინაარსის გამომხატველი არის. შავშეთ-ქლარჯეთის ბუნების დახასიათებისას გ. მერჩული ამბობს: „არა არს სათიბელი ქუეყანა, არცა ყანაჲ საქნაეი“<sup>2</sup>.

სხვა წერილობით ძეგლებშიაც ხშირად გვხვდება ისეთი დღესაც გავრცელებული ტერმინები, როგორცაა: ყანა, ხენა, ახო, ანეული, ნარბილი; სახნავი იარაღის ნაწილთა სახელები: სახენელი, ერქუანი, გუთანნი, სახნისი, საკვეთელი, ფრთე, ღირღიტი და სხვ., ყველა ეს ტერმინი უხვადაა შემონახული ხალხურ ლექსებში.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონ. ისტორია, 1, 1930, გვ. 136.

<sup>2</sup> გიორგი მერჩული, დასახ. წიგნი, გვ. კდ.

„სახენელი“ ქველად სახნავი იარაღების ზოგადი სახელი ყოფი-  
ლა. სულხან-საბა ორბელიანი „სახენელს“ განმარტავს, როგორც  
„ერქუანის, ჭილღას, ოქოქას და მისთანანის“ ზოგად სახელს. ეთ-  
ნოგრაფების ცნობით, ეს ტერმინი იმავე მნიშვნელობით დღესაც  
იხმარება საქართველოში.

სახენელ იარაღს მის გაუმჯობესება-გართულებასთან დაკავში-  
რებით შემდეგში „ერქუანი“ ეწოდა ივ. ჭავჭავიძის თქმით: „მე-  
IV—VI სს-ში, ...სახენელი იარაღის ერთადერთ ზოგად სახელად  
„ერქუანი“ ყოფილა“.

ერქუანის ამ მნიშვნელობას ადასტურებს სულხან-საბა ორბელი-  
ანი: „ერქუანი არს, რომელსა სომეხნი გუთანს უწოდენ საქველსა  
კნულთასა. ორის კარისასა ეწოდების ოქოქა და აჩაჩა, ყვერის კა-  
რისასა არონა. ოთხსა და ხუთს უღელბმულსა ჭილღა და კარმრავალ-  
სა ბმულსა ერქუანი და ყოველთავე სახელი ერქუანი არს ზოგადად“  
(1949). ამ განმარტებაში სულხან-საბა ჩამოთვლის ხალხურ მეტყვე-  
ლებაში გავრცელებულ, მისთვის ცნობილი სახენელი იარაღების სა-  
ხელწოდებებს. მათ შორის, როგორც სამართლიანად შენიშნავს აკად.  
ივ. ჭავჭავიძე, ტერმინ გუთნის წარმოშობაში ქართველი ლექსი-  
კოგრაფი ცდება. მას გუთანი მიაჩნია სომხურ სიტყვად. „სომეხთა  
შეზობელს“ შორის, ქართველებსა და ამიერ-კავკასიელ თურქო  
გარდა, გუთანი სახენელის გაუმჯობესებულ ჩვეულებრივ სახელად  
არავის ჰქონდა და ქართველები „გუთანს“ უკვე XIII ს. ჰხმარობდ-  
ნენ, ამიტომ ლოლიკური აუცილებლობით უნდა დავასკვნათ, რომ  
გუთანის შეთვისება სომეხებს მხოლოდ ქართველებისაგან შეე-  
ძლოთ, — წერს ივ. ჭავჭავიძე. იგივეს ადასტურებს ეთნოგრაფი  
გ. ჩიტაია: სომეხებს, აზერბაიჯანელებს და თურქებს სახელწოდება  
„გუთანი“ ისევე, როგორც ქართული ფამფალაკიანი სახენელი, ქარ-  
თველი ტომებიდან მიუღიათ.<sup>1</sup>)

XII საუკუნეში ტერმინ „გუთანს“ შეუცვლია ამ პერიოდამდე  
გაბატონებული ტერმინი „ერქუანი“, რომელიც დღეს გუთნის ერთ-  
ერთი ნაწილის აღმნიშვნელ სახელადღა შემორჩენილა.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნების მრავალფე-  
როვნება, ნიადაგის სხვადასხვაობა სოფლის მეურნეობის დარგში  
შიწის დამუშავების განსხვავებულ ხერხსა და იარაღს მოითხოვდა.  
ბუნებრივი პირობები თავისთავად იწვევდა მეურნეობის შეფარდე-  
ბას. ამის მიხედვით სახენელ იარაღებსაც სხვადასხვაგვარი და

<sup>1</sup> ივ. ჭავჭავიძე ი. ს. ქ. ეკონ. ისტორია. I, 1930. გვ. 159, 247.

<sup>2</sup> გ. ჩიტაია, ქსნური შთის გუთანი, ენიშის მოამბე, 1940, V—VI, გვ. 497.

გარემოსთან შეხამებული სპეციფიკა ახასიათებდა. ყველა მათ კა-  
ერთიანებდა საერთო სახელწოდება „გუთანი“. ეთნოგრაფ გ. ჩიტა-  
იას თქმით: „ქართველ ტომებში გუთანი ზოგადი ტერმინია,—რო-  
მელიც მთის გუთანს, ორხელა გუთანს და ბარულ გუთანს აღნიშ-  
ნავს“. გუთანი და ერქვანი სახვნელ იარაღსაც ეწოდება და ამავე  
დროს მათ ნაწილებსაც ჰქვია (გუთანი—სახვნელი იარაღის ქუსლი,  
ერქვანი—ნელხა). ეს გარემოება გ. ჩიტაიას აფიქრებინებს, რომ  
აღნიშნული ფაქტი შეიძლება ტერმინის სიძველის ნიშნად მივიჩნი-  
ოთ. სრულიად დამაჯერებელია ის გზა, რომლითაც გ. ჩიტაია ცდი-  
ლობს ტერმინ „გუთნის“ სიძველე დაადასტუროს. ამ მიზნით იგი  
მიუთითებს ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთ არქაულ ენარში—ზღაპ-  
რებში დაცულ ტერმინ „გუთანზე“, და ხარ-გუთანთან დაკავშირებულ  
დალოცვა-დამწყალობინებაზე<sup>4</sup>. ჩვენ მას დავუმატებდით შრომის  
პოეზიის ნიმუშებს, სადაც ხშირად გვხვდება სახვნელი იარაღების  
სახელწოდებანი: ორხელა, ჩუთ-კავი, აჩაჩი, არონა, ჭილდა, ოქოქა  
და სხვა.

ქართველები როგორც მიწათმოქმედი ხალხი, სახვნელ იარაღებს  
ანტიკური დროიდან იცნობდნენ. აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს:  
„ბერძნული გადმოცემითა და წარმოდგენით უკვე V ს-ში ქ. წ.-დარწ-  
მუნებულ უოფილან, რომ ლითონის სახვნელი საქართველოში პრე-  
ისტორიულ ხანაშივე არსებობდა“. იგულისხმება, რომ ქართვე-  
ლებს სამეურნეო იარაღების გამოგონება-გაუმჯობესებაში მნიშვნე-  
ლოვანი როლი ეკუთვნით. მართლაც, აკად. ივ. ჯავახიშვილი საბო-  
ლოოდ ასეთ დასკვნას აკეთებს: „ტერმინი „გუთანი“ და ყველა მისი  
ფონეტიკური სახენაცვალი საქართველოს ირგვლივ ტრიალებს და  
მისი გავრცელების რადიუსები შორს არ მიდის. თუ ამასთანავე  
გავიხსენებთ, რომ ზემოხსენებულ ერთაგან არც ერთს ამ ტერმინის  
არსებობის ესოდენ ძველი საბუთების წარმოდგენა არ შეუძლიან,  
როგორც ქართულს, მაშინ თავისთავად წარმოიშვება აზრი, რომ  
„გუთანი“ პირველად საქართველოში სახელდობრ ლიხთ-ამერეთში,  
უნდა იყოს გაჩენილი და აქითგან გავრცელებულა მეზობელ ერთა  
შორისაც“<sup>5</sup>.

გუთნის ქართულ წარმოშობაზე მიუთითებს აგრეთვე მთელი  
რიგი ხალხური თქმულებებისა, რომელიც ნამდვილად არსებული  
საქმიანობის ანარეკლი უნდა იყოს. პიტარეთელი ოსების თქმით,

<sup>4</sup> იქვე

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონ. ისტ., I, 1930, გვ. 203, 260.

ქართველებმა გუთანი ღვთაებისაგან მიიღეს: „ციდან გუთნის სურათი ჩამოვარდა, ის ქართველმა ნანა, გააკეთა იმგვარი გუთანი და მისგან სხვებმაც ისწავლესო“<sup>6</sup>.

პეროლოტესაგან ჩაწერილი ერთი ძველი თქმულების მიხედვით სკვიტების ქვეყანაში ზეციდან ჩამოცვნილი ოქროს საგნები: სახენელი, უღელი, ცული და ბარძიმი იპოვა კოლაქსაჲმ. რომელიც, ივ. ჭავჭავაძის აზრით, ქართველთა ერთ-ერთი ტომის მამამთავარი იყო.

აპოლონიოს როდოსელი<sup>7</sup> გადმოგვცემს თუ როგორ გაუკეთათ ვით ღვთაება ჰეფესტოსმა კოლხთა მეფეს მთლიანი ფოლადისაგან შემზადებული სახენელი ხარებითურთ<sup>8</sup>.

საქართველოში მიწათმოქმედებისა და სამეურნეო იარაღების უძველესობაზე მიგვითითებს ამირანის ლეგენდა, სადაც ლაპარაკია გუთნეულით ხენაზე<sup>9</sup>.

ქართულ ზღაპრებში გუთანი ვაჟის სიმბოლოა, ჭარა ქალისა. თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობაში მიწის დამუშავებაზეა ლაპარაკი: „ყრმანი მემროწლენი განპებასა შინა ორნატთასა თამარის ქებასა მელექსეობდიან“<sup>10</sup>. იგულისხმება, რომ ხნავდნენ სახენელი იარაღით, ალბათ, ერქუანით.

ქართულ მიწათმოქმედებას კაცობრიობის კულტურის უძველესი საფეხურის დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი, მატრიარქატის პერიოდისაგან მომდინარე ტერმინი შემოუნახავს „გუთნისდღის“ სახით. სოფლის მეურნეობაში ზემოაღნიშნულ დარგს შამაკაეები ხელმძღვანელობდნენ ისტორიულად ცნობილ ხანაში. მაგრამ ისტორიის წინა პერიოდში, ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის დროს. მიწათმოქმედებას ქალები უძღვებოდნენ. ეს იყო დღის გვარის წყობა ანუ მატრიარქატი, რომელმაც ქართველთა ზნე-ჩვეულებებს ღრმა კვალი დაამჩნია. საქართველოში ხენა-თესვას რომ უხსოვარ დროში ქალი განაგებდა, კარგად ჩანს ტერმინ „გუთნისდღეაში“, რომელიც მეთაურს, ხელმძღვანელს გულისხმობს<sup>11</sup>; ეს ჩანს აგრეთვე იმ აგრარულ წეს-ჩვეულებებშიაც, რომელიც მიზნად ისახავს ამინდის მაგიურ მართვას. ამ რიტუალში მონაწილეობენ მხოლოდ ქალები, გუ-

<sup>6</sup> გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბუღლის რაიონში, საქ. მუხ. მოამბე, 1928, ტ. IV, გვ. 222.

<sup>7</sup> აპოლონიოს როდოსელი, აგონატიკა, 1948, გვ. 116—117.

<sup>8</sup> მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947, გვ. 330.

<sup>9</sup> ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 146.

<sup>10</sup> ივ. ჭავჭავაძის, საქ. ეკონ. ისტორია, წ. 1, 1930, გვ. 267—268.



თანში შებმულნი წყლის კალპოტს გადახნავენ გუთნით. „ეს წარმართული სარწმუნოებრივი ჩვეულება იმ უხსოვარი დროის ნაშთია, — წერს აკად. ივ. ჭავჭავიძე, — როდესაც ჭერ კიდევ დღდაკაცები ხნავდნენ და სახენელითაც ისინივე მუშაობდნენ“; ივ. ჭავჭავიძის აზრით, გუთნისდედა განახლებული ტერმინია, რომელიც ხმარებაში შემოვიდა XIII საუკუნიდან, მანამდე კი უნდა ყოფილიყო ერქუნის დედა.

ყოველ მიწათმოქმედ ქვეყანას თავისი აგრარული კულტი შეუქმნია, რაც დაკავშირებულია წელიწადის გარკვეულ დროებთან. ეგვიპტეში ცნობილია ოზირისის კულტი, ფრიგიასი ატისის, სირიაში ადონისის, საბერძნეთში დიონისოს, პერსეთონასა და სხვ.

საქართველოში, როგორც უძველესი მიწათმოქმედო ქვეყანაში მოსაგლიანობასა და ნაყოფიერებას თავისი ღვთაება გააჩნდა „კვირიას“ სახით. ამრიგად, საგაზაფხულო და საზაფხულო დღესასწაულები: ბერიკაობა, ყეენობა, სევანური „ლიმურყვამალ“, მურყვამობა, ვ. ი. კოშკობა, ყოველივე ეს „კვირიას“ ანუ ხმელთმოურავის დღესასწაულებია. აკად. ივ. ჭავჭავიძე წერს: „სევანური „მურყვამობა“ და „საქმისაჲ“-ს ჩვეულება იმგვარადვე, როგორც „ყეენობა“, სქესობრივი განაყოფიერებისა, შვილიერებისა და საერთოდ მოსაგლიანობის მფარველ ღვთაების კვირიას თავყანისცემისა და დღესასწაულის ნაშთია“<sup>11</sup>) ამ დღესასწაულებთან დაკავშირებული ტექსტები წარმართული ელემენტების შემცველია. „როგორც სევანური მურყვამობის ძველი ქართული ტერმინები „ადრეკილა“ და „საქმისაჲ“, — წერს ივ. ჭავჭავიძე, — ისევე ფერხელის ქართული სიტყვები უცილობლად ცხადყოფენ, რომ აქ ჩვენ საზოგადო ქართული წარმართობის ნაშთთან გვაქვს საქმე“. ამრიგად, მათი სახით შემონახულია უძველესი დროიდან მომდინარე პირველყოფილი აზროვნების გადანაშთები, მაგიური რწმენები. წელიწადის ბრუნვასთან დაკავშირებულ სტიქიურ მოვლენებზე (გვალვა, წვიმა, სიცხე-სიცივე, სეტყვა, თოვლი) დაკვირვებისა და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე შემუშავდა წარმართული კალენდარი, რომელსაც შემდეგ შეერია ქრისტიანული კალენდარი და ხალხთა ზნე-ჩვეულებანი, საკულტო დღესასწაულები ორრწმენიანობის გზით წარიმართა.

მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი სრულდებოდა საქართველოს ყოველ კუთხეში. საახალწლო ცერემონიალში დიდი ადგილი ეკირა მაგიურ ფორმულებს, დალოცვებს. მეურნე ახალი წლის დადგომას ადამიანებთან ერთად ულოცავ-

<sup>11</sup> ივ. ჭავჭავიძე, ქართ. ერის ისტორია, I, 1951, გვ. 75.

და საქონელსა და სამეურნეო იარაღებს. საახალწლო ბედისკვერებს ჰქონდა ხარის ქედის, უღლის, ნამგლის და სხვ. ფორმა, ცხვებოდა „გუთნის კვერი“<sup>12</sup>.

აგრარულ წეს-ჩვეულებებში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამინდის მაგიურ მართვას, რაც გავრცელებულია მსოფლიოს ყველა მიწათმოქმედ ხალხში. საქართველოში ტაროსის მართველია „ცა-ღრუბლის-ღვთაება“, რომლის მოვალეობის ამსრულებლად ქართლში. კახეთში, იმერეთსა და გურიაში ელია ითვლება, ხევსურეთში კი „პირიშუე“. ისინი განაგებენ წვიმა-სეტყვისა და ელვამების საქმეებს. ღრუბელთბატონთან შუამავლობა საქართველოში უხსოვარი დროიდან ქალთა სქესს ეკუთვნოდა, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მატრიარქატის გადანაშთს წარმოადგენს, „როცა ზაფხულში გვალვას დაიქერს ხოლმე,—წერს ივ. ჭავჭავაძე,—სოფლის გოგოები შეიყრებიან ერთად. „ლაზარეს“ გააკეთებენ ხოლმე. სოფელში დადიან და მღერაინ“<sup>13</sup>.

ასეთი იყო მიწათმოქმედების რწმენა. მაგიური მოქმედება. მისი აზრით, ეხმარებოდა კეთილ ძალებს უზრუნველყო მცენარეთა და ცხოველთა ნაყოფიერება. საგანაგებო აგრარულ წეს-ჩვეულებებსა და დღესასწაულებში ადამიანის რწმენით პოეტურ სიტყვას ისეთივე მაგიური ძალა და ფუნქცია ჰქონდა, როგორც მოქმედებას.

გუთნური თავისი მრავალფეროვანი თემატიკით ბევრი ქართველი მწერლის ინტერესის საგანი გამხდარა. მათ შემოქმედებაში ეპოქობით როგორც გუთანზე მუშაობის აღწერას, ისე გუთნურის სამღერალ ტექსტებს<sup>14</sup>.

<sup>12</sup> ნ. ხიზანიშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940, გვ. 147; გ. ჩიტაია, ეთნ. მოგზ. გვ. 228, ს. მაკალათია, ფშავე, გვ. 161; ს. მაკალათია, შესხეთ-ჭავჭავთი, 1938, გვ. 104 და სხვ.

<sup>13</sup> ივ. ჭავჭავაძე, ქართული ერის ისტორია, წ. I, 1951, გვ. 77—79; კახეთში „ლაზარის“ ცერემონიას აღწერს ნ. დუბროვინი: რომელიც ვერ ჩაწვდომია აღნიშნული ზნე-ჩვეულების არსს. მას ეჩვენება, რომ გვალვის დროს ლაზარეს ფიტელის ტარებისას, გოგონები მღერაინ უაზრო, ერთმანეთთან დაუკავშირებელ სიტყვებს. მისივე ცნობით, ამ პროცესის შემსრულებლად საქართველოში იყვნენ ცნობილი გვარის ქალები და ქალმშვილები.

Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. I, II, 1671, гв. 176—177.

<sup>14</sup> დ. კონქაძე, სურამის ციხე, 1932, გვ. 34—35; ი. კავკავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937, გვ. 14; ა. წერეთელი, მოთხრობები, ტ. IV, 1948, გვ. 106; რ. ერისთავი, ლექსები, ტ. I, 1935, გვ. 52; ა. ლ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. III, 1949, გვ. 13—16; ვ. აფშაველა, ლექსები, ტ. I, 1946, გვ. 88; ს. მგალობლიშვილი, რჩეული მოთხრობები, 1951, გვ. 379—380, ნ. მელანიძე, ბნელო, 1951, გვ. 79—80;

გუთნური, შრომის პოეზიის სახეთა შორის, ყველაზე მდიდარი და როგორც აღვნიშნეთ, თემატიკურად მრავალფეროვანია. შორეული წარსულის მქონე მიწათმოქმედებამ თავისი დიდი ტრადიცია შექმნა საქართველოში აგრარული წეს-ჩვეულებების, სამეურნეო იარაღებისა და მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ტერმინების სახით, ამგვარმა შრომამ და ტრადიციამ კი ძლიერი გამოხმაურება კპოვა ზეპირსიტყვიერებაში. შრომის პოეზიის ეს სახე ასახავს მიწის დამუშავების პროცესს, ხვნას, თავისი აუცილებელი ატრიბუტებით მხენელ-მთესველით, სახენელი იარაღითა და მუშა საქონლით.

გუთნურში დახასიათებულია მშრომელთა სოციალური მდგომარეობა; გადმოცემულია მათი სულისკვეთება, დამოკიდებულება მუშა საქონელთან, სახნავ იარაღებთან: გუთნური თემატიკის მიხედვით შეიძლება—ხუთ ძირითად ჯგუფად დაიყოს: 1. ლექს-სიმღერები გუთნისდღაზე, 2. მეხრის სიმღერები, 3. ლექს-სიმღერები მუშა საქონელზე, ხარსა და კამეჩზე, 4. ლექს-სიმღერები სამეურნეო იარაღებზე გუთანსა და მის ნაწილებზე და 5. წარსულში მშრომელთა ყოფისა და განწყობილების ამსახველი ლექსები თითოეული ამ ჯგუფის ნაწარმოებებში ჩაქსოვილია სოციალური, სატრფიალო და სატირულ-იუმორისტული მოტივები.

გუთნურს დ. არაყიშვილი ერთხმიანი უძველესი ჯგუფის სიმღერებს აკუთვნებს<sup>11</sup>.

„გუთნური“ გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც მიწას ამუშავებენ კოლექტიურად. შრომის პოეზიის ამ სახის ნიმუშები ცნობილი არ არის დასავლეთ საქართველოში, შეიძლება იმიტომაც, რომ იქ მიწის დამუშავების სხვა წესი არსებობდა. ივ. ჯავახიშვილი წერს: „ერქუან-გუთანში სულ ცოტა უნდა ექვსი ულელი ბმულიყო...“<sup>12</sup> ვახტანგ VI-ს „დასტურლამალში“—აღნიშნული აქვს, რომ „ერთი გუთანი არის ულელი ათიო“—... კლაპროთის მოწმობით დუშეთის მიდამოებში ერქუანს, ან გუთანს, 6—7, ან 10 ულელი ხარის შებმულობას გარდა, ხენის დროს ხუთი კაცი უნდა თან ჰყოლოდა“. ამრიგად, მიწას ხნავდა ადამიანთა კოლექტივი, რომელიც ერთი გუთნისდღისა და ოთხი-ხუთი მეხრისაგან შედგებოდა. „გუთნისდღის მოვალეობას შეადგენდა გუთნისა და საყვე-რების უღლებითურთ ასხმა ანუ გაკეთება და ხენის დროს მისი დაქერა. მისივე მოვალეობა იყო გუთნის შეკეთება, თუ იგი გატყდებოდა ხენის დროს. სახნის-საკვეთი და ჯამბარაც გუთნისდღის ებარა“<sup>13</sup>.

<sup>11</sup> ქართული ხალხ. მუსიკა, „კავკასიონი“, 1924, № 1—2, გვ. 11.

<sup>12</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონ. ისტორია, 1, 1930, გვ. 269.

<sup>13</sup> მელანიძე, ხენა-თესვის ადათები, ლიტ. მუზ. აბტოგრა., № 2339/4, გვ. 4.

ასე გვიხასიათებს გუთნისდედის მოვალეობას მელანია. ხენის დროს სიმღერაც, ვთქვამთ, კოლექტიური უნდა ყოფილიყო. დ. არაყი-შვილი გუთნურ სიმღერებს სოლური, ე. ი. ინდივიდუალური შესრულების სიმღერად თვლის, რასაც ეწინააღმდეგება მიწათმოქმედთა ქვემოთმთანილი ცნობები, იყალთოელი გლეხი გიორგი შრელა-შვილი გადმოგვცემს: „გუთანზე... ხუთივენი მღერიან. ერთი დაიძახებს დ. სხვები ხანს ეუბნებიან. გუთანზე სამღერელ ლექსებს ოროველას ლექსები ჰქვიათ“. ამასვე გვიდასტურებს მთქმელი თედო კორიკაშვილი სოფ. ბოდბედან. იგი ასახელებს ოროველის ცნობილ შემსრულებლებს: „კარგი ოროველა იცოდა მოსეშვილმა ალექსიმ, ხმაც კარგი ქონდა. დაიძახებდა ოროველას და მეხრეებიც აყიყინდებოდნენ. ოროველას ყველა მღერის, ურმულს კი ერთი“,—ამბობს თ. კორიკაშვილი.

ამრიგად, გუთნური სიმღერის საფუძველია კოლექტიური შრომა.

რვაულნიანი გუთნეული შემდეგნაირადაა განლაგებული: „I. გუთნის თავის უღელი, რომელშიაც ხარები იყო შებმული და რომელზედაც გუთნის თავის მეხრე იჭდა, II. საძირის უღელი, რომელშიაც კამეჩები ება, III. საძირის საჯდომი უღელი, რომელშიაც ხარები ება და რომელზედაც მეხრე იჭდა, IV. საშუალის უღელი, რომელშიაც კამეჩები ება, V. საშუალის საჯდომი უღელი, რომელშიაც ხარები ება და რომელზედაც მესამე მეხრე იჭდა, VI. წასაკრავის უღელი, რომელშიაც კამეჩები ება, VII. წინა საჯდომი უღელი, რომელშიაც ხარები ება და რომელზედაც წინა მეხრე იჭდა და VIII. წინა უღელი, რომელშიაც აგრეთვე ხარები ება“<sup>17</sup>.

გუთნეულს თან ახლდა მიწათმოქმედების წამყვანი მუშაკი და ხენის ორგანიზატორი გუთნისდედა და 4—5 მეხრე. გუთნის სამუშაოების მთელი სიმძიმე გუთნისდედას გადაჰქონდა. იგი იყო გუთნეულის ტემპისა და მიმართულების მიმცემი. გუთნისდედის შეძახილის მიხედვით მუშაობდნენ მეხრეები, მის გამოცდილებასა და უნარზე იყო დამოკიდებული წესიერი, ნორმალური მსვლელობა სამიწათმოქმედო სამუშაოებისა. 8—10 უღელ ხარ-კამეჩ შებმული გუთნის მართვა მეხრეებითურთ სათანადო ცოდნასა და სიტხიზლეს მოითხოვდა.

ვაჟა-ფშაველა სწორედ ამ მომენტს უსვამს ხაზს, როცა 15 წლის გუთნისდედაზე ლაპარაკობს და გუთანს უპირისპირებს აჩეჩას:

<sup>17</sup> ალ. რიბაქიძე, მოღვაძე, როგორც ექსპლოატაციის ერთი ფორმა რევოლუციამდელ საქ-ში, შიმშილიველი, ტ. II, 1951, გვ. 414.

„...ღალოცვილ აჩეჩას მეტის ცოდნისა და მეტის ღონის გუთნისდელა  
არცა სჭირდებოდა,—გადმოგვეცემს პოეტი,—ოღონდ გუთნისდელამ  
ერთხელ დაისწავლოს რა მანძილზე და როგორ უნდა იდგეს საყვე-  
თელი სახნისზე, ან გუთანი რომ ღრმობდეს თუ ზეზეურობდეს, სა-  
ით რა ეწამლება; სხვა არაფერია საჭირო“<sup>18</sup>.

გუთნისდელა მნიშვნელოვანი ფიგურაა მიწათმოქმედებაში.  
„ყველაზედ საპატიო კაცებად სოფელში,—გადმოგვეცემს მწერალი  
მელანია,—გუთნისდედები ითვლებიან, როგორც ხენა-თესვის მაწარ-  
მოებელნი..“ სოფელი პატივისცემის ნიშნად გუთნისდელის საფ-  
ლაზე თლილ ქვას დგამს თვით გუთნისდელისა და გუთნის გამოხა-  
ტულებით. ამის დამადასტურებელია სხალტბაში. გუთნისდელის საფ-  
ლავიდან, ელ. ვირსალაძის შიერ გადმოწერილი ეპიტაფია: „საქმისათ-  
ვინ ვიყავ მგელიო, გუთნისთვინ კარგი მქნელიო, ქერი და პური მი-  
ყვარდ: ორმოში ძველს-ძველიო“. „სამეხრეო გამართულის მისის  
გუთნისდელითა-, ფეოდალთა ქალებს ეძლეოდა მზითვეში“<sup>19</sup>.

ქართული ხალხური შრომის პოეზია ასახავს ხენა-თესვაში გუთ-  
ნისდელის საპატიო როლს და შრომასთან განუყრელი სიმღერის მა-  
ორგანიზებელ ძალას, რომლის საუკეთესო გამომხატველია ხალხუ-  
რი ლექსი:

შენ ჩემო გუთნისდელაო. ხარი ვიბია შტრედაო,  
მეხრეებს გამოართმედი. შეახტებოდი ზედაო.  
სიქლერა კარგი ვცოდნია. დასძახდი ზედი ზედაო.<sup>20</sup>

ლექსის ვარიანტში გვხვდება ტერმინი „ზედა“. გუთნისდელა  
ამ ნიშან-შეძახილით აფრთხილებს მეხრეს ხარის კვალში ჩასაყენებ-  
ლად ან დავეაების შემთხვევაში.

„შინაური, სოფლად გაკეთებული გუთნით ხენას უნდებოდა ექვ-  
სი უღლიდგან რვა უღლამდე ხარი.—აღწერს მელანია ხენა-თესვის  
ადათებს ქიზიყში,—ამდენი საქონელი კი ბევრ ოჯახს არა ჰყვანდა  
სოფელში. ამისათვის ცოტა საქონლის პატრონები მიუღლებოდნენ  
ხოლმე ერთმანეთს და შეაბამდნენ ერთ გუთანს...“.

ქართულ სოფლებში ცნობილი იყო ასეთი შეამხანაგება ხენაში,  
რასაც მოდგამი ეწოდებოდა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით  
მოდგამი“. მექომე ჭილის მოზიარე არის, ხოლო „მეკომე ხართ  
მოდგამი“. სიტყვა მოდგამი ქსნის ხეობაში „აღნაშნაგდა

<sup>18</sup> ვ ა ე ა ე შ ა ე ე ლ ა ე თ ნ ო გ რ ა ფ ი ლ ლ ი წ ე რ ი ლ ე ბ ი. 1937, გვ. 38.

<sup>19</sup> ა ლ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 412.

<sup>20</sup> „თეატრი“, 1886, № 27.

მუშახელს, სახენელი იარაღისა და გამწვევი საქონლის პერიოდულ გაერთიანებას. მოდგამი მიზნად ისახავდა გარკვეული დროის მანძილზე მიწის მოხვნას მოდგამის ყველა წევრისათვის“, მოდგამის წევრთა შორის, ალ. რომაქიძის ცნობით, აღიღებდნენ შემდეგნაირად ნაწილებოდა:

1. გუთნისდედას 5 ალო,
2. ღამის მეხრეს 4 ალო (X 2),
3. დღის მეხრეს 2 ალო (X 2).
4. გუთანს (სახნის-საკვეთით და გამბარაქანეურით) 6 ალო,
5. ერთ უღელ ხარ-კამეჩს 2 ალო (X 8).

მოდგამის წევრთა შეგროვებას, წინასწარ სამზადისს ასე აგვიწერს ალ. რომაქიძე: „გუთნისდედა ერთი თვით აღრე შეუდგებოდა მოდგამის თადარიგს. ჩამოუვლიდა გამწვევი ძალის მეტატრონებს და მეხრეებს, შესთავაზებდა მოდგამში მონაწილეობას. გუთნისდედა ცდილობდა მოდგამში შეერჩია კარგი გამწვევ ძალა და ნაცადი მეხრეები. თავის მხრივ მეხრეებიც გამოცდილ გუთნისდედას. ეტანებოდნენ; მოვიდოდნენ და თხოვდნენ: „შენ გუთანში შემიბი ხარებიო“. ამ სამზადისზეა ლაპარაკი სოფ. ერთაწმინდაში ჩაწერილ ლექსებში:

გუთნისდედა და მოდგამი, დაღიან უბან-უბანა,  
უნდა შევაბათ გუთანი, საყვარელია მულანა.

ალოთა მთელი რაოდენობიდან, როგორც ცნობილია, უდიდესი ნაწილი ხვდებოდა გუთნისდედას, ამ მდგომარეობამ იგი განსაკუთრებით მოამძლავრა ეკონომიურად და უპირატესობა შეუქმნა სოფელში, რაც ხალხმა აღნიშნა კიდევ ლექსში:

მენახირის გულა შერცხვის, მეხბორისა—საგხალიო,  
ვენაცვალა გუთნისდედას მუცილი აქვს მაძლარიო.

ამრიგად, საქართველოს იმ სოფლებში, სადაც მეურნეობის სხვადასხვა სახეა გავრცელებული, გუთნისდედას უპირისპირებენ მენახირეს, მეტივეს, მონადირეს, მეთევზესა და სხვ. ბევრ ხალხურ ლექსში გადმოცემულია ვასათხოვარი ქალის ნატვრა—იყოს გუთნისდედის ცოლი. იგი სხვებთან შედარებით უპირატესობას აძლევს გუთნისდედას, რომელსაც ნაკლებ ხიფათიანი სამუშაო აქვს და სხვაზე უფრო მდიდარიცაა: }

ქალმა თქვა: ქმარი არ მინდა, ნუ გამათხოვებ დედაო,  
ნუ მიმცემ მეხეარე კაცსა, თორო მაიზრობს ფესხაო.

ნურც მიმცემ მონადირესა, გადმოარდება კლდესაო.

თუ მიმცემ, ისეთს კაცს მიმეც, რომ იყოს გუთნისდელი...<sup>21</sup> და სხვ.

საქართველოს ყოველ კუთხეში გავრცელებული ამ ლექსის ზოგ ვარიანტში გუთნისდელა ეკონომიურად გათანაბრებულა მამასახლისთან,

ამრიგად, გუთნურ ლექსებში გადმოცემულია შრომელი ხალხის პატივისცემა და სიყვარული გუთნისდელისადმი, მაგრამ მთელ რიგ დანარჩენ ლექსებში შეუბრალებლად, ხალხური პირდაპირობითაა შხილებული მისი უარყოფითი თვისებები. უხეირო, გაუშაძლარი გუთნისდელა გაკილვისა და დაცივნის ობიექტი გამხდარა, ასეთზეა ნათქვამი:

უხერხული გუთნისდელა მებრეებს ემუქრებოდა,

ორტას მხენელი და მთესველი მაღალ ღმერთს ემღურებოდა.<sup>22</sup>

გუთნისდელას, რომელსაც გუთნის წესიერი მართვა ვერ მოუხერხებია და ამის გამო ცუდ-უბრალოდ ებუზღუნება ყველას, ლექსებში „მელირიტეს“ უწოდებენ. იგი არა მარტო ადამიანებს და ღმერთს ემღურის, არამედ სახვნელი იარაღების უკმაყოფილოცაა. ზალხური პოეტი იუმორისტულ შტრიხებში გადმოგვცემს გუთნისდელისა და გუთნის ჩხუბს:

გუთანი და გუთნისდელა, წაიკიდნენ მიწის კვალში.

გუთნისდელა მოებრუნდა, ჩეკი გამოუსო თავში.<sup>23</sup>

ლექსის ბოლო სტრიქონში ნახმარი სიტყვა „ჩეკი“ სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ნიშნავს „ტეხელის საჩხრეკელს“. ამ საშეურნეო იარაღის უადგილობა გვაფიქრებინებს, რომ მის ნაცვლად აქ უნდა ყოფილიყო „ჩიკი“, ლექსიკოგრაფისვე ახსნით, „გუთნისდელის საწმენდი ჯოხი“.

ეკონომიური მდგომარეობით გალალბებულ გუთნისდელაში თავს იჩენს ეგოიზმი, სიხარბე, რაც შეიძლება მეტი მიიღოს, ხელსაყრელი ამინდი გამოიყენოს მხოლოდ თავისი მიწის მოსახნავედ. ქვემოთაინილ ლექსში გუთნისდელა ერთთავად წარმოდგენილია, როგორც მისი ხელქვეითების, გუთნეულში შემავალი დამხმარე ადამიანების, მხერხისა და ჩვენთვის ნაცნობი „მოდგამის“ მჩაგვრელად. იგი უღიერად ეპყრობა მუშა საქონელსაც:

<sup>21</sup> ფ. არქ., № 2621. ჩამწ. თ. რაზიკაშვილი, ფშავი.

<sup>22</sup> „ივერია“, 1890, № 252.

<sup>23</sup> ფ. არქ. № 12349. მთქმ. გლეხი ნიკო, ჩამწ. ნ. ასათიანი, ახალციხე, 1934.

გუთნისდღას რა აცხონებს, რა შეიყვანს საყდარშია,  
შავი კამეჩების ცოდო უხვევია კალთაშია.  
კაი დარში თვითონა ხნავს, მებრეს უხნავს აყდარშია.

„მოდგამი“ „მოდგემები“ ან „მოდგემური“ ლექსის ვარიანტებში ხშირად გვხვდება მეხრის მაგივრად.

როგორც დავინახეთ, მშრომელი ხალხის მორალით, მუშა საქონლის უდიერი მოპყრობა ცოდვით ითვლება, რაც მკვეთრად არის გამოხატული ერთი ქართლური ლექსის პირველსავე სტრიქონში „ავი გუთნისდღის სული დაწერილია ქვაზედა“. იმავე ლექსში, ქვემოთ. გუთნისდღას მეხრე ენაცვლება, ეს ლექსი წარმოადგენს ფრაგმენტს, იმ ვრცელი ლირო-ეპიკური ნაწარმოებისა, რომელიც ხარის კულტს ასახავს და რომელსაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ.

უმაღური გუთნისდღის დამოკიდებულება გუთნეულის მონაწილე ღარიბ გლეხთან, გადმოცემულია თ. რაზიკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილ ლექსში „ჩემი ამბავი“.

ვარიანტში ლექსის პირველი ნახევარი მცირეოდენი ცვლილებით მეორდება. მეორე ნახევარში მშრომელი მწარედ დასცინის თავისთვის. აქ ლექსის მიმდინარეობა იცვლება, დამცინავი განწყობილების გამოსახატავად თხრობასაც მსუბუქი, ნახევრად იუმორისტული ტონი ეძლევა:

წაველ და ტყეში გამოქეპერ, შეიდასი ადლი ღარია,  
გავდევი დუშეთის ხილზედ გადმოვიყვანე წყალა.  
წაველ და დედას ვახარე: ფეტვს შეუყრა ტანია,  
წადი, მუშას დაუძახე, შეპყარე დიდი ყარია.  
კარგად დალესონ ნამგლები, მაგრა დააგონ ტარია.  
სადილათა და ვახშმათა დანიშნე სამი ვარია,  
შიშვილით კუჭი ამეწვა, ამოწყდა მათი გვარია<sup>22</sup>

გუთნური ლექს-სიმღერების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია მეხრე. გუთანზე მუშაობდა ორი დღის მეხრე, ორი ღამის მეხრე და ერთიც სამეტაო მეხრე. გუთნეულის უმაღგენლობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა აგრეთვე გუთნის თავის მეხრეს, რომელიც გუთნის თავის უღელზე იჯდა. იგი მუშა საქონელს მიერეკებოდა და თან

<sup>22</sup> 1 ხელნაწ. ინსტ., H—1992 დ/1.





ხენის დაწყების წინ თ. რაზიკაშვილის ცნობით, მეხრე რომ გუთანს შეაბამდა დილით ამას დაიძახებდა:

პირველად ღმერთი ვახსენოთ, ის უფრო დიდებულია,  
დიდება იმის სახელსა, ის უფრო მართებულია.

სოფ. იყალთოში, გ. მრელაშვილის თქმით: „გუთანს რომ მოუკიდებდნენ, იტყოდნენ:

დიდება ღმერთსა,  
ღმერთი მოგვიმართავს ხელსა.

შემდეგ იგივე მთქმელი აღწერს გუთნეულით ხენის პროცესს— შრომასთან სიმღერას, კვლების გატანას,—გუთნის თავის მეხრე მიმართავს გუთნისდელას: „მოდო მამავ, მამყე მამამე“ და იწყებს სიმღერას:

ღმერთო და ღვთის სამართალო, შენ მომიმართე ხელა,  
უწინ შენ მომაკვლევინე, ჩვენზედ მოსული მტერია.

ახლა ბანი მეხრეებისა:

გავიღეთ ბიჭო, გავიღეთ ბოლოში, არავინ დაგვიფარდება,  
ხარ და კამეჩი კარგი გვეყავს, სახელიც გაგვიფარდება.

მობრუნდნენ: „დიდება ღმერთსა!“

გავიდნენ ბოლოში, კვლავ მღერიან:

გადავიდა, გადიშალა,  
თუთრი პირი ვარდივითა.

აღიგენის რაიონში, სოფ. უღეში ფ. აზირაშვილის გადმოცემით, გარკვეული ცერემონიალის შემდეგ, ხელს მოკიდებდნენ კავს, იწყებდნენ ხენას და თან დასძახებდნენ „პოროველას“, რომლის პირველი ნახევარი სასულიერო ხასიათის ტექსტს წარმოადგენს, სადაც მოცემულია ქრისტიანული დოგმატი ღვთაების სამგვამოვანების შესახებ. მეორე ნახევარი—საერო პოეზიის ნიმუში,—კონტამინაციით უკავშირდება პირველს.

მეხრის სამუშაო სამზადისის მაუწყებელია ხალხური ლექსი:

უნდა შევაბა ხარები,  
დავძახო ოროველაო...<sup>28</sup>

<sup>28</sup> ხალხ. სიტყვ. წ. 1. ექვთ. თაყაიშვილის რედაქტ. გვ. 278.

<sup>29</sup> ფ. არქ. № 31850. გ. მრელაშვილი, ჩამწ. მ. ჩიქოვანი, სოფ. იყალთო, 1948.

<sup>30</sup> მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, წ. I, 1938, გვ. 95.

აღნიშნული პერსონაჟისადმი მიმართულ ლექსებში ხაზგასმულია მათი შოველეობა. გუთნის თავის მეხრის ფუნქციაზე მიუთითებს ზალხური პოეზიის ნიმუში:

დაიქე გუთნითაფხედა,  
დასძახე ოროველაო<sup>21</sup>.

ზართა მლაღე—მეხრეს მიმართავენ:

მეხრეო, ხართა მლაღო,  
ნიადაგ მოუღალაო<sup>22</sup>,

ან იგივე ხართა მლაღევი—მეხრე მღერის:

ვაი ივლალო, დავლალო,  
წინა ხარები დავლალოჰ<sup>23</sup>.

ოროველას, ე. ი. გუთნურ სიმღერასა და მხვენელ გოგიას ერთად იხსენიებს ხევისრული ლექსი<sup>24</sup>.

სამეტაო მეხრეს გულისხმობს ლექსი, რომლის ადრინდელი ჩანაწერი გამოქვეყნებულია 1850 წელს გაზ. „კავკაზში“,

ჟო-ტუ კამეჩო რქიანო. შენი შეუღლე მქეიანო.  
მე შეუღლობას ვერ გიზამ. პატარა ბიჭი მქეიანო.

ვარიანტში მესამე სტრიქონი ასე იკითხება:

მეხრეობას ვერ გავიწვე.

მოდგამში ყველაზე მარტივ საშუალოს სამეტაო მეხრე 13—15 წლის ბიჭი ასრულებდა, გუთნულში მისი ფუნქცია კარგად გაღმოგვეცა შ. არაგვისპირელმა: „...ჭერ თითის სიგრძეა, ბაღლია... და ეს-ლაე ისეთს უნარს იჩენს... ეგ რო არა გვეყვანდეს გუთანზე. სულ უგემური იქნებოდა ჩვენი ხენა.—ამბობენ შ. არაგვისპირელის გმირები სამეტაო მეხრეზე.—ამ ქალაქია დღე ისეთს „ოროველას“ დასძახის და ისე ერეკება წინ ხარებს, რომ კაცსაც, ხარსაც დალაღვას არ გვამჩნევიანებს“.

<sup>21</sup> ფ. არქ. № 31444/10. შთქმ. დ. კ ი ვ ი ა შ ვ ი ლ ი. ჩამწ. მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, სოფ. შატანი. 1948.

<sup>22</sup> ზალხ. სრუცე- წ. 1. ექვთ. თაყაიშვილის რედაქტ. გვ. 278.

<sup>23</sup> ფ. არქ. № 18023, შთქმ. შ. მ ა კ ა რ ო ვ ი, ჩამწ. მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, სოფ. თეატო, 1938.

<sup>24</sup> პ. უ შ ი კ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. წიგნი, გვ. 338.

მხენელ-მთესველთა განუყრელი თანმხლებია ტოროლა, რომელიც ნახირის მაძოვებელ, მომვლელ მეხრეს გათენებას, ახალი შრომის დღის დადგომას აუწყებს. ღამის მეხრენი ტოროლას თავიანთ მამალს უწოდებენ. ლექსი მეტად პოპულარულია მთელ საქართველოში,—მას ყველა ქართველი იცნობს:

ტოროლას მაინც არ მოვეკლავ. ბეერიც რომ მქონდეს წაშალი,  
საწყალი ღამის მეხრისა ის არის კარგი მამალა<sup>25</sup>.

ღამის მეხრის კუთვნილი ალოები მძიმე შრომით, ღამეების თევით იყო მოპოვებული. ამიტომ მისი ალოების რაოდენობა თითქმის უთანაბრდებოდა გუთნისდედისას. ქვემომოტანილ ლექსში დახასიათებულია ღამის მეხრისა და დღის მეხრის საქმიანობის სპეციფიკა:

ღამის მეხრის ორი ალო—ღამით ბნელში იარება,  
დღისის მეხრის ერთი ალო—ხარის ქედზედ იარება<sup>26</sup>.

ღამის მეხრეები დღისითაც ვერ ისვენებდნენ, დღის მეხრეებს უნდა მოხმარებოდნენ.

ხალხური პოეზიის ნიმუშებში გამოვლინებულია შშრომელთა სიყვარული და პატივისცემა მეხრეებისადმი. კარგი მეხრეების მიმართ სიმპატიურად განწყობილი გლეხობა აუგად იხსენიებს მუშა საქონლის უდიერად მომპყრობ მეხრეებს, მათ სასტიკად მოხვედრიათ ხალხური პოეტის გამჟილავი სიტყვა:

| უანა მეხრე, უკულმა  
| მცხეთის საყდარზე სწერია<sup>27</sup>.

მეხრის ლექს-სიმღერებში გაკენწლილია ზარმაცი მეხრე, რომელსაც შრომის დროს ჩასძინებია.

რ. ერისთავის ლექსების გახალხურების მრავალი მაგალითი გვხვდება შრომის პოეზიაში. მისი ლექსიდან „ღამის მეხრე“ 1, 2 და 4 სტრიქონები უცვლელად არის შესული და გავრცელებული მეხრის ლექს-სიმღერაში, ამას მოსდევს იუმორისტული ხასიათის ვრცელი ტექსტი.

<sup>25</sup> ფ. არქ. № 32891, მოქმ. ლ. არღემანაშვილი, ჩამწ. მ. ჩიქოვანი, სოფ. ქვიშხეთი, 1949.

<sup>26</sup> „ღროება“, 1885, № 184.

<sup>27</sup> პ. უშიკაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 339.

კომიკურ-იუმორისტული ელემენტების შემცველი ლექსები აფხიზლებდა მეხრეებს და ღამის თევაში ხელს უწყობდათ. ეს ფუნქცია აქვს „მეხრის ლექსს“, რომელშიაც საბავშვო თამაშობის ელემენტებია შექრილი:

ე შალოკ დაინიშნა, იწილითა ბიწილითა,  
ძალი მაყრად გაიუვანეს, კატა კვდება სიცილითა<sup>38</sup>.

მეხრის ლექს-სიმღერებში მუხლობრივი შესრულების ტექსტები აჩვენებენ დანაყრების დროს, ასეთია სოფ. ხიზაბავრაში ჩაწერილი „პოროველა“:

აღაღ-მაქო. დაღაღ-მაქო. დიდგულაშიც ყანა მაქო.  
შეგ მუშები შემყურია, ლექმა პერი არა მაქო...<sup>39</sup> და სხვ.

გადაკრული სიტყვებიდან მეხრეები თანდათან გადადიან დიასახლისების ხსენებაზე...

დაბოლოს მეხრეების თხოვნა აშკარა მუღარაში გადადის:

მეხრეებს პერი მოჰივდა,  
სადა ხართ ჩემო ქალებო<sup>40</sup>?

სოფ. კარალეთში 1889 წელს დამოუკიდებელ ლექსადაა ჩაწერილი ზემომოყვანილი ლექსის დასაწყისი ოთხი სტრიქონი, რომლის მე-3 და მე-4 სტრიქონები ვარიანტულ ცვლილებას იძლევა:

მესტეირის დაკრა მიუვარდა.  
თამაშობა ქალებისა<sup>41</sup>.

ლექსის დასაწყისი სტროფი პოპულარულია ქართულ სოფლებში. მაგრამ ლექსის მე-3 და მე-4 სტრიქონები მუდმივ ცვლილებას განიცდის. კახეთში, სოფ. ბაკურციხეში, სადაც ამ ლექსს მკის დროს მღერიან, ჩაწერილია ასეთი ვარიანტი:

გოგოვ, კონა მომეწყინა  
მაგ შენ შავი თვალბისა<sup>42</sup>.

<sup>38</sup> ფ. არქ. № 3 1539/გ. შთქმ. ა. ხატასძე. ჩამწ. მ. ჩიქოვანი, სოფ. ზემობოდბე, 1948.

<sup>39</sup> ფ. არქ. № 11972 შთქმ. სტ. ზურაბაშვილი, ჩამწ. ნ. ტატიშვილი, სოფ. ხიზაბავრა, 1937.

<sup>40</sup> ხელნაწ. ინსტ. 1992 ია/117.

<sup>41</sup> „ივერია“, 1889. № 275.

<sup>42</sup> ფ. არქ. № 17390. შთქმ. თ. ქანყარაშვილი. ჩამწ. ვ. პეტრიანი, სოფ. მელანი, 1939.

სოფ. ქვემო-ბოდბეში:

არ მომწყინდა შენი ხვევნა  
კონა შაჟი თვალებისა<sup>41</sup>.

თ. რაზიკაშვილისა და ალ. მაჩაბელის მიერ ჩაწერილი ვარიანტებზე ასე იკითხება:

მეხრება მაშეწყინა, დავლა შაჟი ხარებისა,  
თამაშობა შიამება, თავში ცემა ქალებისა<sup>42</sup>.

ლამის მეხრეები, თავიანთ მძიმე სამუშაოს, ს. მგალობლიშვილის ცნობით, იმსუბუქებდნენ ოხუნჯობით, ზღაპრების თქმით; მათ შრომას ახალისებდა აგრეთვე ლექსები რომანტიკულ-ეროტიკული მონტივებით. ეს მუღმივი, საკაცობრიო თემა აფბიზლებდა ძილისაგან ბურან-წაღებულებს, ავიწყებდა სოციალური. ჩაგვრის მსხვერპლთ თავიანთ უმწეო მდგომარეობას. მეხრის ლექს-სიმღერებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აღნიშნულ თემატიკას. ლექსებში ფანტაზიას რეალური ელფერი ეძლეოდა, მეხრეთა აღმაფრენა გაბედულად იფრქვეოდა სიმღერებად და მუშა საქონლის მომვლელნი მთვარიან ღამეში უხმობდნენ გულის სატრფოებს:

ქალებო თქვენი ჭირიმეთ! ნეტავ ვინა გყავთ პატრონი?!  
ამალამ ჩვენთან წამოღით, მეხრეები ვართ მატრონი<sup>43</sup>.

ქვემომოტანილ „ოროველაში“ ძლიერია ეროტიკული მოტივი, თუმცა იგი ვულგარობამდე არ მიდის:

სად მიხვალ, სად იარები, შენ ჩემო გულის ლახვარო,  
მობრუნდი, ერთი გაკოცო, პირი ზედა-ზედ ვახალით<sup>44</sup>.

მეხრის ლექს-სიმღერებში, ერთი ცნობით, შედის უძველესი ქართული თქმულება „ქართლელი ქალის ტირილი“. ზოგჯერ იგი „ქოროველად“ იწოდება. ლექსის ამგვარი ფრაგმენტი ჩაწერილია სოფ. უღეში 1937 წელს<sup>45</sup>.

<sup>41</sup> ფ. არქ. № 2745. მთქმ. ელისაშვილი, ჩაშწ. ს. ლონდაძე, სოფ. ზემოქალა, 1933.

<sup>42</sup> აკაკის კრებული, 1899, XI, II, გვ. 16.

<sup>43</sup> „თეატრი“, 1886, № 20:

<sup>44</sup> ფ. არქ. № 1468. მთქმ. გ. გუგუშვილი, ჩაშწ. ე. კოტეტიშვილი, სოფ. მეტეხი.

<sup>45</sup> ს. შაქალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 1938, გვ. 124.

საქართველოში ძირითად გამწვევ ძალად უძველესი დროიდან ხარის ითვლებოდა. მზრუნველობა და სიყვარული ამ კეთილშობილი ცხოველისადმი გამოხატულია გუთნური პოეზიის ერთ თემატურულ რეალში. მუშა საქონელი გლეხკაცის მარჯვენა ხელს წარმოადგენდა. ხარის მშრომელ ადამიანებთან ზიარად ეწეოდა ცხოვრების მძიმე უპაანს. ქართველი ხალხი „დედამიწის მადლთან“ ერთად იფიცებდა „ხარის ქედს“; მისი მუდმივი საზრუნავი იყო:

მუშას წელი ნუ ატყავა,  
ფურსა ძეძუ, ხარსა ქელი.

ხარის დაფიცება სასოფლო-სამეურნეო იარაღებთან ერთად გვხვდება ქართულ რომანტიკულ ეპოსში. ეთერი ასე ეფიცება სიყვარულს აბესალომს:

ამ პურმა და ამ მარლმა, ამ ლენომა ვახისმა,  
სახნისმა და საყვეთელმა გაწეულმა ხარისამა და სხე.

ქართველი ხალხის წარმოდგენით: „რითი უნდა იარსებოს ადამიანმა და ხარის რქებითაო“. აფხაზებს სწამთ, რომ ჩვენი მშვენიერი სამყარო დგას უშველებელი ხარის რქებზე. განუზომელი სიყვარულით მიმართავენ ნუგეშად მოვლენილ, ქედნაკურთხ პირუტყვს ხალხურ ლექსში:

„ხარო, ხარი ვინ დაგარქო, ხარო სახე მშვენიერო.  
ჩვენ ნუგეშად მოვლენილო, ქედნაკურთხო, ღონიერო.

„გლეხკაცებს ჰგონიათ,—შენიშნავს მოტანილი ლექსის ჩამწერი ზ. ბილანიშვილი,—რომ ხარის სახელი წარმოსდგება შემწეობით ზმნის აწინდელი დროის მეორე პირისაგან: „ხარ-ი“<sup>48</sup>, რაც არსებობას, ყოფნას ნიშნავს. ამასვე გვიდასტურებს ხალხში გავრცელებული თქმა: „ხარიდან არის ხალხი, თუ ხარი არ იქნება, არც ხალხი იქნება, ხარია ჩვენი საპირობა, პურს ეგენი გვაკმევენ“<sup>49</sup>.

მიწათმოქმედების ტერმინებიდან არქაულობის თვალსაზრისით საინტერესოა „ხენის“ ეტიმოლოგია. იგი შეიცავს ხარის სახელწოდების გაყინულ ფორმას.

ხარის სახელწოდებაში ძირი ხ—საერთოა ქართველური ენები-

<sup>48</sup> ხალხური სიტყვა. წ. 1, ექვთ. თაყაიშვილის რედაქტ. გვ. 117.  
<sup>49</sup> მ. გ. გ. შ. ი. ქართული ხალხური ტრანსპორტი, 1956, გვ. 99.

სათვის. ნასახელარი ზმნა ხნ-ავს მიღებულია ხარ-ხან-იდან, რომლის ფორმა დღეს შემორჩენილია სვანურში ქან-ის სახით<sup>46</sup>.

მიწის დამუშავების აღმნიშვნელი ცნების „ხვნის“ წარმოშობა ხარ-სახელწოდებიდან ადასტურებს ხართან ერთად ხვნის კულტურის უძველეს ტრადიციას საქართველოში.

ქართველი გლეხობის რწმენით, დიდ უბედურებად ითვლება ხარის დაწყველა. ერთი თქმულების მიხედვით ილორის წმინდა გიორგიმ. რქ-მოქედელი საზვარაკო ხარის დაწყველისათვის მონაზონა ქვედ აქცია<sup>47</sup>.

ასე დიდად მნიშვნელოვანი მუშა საქონლის პატივსაცემად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იმართებოდა მრავალი დღეობა, რომლის მაგიური დანიშნულება იყო საქონლის მომრავლება მთის რაქვაში ყველიერის წინა შაბათს სკოდნიათ ბოსლობა, რაც სწორედ ამავე მიზანს ემსახურებოდა.

ს. მაკალათიას ცნობით, ბოსლობა სამეგრელოშიაც სკოდნიათ.

ხარის კულტის არსებობის დამადასტურებელია ლეჩხუმში შემორჩენილი ჩვეულება: „გაზაფხულზე სოფელი ერთ ხარს აირჩევს. კარგად მოუვლიან, გაასუქებენ (არ ამუშავებენ) და დაქლავენ იმ ადგილზე. რომელსაც „ხარეილა“ (ხარ-ელია) ეწოდება. ხორცს იმდენ თანაბარ ნაწილად გაკყოფენ, რამდენი კომლიცაა სოფელში, და ჩამოირიგებენ. საღამოთი ოჯახში ხორცს სუფთად მოხარშავენ და სკამენ მოლოცვით“<sup>48</sup>.

ლეჩხუმშივე სოფ. ნაკურალეში მაისის თვეში იხდიდნენ საქონლის ლოცვას „ისკელიტობას“<sup>49</sup>.

სვანეთში „უფლიშიერს“ დღესასწაულობდა ყოველ სოფელში 3 – 4 მოსახლე ერთად: „მთელი შემოდგომის და ზამთრის განმავლობაში საგანგებოდ ასუქებენ ერთ ხარს, რომელიც ორშაბათობით არ მუშაობს. დიდ-თანაფობის, ე. ი. ახალკვირის ორშაბათს წამოაქცევენ და დაკვლენ ამ ხარს, მერმე მოხარშავენ და კამენ.“<sup>50</sup>.

ხევში საქონლის მფარველის დღეს „თევდორობას“ დღესასწაულობენ. სხვა ცერემონიალის შესრულების შემდეგ ქერს დახალავენ

<sup>46</sup> ა. რ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. 1942, გვ. 78–79.

<sup>47</sup> „აქაყის კრებულო“. 1898. VII, III, გვ. 43.

<sup>48</sup> მ. ჩიქოვანი, ქართ. ფოლკლორი, 1946, გვ. 220.

<sup>49</sup> მ. ალავიძე. ნარკვ. მასალები ლეჩხუმის ეთნოგრაფიისათვის. ქუთაისის პედ. ინსტ. შრომები, IX, 1949, გვ. 162.

<sup>50</sup> ნ. ჩიქავაძე, თავისუფალი სვანეთი, ძვ. საქ-ლო, ტ. II, გვ. 33.



და ხარებს იმ დღესვე შეაქმევენ, რომ ხენაში ჭანი მიეცეთო: „ხარმა სთქვა, გუთანი როგორ გაეწიო ჩემმა პატრონმა თვედორობას ხალი არ მაქმიაო“. ამ დღეს უქმობენ და ოჯახში არაეინ მუშაობს.

დ. ხიზანიშვილის ცნობით, ფშავლებსა და თუშებს ხოშარაში ომი ჰქონიათ. თუშები დამარცხებულან. „მომამედ“ გადარჩენილ თუშ თილისძეს ლაშარობას „თეთრი ქორა ხარი“—ჩქა-თეთრი მოუყვანია ფშავლებთან შესარიგებლად, რის შემდეგაც „თუშებსაც ელად დასდებიათ ლაშარის ჭვარის ლოცვა“<sup>40</sup>.

ხეესურეთში თემი შემოხიზნულს იღებდა მხოლოდ გარკვეული რიტუალის შესრულების შემდეგ, რომელსაც „ხარით შეყრას“ უწოდებდნენ.

საქართველოში ხარის კულტის სიძველეზე მიგვითითებს ეთნოგრაფი გ. ჩიტაია: «...По крупной родине культа быка и значения самого быка в обрядах, древнегрузинская религия входит в обширный религиозный мир древних культурных народов Передней Азии и Средиземноморья»<sup>41</sup>.

საქართველოში ცნობილია ხარის საკუთარი სახელები: კაბელა, ლეინია, შვინდა, პირნათა, შავგულა, ნიშა, ნიკორა, ამ უკანასკნელსახელს შუბლზე თეთრიწინიან ხარს და კამეჩს ეძახიან და სხვ. გლეხობას მუშა საქონელთან დამოკიდებულებაში გამომჟღავნებული აქვს გეზისა და მოქმედების განმსაზღვრელი სიგნალიზაცია, გაჭაგრებისა და მოფერების ცალკეული შეძახილები, რომელსაც პირტუყვი შესაფერი მოქმედებით უპასუხებს: ხარის ადგილიდან დაძვრის ნიშანია „ჰამ(ჰ)-ო-ო!“, გაჩერებისა „ჰო-ო-ო!“. გვერდზე და უკან დასახევად „ხი-ი-(ო-უ)!“, კვლიდან ამოსასვლელად ეძახიან „გაიში“. კვალში ჩასაყენებლად „ხედა“. მუშა საქონელს დაუყვებისას მიძართავენ „მო-ო-მიშ!“ და სხვ.

მუშა საქონლის მართვის საინტერესო ცნობას ეპოულობთ არჩილ შეფის თხზულებაში:

„მუშამ პარტახი ნუ მოხანს, თუ სადმე ეული პოოს,  
და ხარს არ ძაღვედეს, სახრიოთ ხან არ ეძახდეს -ო-ი-ის!“<sup>42</sup>.

ხენა-თესვის დროს მუშა საქონელს ამხნევებდნენ სიმღერებით. ეს იყო რიტმულად მომდინარე ბგერები. პოროველას სიმღერა. რამელიც იქვემდებარებდა მუშა საქონლის მოძრაობის რიტმს.

<sup>40</sup> დ. ხიზანიშვილი. ფშავთა და ფშავლები... ივერია. 1889. № 177.

<sup>41</sup> Г. ЧИТАЯ, Этнограф. исследования в Грузинской ССР, „Сов. Этнография“, IV, 1948, გვ. 185.

<sup>42</sup> არჩილი, თხზულებათა სრული კრებული. ტ. 1, 1936. გვ. 47.

ქართულ სოფლებში დროის საზომი იყო ხარის გამოშვებებ: ჩვერ მზე ისევ მაღლა იყო, კალოს ხარის გამოშვების დრო იქნებოდა—წერს ი. ჭავჭავაძე.

ხარის შესახებ არსებულ ლექს-სიმღერებში გადმოცემულია გლეხის დამოკიდებულება მუშა საქონელთან, მუდმივი ზრუნვა მასზე. გლეხმა იცის, რომ წლიური მოსავალი „ხარის ქედზედ იარება“— ამიტომ ყოველნაირად ცდილობს მუშა საქონელს უკეთესი პირობები შეუქმნას. როგორც დავინახეთ, რეალური ხელშეწყობის გარდა, მაგიურ მოქმედებებსა და სიტყვიერ ფორმულებს მიმართავენ მუშა საქონლის უზრუნველსაყოფად.

ასეთი მნიშვნელობისაა მესხეთ-ჩავენეთში გავრცელებულ ლექსი „ხარო დადგა მაისი“. ამ ლექსს ყურში ჩაძახდნენ ხარს-პირველ მაისს. ლექსში გლეხის სურვილი და ზრუნვაა გამოხატული:

ხარო, დადგა მაისი, ახლა ხორცით გაიესი.  
წყალა და ბაღი, გასუქდი და გალადი.

სოფ. მატანში ჩაწერილ ოროველაში, გამწევი საქონელი წარმოდგენილია ყოვლის შემძლედ, მას შეუძლია ერთი დაბერვით დედამიწის გული გადმოაბრუნოს.

გუთნურ სიმღერებში შრომის არც ერთი დეტალი არ რჩება გაულექსავი, მხვენელ-მთესველთა ფიქრი საჭირო და ნაცნობ გარემოში ტრიალებს. მათი პოეტური აღმაფრენა სამიწათმოქმედო საქმიანობის ასახვას ემსახურება. უღელში არათანაბარი ძალის მქონე საქონლის შებმის შემთხვევაში ცალი ხარი ჩამორჩება მეორეს და უღელიც არააწორად წარიმართება „...რომ ძალღონის კვალობაზე გააწევიონ უღელი... ღონიერ ხარს ტოლს მოსდებენ ხოლმე, ჯამბარას ან ჭაპანს უღლის ცენტრიდან გადასწევენ ღონიერი ხარისაკენ და მის მხარეს უღელს დაამოკლებენ, ხოლო სუსტი ხარის მხარეს უღელს დააგრძელებენ...“<sup>52</sup> ამ წესს აღმოსავლეთ საქართველოში „ტოლის დადგა“ ეწოდება, დასავლეთ საქართველოში „ტოლის მიცემა“, „უღლის გადაწევა“. ზოგი ხარი, ისე ძლიერია, რომ მის ტოლად მხოლოდ კამეჩი თუ გამოდგება. ამ ტოლის დადგაზეა ლაპარაკი ლექსში, სადაც ხარი მოითხოვს უღელში თანაბარი ძალის გამწევი საქონლის შებმას:

<sup>52</sup> ს. ტ. მენთეშაშვილი, ქიზიურთი ლექსიკონი, 1943. გვ. 174—175.

ხარი ვარ, ხართან შემაბი, ხარულად გამაწვევინე,  
შუაში ტოლი ჩამიდე, სიმაართლით გამაწვევინე.

ვარიანტში მე-3 და მე-4 სტრიქონები ასეთი ცვლილებითაა წარ-  
მოდგენილი:

ვერევი, ტოლი დამიდე,  
ქალათ გამაწვევინე.

ხალხურ ლექსებში ჩანს, თუ რამდენად კარგად იცნობს მიწის  
მუშა თავის დამხმარე—საქონელს, თითოეულის ზნესა და ხასიათს.  
ხარის საკუთარი სახელებიც კი შერჩეულია მათი ტემპერამენტის  
მიხედვით:

გასწიე ჩემო ლეკიავ, ფიცხო და ხალისიანო,  
ნურც შენ მაიწყენ მინდორავ, გულდინჯო იმედიაწო.<sup>15</sup>

ან:

გასწიე ხარო ნისლაო,  
პატრონთან გინდა მისვლაოვ<sup>16</sup>.

უღელში ზოგიერთი ხარი ცულლუტობს, ფეხს ითრევს, ოჩნობს.<sup>17</sup>  
მეხრეებმა მუშა საქონლის ეს ზნე იციან, ამიტომ გარკვეული  
ნიშან-შეძახილით აფრთხილებენ პირუტყვს.

შრომის ყოველ სახეს ახასიათებს მუხლობრივი, შრომის პრო-  
ცესში ერთმანეთისაგან განსხვავებული მომენტები, რომელიც თუმ-  
ცა ძირითადად არ ცვლის სურათს, მაგრამ მცირე ინტონაციას უთუ-  
ოდ შეიცავს. ამ ინტონაციის ფიქსაციას გვაძლევს სასიმღერო ტექს-  
ტი, რომელიც ჩვეული გრძნობიერებით ასახავს შრომის დასაწყისს,  
მიმდინარეობას, შესვენებას დანაყრებისა თუ სამეურნეო იარაღების  
გამართვისათვის (ნამგლის ლესვა მკაში), შრომის დასასრულს (თოხ-  
ნასა და მკაში ფერხულის დაბმა). ამასვე ადასტურებს მთქმელთა  
ცნობებიც, რომლის მიხედვით ოკრიბაში 16, ხოლო აჭარაში 32 ნა-  
დური ითქმოდა. შრომის ამ რიტმულ, მუხლობრივ მომენტებზე მი-  
უთითებენ ქართული ფოლკლორის მკვლევარები ვ. კოტეტიშვილი  
და ქს. სიხარულიძე.

გუთნური სიმღერების მუხლობრივი შესრულება ნათლად ჩანს  
ქვემომოყვანილ ლექსებში. მუშაობით დაღლილი ადამიანთან ერთად

<sup>15</sup> ფ. არქ. № 31444/25. მთქმ. ა. კიკიაშვილი, ჩამწ. მ. ჩიქოვანი,  
სოფ. მატანი, 1948.

<sup>16</sup> ფ. არქ. № 31444/25. მთქმ. გ. კიკიაშვილი, ჩამწ. მ. ჩიქოვანი,  
სოფ. მატანი, 1948.

დასვენების საშუალება ეძლევა მუშა საქონელსაც. ლექსის ჩამწერი თ. რაზიკაშვილის შენიშვნით: „სამხრობის შემდეგ საქონელს გამოპცვლიან, რომელიც კვალიდან ება ველიდან შეებაშენ და რომელიც ველიდან ება კვალიდან“. ასე შეცვლილი საქონლის შესახებ ლექსში ამბობენ:

ხარბა იცვალა მხარია, ღმერთო, შენ დაგვეხმარია!  
გუთნეულს შავე ძალია, მტერს დაუყენე თვალა!  
საქორწილო პური ვაცხოთ, გადავიცილოთ ვალა<sup>54</sup>.

ზოგი ვარიანტის მე-6 სტრიქონში ეკითხულობთ „გადავიხადოთ ვალა“. სხვა ვარიანტები მხოლოდ პირველ ოთხ სტრიქონს შეიცავენ.

არც ერთი საყოფაცხოვრებო მომენტი არ დარჩენია ხალხს გაულექსავე. როგორც საერთოდ შრომის პოეზიაში, ისე მის ცალკეულ სახეებში, კერძოდ გუთნურში, ასახულია პატრიოტული და სოციალური თემატიკა. ბევრ ლექსში ნაჩვენებია ის შაბედიითი ეპოქა, როდესაც ქართველ ხალხს ცალ ხელში ხმალი ეჭირა, ხოლო ცალით გუთანს მართავდა. ამის მაგალითია ლექსი „ტყეში ხარები გავრეკე“<sup>55</sup>, სადაც მშრომელი გლეხი გულის ტკივილით აღწერს თათრების თავდასხმის ერთ შემთხვევას.

დიდი რაოდენობით გვხვდება სოფლად ძლიერ სოციალური ჩაგვრის ამსახველი ლექს-სიმღერები. დღენიადაგ შრომაში გამოწრთობილ გლეხს ცხოვრების ტვირთის სიმძიმე არ აშინებს, მისი ფოლადი ჭათაშია გამომდნარი, სიღარიბით გამოწვეულ ჰირს იგი მედგრად დახედება თუ უღელი ხარი ეყოლება, მაგრამ მარჯვენა მოკვეთილს გავს უხაროდ დარჩენილი მიწათმოქმედი. ასეთი შინაარსის ლექსები „ბერელას უბედურება“, „ნინიას მწუხარება“ გვაგონებს რ. ერისთავის ცალი ხარით დარჩენილ თანდილას, რომლის მოთქმა ხარზე საყვარელი, უახლოესი ადამიანის სიკვდილით გამოწვეულ მოთქმას გვაგონებს. ხალხური შემოქმედი მჩაგვრელთა შორის მამასახლისთან დაპირისპირებულ დამოკიდებულებასაც წარმოგიდგენს<sup>56</sup>. მაგრამ რა სიხარული და აღფრთოვანება ისმის ქვემომოტანილ პატარა ლექსში, სადაც უღელი ხარის შეძენით ბედნიერი გლეხი ოცნებით წარმოიდგენს შრომის პროცესს და მის სასურველ შედეგს:

უღელი ხარი ვიყიდე, ყანა ავიზიარეო,  
მოვხანი—პური მოვიდა, კვერი დავაბზიარეო<sup>57</sup>.

<sup>54</sup> ხალხ. სიტყვა, წ. I, ექვთ. თაყაიშვილის რედაქტ. გვ. 278.

<sup>55</sup> პ. უმიკაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 339.

<sup>56</sup> „ივერია“, 1891, № 201.

<sup>57</sup> „თეატრი“, 1886, № 23.

საინტერესოა ლექსი „ხარის ჩივილი“<sup>57</sup>, სადაც დიალოგი მიმდინარეობს ხარსა და უფალს შორის. შრომის პოეზიაში პოპულარულია დიპლომური ხასიათის ლექსი „ხარი და გუთანი“, რომელიც ი. გოგებაშვილს თავის სახელმძღვანელოში შეუტანია 70-იან წლებში<sup>58</sup>.

შემთხვევითი არ არის, რომ ვაჟა-ფშაველამ ფშავეში ცნობილი მოლექსის მერცხალას გასაჰირი გადმოგვცა. ეს უბედურება მერცხალას ოჯახში ჰირისაგან საქონლის დაზოცვით იყო გამოწვეული. მუშა საქონლის სიკვდილი. გლეხის ოჯახისათვის ნამდვილ გლოვას უდრია. ამიტომაც, წერს ვაჟა-ფშაველა: „მოაგონდა (მერცხალას— თ. ო.) თავპირ ჩამომტრალი სიღარიბე, ქვეყნის და ხელმწიფის ყალანი და ხარჯი...“<sup>59</sup>.

გულადუღებულმა მერცხალამ ლექსად დაიტრია თავისი კვირისა:

ხარი მამიკედა კვირისა. ცეცხლი წაეყარე პირისა,  
ისიყა ელანძღე, ვაგინე, გამაშვებელიც კირისა.

ის მარტულლითაც მიხნაელა, იმედი მქონდა იმისა<sup>60</sup>.

სატრფიალო მოტივი ორგანულადაა ჩაქსოვილი გუთნურ პოეზიაში. ვაჟა-ფშაველას მიერ ჩაწერილ ლექსში „სიყვარულმა და ნდომამა“<sup>61</sup> ფშაველი ქალი უმღერის თავის წაწალს, იგი ნატრობს ნისლად იქცეს, რომ ხენის დროს შეუმჩნეველად წვიმად მოველინოს გულის სატრფოს.

კახეთში ჩაწერილ ლექსში გუთანზე მღერიან:

აღრე აუღეკ ხარებსა, მამუა ხარებშია,  
გადააბრუნე ლამაზი, აკოცე თვალებშია<sup>62</sup>.

გუთნურში ხშირად ასეთი გამოსაჯაერებელი ხუმრობაც ისმის:

მგლებო, შეინდაი ნუ შეკამთ, გულია გაჯაერდებაო,  
ამბიკაი ხარ შეკამეთ, ის უფრო შეჯერებაო<sup>63</sup>.

<sup>57</sup> ფ. არქ. № 17435, შთქმ. რ. ასკილაშვილი, ჩამწ. ვ. პეტრიან-შვილი, სოფ. მელაანი, 1939.

<sup>58</sup> ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 5, 1957, გვ. 147.

<sup>59</sup> ვაჟა-ფშაველა, ფშაველების ცხოვრებდან... ივერია, 1886, № 104.

<sup>60</sup> იქვე.

<sup>61</sup> ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, 1937, გვ. 177—178.

<sup>62</sup> პ. უშიკაშვილი, დასაბ. წიგნი, გვ. 337.

<sup>63</sup> ფ. არქ. № 31444/20. შთქ. მ. ესტატიშვილი, ჩამწ. მ. ჩიქოვანი, ფ. მატაში, 1948.

ხარის ლექსებში გვხვდება ერთი ფრიად საინტერესო ლირიკური ნაწარმოები „ორშაბათობით აშენდა“. ლექსი შეიცავს წარმართულ-ქრისტიანულ ელემენტებს. მის ვარიანტებში აღწერილია „ქრისტე ღმერთის კარი“, სადაც ადამიანის რწმენით, ყოველ გაჩენილს იმთავითვე განეკუთვნებოდა თავისი. როლი და ადგილი ცხოვრებაში. ამის შესახებ თქმულება გადმოგვცემს: თუ როგორ გაეჯიბრნენ ცის გადაბრენაში ერთმანეთს ირემი და ხარი, როგორ აჯობა აპუკანასკნელმა, რის შემდეგაც „აკურთხა ღმერთმა ხარი, დაულოცა ქელი და მას აქეთ ხარს აწევს ადამიანის შენახვის ტვირთი“<sup>64</sup>.

ლექსი, რაქველი მესტიერის ზაქარია ერადის ცნობით, მესტიერეების რეპერტუარშიაც შედიოდა „გათენდა და გაანათლა“-ს სახელწოდებით<sup>65</sup>. მესტიერეები ამ ლექსში მთავარ მახვილს სასულიერო-რელიგიურ მოტივებზე აკეთებდნენ. ლექსი ფართოდაა გავრცელებული საქართველოს ყველა კუთხეში. აღსანიშნავია, რომ ვარიანტების უმეტეს ნაწილში ნათქვამია:

ორშაბათობით აშენდა

ციხე-ქალაქი ქვა ზედა

და არა მთაზედა,

სოფ. გალავანში (ქართლი) მცხოვრებ დ. აზალაძის ცნობით, მას მღერიან ხენათესვაში და მკაშიაც<sup>66</sup>.

ლექსს ნაღშიაც მღეროდნენ. მთქმელმა ივ. ტუკვაძემ სოფ. ზარათიდან (ოკრიბა) გადმოგვცა: ამას ვმღეროდით ნაღურში. მე თუითონ მიმღერია, მამისაგან ნაყურები და ნასწავლი მაქვს<sup>67</sup>.

აქ ნაჩვენებია ხარის სამეურნეო მნიშვნელობა, მისი როლი მიწის დამუშავებაში, მხენელ-მთესველთა დამოკიდებულება. ეს ლექსი ჩვეულებრივი სასიმღერო ლექსებიდან განსხვავდება თავისი ეპიკური ტონით:

ორშაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი მთაზედა,

ქვა შემოიღო გალავნათ, ცა დაიხურა თავზედა.

სასახლე, სადარბაზეი დგას ოქროს ბოძობაზედა.

<sup>64</sup> ვ. კოტეტიშვილი, ხალხ. პოეზია, 1934, გვ. 357.

<sup>65</sup> ფ. არქ. № 31683. მთქმ. ზ. ერადე, ჩამწ. ა. ცანავა. სოფ. ფარათი, 1948.

<sup>66</sup> ფ. არქ. № 32409. მთქმ. დ. აზალაძე, ჩამწ. ქს. სიხარულიძე. სოფ. გალავანი, 1949.

<sup>67</sup> ფ. არქ. № 34932. მთქმ. ი. ტუკვაძე, ჩამწ. თ. ოქროშიძე, სოფ. ზარათი, 1951.

ადამიანის შენახვა ვერაინ იღვა თავზედა.

ხენა-თესვა, ფარცხვა და ზიდვა გაჰირღა მერად ძალზედა.  
ხარმა თქვა პირ-ნათლიერმა მე დამაწერეთ რქაზედა...<sup>68</sup>

ლექისი დასასრულს, აღწერილია საიქიოში წამება, რითაც ისჯე-  
ვა სააქაოს მუშა საქონლისადმი უდიერად მომპყრობი. ეს რწმენა  
ძალიან გავრცელებულია. „კაცს ხარი სჩხვერავს,—აღწერს ვაჟა-ფშა-  
ველა საიქიოს სურათს,—ეგ ხარი რადა სჩხვერავს მაგ კაცსაო?—  
ვიკითხე,—იმათაო,—მითხრეს,—რომ მაგ კაცს სხვასთან ხარები ება,  
ეგ ხარი სხვისა იყო, თავის ხარებს კი აქმევდა და მაგას კი მშვიერს  
ამუშავებდა, ახნევიანებდაო. ეხლა ყრილობს ხარი გუთნისდედის  
ჯავრსაო“<sup>69</sup>.

თავისი კუთხის ეს რწმენა ვაჟა-ფშაველას გადმოუცია ლექსში  
„ხარისთვის უდიერი“. მოხუცი მხნეულ-მთესველი მესამე წელია  
ავადმყოფობით იტანჯება. სოფლელებს სჯერათ. რომ მუშა საქონ-  
ლის უდიერად მოპყრობისათვის მიეზლო სამაგიერო ამ ქვეყნად, ხო-  
ლო იმ ქვეყნად ხარის რქენა არ მოასვენებს მას<sup>70</sup>.

აღნიშნული ლექსის წეს-ჩვეულებებთან ორგანულ კავშირზე  
მიგვითითებს მესხეთ-ჩავახეთში გავრცელებული საგაზაფხულო  
დღესასწაული „ქერობა“: „როდესაც გლეხი მინდვრის სამუშაოზე  
ხარს პირველად გაიყვანდა და ჭილაში შეაბამდა, ოჯახის უფროსი  
ამ ხარს შუბლზე კვერცხს მიაჩტყამდა და ეტყოდა: „წადი და ჰალა-  
ლად იმუშავე მთა და ბარშიო, ვინც კვირა-უქმეს შეგაბას ხელი შე-  
ახმეს მკლავზეო“<sup>71</sup>. ეს სტრიქონები ლექსისეულია. სადაც მოცემუ-  
ლია მთელი კოდექსი ხარის მოქმედებისა, დაწესებული სამუშაო და  
უქმე დღეებით:

წადი ხარო, იმუშავე, ერთგულად მთა და ბარზედა.

შეგაბას შენმა პატრონმა, გამუშავებდეს ძალზედა.

ექვსი დღე უღელში ები, მემვიდეს დაწექ მხარზედა,

ვინც კვირა-უქმეს შეგაბას ხელმც შეახმეს მკლავზედა.

ვ ვ ი ჰ ა

როგორც არ უნდა იყოს, საერთო სტრიქონები ლექსიდან გადა-  
ვიდა და მაგიური ფორმულის სახით ჩარჩა წეს-ჩვეულებებში თუ პი-  
რუკუ, ორივე შემთხვევა ურთიერთგაველენასა და მათ სისხლხორცე-  
ულ კავშირზე მიგვითითებს.

<sup>68</sup> ვ. კ. ბ. ბ. ი. შ. ე. ი. ლ. დასახ. წიგნი. გვ. 134—135.

<sup>69</sup> ვაჟა-ფშაველა, მოთხრობები, ტ. V, 1936. გვ. 23.

<sup>70</sup> ვაჟა-ფშაველა, ლექსები, ტ. I, 1946. გვ. 251.

<sup>71</sup> მაკალათია, მესხეთ-ჩავახეთი, 1938, გვ. 110.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული დღესასწაულები, სადაც მსხვერპლად შეიწირვის ხარი ორშაბათობით რომ არ მუშაობს, ადასტურებს ლექსის საწესჩვეულებო პოეზიიდან ჰომდინარეობას. ამ ლექსის გენეზისის გარკვევის დროს ვერ დავეთანხმებით ფოლკლორისტ აბ. ცანავას, რომელმაც ეს ნაწარმოები მესტიერეთა წრეში შექმნილად მიიჩნია<sup>72</sup>.

ლექსი „ორშაბათობით აშენდა“ წარმართული ელემენტებს შემცველია, ორშაბათს ქართველებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. აკად. ივ. ჯავახიშვილის თქმით: „წარმართობის დროს ორშაბათს ქართულად მთავრის დღე უნდა პრქმეოდა, მაშასადამე, მთავრის თაყვანისცემისათვის იყო განკუთვნილი. მხოლოდ ქრისტიანობის გამოვლენის გამო ძველი სახელის მაგიერ ქართულ მწერლობაში „ორშაბათი შემოიხიზნა“<sup>73</sup>.

აკად. ივ. ჯავახიშვილი რაჭული „ნაციხურობის“, რომელსაც ნააღდგომევს სამი კვირის განმავლობაში ორშაბათობით უქმობენ, და სვანური „ლიმპჯარი“-ს აღწერის შემდეგ ასკვნის: „ორშაბათი ქართველების სარწმუნოებრივი შეხედულების და თანახმად მთავრის დღე (თუთაშხა, დომღიშ) იყო“ და ვინაიდან „მზე ქართველებს ისე არ სწამდათ, როგორც მთვარე: მაშასადამე, ქართველების ჩვეულებრივ უქმე დღედ ორშაბათი უნდა ყოფილიყო: ამისი კვალი ეხლაც ცხადად ეტყობა ჩვენი ხალხის ზნეჩვეულებასო“,—ამბობს ივ. ჯავახიშვილი და მაგალითად მოჰყავს ხევსურები, რომლებიც „პარასკევსა და შაბათ-კვირას გარდა ორშაბათობითაც უქმობენ. ქართლშიაც ნააღდგომევის პირველი კვირიდან მოყოლებული ვიდრე მკა არ გათავდება ორშაბათობით არ შეიძლებოდა მუშაობა“<sup>74</sup>.

მ. ალავეძის ცნობით, ლეჩხუმში „დებვირის საზოგადოებას (დებვირი, მცხეთა, ლასხანა, თხიზურგა, ჩვალბეჩი, ლესინდი, ლეშქედა და წილამიერი) აღდგომის შემდეგ, მესამე ორშაბათი უქმ დღედ ჰქონდა გამოცხადებული“<sup>75</sup>.

— ოქროს ზღუდე-შემოვლებულ სასახლეზე და საკულტო ხარებზეა ლაპარაკი სვანურ საფერხისო სიმღერაში „ლილე“, რომელიც ხარის ქებას წარმოადგენს. შორეულ წარსულში შეიძლება ამ ორ ლექსს წარმოშობის ერთი და იგივე სათავე ჰქონდა. დღეს კი თუ

72 აბ. ცანავა, ქართული მესტიერული პოეზია, 1953, გვ. 127—128.

73 ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტორია, წ. 1, 1951, გვ. 56.

74 იქვე, გვ. 57—58.

75 მ. ალავეძე, დასახ. წერილი, გვ. 161.



ერთს სინკრეტული ბუნება შერჩენია, მეორე შრომის პოეზიაში გადასულა და ხარის სამეურნეო მნიშვნელობას შესანიშნავად გვიხატავს.

ნაწარმოების დასაწყისში, ჩვენი აზრით, არის ერთი წინააღმდეგობა, ქართული საწესჩვეულებო დღესასწაულების მიხედვით ორშაბათი (მთვარის დღე), უქმეა, შესაწირავ ხარსაც ორშაბათობით არ ამუშაებენ. ლექსში კი ხაზგასმულია, რომ „ორშაბათობით აშენებულა ციხე-ქალაქი მთაზედა“. უშრომლად ხომ არ შეიძლებოდა ეს? ამრიგად, საძიებელია, როგორ დაუკავშირდეს ზნე-ჩვეულებაში შემორჩენილი უქმე ორშაბათი და ლექსში მოხსენებული საქმის ორშაბათი ერთმანეთს?

განხილული ლექსი მრავალ ვარიანტად არის ცნობილი. ვარიანტებიდან გამოირჩევა „მამუას ხარი“, რომელსაც დამოუკიდებელი ლექსის სახე აქვს<sup>76</sup>, „ნიკორას ჩივილი“<sup>77</sup> და სხვ.

ზემოაღნიშნული ლექსების ციკლს ეკუთვნის ხევსურეთში ჩაწერილი „ქარი ნიკორა“<sup>78</sup>, რომლის მიხედვით ხარი ექვს დღეს შრომობს, მეშვიდეს კი რქაზე წევს.

აქ ხარის შეძლება შედარებულია ამირანის ძაღლონესთან. მთისა და ბარის გამსწორებელი მუშა საქონელი ერთგული გამწვევია უღლისა.

მშრომელი ხალხის წარმოდგენაში ბეჭითად მომუშავე პირუტყვი პირნათლად იხდის ვალს პატრონის წინაშე; ეს მომენტი ფიქსირებულია ეპითეტში; ხალხური პოეტი მუშა საქონელს „პირნათელას“ უწოდებს:

ხარმა სთქვა პირნათელამა, გამოვათავე ალოო,  
ეხლა შინისკენ მივდივარ, უნდა გაემართო კალოო?<sup>79</sup>

გუთნურ პოეზიაში მრავალი ლექს-სიმღერა მოიპოვება კამეჩზე, რომელიც ხართან ერთად მნიშვნელოვან გამწვევ ძალად ითვლებოდა საქართველოში.

კამეჩი ცნობილია თავისი ძაღლონით. იგი უმთავრესად გამოიყენებოდა „სამძიმო საქმეებისათვის“<sup>80</sup>, და ზოგჯერ ამის გამო ხარ-

<sup>76</sup> ფ. არქ. № 2384. ჩამწ. თ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ფშავი.

<sup>77</sup> ფ. არქ. № 21526. მთქმ. ა. თ ა ბ ო რ ი ძ ე, ჩამწ. შ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, სოფ. ბაზალეთი, 1939.

<sup>78</sup> ა. კ. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. წიგნი, გვ. 253.

<sup>79</sup> ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. წიგნი, გვ. 172.

<sup>80</sup> შ. გ ე გ ე შ ი ძ ე, დასახ. წიგნი, გვ. 99.

თან უპირატესობაც ეძლეოდა, რაც გამოხატულია ხალხურ ლექსში:  
წითლო ხარო, ვერ შესძლებ,  
შავი კამეჩის ბრძოლასა.

ანდაზითაც დადასტურებულია ეს უპირატესობა: „კამეჩის მოქიდავე ხარს რქა-არ შერჩებაო“.

სტრაბონის მიერ ნახსენები და აღწერილი „კამბეჩიანი“<sup>81</sup> ამტკიცებს. რომ ამ ადგილებში ძველთაგანვე ცნობილი ყოფილა ეს პირუტყვი.

კამეჩი, როგორც გუთნისა და ურმის გამწვევი ძალა გავრცელებულია „ქართლში, კახეთში, მესხეთ-ჯავახეთში, გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთში, ე. ი. იმ კუთხეებში, სადაც ბარის გეოგრაფიული და კლიმატიური პირობები ხელს უწყობს მის არსებობას“<sup>82</sup>.

საქართველოს მთიანეთში იშვიათად გვხვდება კამეჩი. იქ მუშა საქონლად გამოყენებულია სახეღარი. ერთ-ერთ ლექსში „ბარში რას გვიქვებ ყანებსა“<sup>83</sup> ბარისკაცისა და მთის მცხოვრების კამათში დაპირისპირებულია კამეჩი—ბარის მუშა საქონელი და ვირი-მთიანეთში გამოყენებული პირუტყვი. მოკამათენი ცდილობენ დაუმტკიცონ ერთმანეთს კამეჩის თუ ვირის უპირატესობანი. მთაში ვირით ზიდავენ საქონელს, ამას დასცინის ბარისკაცი, რომელსაც ტვირთის საზიჟად კამეჩ-შებმული ურეში მოეპოვება.

ამ ლექსის ერთი ვარიანტის სათაურია „ფშავლების კამათი“, მეორე ვარიანტისა „გაბაასება ბარისკაცისა და ხევსურისა“.

კამეჩი განთქმულია ცურვით. აფხაზეთში გავრცელებულ ლეგენდაში ახსნილია „რათ იცის კამბეჩმა კარგი ცურვა?“ ბიბლიურ წარღვნისაგან გადასარჩენად აშენებულ ნოეს კილობანში ლეგენდის მიხედვით, კამეჩის გასამრავლებლად არჩეული ხარ-ფურ-კამეჩის ოდგილი აღარ დარჩა: „კამბეჩის ხსენება რომ არ მოსპობილიყო, ნოე შეევედრა უფალს: შეენახა ეს ხარ-ფურ-კამბეჩი. ღმერთმაც უსმინა ნოეს და მისცა იმ ორ კამბეჩს შეძლება და შეგნება, რომ გაჰყოლოდნენ უკან-უკან ცურვით კილობანს. აი, რისთვისაც დღესაც კამბეჩის ცურვაში ტოლი არა ჰყავს შინაურ ცხოველებში“<sup>84</sup>.

<sup>81</sup> ი. ვ. ჭავჭავაძის შვილი, ქართვ. ერის ისტორია, წიგნი I, 1951, გვ. 51.

<sup>82</sup> მ. გეგეშიძე, დასახ. წიგნი, გვ. 98.

<sup>83</sup> ს. მაკალათია, თუშური ლექსები, 1937, გვ. 97.

<sup>84</sup> აკაკის კრებული, 1898, VIII, II, გვ. 28.

ბიბლიურ წარდენასთან დაკავშირებული ქართული ლეგენდა  
„რატომ იძახის კამეჩი ნოეს“, გაულექსია დ. გურამიშვილს.

კამეჩის სახელებიდან საქართველოში გავრცელებულია: ღვინია,  
ლომა, ყორანა, ირმა, ლალა, ნაიბი, ბეხია, კულა და სხვ.

კამეჩის გამამხნევებელი შეძახილი ისმის ვაჟა-ფშაველას მიერ  
ჩაწერილი სტრიქონებიდან;

ოტორუ, კამეჩო ღვინაო,  
გასწი ყველაზე წინაო<sup>85</sup>.

კამეჩი ღონიერ გამწვევ პირუტყვად ითვლება. ამიტომ გუთნეულ-  
ში მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ღონე-მოქარბებულ მუშა  
საქონელს ყოველგვარი სამძიმო საქმე ეადვილება. ხალხურ ლექსებ-  
ში კამეჩი შედარებულია რკინასთან, ხოლო მისი ძალღონის ამ-  
სახველ ლექსში ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ შეუძლია ამ ცხოველს  
ორმაგი ტვირთის ზიდვა:

კამეჩი ღონიერია, უღელსა ზიღეს ხისასა.  
გაუჭირდება, წაიღებს, თავისასა და სხვისასა<sup>86</sup>.

კამეჩიანი გუთნის ნახნავი განსხვავდება ხარის-ნახნავისაგან.  
ხალხური ლექსის მიხედვით:

კამეჩიანი გუთანი ღალი და გამწვევარია,  
ეგრეთ ბელტი გადააქვს, აღლი და ნახევარია<sup>87</sup>.

თავისი უპირატესობა ხართან შედარებით თვითონაც კარგად  
აქვს შეგნებული კამეჩს. ამიტომ არის, რომ საქმაოდ ვრცელ ლექს-  
ში „ყორანამ უთხრა ლალასა“, მოუვლელი, შიმშილისაგან ფერღებ-  
შელეწილი, მომაკვდავი საქონელი გულჩათუთქული საყვედურობს  
უდიერსა და უყურადღებო პატრონს:

შენც რა გინდოდა პატრონო ცოტა რამ ხარკი გეწია,  
გეძლია თითო აბაზი თითო კალათა ბზეშია.  
მე მაშინ მოგაგონდები. შავი აღმართის უელშია  
შეგებას წერლი მოზერები, ილაკნებოდნენ წელშია.  
წითელი შილტი გეკირავს ატრიალებდგ ბელშია,  
ქმახდე, უჭაერდებოდე. სული ჰბჭენოდეთ ყელშია<sup>88</sup>.

<sup>85</sup> ვ ა ე ფ შ ა ე ე ლ ა. მოთხრობები, ტ. V. 1936. გვ. 218.

<sup>86</sup> „ივერია“, 1889. № 204.

<sup>87</sup> ხელნაწ. ინსტ., H—1941/87.

<sup>88</sup> ე. კ. ო. ტ. ე. ტ. ი. შ. ე. ი. ლ. ი, დასახ. წიგნი, გვ. 234—235

აღნიშნული ტექსტიდან დამოუკიდებელ ლექსებადაა გავრცელებული ცალკეული ფრაგმენტები.

ზემომოტანილი ლექსის მნიშვნელოვანი ვარიანტია აგრეთვე პ. უმიკაშვილის კრებულში დაბეჭდილი „კამეჩი“<sup>80</sup>:

ამ იანვარმა რა გვიქნა,  
რა მოიგონა ხერხიო...

და მეორე ვარიანტი დაბეჭდილი ექვთ. თაყაიშვილის რედაქციით გამოსულ კრებულში:

კამეჩი კვდება ზეხია  
შეუშვებოა ფეხია

მაგრამ დასახელებულ მუშა საქონელს დადებით მხარეებთან ერთად აქვს თავისი ნაკლიც, რაც არ გამოკპარავია მშრომელი გლეხობის დაკვირვებულ თვალს. ძალღონითა და გამძლეობით თუ კამეჩი ხარს აღემატება, სამაგიეროდ მუშაობის ტემპი ნელი აქვს, კამეჩის ზოზინით სიარული იმდენად ცნობილია, რომ მისი გაქცევა ხალხს ქვეყნის დანგრევის ნიშნად მიუჩნევენ. ანდაზაში კვითხულობთ: „კამეჩმა თქვა: ქვეყნის დანგრევისა რომ არ მეშინოდესო, ასეთს გავიქცევი, ფრინველიც ვერ მომეწიოსო“.

კამეჩის სიზანტის გმომხატველია კახეთში ჩაწერილი პოპულარული ლექსი:

კამეჩი წევს და იცოხნის, თავის ამინდი ჰგონია,  
ლაფში ჩაფლული ურემი—შინ მიტანილი ჰგონია<sup>81</sup>.

ნელი, ზანტი პირუტყვი ადვილად ვერ იტანს ვერც გადამეტებულ სიცხეს, ვერც სიცივეს. ნორმალური მუშაობა მას მხოლოდ სიგრილეში შეუძლია. ხალხური ლექსი „კამეჩმა თქვა“<sup>81</sup>, მშვენიერად გვიხასიათებს ამ თვისებებს.

ნელი ტემპისა და სხვა ნაკლთა გარდა კამეჩს ცუდლუტობა, ტყე-ველში გაპარვა, ჯიუტობა და სხვა ცუდი ჩვეულებებიც ახასიათებს. კამეჩის ცუდლუტობა, წვერობა, ანუ ცალუდლივ გუთნის გათრევა აღწერილია თ. რაზიკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილ ლექსში—„თომასეულმა კამეჩმა“<sup>82</sup>.

<sup>80</sup> პ. უმიკაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 240.

<sup>81</sup> „დროება“, 1884, № 268.

<sup>81</sup> ხალხ. სიტყვ., წ. 1, ექვთ. თაყაიშვილის რედაქტ., გვ. 333.

<sup>82</sup> იქვე, გვ. 332.

კამეჩო, ეგ შენი დღენი, რა უკვლამართად ბერდები,  
ერთხელს იქნება მოკვდები, ცას ხომ არ შეახერხებო? |

კამეჩზე ლექს-სიმღერებში სატრფიალო ელემენტებსაც ვხვდებით. მის ეპითეტად ხშირად არის გამოყენებული „შეკრული ვაჩდის კონა“<sup>83</sup> და სხვ.

შრომის პოეზიის ნიმუშების შემქმნელი უშუალოდ შრომის პროცესში ჩაბმული იდამიანები იყვნენ, რომელთაც შრომის სიმძიმე, დღიური ჰირვარამი, სოციალური უთანასწორობის მძიმე უღელი განუცდიათ. მშრომელი გლეხობა გულის ნადებს გაბედულად გამოსთქვამდა მუშა-საქონელთან, გუთანთან და სახნის-საკვეთელთან. შრომის პოეზიაში ეს პოეტები არიან მხენელ-მთესველნი, გუთნის დედა და მეხრებები. ამას გვიდასტურებს სიმღერა სადაც, ხალხური ტრადიციის მიხედვით, ლექსის ბოლოში დართულია ავტორმთქმელის ვინაობა—სახელი:

ჩემო კამეჩო ქედაო, მუშაობ ზედი-ზედაო,  
ამ ლექსებოთა მამკონი, სანდრუა გუთნისდედაო<sup>84</sup>.

მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული გლეხი სახენელი იარაღის კეთებაში დიდ დახელოვნებას იჩენდა. იგი იმავე დროს ხელოსანიც იყო. ასეთი დახელოვნება ზეპირსიტყვიერებაში თავის ასახვას პოულობს, ზოგიერთი ლექსი გუთნის გამართვის სრულ სურათს წარმოადგენს. აქ თანამიმდევრულადაა ჩამოთვლილი, თუ გუთნის რომელი ნაწილი რომელ ნაწილს უნდა გადაეხადოს, რა მასალისაგან გაკეთდეს და სხვ. ასეთი ლექსები საინტერესოა ტერმინოლოგიური თვალსაზრისითაც:

გუთანი ისე გაემათე, როგორც რომ მართებულა:  
პირველ გაეთაღე ხის რვილი, სახელდებული თელისა,  
მოუქპერ სახლზე შუაზე, შემოუღერე ელიოსა.  
ყელი კარგად მოუვიდა და შუა წელი სრულია,  
კაკლის დედანი შევაბი შალაშინ გადასმულია.  
ზედ გაეუკეთე ხელკუდი, როგორც რომ ჩამოსხმულია,

<sup>83</sup> ფ. არქ. № 2750 მთქმ. ე ლ ი ს ა ბ ე დ ა შ ვ ი ლ ი, ჩამწ. თ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ფშავი.  
<sup>84</sup> ფ. არქ. № 11769. მთქმ. მ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, ჩამწ. გ. გ ო გ ო ლ ა ძ ე. სოფ. ბარალეთი, 1937.  
<sup>85</sup> ფ. არქ. № 18280. მთქმ. ა. თ უ რ მ ა ნ ი ძ ე, ჩამწ. ა. მ ა ხ ა რ ა ძ ე, სოფ. იყალთო, 1938.

იფნის ხმალი გაეატარე, ფარეშით გათანგულია,  
ლირლიტის შორგვი გაეთალე პიტალო კაქლის გულია.  
მუხისა სოლი ეახშარე ხელეჩოთ დაწმენდილია,  
ჯაგ-რცხილის ფერსოს მოვიკიდე. როგორც ღულაბი კირია.  
ისე გავმართე გუთანო, როგორც რომ მართებულაია.  
ზედ მოეუბი საყვერები წნელებით გადაბმულია.  
შიგ დავემართე უღლები ახალი დარუსულია;  
შიგ ჩაეუყარე ტაბიკი. დათლილი შეინდოს გულია  
შევაბი აპეურები, ახალი დაგრეხილია... და სხვ.

აღსანიშნავია, რომ რ. ერისთავს ლექსში „აღზევანს წასვლა“ ამრიგადვე აქვს გადმოცემული ურმის გამართვა, ადგილ-ადგილ ლექსის მთელი სტრიქონი ემთხვევა ხალხური ლექსის სტრიქონებს, მაგ. „ჯაგ-რცხილის ფესვებს მოვიკიდე“ და სხვ.

გუთნის გამართვის შემდეგ მუშა საქონლის შებმასაც აღწერს ლექსი. ასე გაწყობილ გუთანს და ხარ-კამეჩს მეხრეებიც შეუდგებიან. გუთნის გამართვის ამ სახელმძღვანელო ლექსში გათვალისწინებულია მუშა საქონელთან კარგი მოპყრობა და ერთგული მუშაობა<sup>66</sup>.

გუთნისათვის გამოსადეგი ხის შესარჩევად გლეხი შორს ტყეებში იარებოდა. საუკეთესო საგუთნე მასალად ითვლებოდა თელა. თელის გუთანი თაობიდან თაობაზე გადადიოდა ოჯახში. ლექსებში ამ საშეურნეო იარაღის სიძველესაა ხაზგასმული:

გადი-გამოდი გუთანო, შორით მოკრილო ხისაო,  
შე მამიჩემის ნაქონო, შე პაპიჩემის ხნისაო<sup>67</sup>.

სხვა ხისაგან, მაგ. ბალამწარისაგან, გაკეთებული გუთანი უყვარვისად ითვლება:

გუთანო, შენი ქირიშე, გათლილო ბალამწარაო,  
უკიდე, ვერ მოუკიდე, დღე ჩემი გამამწარაო<sup>68</sup>.

გუთანი და მისი ზოგიერთი ნაწილი ხენის დროს გარკვეულ ხმას გამოსცემს. ეს რიტმული ბგერებია, რომელიც ითანხმებს მელოდიას. ლექსში ლირლიტა გუთნის ბანის მიმცემად გვევლინება. ხალისიანი, ბარაქიანი მუშაობა უყვარს გლეხს, მის წარმოდგენაში

<sup>66</sup> „ქეჩილი“, 1891, № VI, გვ. 42; ხალხ. სიტყვ., შედგენილ მ. ი. ხ. ჩიქოვენიძის მიერ, 1940, გვ. 9.

<sup>67</sup> ფ. არქ. № 2543. ჩამწ. შესხი-გვარამაძე.

<sup>68</sup> ა. ლ. რ. ო. ბ. ა. ქ. ი. ძ. ე., დისახ. ნაშრომი, გვ. 411.

გასულდგმულებულია მოძრავი, მოქმედი გუთანი, უმოძრაოდ მდგარი კი დაღონებულად მიაჩნია მას. ამიტომ, მოუხმობს გაცოცხლდეს, ამოძრავდეს, დარდი გაფანტოს:

გალი-გამოდი გუთანო,  
დაღონებული ნუ ხარო<sup>99</sup>.

გუთნის მართვას დახელოვნება სჭირდებოდა. იგი მძიმე შრომას წარმოადგენდა და მიმყოლისაგან მუდმივ ფხიზლად ყოფნას, შეუწელებელ ყურადღებას მოითხოვდა, სამაგიეროდ გუთანი მას აჯილდოვებდა პურის კარგი მოსაველით:

გუთანო, შენი ჰირიშე, შენი მიყოლა ძნელია,  
ვინც შენ მოგყვება, გუთანო, პური აქვს ძველის-ძველია<sup>100</sup>.

გუთანს დღის განმავლობაში გარკვეული სამუშაო გეგმა ექლევოდა. გლეხი ასე მიმართავდა სახვნელ იარაღს:

შენი ჰირიშე გუთანო, სამოცი კვალი მოხანო,  
რაც არ უმატო, არ უკლო, უფრო და უფრო მოხანო<sup>101</sup>.

შრომაში გამარჯვებულ გუთანს ხალხური პოეტი უმღეროდა:

გამარჯვებულმა გუთანმა სამოციერ შემოუარა,  
ნეტო რა ხარმა გაუძლო, ან და რა შეხრემ იარა<sup>102</sup>.

სამეურნეო იარაღებს უკავშირდებოდა გუთნურში სატრფიალო მოტივები:

შენი ჰირიშე გუთანო, ჩამბარას ბანი უთხარო,  
ჩამბარას ბანი არ უნდა, პატარ გოგონას უთხარო<sup>103</sup>.

ქართულ ხალხურ შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს გაბაასების ტანრს. ნაწარმოების პერსონაჟები ერთმანეთთან გასაუბ-

<sup>99</sup> ფ. არქ. № 21443. მთქმ. ვ. დ უ რ გ ლ ი შ ვ ი ლ ი, ჩამწ. მ. ნ ი ქ ო ვ ა ნ ი, სოფ. ბაზალეთი, 1939.

<sup>100</sup> ხალხ. სიტყვი. წ. I, ექვთ. თაყაიშვილის რედაქტ. გვ. 279.

<sup>101</sup> ფ. არქ. № 2346, ჩამწ. მესხი-გვარამაძე.

<sup>102</sup> ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. წიგნი, გვ. 172.

<sup>103</sup> ფ. არქ. № 2349, ჩამწ. მესხი-გვარამაძე.

რებაში გადმოსცემენ საკუთარ დადებით თუ უარყოფით თვისებებს. გაბაასებაში მონაწილეობენ, როგორც სულიერი, ისე უსულო საგნები. ქართულ ფოლკლორში ცნობილია: ცისა და ქვეყნის, სიკვდილისა და სიცოცხლის, დღისა და ღამის, მზისა და მთვარის, ქალისა და ვაჟის, ხილთა, ვეფების, შინაური ცხოველების, გუთნის, გუთნის ნაწილებისა და სხვ. გაბაასებანი<sup>104</sup>. ჩვენ ამჟამად ხელთა გვაქვს გუთნისა და გუთნის ნაწილების გაბაასება. ამ ნაწარმოებებში ადამიანის ხელით გაკეთებული საგნები, რომელთაც თავიანთი სპეციფიკა და ფუნქცია გააჩნიათ, ეპაექრებიან ერთმანეთს. ორხელა მთის გუთანია, გამოიყენება მთის ძირის მეურნეობაში იგი ბარულ გუთანთან შედარებით პრიმიტიული სახენველი იარაღია. ლექსში „ორხელა და გუთანი“ გადმოცემულია გუთნის უპირატესობა ორხელასთან. ორხელა პურს თხოვს გუთანს. გუთნის პასუხში ჩანს, რამდენად მცირეა ორხელას სამოქმედო ასპარეზი:

ორ ხ ე ლ ა :

ორხელამ შემოგიფალა: გუთანო, პური მშინაო,  
თუ გქონდეს გამომიგზავნე, გადახდა შემძლიანო.

გ უ თ ა ნ ი :

საქრეთლით დახვრეტილი ხარ, არ გირევიო სატეხე:  
მუღამ ნარბილში დაძვრები, ერთხელ ყამირი გატეხე.  
მამინ სად იყავ ორხელაჲ, შე რომ ძეძენარი გატეხე?<sup>105</sup>.

ლექსის ვარიანტში ორხელას მაგიერ აჩაჩა გვხვდება. ბოლო სტრიქონები ასეთ ვარიანტულ ცვლილებას იძლევა:

სუ, რომ ნარბილი არა 'ხნა, ერთხელ ყამირიუ გატეხე;  
თუ შე შენ პური გაქამო, კისერი ძირში მამტეხე<sup>106</sup>.

ლექსი გუთნის ნაწილების გაბაასებაზე მრავალი ვარიანტი არის ცნობილი ქართულ ფოლკლორში. ამ ლექსის შესახებ 1949 წელს გამოთქმულ მოსაზრებაში<sup>107</sup>, ჩვენ ვფიქრობდით, რომ მისი შემქმნელი იყო სოფ. წინამძღვრიანთკარელი თედო გულბეთაშვილი.

<sup>104</sup> მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 342.

<sup>105</sup> მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყვ., ისტ., 1956, გვ. 342.

<sup>106</sup> ხელნაწ. ინსტ., H—1992 თ/25.

<sup>107</sup> თ. თქარაშქიძე, მოლექსე გუთნის-დედა. ვაზ. „ლიტ. და ხელოვნება“, 1949, № 40.



ლი, მაგრამ პროფ. მ. ჩიქოვანის გამოკვლევით<sup>108</sup> ეს არ დადასტურდა. აღმოჩნდა ლექსის გოძიაშვილისეული ვარიანტი, დათარიღებული 1884 წლით. იგულისხმება, რომ იგივე ლექსი, მცირეოდენი ცვლილებით ჩაწერილი და გამოქვეყნებული გახ. „ივერიაში“ 1888 წელს, ვერ იქნებოდა თ. გულბათაშვილის ორიგინალური ნაწარმოები.

ამჟამად ჩვენს ხელთ არის აღნიშნული ლექსის ყველა ცნობილ ვარიანტებზე ადრინდელი ჩანაწერი. იგი დატულია ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდში. ლექსის მთქმელია კირილე ქვეხიშვილი. ჩამწერი ილია დიმიტრის-ძე კალატოზოვი, თბილისის სასულიერო სემინარიის III კლასის მოწაფე. ლექსი ჩაწერილია 1881 წლის აპრილს, კახეთში, სოფ. კალაურში. ლექსის აღნიშნული ვარიანტი 76 სტრიქონისაგან შედგება, ე. ი ყველა ცნობილ ვარიანტზე ვრცელია და შეიცავს გუთნურ პოეზიაში გავრცელებულ მოკლე ლექსებს გუთნისდღაზე და მეხრეზე. ლექსში ამეტყველებულია გუთნის ნაწილები, მუშა საქონელი, ლაპარაკია გუთნისდედისა და მეხრის უდიერ მოპყრობაზე ხარებესადმი, წარმოდგენილია ჯოჯოხეთი და სამოთხე, აქვე გვხვდება ლექსის „ნახშირმა თქვა“ დასაწყისი<sup>109</sup>.

გოძიაშვილისეული ვარიანტი იწყება აჩაჩას და გუთნის გაბაასებით, მას მოჰყვება გუთნის ნაწილების კამათი, მეხრისა და გუთნისდედის დახასიათება, საიქიოს ცოდვა-ბრალის გარჩევა და სხვ. ვარიანტში არამარტო მუშა საქონლისა და გუთნისადმი ცუდი მოპყრობაა დაგმობილი, არამედ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია ამის შესახებ ვკითხვლობთ:

კაცზე კაცს უღიარობა არასოდეს არ შერჩება.  
ამ სოფელს რომ არ ეკოთხოს, იმ სოფელს კი გადახდება.  
ვინც რომ არის უღიარი ის ჯოჯოხეთს არ ასცდება,  
აქ არის მართლსასჯელი, აქ ხომ ქრთამს არ გაესვლება,  
კაცს კაცს უსამართლობა, აროდეს არ მოეშვება!<sup>110</sup>

ამ ქვეყნის სოციალური უთანასწორობით დაჩაგრული გლეხობა სამართალს იმ სოფლად ეძებს და ღმერთს მიაწერს იმ კეთილ თვისებებს, რომელიც ცხოვრებაში ვერ უპოვონია.

გულბათაშვილისეული ვარიანტი უფრო მოკლეა და იწყება სახნისის სიტყვით<sup>111</sup>. ერთ-ერთ ვარიანტში შეტანილია „მზისა და

<sup>108</sup> მ. ჩიქოვანი, ხალხური სიტყვიერების შესწავლის პრობლემა XIX საუკუნეში, ლიტ. ძიებანი, 1950, VI, გვ. 247—248.

<sup>109</sup> ხელნაწ., ინსტ., H—1992 თ/ზ.

<sup>110</sup> პ. უშოკაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 260.

<sup>111</sup> „ივერია“, 1888, № 169.

მთვარის“ გაბაასებიდან ის ადგილი. სადაც ამ ორი მნათობის შეჯიბრის გადასაწყვეტად დამის მეხრეს იბარებენ<sup>112</sup>:

გუთნის ნაწილების გაბაასებიდან ირკვევა მათი შრომის სიმძიმე. ხალხურ ლექსში შრომაში დამსახურების მიხედვით. მოცემულია ალოების განაწილება:

სახნის უნდა ორი ალო,—საუდაბნოს იარება.  
საკვეთელსა ნახევარი,—ზეზეურათ იარება<sup>113</sup>.

ხალხურ ლექსში ლაპარაკია განჯურ სახნის-საკვეთზე, ერევენულ ჯამბარაზე და მუხრანულ ხარ-კამეჩზე.

პოეტური ფანტაზიის ნაყოფია ლექსი „სანთლის გუთანს ავაშენებ“, სადაც შეუძლებელი ამბებია წარმოდგენილი რეალისტურად: სანთლის გუთნის აშენება, შიგ უღელი დევის შებმა, ზღვაში ხენათესვა, მშრალზე თევზის ნადირობა, აქლემის ბარ-საკვეთით დატვირთვა, მგლის უკან გაყოლება, ყინულზე კალოს ლეწვა, კიანჭველაზე გოდრის აკიდება და სხვ.

ვარიანტებში დევის მაგიერ თევზის უღელში შებმაზეა ლაპარაკი.

მთელი დღის შრომის შემდეგ გლეხი მადლობას სწირავს უფალს:

ღადება, მადლი უფალსა, მიწა მოუხნავს გუთანსა<sup>114</sup>.

მუშაობის დასასრული გამოხატულია მუხლობრივი შესრულების ლექსში:

ზედაობითა გუთანო, კვალი არ გავეიტანია,  
გავიდეთ და გამოვიდეთ, საცაა წასვლის ხანია<sup>115</sup>.

გუთნური პოეზიის თემატურა მოიცავს ქართველ მიწათმოქმედთა ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს. ხენათესვის შესვეურად გლეხს სამართლიანად მიაჩნდა თავისი თავი, მაგრამ ამასთანავე გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ სახნავე მიწა-წყალი მას ღმერთმა მისცა და

<sup>112</sup> ფ. არქ. № 11264, მთქმ. ვ. ზაქარიაშვილი, ჩამწ. ვ. პეტრიძე-შვილი, სოფ. ბაკურციხე, 1937.

<sup>113</sup> პ. უშიკაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 339.

<sup>114</sup> ხალხ. სიტყვ., წ. I, ეჭვთ. თაყაიშვილის რედ., გვ. 278.

<sup>115</sup> ვ. კოტეტიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 171.

ამ საქმეზე მიჭაქვა. იგი მორჩილად მიყვებოდა მამაპაპურ გუ-  
თანს, თავჩაღუნული ამუშავებდა მიწას საუკუნეთა განმავლობაში:

ღმერთმა მოგვცა მიწა-წყალი. გუთნისდღა. მუხრე. ხარი.  
პურო-ქერო, ფეტე-სიშინდი, მათი თესვა ჩენ ხელთ არი<sup>116</sup>.

გლეხის სიმდიდრეს შეადგენდა გუთანი და მუშა საქონელი, იგი იყო მისი ეკონომიური მდგომარეობის საფუძველი. ამიტომ, როგორც ვნახეთ, გუთნური პოეზიის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ თემატიკას დასტრიალებს თავს. დანარჩენ ლექსებში გადმოცემულია ამინდის შემყურეთა განცდები, გამოწვეული გვალვით ან გადამეტებული წვიმებით. გუთნურ პოეზიაში მკაფიოდ ჩანს ურთიერთდახმარების კარგი ტრადიცია, ჩანს სოფლის მჩაგვრელთა წინააღმდეგ გარკვეული, მტკიცე დაპირისპირება, სოციალურ უკუღმართობასთან ბრძოლა. გლეხობას თავისი მორალი გამოუმუშავებია ვაჟკაცობაზე, საკუთარა ფილოსოფიური მრწამსი შეუქმნია ადამიანის რაობაზე. ამ ჯგუფის ლექსებში ნაჩვენებია გარდაუვალი ბედისწერა ადამიანისა: სიცოცხლეში მას მიწა აქმევს პურს, ხოლო შრომით ჯანგატეხილი თავის დაღლილ სხეულს მიწას აბარებს. რად ხდება ასე? ეს კითხვა აწვალებს მგოსანს:

რათ მამკალ. მამულ ტილო, რა კაცი დაგელოდა,  
მამკალ და რაღათ შამქამე, რა ლეში დაგელოდა<sup>117</sup>.

გაზაფხულის მოსვლა ახალ ენერჯიას მატებდა შრომელ გლეხობას, ემზადებოდნენ სახნავად, ლექს-სიმღერებში სატრფიალო მოტივი ერწყმოდა შრომას:

ზაფხული მოვიდა, დაეხნათ ყანები,  
მაყვალს დაეადართ შენი თვალები...<sup>118</sup>.

ღორღიანი ყანის ხვნა და თვალეუენა ქალის ცქერა<sup>119</sup> ერთნაირად იტაცებს შრომელ გლეხს.

მთელ დღეს შრომაში ატარებდა მხვნელ-მთესველი, დღის დასასრულის შესაფერ ლექს-სიმღერებსაც მღეროდნენ გუთანზე. ანე-

<sup>116</sup> პ. უ შ ი კ ა შ ე ი ლ ი, დასახ. წიგნი, გვ. 418.

<sup>117</sup> იქვე, გვ. 339.

<sup>118</sup> ფ. არქ., № 5763. მთქმ. ვ. ბ ა ლ თ ი ა ნ ი, ჩამწ. ა. ჩ ა ვ ლ ე ი შ ე ი ლ ი, სოფ. ბეყახო, 1930.

<sup>119</sup> პ. უ შ ი კ ა შ ე ი ლ ი, დასახ. წიგნი, გვ. 315.

ულის ხენაში სამღერალი ლექსის პირველი ნახევარი აჩვენებს სამუშაო დღის დასაწყისს, მშრომელთა ლაშქარის დადგომას სამუშაოზე, მეორე ნახევარში კი შემოღამებაზეა ლაპარაკი<sup>120</sup>.

სახნავ ნაკვეთზე ორიოდ შემოვლა-და დარჩენია გუთნეულს. გამზნეებული გლეხი წყევლა-კრულვას უთვლის სოფლის მოხელე-ჩინოვნისკენ:

ორიოდ შემოუაროთ, ნალარი ამოვარდება,  
მამასახლისი მოკვდება, სუღის ამოვარდება<sup>121</sup>.

ხენის დასასრულს ილოცებიან ვახშმის მოლოდინში. სიმღერებში ტიკჭორისა და ლეინის ხსენება ხშირდება.

გუთნური ლექს-სიმღერები გასაუბრების სახეს იღებს, ერთი მომღერალი მეორეს იწვევს შაირით:

ალახანი მოვარდნილა. წაულია ბაყილო,  
ერთი სიტყვა შენც მოთხარი, სუ რო მე არ მაყიელო<sup>122</sup>.

მუშაობის დამთავრებას გამოხატავს მეორე შაირი:

ორი საბანი შევერე, ერთი პატარა შილაო,  
თუ ლქსუბი აღარ იცი, აღეკ. მიბრძანდი შინაო<sup>123</sup>.

საინტერესოა ივ. კერესელიძის მიერ სამცხე-საათაბაგოში ჩაწერილი გუთნის ოროველა, რომელსაც შინაარსობრივად კავშირი არა აქვს ხენა-თესვასთან.

თურქეთის მიერ მიტაცებულ სამცხეში დამპყრობნი ყოველ დღეს ხმარობდნენ ყოველგვარი ქართულის აღმოსაფხვრელად. მიუხედავად ამისა აქ ჩვეულებანი და ცეკვა-სიმღერა დაცული ყოფილა თითქმის უცვლელად: „ისევე ის ჩვეულება აქვსთ მესხელებს, რა ჩვეულებაა აქვსთ ჩვენ ქართველებს, გინა კახელებს“,—წერს ივ. კერესელიძე. მას იქვე მოუსმენია გუთნური. — „უცებ დიდ მინდორში შემომგესმა ჩვენებური ოროველა, მივიხედე. ვნახე. გუთანი ებათ და ჰხნავდნენ“. მესხი მასპინძლის ოჯახში, მართალია მშობლი-

<sup>120</sup> ფ. არქ. № 33812. შთქმ. ფ. აზირაშვილი, ჩამწ. გ. ასატუროვი, სოფ. უღე, 1948.

<sup>121</sup> ფ. არქ. № 13582. შთქმ. ბ. გოგოლაძე, ჩამწერი ე. გოგოლაძე, სოფ. ბარაღეთი, 1937.

<sup>122</sup> ფ. არქ. № 22240. შთქმ. ს. სახლთუხუციშვილი, ჩამწ. დ. კარბელაშვილი, შიგა კახეთი, 1939.

<sup>123</sup> ფ. არქ. № 22246. შთქმ. ს. სახლთუხუციშვილი, ჩამწ. დ. კარბელაშვილი, შიგა კახეთი, 1939.

ური ენა უკვე დაიწყოებული ჰქონიათ. მაგრამ მშვენივრად ყოფილა დაცული ძველი ქართული სიმღერების კილო, „გუთნის ოროველაც მიმღერა ჩემმა კეთილმა აბდულამაო“, — გადმოგვეცემს ი. კერესელიძე. ამ უკანასკნელის მიერ მოყვანილ ტექსტში ქართლის სოფელი დირბი იხსენიება. ლექსთან შეტაკების ამბავია მოთბობილი. ტექსტში აღმოსავლეთ საქართველოს ცხოვრების ისტორიული კვალი ჩანს. ლექსები თავს ესხმოდნენ ქართლის სოფლებს და აოხრებდნენ, მიკუადათ ტყვეები ახალციხის გზით თურქეთში, ნაწილს გზადაგზაც ჰყიდდნენ.

70-იან წლებში ივ. კერესელიძის მიერ სამცხე-საათაბაგოში ჩაწერილ ქართლში შექმნილ, შრომის ლექს-სიმღერის ტექსტს. მესხურ დიალექტთან ერთად თურქულის გავლენაც ეტყობა. მაგ., „ზილდანი“ ანუ „ზინდანი“ ჩამწერის შენიშვნით. საპყრობილეს ეწოდება, „ჩვერი“ ჩვერის ნაცვლად. ლექსში მოხსენებული სახელისუფლო ტერმინი „ათაბაგი“ თურქული წარმოშობისაა, თუმცა იგი თამარის მეფობის დროს იქნა შემოღებული ჩვენში<sup>124</sup>.

ივ. კერესელიძის მიერ ჩაწერილი გუთნური ოროველა ასეთია:

„დირბი, დირბიო, დირბიო, სოფელი ვნახე დიდიო,  
 ლექები გადმოგებნენ, ლექები დაღსტნელიო,  
 ერთმა მესროლა ლექური, მეორემ დაატანაო,  
 მესამემ თოფი დაცლა, ახლო არ მამეკარაო.  
 სამიუ დაეკოვე ლექები, მივეკვარე ათაბაგსაო.  
 იმან ზილდანში ჩამყარა, ბორკილი შეუყარაო,  
 იმისი დედ-მამა ცხონდეს, მე ჩვერი ამამყარაო“<sup>125</sup>.

გუთნური პოეზია საქართველოში ისევე ძველია, როგორც მიწათმოქმედება. ამას ადასტურებს ლექს-სიმღერებში დაცული სამეურნეო ტერმინები, წეს-ჩვეულებანი, ზოგიერთი არქაული ტექსტები და მათი შესრულებიზ წესები. გუთნური ლექს-სიმღერები მკვეთრად ასახავს მშრომელთა ყოფა-ცხოვრებას. სოციალური ჩაგვრის მძიმე პირობებში გლეხს ჰყოფნიდა ნებისყოფა დუხჭირი მდგომარეობიდან გამოსავალი ლექს-სიმღერებში ეძია; თუ სინამდვილეში არა, წარმოსახვით მაინც შეექმნა სასურველი ვარემო.

<sup>124</sup> ივ. კერესელიძის ქართული სამართლის ისტორია, წ. 11, ნაკვეთი I, 1928, გვ. 179.

<sup>125</sup> ივ. კერესელიძის მოგზაურობა სამცხე-საათაბაგოში. „ცისკარი“, 1870. № 5, გვ. 203.

გუთნური პოეზიის თემატიკა მოიცავს ქართველ მიწათმოქმედ-  
თა ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს. გუთნურში გადასულია სა-  
წესჩვეულებო და სატრფიალო ლირიკის ბევრი ნიმუში. ქართულთა  
შრომის პოეზიისათვის დამახასიათებელია სატრფიალო მოტივების  
უხვად გამოყენება, საყოველთაოდ გავრცელებული სატრფიალო  
ლექსები „მინდორშია თეთრი ქვა“, „ნეტაუი დამიწუნებდე“ და სხვ.  
ხშირად იმღერება ხვნაში, თონასა და მკაში. ასევე ერთმანეთს  
ენაცვლება ურმულის, გუთნურის, მეტივურის სასიმღერო ტექს-  
ტები. ამრიგად, არ არის საფუძველს მოკლებული, რომ პ. უმიკაშვი-  
ლის ხალხური სიტყვიერების კრებულში მოთავსებულ ბევრ ლექსს  
თან ახლავს შენიშვნა: „გუთანზე, ურემზე“ ან „კალოში, რთველში,  
ტივზე“. ერთ-ერთი მთქმელის ცნობით, ბალადას „თავფარავნელ  
ქაბუკი“ მღეროდნენ გუთანზე.

როგორც საერთოდ, ისე შრომის ლექსებშიაც ხშირია ტექსტე-  
ბის გადასვლა ერთი ჟანრიდან მეორეში, ან ერთი თემატიკური რკა-  
ლიდან მეორეში. ამის მიზეზია ნაწარმოებთა ზეპირი გავრცელება.  
ქანრთა შორის მტკიცედ გამოკვეთილი საზღვრების უქონლობა და  
მთქმელთა ინდივიდუალური დახელოვნება.





# ნადური

შრომის პოეზიის ერთ-ერთ უძველეს სახეს ნადური ლექს-სიმღერები წარმოადგენს. საქართველოში ძლიერ გავრცელებული იყო შრომაში კოლექტიური დახმარება. მის აღმნიშვნელად ცოცხალ მეტყველებაში შემონახულია რამდენიმე ტერმინი. აღმოსავლეთ საქართველოში შრომაში დახმარებას „შამითადი“, „მუშა“ ან „რიგ-რიგა“<sup>126</sup> ეწოდება, დასავლეთ საქართველოში კი „ნადი“. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ნადი არის „მუშაკნი შეყრილნი“. გადაუღებელი, მოძალებული სამუშაოებისათვის: ხენათესვის, სიმინდის მარგელა-მოროდის, ტეხვის, გარჩევის, ყურძნის კრეფის, პურის მკისა და სხვ. დროს იწვევდნენ დამხმარე მუშახელს. ურთიერთდახმარების უსასყიდლო პრინციპზე დამყარებული კოლექტივი საერთო ძალით სწრაფად მოერეოდა ერთი ადამიანისათვის ძნელად დასაძლევ სამუშაოს.

საქართველოში ნადით მუშაობა ცნობილია უძველესი დროიდან. ბოლო ხანებში დასავლეთ საქართველოში იგი განსაკუთრებით დაუკავშირდა სიმინდის კულტურას, რომელიც ამ კუთხეში „გაჩნდა მე-17 საუკ. შუა ხანებიდან“<sup>127</sup>. სიმინდის ყანაში ნადის მუშაობას თან ახლავს ნადური ლექს-სიმღერები, რომელიც იმდენად დამახასიათებელია ლიხთ-იმერეთისათვის, რომ კომპოზიტორი დ. არაყიშვილი მას „წმინდა გურულ სიმღერას“<sup>128</sup> უწოდებს. ნადური იყო

<sup>126</sup> შ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტ., 1956, გვ. 241.

<sup>127</sup> პ. გუგუშვილი, სიმინდის მეურნეობა ა/კ-ში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 4, 1946, გვ. 225.

<sup>128</sup> დ. არაყიშვილი, ქართული მუსიკის გურული შტო, ეურნ., „ქართული მწერლობა“, 1927, № 10, გვ. 147.

ვე ყახური ანუ თოხნური არა მარტო გურიის, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს კუთვნილებდა. რ. ერისთავის ცნობით ნაღური „რიონის პირათ იციან ხოლმე საქუონდლოში“<sup>128</sup>.

რ. ერისთავისვე აღწერის საფუძველზე შ. კოვალევსკი ხაზს უსვამს თუმ, ფშავ, ხევსურთა შორის ე. წ. „სახატო ნადის“ ან „სათემო ნადის“ არსებობის ფაქტს<sup>129</sup>.

ნადისა და ნაღურის შესახებ ოკრიბაში (იმერეთი) დ. თომაშვილი გადმოგვცემს: „ნადობა-ნადი იცოტუნენ ხენა-თესვის თუ მარგვლამოროდის დროს. ნადში ყველა სიამოვნებით იღებდა მონაწილეობას. ხშირად 20—25 კაცისაგან შემდგარი ნადი მოედებოდა სამუშაოს განსაკუთრებული ყიყინითა და სიმღერებით, რომელსაც ნაღური ეწოდებოდა. ეს სიმღერა მეტად შველოდა ხელბარაქიანად მუშაობას, დაღალვას აღარაეინ გრძნობდა. სვრელი სვრელზე გაჰქონდათ“<sup>131</sup>.

ნადისა და ნაღურის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან უცხოელი მოგზაურები და მისიონერები. არქანჯელო ლამბერტი, მე-17 საუკუნის მისიონერი დასავლეთ საქართველოში, წერს: „... მიწიდან თავს იჩენს თუ არა ღომი, შაშინვე, გამოთოხნა სჭირდება, რადგან საქმე საჩქაროა და პატრონი თავის კაცებით ველარ ერევა, მეზობლები უნდა მოიხმაროს...“<sup>132</sup>.

არქანჯელო ლამბერტი დაწვრილებით აგვიწერს ყანის დამუშავების პროცესს. მას მხედველობიდან არ გამოპარვია პრაქტიკული მნიშვნელობა კოლექტიური დახმარებისა სოფლად, ნადის მრავალრიცხოვანება და თოხნაში ხმაშეწყობილი მუშაობა, სპეციალური, ან ლამბერტის სიტყვით რომ ვთქვათ, „საგანგებო სიმღერა“ კორიფეთა როლი შრომის პროცესში, დასასრულ, ყანიდან შინ დაბრუნებულა ნადის საზეიმო სვლა.

ლამბერტის დროს დასავლეთ საქართველოში სიმინდი ჭერ კიდევ არ იყო გავრცელებული აღნიშნული ცნობა ნადისა და ნაღურის შესახებ, როგორც გადმოგვცემს აღმწერელი, შეეხება ღომის ყანას. ღომიც ნადით მუშავდებოდა. ოკრიბაში დღესაც არიან ღომის ყანის ნადით დამუშავების მხილველ-მომსწრენი<sup>133</sup>.

<sup>128</sup> რ. ერისთავი. დრამატული ნაწერები, შ. რადიანის რედ., ტ. IV, 1936, გვ. 144.

<sup>129</sup> М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, т. II, гв. 109.

<sup>131</sup> საკუთარი მასალებიდან.

<sup>132</sup> არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, 1937, გვ. 51—52.

<sup>133</sup> ფ. არქ. № 34778. მთქმ. ს. იამანიძე, ჩაშწ. თ. ოქროშიძე, სოფ. კურსები. 1951.



ქართული შრომის სიმღერების ხასიათი და ფუნქცია სრულიად საწინააღმდეგოდ გაუგია იმავე საუკუნის ფრანგ მოგზაურს ეან შარდენს. მან მნიშვნელოვანი აღწერა<sup>124</sup> დაგვიტოვა სამეგრელოს ყოფაცხოვრების შესახებ, მაგრამ ფრანგ მოგზაურს ბევრი რამ არასწორად დაუნახავს. მცდარია მისი შეხედულება მეგრელების სიმღერაზე შრომის დროს, მისთვის გაუგებარია ის შინაგანი კონტაქტი, ჰარმონია, რომელიც არსებობს სიმღერასა და შრომას შორის.

საინტერესო ცნობას გვაწვდის XIX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ფრანგი მოგზაური გაშბა, რომელიც დასწრებია რაქის ერთ-ერთ სოფელში მოსავლის აღებას<sup>125</sup>.

ფრიად მნიშვნელოვანია უცხოურ ლიტერატურაში ქართული ხალხური შრომის სიმღერების, კერძოდ ნაღურის შესწავლისა და გაანალიზების ცდა (კ. ბიუხერი).

ნაღში მომუშავეთა რიცხვი შეიძლებოდა დიდი ყოფილიყო, ეს დამოკიდებული იყო მასპინძლის შესაძლებლობაზე. ერთი მტკმელის ცნობით, ნაღში თითო თოხის პირის მეტი არ შეხვდებოდა კაცს, იმდენი ადამიანი მუშაობდა<sup>126</sup>.

ნაღურის აღმწერლის გადმოცემით, ნაღში მუშაობა საპატრიო მოვალეობად ითვლებოდა გურიაში<sup>127</sup>. ხოლო აჭარაში ვაჟის სრულწლოვანება ნაღში დაპატიევით აღინიშნებოდა<sup>128</sup>.

მიწის მუშათა ერთსულოვანი კოლექტივი, საქიროების შემთხვევაში, ავადმყოფობა იქნებოდა ეს თუ რეაქციის ხანაში პოლიტიკური სასჯელი—გადასახლება, უმაჟავად დარჩენილ ოჯახს უნას დაუმუშავებდა<sup>129</sup>. დასაველეთ საქართველოში სიმინდს ორჯერ თოხნიდნენ მარგელისა და მოროდის სახით.

ყანის პატრონი ნაღს უმასპინძლებოდა კარგი სადილ-სამხრითა და ვახშმით, სადილსა და სამხარს ყანაშივე შეეჭეოდნენ ხის ჩრდილის ქვეშ და მცირე დასვენების შემდეგ მუშაობას განაგრძობდნენ.

<sup>124</sup> Путешествие Шардена по Закавказью... 1902. გვ. 24—25.

<sup>125</sup> Chevalier Gamba. Voyage dans la Russie, tome premier, a Paris, 1826. გვ. 287.

<sup>126</sup> თ. არქ. № 34934. მთქმ. ი. ტუკვაძე, ჩამწ. თ. ოქროშიძე, სოფ. ზარათი, 1951.

<sup>127</sup> ა. პ. წულაძე, ეთნოგრაფიული გურია, ეურნ. „მნათობა“, 1939, № 3, გვ. 186.

<sup>128</sup> კ. ნოღაიძე, ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარლების ყოფაცხოვრებიდან, 1935, გვ. 16.

<sup>129</sup> ა. პ. წულაძე, დასახ. წერილი, გვ. 188.

სამუშაოს გათავებისას მუშები „მასპინძლისას მივიდოდნენ ნადური სიმღერით და თოხებით მიადგებოდნენ ეზოში რომელიმე ხეს: ეს ხე უნდა მოექრათ თოხებით, და რაც უფრო დიდ ხეს (ზოგჯერ ვაზიანსაც არ დაინდობდნენ) წააქცევდნენ, მით უფრო სასახელო იყო. ეს იყო უსათუოდ ბატონების მოთხრის დამახასიათებელი მოსაგონარიო“<sup>140</sup>, — ამბობს ნადურის აღმწერელი. ზოგიერთი მკვლევარის აზრით „ხის მოთხრის წეს-ჩვეულება წარმართული კულტის გადმონაშთი უნდა იყოს“<sup>141</sup> და „ეს მშვიდობის, დღეგრძელობის და მტერზე გამარჯვების ნიშნად ითვლებოდა“<sup>142</sup>.

რას გულისხმობენ მკვლევარები ამ წარმართულ კულტში არ ვიცით. თუ ხის კულტზეა ლაპარაკი, მაშინ მისი მოთხრა, განადგურება რატომ უნდა ნიშნავდეს დღეგრძელობასა და გამარჯვებას? ხის კულტი მოითხოვდა წმინდა ხისადმი თავყვანისცემას, სასოებით მოპყრობას, ხელშეუხებლობას: „ფშავის სამლოცველო—ხატების გარშემო მდებარე ტყეები წმინდაა და შეუუვალი, — იქიდან ნაფოტის გამოტანა არ შეიძლება...“<sup>143</sup> — წერს ეთნოგრაფი ვ. ბარდაველიძე. მისივე აღწერით: „წმინდა ცაცხვი რკონში ჭავახიშვილების საგვარეულო სალოცავად ითვლება, როცა მათ გვარში ვინმე ავად განდებოდა, მოდიოდნენ ცაცხვთან და ათვალიერებდნენ მას. თუ ცაცხვს ტოტები ეველა მთელი. აღმოაჩნდებოდა, მაშინ ავადმყოფი მორჩებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სასიკვდილოდ იყო განწირული“<sup>144</sup>.

ხევესურულ ლექსში „შურის ციხე“<sup>145</sup> ალვის ხე წმინდადაა მიჩნეული.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, გურულ ნადურში აღწერილ ხის მოთხრას ან მეგრულ ამგვარსავე ჩვეულებას, წარმართულ ხის კულტთან საერთო არაფერი არ უნდა ჰქონდეს.

მრავალრიცხოვანი კოლექტივისათვის აუცილებელია შეთანხმებული მუშაობა. საჭირო იყო, რომ მომუშავეთა ჯგუფი ერთ მთლიან შედუღებულ ძალად ქცეულიყო. მასის ამგვარ მორგანიზებულ ძალას. მომუშავეთა გამხნეებისა და წახალისების საშუალებას სიმღერა წარმოადგენდა.

<sup>140</sup> იქვე, გვ. 185.

<sup>141</sup> დ. ქანელიძე, დასახ. წიგნი, გვ. 39.

<sup>142</sup> ს. შაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 1941, გვ. 371.

<sup>143</sup> ვ. ბარდაველიძე — ლომია, ხის კულტისათვის საქართველოში, საქ. მეზ. შოაშბე, III, 1927, გვ. 168.

<sup>144</sup> იქვე, გვ. 166.

<sup>145</sup> ა. კ. შანიძე, დასახ. წიგნი, გვ. 222.

ნადური სიმღერები მუხლობრივად სრულდებოდა. არსებობდა დილჟს მუშაობის დაწყების ყანური, შუადღის ანუ სადილობის, სამხრობისა და მუშაობის გათავებისა<sup>146</sup>. ნადურის მუხლობრივი შესრულება დროის საზომიც იყო გლეხებისათვის<sup>147</sup>.

ნადური ლექს-სიმღერები თემატიკის მიხედვით ოთხ ძირითად ჯგუფად იყოფა: საწესჩვეულებო, საგმირო, საყოფაცხოვრებო და სატრფიალო. ამას გარდა ნადურში შედის არქაული ლექსიკისა და მელოდიის შემცველი ტექსტები. ნადურის სახით ჩვენამდე მოუღწევია აგრეთვე ფორმის თვალსაზრისით მნიშვნელოვან უსიტყვო გაბმულ შეძახილებს, რომელიც დამახასიათებელია ლექსის გენეტიკური მდგომარეობისათვის. ასეთია ორი გუნდის მიერ შენაცვლებით შესრულებული გურული ნადური...

### 1. პირველი ნახევარგუნდი

1. ხმა—ჰოა, ოა, იოა, ჰა, ჰოა!
2. ხმა—ო, იო, იო, იო, იო, იო, იო!
3. ხმა—იო, იოიოო, იო, იოიოიო!

მეორე ნახევარგუნდი მცირეოდენი ცვლილებით იმეორებს იგივეს, ბოლოს ორივე გუნდი ერთად წარმოსთქვამს:

1. ხმა—ოილეი, ოდა, ოილეი, ოდა!
2. ხმა—იო, იო, იო, უო, იო, უო!
3. ხმა—იო, იო, იო, იო, იო, იო!<sup>148</sup>

ლეჩხუმურ ნადურში შეძახილებთან ერთად სიტყვაც ჩნდება და ერთმანეთს ენაცვლება შეძახილი და ტექსტი, რომელიც მშრომელებს სამოქმედო გეგმაზე მიუთითებს:

1. გუნდი—ჰოოოე, ოჰოჰო!
2. გუნდი—დოოოე, ოჰო, ოჰო!
1. გუნდი—ვოდელა იო!
2. გუნდი—აგერ წამოღო!
1. გუნდი—ჰოჰოიო!

<sup>146</sup> ა. ჯ. წულაძე, დასახ. წერილი, გვ. 183.

<sup>147</sup> იქვე.

<sup>148</sup> ბიუხერი, დასახ. წიგნი, გვ. 199. ცნობა პროფ. ფ. გოგიაჩაიშვილისა.

2. გუნდი—გალმა წამოდიო!
1. გუნდი—ამოუარეო, ოოო ჰოა, ე ჰეე!
2. გუნდი—ჩუტრიალეო ოპო, ჰო!<sup>149</sup>

ასეთივე არქაულ იერს ატარებს ჩვენ მიერ სოფ. ზარათში (ოკრიბა) ჩაწერილი ნაღური<sup>149</sup>, სადაც უსიტყვო შეძახილებისა და ტექსტის მონაცვლეობა, მარცვალთა საზომის აღრევა (6, 7, 8, 9 და 10 მარცვლოვანი სტრიქონები), ურითობა და რეჩიტატივი ადასტურებს გადმონაშთის სახით უძველესი შესრულების ნაღურის იმერეთში არსებობას.

შრომის პოეზიასთან დაკავშირებულია საწესჩვეულებო პოეზიის ნიმუშები. ასეთი შემთხვევები დიდი რაოდენობით გვხვდება ნაღურში. ზოგიერთი მთქმელი ანსხვავებს კიდევ მას ნაღურის თემატიკისაგან. ლეჩხუმურ ნაღურში მღერიან საწესო ლექსს „მზეო ამოდი, ამოდი“<sup>151</sup>.

ოკრიბულ ნაღურში ხშირად გვხვდება მზის საგალობლები, ზოგი მათგანი იწყება რეფრენით „ავ-დილაე, დილაე“. მსგავსი რეფრენით ჩაწერილი ტექსტები გამოქვეყნებული აქვს ივ. ჭავჭავიძის<sup>152</sup>.

ქართული მიწათმოქმედი საქმიანობას დილისადმი მიმართული იწყებდა. ტექსტში ხშირად იხსენებოდა დროის გარკვეული მონაკვეთი:

ამ დილას ადრე აედეკი, ცუარი ვამცეროეე მცერისაო.  
პირველად ღმერთი ვახსენოთ, ძალი ვადიდოთ ღვთისაო!<sup>153</sup>

ასევე მუშაობის დასასრულზე მიუთითებდა სარიტუალო ხასიათის მზისადმი მიმართული ჰიმნი:

მზე ჩაღმა ჩაეფინება, ჩავა, ჩაქდება ბუღესა,  
ოქროსი კვერცხი დაუღვეს, კუპული მარგალიტისა!<sup>151</sup>

<sup>149</sup> მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, წ. 1, 1938, გვ. 110; მისივე, ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტ., 1956, გვ. 240.

<sup>150</sup> თ. ოქროშიძე, ნაღური ლექს-სიმღერები, ეურნ. ლიტ. ძიებანი, X, 1956, გვ. 350—351.

<sup>151</sup> მ. ჩიქოვანი, ქართ. ფოლკლორი, წ. 1, 1938, გვ. 110.

<sup>152</sup> ივ. ჭავჭავიძისელი, ქართ. მუსიკის ისტ. ძირითადი საკითხები, 1938, გვ. 75, 77.

<sup>153</sup> ფ. არქ. № 34704, მთქმ. დ. იამანიძე, ჩამწ. ე. ლ. ვირსალაძე, 1951.

<sup>154</sup> ფ. არქ. № 34728 მთქმ. პ. მგელაძე, ჩამწ. ე. ლ. ვირსალაძე, სოფ. კურსები, 1951.

მეტად საინტერესოა პ. უმიკაშვილის კრებულში მოთავსებული გურული ნაღური<sup>155</sup>; რომელიც 1871 წელს ჩაუწერია დ. ბარნაბიშვილს. თავისი ხასიათით იგი წარმოადგენს ტიპურ ნაღურს და მოცულობითაც განსხვავდება სხვა კუთხეში ჩაწერილი ტექსტებისაგან. ნაღური იწყება დალოცვით და მტერზე გამარჯვების სურვილებით. დასაწყისში ტექსტი ნელი ტემპით იმღერება, თოხნასთან შეთანხმებით, შემდეგ თანდათანობით ჩქარდება და ლექსის სტროქონზე დართული რეფრენი აჩვენებს შესრულების ტემპის სისწრაფეს. აღნიშნული ნაღურის საწესო ხასიათს ადასტურებს მასში შესული შელოცვის სიტყვიერი მასალა. ანალოგიურია მაგიური ლექსიკისა და განწყობილების შემცველი მეორე გურული „ნაღური საჩივარი“:

აგერ მოვა წყალი შავი, მას მოქონდა გველი შავი  
გავუწვინე ვაშლის ქობი, მოვიტრეე კოდმიდანა<sup>156</sup>.

უმიკაშვილის კრებულში გამოქვეყნებულ ამ ვრცელ ნაღურში გვხვდება ფრაგმენტი ამირანის ციკლიდან, საერთოდ ნაღურ ლექსებში გავრცელებულია საგმირო თემატიკა. მიხ. ჩიქოვანს დადასტურებული აქვს გურიიში ფიქსირებული ამირანიანის ერთი ნაწყვეტი თოხნურ სიმღერად<sup>157</sup>.

შიგნი კახეთის ფოლკლორში მღერაან „თოხნურს“, რომელშიაც ცნობილი ხალხური გმირის შავლეგოს თავგადასავალია მოთხრობილი<sup>158</sup>.

ოკრიბაში, სადაც ნაღურის ძლიერი ტრადიცია იყო, ნაღურის რეპერტუარის ძირითად ფონდში შესულია ხალხური ვეფხისტყაოსნის ფრაგმენტი „აეთანდოლ გადინადირა“.

ნაღურის საყოფაცხოვრებო თემატიკა მოიცავს მიწათმოქმედების ყოველგვარ დაკვირვებას ცხოვრებაზე, ბუნებაზე. აქ ნაჩვენებია ცხოვრებაში მომხდარი სოციალური ძვრები და გარდატეხანი. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ თავადაზნაურთა წოდება იძულებული გახდა მიწათმოქმედებისათვის მიეყო ხელი. პირველ ხანებში თავადაზნაურები თავილობდნენ ამგვარ უჩვეულო საქმეს:

აზნაურობა მიყვარდა, თობი გამოკვარ ახოსა,  
აქეთ-იქით ვიხედები. არაუნ დამინახოსა<sup>159</sup>.

<sup>155</sup> პ. უმიკაშვილი, დასახ. წიგნი. გვ. 320.

<sup>156</sup> ა. პ. წულაძე, დასახ. წერილი. გვ. 189.

<sup>157</sup> მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947, გვ. 348.

<sup>158</sup> ფ. არქ. № 22042. ჩამწ. ლ. კარბელაშვილი, შიგნი კახეთი. 1939.

<sup>159</sup> ს. ლონდაძე, ნიშნულში ქართველთა ერის პოეზიისა დაწერილი საიბა-შიოში, წ. 1, 1892. გვ. 15.

გურულ ნადურში „ხანისი“ ყმობის მძიმე უღელი იუმორისტული ტონებითაა გადმოცემული:

სამი ბატონის ყმა ვიყავ, ხან ის მირტყამდა, ხან ისი,  
სამივე ერთ დღეს მომიკვდა, ხან ის ეიტრე, ხან ისი...<sup>160</sup> და სხვ.

ნადურის მრავალფეროვან თემატიკაში გარკვეული ადგილი უჭირავს ცოცხალ ტყუილს, ამ უკანასკნელს გართობის ფუნქცია ჰქონდა. ამავე ხასიათისაა „გურული ნადური“, „ცუტუნი მელა მოტირის“, „ჩიტსა ეზღევედი მახზაქუნსა“ და სხვ.

ნადური ლექსების დიდი უმრავლესობა საყოფაცხოვრებო მოტივებს შეიცავს. ამგვარ ლექსებში ცოცხლადაა წარმოდგენილი შრომის პროცესი; აღწერილია გარემო, მიმდინარე სამუშაო, დღის ყველა დრო: დილა. შუადღე, საღამო. ნადურის ლექსებში ხშირადაა მითითება გამასპინძლებაზე.

1. ავტანეთ ჩვენ ნაპირი, შევასრულეთ დანაპირი, მოგვიხარშე ძროხის ბეჭი, მასპინძელო ჩალას გვეჩი...<sup>161</sup>.
2. დილას პირი დევიბანე. ვერ ვიშოვე სავარცხალი, ბოშო, სადის დოუჩქარე, ნუ გეგონო გამაძლარი...<sup>162</sup>.
3. შუადღეს გასწორებია, გვერდზე მოგვექა ლანდია თუ რამეს გვაქმევ, გვაქამეთ, თვარამ წვეილა ნადია...<sup>163</sup>.

ნადურ ლექს-სიმღერებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სატრფიალო თემებს. თოხნაში საშღერალ ბევრ ლექსში შრომა და ტრფიალება ორგანულადაა შერწყმული ერთმანეთთან: ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მეგრული ნადური, სადაც მთქმელი მაღალი პოეტური შედარებებით გვიხატავს ქალ-ვაჟს:

შენ ქვევით ერთი ვერხვი დგა, ტოტები ჩრდილო შეყრილი,  
მას ქვეშა შენა ბრძანდები. ოქროს თმა-ჯილა დაყრილი,  
გვერდთ გიდგა ლამაზი ბეჭი, ყურთმაქვებ დონჭმეყრილი...<sup>164</sup>.

აღსანიშნავია, რომ ევქარისტული თემატიკაც<sup>165</sup> არ იყო უცხო ნადურისათვის.

<sup>160</sup> ა. პ. წუ ლ ა ძ ე, დასახ. წერილი, გვ. 189.

<sup>161</sup> იქვე, გვ. 190.

<sup>162</sup> პ. უ მ ი კ ა შ ე ი ლ ი, დასახ. წიგნი, გვ. 327.

<sup>163</sup> ფ. არქ. № 34707. მთქმ. დ. ი ა მ ა ნ ი ძ ე, ჩამწ., ე. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე, სოფ. კურსები, 1951.

<sup>164</sup> პ. უ მ ი კ ა შ ე ი ლ ი, დასახ. წიგნი, გვ. 326.

<sup>165</sup> ფ. არქ. № 34728. მთქმ. პ. მ გ ე ლ ა ძ ე, ჩამწ., ე. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე, სოფ. კურსები, 1951.

შრომაში დახმარებას უძველესი და უძლიერესი ტრადიცია აქვს. საქართველოში. ბუნებრივია, მასთან დაკავშირებული პოეზიაც ისევე უძველესია. ნადი ასახავს საზოგადოებრივ სპეციფიკურ შრომას, რომლის საფუძველია უსასყიდლო დახმარება. ნადის სიმღერა ანუ ნადური სიმღერები დიდი რაოდენობითაა დაცული დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, იმერეთში, გურიაში, რაქა-ლეჩხუმში, სამეგრელოსა და აჭარაში, სადაც დღემდე ძლიერია მისი ტრადიცია.

ნადურში ნათლად ჩანს პოეზიის ისტორიული განვითარების საფეხურები-უსიტყვო წამოძახილებიდან დასრულებული ლექსის ფორმამდე. ნადური ანუ ყანური იმღერებოდა ღომის მარგვლაში, მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან იგი მთლიანად დაუკავშირდა სიმინდის კულტურას.

ნადურ ლექს-სიმღერებში ასახულია ქართველ მიწათმოქმედთა ყოფა-ცხოვრება, სოციალური გარემო. მასთან ორგანულ კავშირშია საწესჩვეულებო, საგმირო და სატრფიალო პოეზიის ნიმუშები. ნადური სიმღერები სრულდება კოლექტიურად. ფორმის მხრივ ნადურისათვის დამახასიათებელია მოკლე რვა მარცვლიანი ლექსები, ხოლო ვრცელი ტექსტი უმთავრესად ფრაგმენტული ხასიათის არის.





## ხ ე ლ ხ ვ ა ვ ე

ნადურთან ერთად დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო ხელხვავის სიმღერები სიმინდის რჩევის დროს.

კომპ. დ. არაყიშვილს ხელხვაეი მიაჩნდა გურულ სიმღერად და წარმოშობით მას სამართლიანად უკავშირებდა წარმართულ დროს: „ვინაიდან შიგ იხსენიება უხილავი და უძლიერესი ძალა, რომლისგანაც დამოკიდებულია მოსავალი. ეს უხილავი ძალა განსახიერებულია წმინდა თევდორეში<sup>106</sup>,—წერს იგი,—რომელიც, როგორც სჩანს ამ სიმღერიდან, მომცემია ბარაქის, შეძლებისა და სხე. ამ სიმღერას ასრულებენ მხოლოდ სიმინდის რჩევის დროს, როდესაც სიმინდს აცლიან ქუჩეჩს“-ო<sup>107</sup>. კომპოზიტორის ამ მოსაზრებაში ერთგვარ წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე. თუ ხელხვაეში დატული რეალიები საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ მისი წარმართული ხანიდან მომდინარეობაზე, მაშინ ხელხვაევის დაკავშირება „მხოლოდ სიმინდის რჩევასთან“ სწორი არ იქნებოდა, ვინაიდან სიმინდი მე-17 საუკუნეზე ადრე არ ყოფილა ჩვენში.

საფიქრებელია, რომ ხელხვაეი ისევე ძველია, როგორც ნადური და წარმოშობითაც იგი ნადურთან ერთად მთელ დასავლეთ საქართველოს ეკუთვნის.

ნ. ლორთქიფანიძის ცნობით, იმერეთში მოსავლის აღებასთან დაკავშირებულია სიტყვა „ხვაეე“<sup>108</sup>. სულხან-საბა ორბელიანის გან-

<sup>106</sup> წმინდა თევდორე ფშაეში საქონლის მფარველადაც ითვლებოდა და იქ მის სახელზე განსაკუთრებული დღეობა იყო დაწესებული.

<sup>107</sup> დ. არაყიშვილი. ქართული მუსიკის გურული შტო. ეურნ. ქართული მწერლობა, 1927, № 10, გვ. 147.

<sup>108</sup> ნ. ლორთქიფანიძე, რჩეული თხზულებანი, ტ. 1, 1950, გვ. 275.



მარტებით. ხვაეი-შეგროვებული მარცვალთა. რამთაც. ვფიქრობთ, იგულისხმება საერთოდ მოსავლის აღება-მოწევა. საინტერესოა, რომ ქართველი ლექსიკოგრაფისათვის ტერმინი „ხელხვაეი“ ცნობილი არ ყოფილა.

ამრიგად, „ხვაე“ ანუ გვიანდელი გამოთქმით „ხელხვაეი—“ საერთოდ მოსავლის აღების სიმღერაა და იგი მხოლოდ სიმინდის კულტურის გავრცელების შემდეგ დაუქავეშრდა სიმინდის რჩევას.

ეგ. ნინოშვილის ცნობითაც, ხელხვაეი „სიმღერაა. რომელსაც გურიის მღერიან ჭირნახულის შენახვის დროს“<sup>169</sup>.

იმერეთში სიმინდს არჩევდნენ ღამით ეზოში, ამ სამუშაოს შესასრულებლად სპეციალურად მოიწვევოდა ნადი, რომელიც უმთავრესად ქალებისაგან შედგებოდა. რიგრიგობით ამზობდნენ ზღაპრებს, ლექსებს, მღეროდნენ ხელხვაეს, მასპინძელი უხვად უმასპინძლებოდა მოსულთ.

ხელხვაეის ტექსტები ჩაწერილია როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. ჩვენთვის ცნობილია ხელხვაეის ათამდე ტექსტი. თემატიკურად იგი შეიცავს წარმართულ-აპოკრიფულ მოტივებსა და საყოფაცხოვრებო დეტალებს.

მელ. კელენჯერიძის ცნობით, „გარხალაო“ ჩვეულებრივი მოსალხენი სიმღერაა სიმინდის რჩევის დროს“. იქ სამღერად ტექსტად მას მოტანილი აქვს აპოკრიფული ლექსი კუნწულელზე“<sup>170</sup>.

საინტერესოა სოფ. გეგუთში (იმერეთი) მთქმელ. ვ. ხოჭავასაგან ჩვენ მიერ ჩაწერილი ხელხვაეც. ცოცხალ ტყუილზე აგებული რექსტის ყოველ სტრიქონს ერთვის რეფრენი „ხელბარაქელაო“, რომელიც იმავე დროს რითმის მაგიერობასაც ასრულებს. ლექსში მოხსენებული „ხელხვაეი“, „ხელბარაქელა“ ან „ხვაერიელი“ აღნიშნავს მოსავლის სიუხვეს, დოვლათს. ლექს-სიმღერა მთავრდება მიქელისა და გაბრიელის ხსენებით:

ხელხვაეია, ხელხვაეა ხელბარაქელაო  
ღმერთო, მომე მელაუში ძალა. მუხლში ძალა, ხელბარაქელაო  
ხელხვაეა. ხელხვაეა ხელბარაქელაო  
კერდღელსა შეშა მოქონდა, ხელბარაქელაო.  
ასი ურეში ერთადო, ხელბარაქელაო,  
ეზოში ვერ ჩამოტია, ხელბარაქელაო.

<sup>169</sup> ე გ ნ. ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტ. II. 1933, გვ. 199.

<sup>170</sup> მ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე. ქართული ქრესტომათია... ტ. I, წ. 1, 1907.

ობე მოტეხა შარისა, ხელბარაქელაო.  
მიქელი და გაბრიელი, ხელბარაქელაო.  
ყანა მოგეცა ხევერიელი, ხელბარაქელაო<sup>171</sup>.

გურიაში სიმინდის რჩევის დროს მღერიან აგრეთვე ხელხვავს, სადაც საუბარია ქრისტიანული ეკლესიის მთავარი ანგელოზების მიქელისა და გაბრიელის მიერ კალოს გახვეაერელებზე, იქ წმინდა გიორგიც ხელს უწყობს კალოს ხვავს:

მიქელა და გაბრიელა, კალო გაგვიხვეარიელა.  
წმინდა გიორგი მობრძანდა, ჩვენს კალოზე დაბრძანდება<sup>172</sup>.

კალოს ხსენება ლექსში შეიძლება იმითაც აიხსნებოდეს, რომ ხშირად კალოზე არჩევდნენ სიმინდს. ამაზე მიგვითითებს აქარულ მოტივზე ნათქვამი გურული „კალო-ხელხვავი“, რომლის 1 და მე-2 სტრიქონები ხელხვავის ტრადიციულ სტრიქონებს წარმოადგენს, ხოლო მე-3, 4, 5 და 6 სტრიქონები შეიცავს დალოცვას, სადაც იხსენიება ღობის და არა სიმინდის მოსაეღოთ ბელლის ავსება. ეს ტექსტიც ერთხელ კიდევ ადასტურებს ხელხვავის სიმღერების საერთოდ მოსაეღის აღებასთან კავშირს:

მიქელამ და გაბრიელამ კალო გაგვიხვეარიელა.  
შვიდი ვაფიშვილი მოგეცა, პირზე ქონდეს ბაღანო,  
ბელელი ღობით გაგვიყოს, შავი ლეინით შარანო<sup>173</sup>.

სიმინდის რჩევა კალოზე გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოშიც. შ. მღვიმელის ლექსის გახალსურებულ ვარიანტში ნათქვამია:

სიმინდს ვარჩევთ კალოზედა.  
ბიკო, უნდა დაგვეხმარო<sup>174</sup>.

ან. ერისთავ-ხოშტარისა რომანში ფიქსირებულ ხელხვავში აღწერილია აღმოსავლეთ საქართველოში სიმინდის სპეციფიკური მოვლა, მისი მორწყვა. მწერალს დასურათებული აქვს შრომის პროცესი. გარემო, მშრომელთა განწყობილება. სიმღერის ტექსტში „გარჩევ და გარჩევ სიმინდო“, წარმოდგენილია სოციალური ჩაგვრით დაბეჩავებული გლეხის ბიკი<sup>175</sup>.

171 საკუთარი მასალებიდან.

172 საკუთარი მასალებიდან

173 ლექსი მოგვაწოდა დოც. ს. ტ. სახაროვმა.

174 ქს. სიხარულიძე, საბავშვო ფილკლორი, 1938, გვ. 47.

175 ან. ერისთავ-ხოშტარისა, მოლიულ გზაზე, 1938, გვ. 145.

სანადო სამუშაოებს ამთავრებს მოსაელის აღებ-დაბინავება, ამ-  
ტომ ნადურ სიმღერებთან თემატურად ახლო დგას ხელხვავის სიმღე-  
რები, რომლის უძველესი ტრადიცია, ნადურთან ერთად, დასავლეთ  
საქართველოს ეკუთვნის.





# სამკაღ

1 შრომის პოეზიის მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს სამკალი ლექს-სიმღერები. მკაში დახმარება განსაკუთრებით გავრცელებული იყო აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. 16. ბერძენოვის ცნობით, აღმოსავლეთ საქართველოში ჭირაობდნენ ოს ან იმერელ მუშებს, რომლებიც ამ მიზნით ჭგუფ-ჭგუფად დადიოდნენ სოფლიდან სოფელში... მებატონეებს ჭირის მუშა არ სჭირდებოდათ, ისინი იზომოდნენ თავიანთ გლეხებს და რამდენიმე ასეული კაცისაგან შემდგარი ასეთი მამითადი, ერთი ძლიერი მომკელის მეთაურობით. შეესეოდა პურის ყანას. მეთაური მკის დაწყების ნიშანს „ოპუნას“ ძახილით იძლეოდა; ერთი წუთის შემდეგ იგი ყველაზე წინ მიიშვიდა. დანარჩენი მომკელები შეძახილითა და ნამგლის ტრიალით მისდევდნენ მეთაურს, მარჯვნივ და მარცხნივ ისროდნენ ხელუტრებს; ცდილობდნენ არ ჩამორჩენოდნენ მას. ბერძენოვი ხაზს უსვამს პურის მკაში ნათქვამ ლექს-სიმღერების თემატიკასა და ჩვეულებას, რაც თან ახლდა სამუშაოს შესრულებას: თუ ვინმე საპატიო პირი გაივლიდა ამ დროს გზად, მუშები მას ესალმებოდნენ ჭვრის მსგავსად შეკრული თავთავის კონებით. გამვლელს უნდა დაესაჩუქრებინა მუშა. თუ ამას არ გააკეთებდა, მომკელები შაირით დასცინებდნენ მას. საღამოს მომკელნი მღეროდნენ შემდეგ ლექსს: „Вот уж вечер, ударили сумерки, — едва мелькает серп мой; пойду и отдохну там, где почивает милая моя“...<sup>176</sup>

გასული საუკუნის 50-იან წლებში ბერძენოვისაგან მოხსენებული სამკალი სიმღერის ქართული შესატყვისი ჩვენ ხელთ არა გვაქვს.

<sup>176</sup> Н. Берзенов, Очерки деревенских нравов Грузии, „Кавказ“, 1854, № 71; Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. 1, кн. 11, 1871, гл. 177-78.

საინტერესოა ალ. ჭამბაკურ-ორბელიანის მიერ დასახელებული შკის სიმღერები: „დილაზე ადრე წამოველ ჩემ მხრის, ჩემის ბარის სოფლისაყენ, სადაც გახშირებული იყო ყანების მკა და ქართველი გლეხებისაგან სიხარული დიდი მკის სიმღერებით“<sup>177</sup>. დ. მაჩაბელი სხვა სიმღერათა შორის ასახელებს „მუშურსა და ჰეჰუმას“<sup>178</sup>. როგორც ჩანს, „მუშური“ და „ჰეჰუმა“, სხვადასხვა შრომის დროს ითქმობდა. პირველი ალბად ნაღურს გულისხმობს, მეორე კი ამავე სახელწოდებით დღესაც სამკალი სიმღერაა.

/ზემო იმერეთში ნ. წერეთლის გადმოცემით: „მკის დროს იციან ძახილი „ჰეკ! ჰოკ! ჰეკა! ჰოკა! ჰეკ! ჰოკ! ჰეკა! ჰოკა! ყველა ერთხმად იძახის ხოლმე და თან მკიან“<sup>179</sup>/

პურის სამკელად მოწვეული მუშები, ანუ მამითადი, ფ. გოგიჩაიშვილის აღწერით, კვლებისდა მიხედვით ნაწილდებოდნენ. შუაში ჩაუდგებოდა მეთაური. რომელიც საუკეთესო მომკელად ითვლებოდა. იგი სიმღერის წამოწყებით ნიშანს იძლეოდა „ჰოოპ!“ დანარჩენებზე იმეორებდნენ „ჰოოპ!“ შემდეგ მეთაური იმღერებდა ლექსს: „შენ ბიკო აზამბურელო!“ დანარჩენები იმეორებდნენ, შემდეგ ისევ მეთაური იტყოდა: „ჰოოპ, ჰოოპ!“ ამ სიტყვას გაიმეორებდნენ ოთხჯერ. ყოველ „ჰოოპ!“-ის თქმისას მომკელი ნამგალს მოიჭნევედა და მარცხენა ხელს მოხვევდა მოჭრილი პურის ლეროებს; როცა ხელეური ხელში ადარ დაეტეოდა, მიწაზე დააწყობდა და კვალდაკვალ მომღვინი მუშა-მეძნეური შეკრავდა მას კონებად<sup>180</sup>.

/ მკაში სანაცვლოდ შველა ქირით თუ მუშის შეყრა ანუ ნადი იციან ხევსურეთში<sup>181</sup> ფშავში ნადს წინ მიუძღვის მესვეური/და როცა მკას მორჩებიან, მესვეური ასე დაილოცება: „მიხვი მოუხვი, არისა, ბარისა. მთისა ბარისა. ხანზე მომკილო, ხანზედაც გაილეწები, გოდრად ჩადი, ძველად გადი, მოხმარდი პატრონს ვაჟების ქორწილში, ქალების დათხოვებაში, ბებრების დამარხვაში, ნუ გამოუღუეთ თონეში კუტებს და საპურეში პურსაო“, მუშები დაიძახებენ, გაუმარჯოს!<sup>182</sup> და სხვ.

<sup>177</sup> ალ. ჭამბაკურ-ორბელიანი, ივერანელების გალობა, სიმღერა და ლილინი... ცისკარი, 1861, № 1, გვ. 157.

<sup>178</sup> დ. მაჩაბელი, ქართულთა ზნეობა, ცისკარი, 1864, V, გვ. 55.

<sup>179</sup> ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები. 1938, გვ. 73.

<sup>180</sup> კ. ბიუხერი, დასახ. წიგნი, გვ. 203.

<sup>181</sup> ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1935, გვ. 61—62.

<sup>182</sup> ს. მაკალათია, ფშავი, 1934, გვ. 36—37.

1 საინგილოში სამკალის ნაღში ხშირად ჰოოპუნსაც დააგუგუნებენ ხოლმე<sup>183</sup>./

მ. ჩიქოვანის ცნობით, იყალთოში მკის დროს მუშურ სიმღერებს მღერაინ და გამარჯვებული მკელი ჭილდოდ მიღებული ღორის თავს მთელი დღე ქამარზე დაკიდებულს ატარებს<sup>184</sup>.

ო. ქავექავაძეს ჩაუწერია ამბავად გაგონილი ერეკლე II-ს შესახებ. როცა თავისი ამალით ქალაქიდან კახეთს გამგზავრებული მეფე საგარეჯოს ბოლოებზე მიბრძანებულა, „დაუნახავს რომ ერთს ყანაში დიდძალი მუშა დგას და მკის. იკითხა—ეს ამოდენა მუშა ვისიაო. შოახსენეს—აქ საგარეჯოში ერთი შეძლებული გლეხია და იმისი მამითადიაო“<sup>185</sup>.

ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში მრავალგზის არის აღწერილი მკის პროცესი/ზუსტად, თავისი დეტალებით გადმოგვცემს ს. მგალობლიშვილი მკის ორგანიზაციასა და საზეიმო ხასიათს<sup>186</sup>. გ. ერისთავი მკასთან დაკავშირებით გვიჩვენებს ფეოდალური წოდების რღვევას. ძველი მდიდარი ოჯახის დაშლის შედეგად, თავადებს საშუალება აღარ ექნებათ კარავი დასცენ მკაში და სათვალსეიროდ უცქირონ გლეხების მუშაობას, მწერალი იქვე ასახელებს მისი დროის განთქმულ მომკელებს<sup>187</sup>. ასევე/განთქმულ მომკელ თაბაგარს იხსენიებს აკაკი წერეთელი ლექსში „სიმღერა მკის დროს“<sup>188</sup>. რ. ერისთავი აგვიწერს მეთაურის როლს პურის მკაში, სამკალ სიმღერებსა და მშრომელთა შეჯიბრს, ხაზს უსვამს შრომისა და სიმღერის იდენტობას<sup>189</sup>. მოძალებული სამკალი სამუშაოებისათვის/მამითადის მოწვევის საშუადისზე მიგვიითითებს ვაჟა-ფშაველა<sup>190</sup>. ეურნალ „მოამბეში“ დაბეჭდილია რ. ფავლენიშვილის მოთხრობა. ამ მოთხრობისათვის ავტორს სახელგანთქმული მომკელის—გიორგი ქილეხსაშვილის სა-

<sup>183</sup> მ. ჯანაშვილი, საინგილო. ძველი საქართველო, ტ. II, გვ. 107—8.

<sup>184</sup> ფ. არქ. № 17990. შტჰმ. შ. მაკაროვი, ჩაშწ. მ. ჩიქოვანი, სოკ. იყალთო, 1938.

<sup>185</sup> ი. ქავექავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937, გვ. 422.

<sup>186</sup> ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938, გვ. 8—9.

<sup>187</sup> გ. ერისთავი, პიესები, 1950, გვ. 137.

<sup>188</sup> აკ. წერეთელი, ლექსები, ტ. I, 1950, გვ. 126—127.

<sup>189</sup> რ. ერისთავი, ლექსები, ტ. I, 1935, გვ. 119—125.

<sup>190</sup> ვაჟაფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, 1937, გვ. 75.

ხელი დაურქმევია<sup>101</sup>. ასევე გადმოგვცემენ მელანია<sup>102</sup> და ეკ. გაბა-  
შვილი ნადის მუშაობას პურის მკაში, რომელსაც მწერალი ქალი „სამ-  
კალ ლხინს“ უწოდებს<sup>103</sup>.

სამკალი სიმღერები აერთიანებდა მომუშავეთა მრავალრიცხოვან  
ჯგუფს საერთო რიტმისა და ტაქტის საშუალებით მუშაობა იწყება  
ნელი ტემპით, ითანხმებს მომუშავეთა მოძრაობას, შემდეგ ხელის  
სისწრაფე თანდათან მატულობს, მოძრაობაც ჩქარი ხდება და ბოლოს  
შპრომელთა კოლექტივის მოქმედების ტემპი კულმინაციას აღწევს.  
სამკალ სიმღერებს განსაკუთრებულად გამოკვეთილი რიტმი ახასია-  
თებს.

საინტერესოა მკის სიმღერებზე დ. არაყიშვილის აზრი: „გუნდური  
ერთხმიან სიმღერებს არაეინ მღერის,—წერს კომპოზიტორი, — ამ-  
გვარი ფორმის წარმოდგენაც ძნელია. მხოლოდ ერთხელ წავაწყდი  
ასეთ შემთხვევას, ეს იყო სამკალი სიმღერა „ოპუნა“. იგი იწყება  
ცალკეული შეძახილით, რომელიც შემდეგ ერთდება და ყველანი ერ-  
თად მღერიან სინკოპებით უნისონურად. სიმღერა ხალისიანი და ჩქა-  
რია. მასში ასახულია მომკელთა შეჯიბრი, ხოლო მუშაობის დროს  
ჩამორჩენა არ შეიძლება. ჩქარ რიტმიანი სიმღერის უნისონური მი-  
ტივი აჩქარებს, უბიძგებს შპრომელებს და აიძულებს მათ უფრო  
სწრაფი ტემპით იმუშაონ. ამნაირი ერთხმიანი გუნდური შესრულე-  
ბის სხვა შემთხვევა ჩვენ არ ვიცით“<sup>104</sup>.

პურის მკა საომარ პროცესს წააგავს, თავისი მეთაურებით.  
ქვეგანყოფილებითა და სამოქმედო გეგმით. ხალხური გამოცანა პუ-  
რის მკაზე სწორედ ბრძოლის ველს წარმოგვიდგენს:

თემ-თემად მოდის ლაშქარი, მოვა და მოიქცევისა.  
ურა უწყალოდ დაქრილი, სისხლი არ დაიქცევისა.  
ღმერთმა ეს მოგვცა საზრდელად, თუ კაცო მოიქცევისა.

სამკალი ლექს-სიმღერები შრომის პროცესის მიხედვით ოთხ  
ჯგუფად იყოფა: 1. სამკალი, 2. ნამგლის ლესვისა, 3. მეძნეური და  
4. პურის ლეწვისა ანუ კალოური, რომელიც სამკალი სამუშაოების  
დამამთავრებელ რკალს წარმოადგენს. თემატიკურად სამკალი ლექს-  
სიმღერები შეიცავს: 1. საყოფაცხოვრებო, 2. საგმიროსა და 3. სატრ-  
ფიალო შინაარსის ნიმუშებს. /

<sup>101</sup> „მოამბე“, 1896, IV, გვ. 35.

<sup>102</sup> მელანია, ბნელი, მოთხრობა, 1951, გვ. 162.

<sup>103</sup> ეკ. გაბაშვილი, მოთხრობები, 1939, გვ. 174.

<sup>104</sup> Д. А р а к и ш в и я н, Обзор народной песни восточной Грузии  
1948, გვ. 16.

სამკალი სამუშაოების დასაწყისის აჩვენებს ლექსი, სადაც მითითებულია წელიწადის გარკვეული დრო და სამეურნეო იარაღები:

ოვანობასა ცელი მანასა,  
ნამგალი შუას ყანასა<sup>196</sup>.

ამგვარი ლექსები მშრომელებს ყანისაყენ მოუწოდებს:

მოდით ბიჭებო ყანაში, მოვედნეთ სიხარულითა,  
ჰეკა, ჰოკით მივესიუნეთ, ყანა ავიღოთ გულითა,  
ჰეკა-ჰოკა, ყანა მოვშაოთ<sup>197</sup>.

მკის ციკლიდან დამოუკიდებელ ლექსადაა გავრცელებული „თვეების გაბაასების“ ოთხი სტრიქონი—„ეს მკათათვე მობრძანდება“.

სამკალი ლექსების მიხედვით შეიძლება გავითვალისწინოთ შრომის მთელი პროცესი. დავიწყებული არაა ვარიანელი მკედელიც კი, რომელმაც ისე შეკრა ნამგალი, რომ თავისთავად „ყანას მიურბის მას წვერი“<sup>197</sup>.

მომკელები სერელის გატანასა და სახელის მოხვეჭაზე მღერიან, მკაში წინ წასულს აქეზებენ, დევს ადარებენ ღონით. სამკალი ლექსის კეთილზმოვანება და რიტმი ასახავს სამკალის შრომის ტემპს:

გაქო-გაქო, როგორ გაქო, თეთრი დევის ღონე გაქო!  
შუბლზედ ნაკვერცხი ქოჩოჩო, თვალი შეეარდენი გაქო,  
ოში შეხვალ და გამოხვალ, გულში ფიქრი არა გაქო<sup>198</sup>.

ვარიანტში უყანასკნელი ორი სტრიქონი ასეთ სხვაობას იძლევა:

ოში შეხვალ ხმალს მოიქნევე,  
ბუმბულით გამოგაქო,  
შენი ნახოცი ლეკებო, ახალციხეს ჩამოაქო<sup>199</sup>.

მკა შედარებულია ომთან. ორსტრიქონიან ლექსში ნათქვამია:

ყანას უნდა ბაგი-ბუგი  
ომი გადასაეალია<sup>200</sup>.

<sup>196</sup> პ. უ მ ი კ ა შ ე ი ლ ი, დასახ. წიგნი, გვ. 333.

<sup>198</sup> მოგვაწოდა პროფ. შიხ. ჩიქოვანიშა

<sup>197</sup> ხალხ. სიტყვ., წ. 1, ექვთ. თაყაიშვილის რედაქტ. გვ. 277.

<sup>198</sup> იქვე, გვ. 275.

<sup>199</sup> პ. უ მ ი კ ა შ ე ი ლ ი, დასახ. წიგნი, გვ. 332.

<sup>200</sup> ფ. არქ. № 31918. მთქმ. გ. მ რ ე ლ ა შ ე ი ლ ი, ჩაბჭ. მ. ჩიქოვანი, სოფ. იყალთო, 1948.



სამკალი ლექს-სიმღერების რეპერტუარში შესულია ფრაგმენტები ხალხური „ვეფხისტყაოსნიდან“ და „ამირანიანიდან“, აქვე გვხვდება გმირი როსტომის სახელიც.

თავდადება და გმირობა შრომის ლექსებშიაც იჩინა თავი, სამკალ სიმღერებში გმირობა და ტრფიალება განუყოფელია ერთმანეთისაგან/ ფართოდ გავრცელებულია აზამბურელი მომკელის რომანტიკული თავგადასავალი. ჩამწერის შენიშვნით: „თავადის შვილს კახეთში ჰყოლია კარგი ქალი. ქალი კარგი მომკალისათვის უნდა მიეთხოვებია. ართანელ მომკალთან აზამბურელიც მოუპატიუნიათ. მოუშვია დიდი მინდორი და რამდენიმე კონა ფიჩხიც მოუშვია, გასკირებია და მომკედარა კიდევ:

—აზამბურელი მომკალი, ქალმა შენ მოკალ იამა.

—არცა შე მოკალ, არც შენა, მინდორმა მოკლა ტილმაა!.

ეს ლექსი უფრო სრულადაა წარმოდგენილი 12 სტრიქონიან ჩანაწერში<sup>202</sup>. აქ „აზამბურელისა“ და „უთარელის“ ნაცვლად „უზანდარელი“ და „უთანელაი“ იხსენიება. აზამბურელი და უთარი ადგილების სახელწოდებაა აღმოსავლეთ საქართველოში. ამიტომ, ჩვენი აზრით, სადაურობის აღმნიშვნელი აზამბურელი და უთარელი ზემომოტანილი ლექსის პირვანდებლობასაც ადასტურებს და მამასადამე, ძირითადი ტექსტიც ეს უნდა იყოს.

1873 წელს ჩაწერილი ვარიანტი ასეთია:

ობლისა დედა ჩიოდა, შვილი მომიკლა მზემარ,

—არცა შე მოკალ, არც შენა, მინდორმა მოკლა გრძელმაოა!.

სხვა ვარიანტებში ლაპარაკია „ანაგურელზე“ ან „ანაგურელზე“.

სამკალი ლექს-სიმღერები ქარბად შეიცავს სატრფიალო მოტივებს. კამგვარი სატრფიალო მოტივი სამკალში ტრადიციულად მოქმდინარეობს. საქართველოს მთიანეთში, კერძოდ ფშავსა და ხევსურეთში ეთნოგრაფ ს. მაკალათიას ცნობით, წაწლობა იციან მკაში, მუშაში<sup>204</sup>.

<sup>201</sup> ი. ვ. ხორნაული, ფშავ-ხევსურული პოეზია, 1949, გვ. 168.

<sup>202</sup> თ. ბეგიაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 38.

<sup>203</sup> პ. უშიკაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 596.

<sup>204</sup> ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1935, გვ. 170.

ეროტიკაში გადასული ტრფილია გამონატული ლექსში:

ჰეკა ოკა ბიჰეზო,  
მშენიერი ჟერანო, სად გადიხარ ველზედა,  
ახლო მოდი კობტა გოგო, ჩაგვერბისო ყელზედა<sup>205</sup>.

ამგვარ მოტივებს შეიცავს: „ძირში მოუსვი ნამგალი“, „ბიჰეები მკიან ყანასა“, „ხოხბის საყულო ვიპოვნე“, „აგერ უნდა ვაუიკაცმა“, „მუხრანელმა გოგომ მითხრა“, „ყანაში უნდა ნამგალი“ და მრავალი სხვ./სამკალ ლექსებში ჰარზად გვხვდება პარალელიზმი, სამეურნეო იარაღებისა და სატრფოს შედარება: ნამგალი და გოგო, თავთავისა და ცრემლების დაცვენა, ხოხობი ან ხოხბის საყულო ქალის სიმბოლოდ და სხვა მრავალი.

სამკალი ლექს-სიმღერის „იერუსალიმს მიმავალი“ ადრინდელი ჩანაწერი ეკუთვნის ი. ბატონიშვილს, რომელსაც იგი კალმასობაში შეუტანია. ლექსს თან ერთვის ცნობა მისი ფუნქციის შესახებ:

იერუსალიმს მიმავალი ეუბნება ბერი ბერსა:  
ჩემი სულის ცხონება, არას ეყვის გერი გერსა,  
ქალო აღი მაგა ხესა, ჩამოყარე ბროწეულო,  
ერთი მეცა ჩამომიგდე, შენგან უფრო მოწეული-  
ეპ, ოპ!<sup>206</sup>.

.. ლექსი მთლიანად სახით ახალ ჩანაწერებში არ გვხვდება. პ. უში-კაშვილისა და ექვთ. თაყაიშვილის კრებულებში ცალ-ცალკე ნახევარ ტაეპებთანა დაბეჭდილი.

/ მკის ლექსებში ასახულია სოციალური ჩაგვრა / გლეხის ოფლით მოწეული ჰირნახული ბატონს მიჰქონდა:

ორშათათსა პერი მოვმე, სამშათათსა მოვიტანე,  
ოთხშათათს კალო გავლენე, ხუთშათათს გავანიავე,  
პარასკევსა მეოთხედი, უნებურად ცალკე ვჰარე  
შათათს ბატონმა წაიღო, მიწა ისევ მივიბარე<sup>207</sup>.

მოსამკელად დარჩენილ პატარა ადგილს „კუდი“ ეწოდებოდა, ხოლო ჩამორჩენილ მომკალს „მეკუდურე“, თუ ამ უკანასკნელს დახმარება ესაკიროებოდა, მაშინ იმღერებდნენ შემდეგ ლექსს:

მიდი, მიუხე კუდსაო, ბატონი გზურამს ქუდსაო,  
მოგვემს და ისევ წაგართმევს, ნუ შაგაკლდება გულსაო<sup>208</sup>.

<sup>205</sup> ფ. არქ. № 31853. მთქმ. გ. მ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ჩამწ. მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ო. სოფ. იყალთო, 1949.

<sup>206</sup> ი. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. წიგნი, გვ. 295.

<sup>207</sup> „ივერია“ 1885, VII, გვ. 93.

<sup>208</sup> პ. უ შ ი კ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. წიგნი, გვ. 333.

სამკალ სიმღერებში კარგად ჩანს მშრომელთა სოლიდარობა/ გამარჯვებული უნდა მიხმარებოდა მკაში ჩამორჩენილს—„მეკუდუ-რეს“:

აჲ კუდი დარჩენილა, მოდი წინ წაყაყუნოთ.  
ღარიბ კაცს მივეხმაროთ, თუხუე წამოვაყუნოთ<sup>209</sup>.

ლექსში „საბრალო დედაბერი“ გადმოცემულია ადამიანთა სამე-ურნეო საქმიანობა: მკა, ძნის შეკერა ულოთი, კევრით კალოს ლეწვა, ხორბლის განიაეება, ორმოში ჩაყრა და სხვ./ამ ნაწარმოებში დიდი ოსტატობით არის წარმოდგენილი რეალური და ფანტასტიკური სამ-ყარო. ფრინველები და ცხოველები, მღევეები და ჭინკები—რეალის-ტურ გარემოში არიან მოქცეული და ადამიანის ნება-სურვილს ას-რულებენ.

ლექსის „საბრალო დედაბერი“, მკის დროს შესრულების შესა-ხებ ცნობა არა გვაქვს. იგი ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენ-ნადაც მასში გადმოცემულია შრომის სახეებთან დაკავშირებული მოქმედება და ტერმინოლოგია.

მამითადის სიმღერებში სადილის მოახლოვებისას ღვინის ხსენე-ბა იწყება. მუშები მასპინძელს გადაკრული სიტყვებით მიმართავენ:

ვენახის განაპირასა, ჩაურიგებენ მანასა.  
ერც ღვინოს დაგვაღვიინებს, იმას მოუშკით ყანასა<sup>210</sup>.

ან:  
შენ ღვინო დამალევინე, ყანაც მოშკილი გეგონოს.  
თუ კი წყალს დამალევიინებ, ნულარე მოშკილი გეგონოს<sup>211</sup>.

ყანის სამუშაოების დასრულებისას ლექსში ისმის უკანასკნელა გამხმნევეების შეძახილი:

ჲ, გამოკა ყანასა, მერჲე ამისთანასა,  
საღამოზე შინ მივიღეთ. ლხინი ენახოთ. თამაშა<sup>212</sup>.

ს.ა.ფ. ქემერთში ჩაწერილ ლექსს „სამი ქალი თივას თიბდა“, მთქმელის შენიშვნით, „მღეროდნენ ყანიდან დაბრუნებისას, გზაზე

<sup>209</sup> ფ. არქ. № 1799 ა, მთქმ. შ. მ ა კ ა რ ო ვ ი, ჩამწ. მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, სოფ. იყალთო, 1938.

<sup>210</sup> ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. წიგნი, გვ. 173.

<sup>211</sup> იქვე, გვ. 174.

<sup>212</sup> ფ. არქ. № 31917. მთქმ. ვ. მ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ჩამწ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, სოფ. იყალთო, 1948.

ფერხულს რომ გააბამდნენ“. ჩამწერის ელ. ვირსალაძის ცნობით, ლექსს „ასრულებს მთელი გუნდი ფერხულის დროს“<sup>213</sup>.

სამკალი ლექს-სიმღერები მუხლობრივად სრულდებოდა/ ყოველი სვრელის შემდეგ მუშები ნამგლებს ლესავდნენ. ნამგლის ლესვის დროს სამკალისგან განსაკუთრებულ ლექსებს მღეროდნენ. შინაარსთან ერთად აქ რიტმიც იცვლებოდა და მუშებს მცირეოდენი შესვენების საშუალება ეძლეოდათ. ფ. გოგიჩაიშვილის მიწოდებული ცნობის თანახმად მკაში „როცა ნამგლები დაჩლუნგდება, ისვენებენ. ყველანი ამოიღებენ სალესავ ქვებს და განსხვავებული სიმღერების ტაქტზე ლესავენ ნამგლებს“<sup>214</sup>.

ქვემომოტანილი ნამგლური ლესვის დაწყების ნიშანია:

ნამგალსა პირი აუწყე, ფხს მალაოკე ყანაო,  
გაფინე ზელეურები ბოკო, შე ჩემალალოო<sup>215</sup>.

ნამგლური ლექს-სიმღერები დიდი რაოდენობით მოგვეპოვება თუმცა იგი უმთავრესად ორიოდ ძირითადი ტექსტის ვარიანტულ სხვაობას წარმოადგენს. ელ. ვირსალაძის მიერ სოფ. ქემერთში ჩაწერილი ყველაზე სრული ტექსტი<sup>216</sup> ნამგლურის სხვა გავრცელებულ ვარიანტებსაც შეიცავს.

ლექსში ლაპარაკია ქასურით ნამგლების ლესვაზე, გამარჯვებულის ქილდოზე, ცოლის სიავეზე, მტრის უკუგდებაზე და სხვ. მთქმელის შენიშვნით, ამას მღეროდნენ, როცა ნამგლების სალესავათ დასხდებოდნენ ყანაში. ლექსში ყოველ სტრიქონს რეფრენის სახით ერთ-ერთი: „ნამგალო ჩემო რკინაე!“

აქვე ლექს-სიმღერაში მოცემულია მუშაობის გეგმა.

ამრიგად, ნამგლურს სიუჟეტურად ერთი მთლიანი ტექსტი არ გააჩნია, იგი შედგება ცალკეულ მოკლე ლექსთაგან, რომელსაც ერთმანეთთან აკავშირებს თვითონ შრომის პროცესი./

---

<sup>213</sup> ფ. არქ. № 32727. მთქმ. ს. კასრაძე, ჩამწ. ელ. ვირსალაძე, სოფ. ძარწემი, 1949.

<sup>214</sup> კ. ბიუხეი, დასახ. წიგნი, გვ. 203.

<sup>215</sup> ფ. არქ. № 17390. მთქმ. თ. ქანყარაშვილი, ჩამწ. ვ. პეტრიძე-შვილი, სოფ. მელაანი, 1939.

<sup>216</sup> ფ. არქ. № 32726. მთქმ. ს. კასრაძე, ჩამწ. ელ. ვირსალაძე, სოფ. ძარწემი, 1949.

ოკრიბაში ჩაწერილ ნამგლურში ერთმანეთს აჭიბრებენ სამეურ-  
ნეო იარაღებს:

ჩემი ნამგალი ბზინავსო,  
შენსა ნამგალსა ძინავსო<sup>217</sup>.

მომკელი როგორც სულიერ არსებას ისე ესაუბრება ნამგალს.

ჩემო ნამგალო, რკინაოგასკერ, გამძებ წინაო,  
ჩადა ხარ დაღონებული, მაგრე რამ მოგაწყინაო,  
დღე ვიმუშაოთ შინდორში, ღამე წავიდეთ შინაო<sup>218</sup>.

მცირეოდენი ტექსტითა და სამკალი შეძახილებით საცხე მკის  
სიმღერას წარმოადგენს ქვემომოტანილი ნიმუში:

ნამგალო, ჩემო რკინაო, გასკერ, გამძებ წინაო!  
ქე, ჰოა ქე! ჰოა! ეკა, ოკა. ეკა. ოკა!  
აეხე, აეხე, აეხე. აეხე! ბიკო. ჩემი მკაცა ნახე!  
ქეეპუნა, ჰოოპუნა, ეკა, ოკა! ეკა, ოკა!<sup>219</sup>.

საინტერესოა ი. კარგარეთელის ცნობა ნამგლის ლესვის სიმღე-  
რების შესახებ: „ამ კილოს ქართლში ორნაირათ ხმარობდნენ, ნამგ-  
ლების ლესვის დროს და ფერხულის ჩაბმის დროს,—წერს იგი,—  
ფერხულში ამ კილოს სიმღერის დროს სხვა საუცხოვო ჩვეულება  
არის ჩვენ ხალხში. ერთი კაცი, ამორჩეული, შევა შუა წრეში და ვი-  
თომც დათვია, ამორჩევს მეორეს ვისმეს, ვითომც საცოლეთ. გაუხ-  
დება ამორჩეული ავათ, უვლის, აქმევს, ჩოხას ხურავს, ხან ჩხუბი  
მოუვით და სხვა ამნაირათ ხალხს აცინებს“<sup>220</sup>. ერთ-ერთი მთიულის  
ცნობითაც, დასტურდება შრომისა და ფერხულის შერწყმა: „მკას რა  
მორჩებიან, შინ წამოსვლისას ფერხისას დააბამენ, მაშინ მღერიან  
„მუშის“ ლექსებსაც“. აქ საქმე უნდა გვქონდეს შრომისა და საწეს-  
ჩვეულებო პოეზიის ადრინდელი კავშირის გამოვლენასთან.

ი. კარგარეთელის მიერ მოტანილი ნამგლური წარმოადგენს ტრადი-  
ციული ნამგლურის მოკლე ვარიანტს, მას მისდევს ტექსტი, რომ-

<sup>217</sup> ფ. არქ. № 34644. მთქმ. პ. მ გ ე ლ ა ძ ე, ჩამწ. ელ. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე,  
სოფ. კურსები, 1951.

<sup>218</sup> ფ. არქ. 31417. მთქმ. გ. ჩ ი ტ ო შ ვ ი ლ ი, ჩამწ. მ. ჩ ი ქ ო ე ა ნ ი. სოფ.  
ზემოხალწანი, 1948.

<sup>219</sup> აკაციის კრებული, 1899, X, II, გვ. 35.

<sup>220</sup> ი. კ ა რ გ ა რ ე თ ე ლ ი, სახ. სიმღერები ნოტებზე გადაღებული,  
1899, გვ. 72.

ლის პირველი სტრიქონი მიუთითებს მკის დასასრულზე და ფერხუ-  
ლის დასაწყისზე:

ჰე, ახლა კი შემოეუაროთ, ჰარი ალაღო,  
დათო, დათო, ჩემო დათო, ჩემო დათუნაო!  
დათვი ხეზედ როგორ გავა, ჰარი ალაღო,  
ტოტს მოიწვეს, ისე გავა, ჰარი ალაღო!<sup>211</sup>.

სამკალ ლექს-სიმღერებში შედის აგრეთვე მეძნეურთა სიმღე-  
რები. მეძნეურები ხელეურებს ძნებად ჰკრავენ. ყოველ სამ ან ხუთ  
მომკელზე ერთი მეძნეურია. იგი ან თვითონ ამზადებს ულოს ან სპე-  
ციალური დამხმარე მეულოვე ჰყავთ. მომკელი მოკრილ ნამჭას ნამ-  
გალს ამოღებს და მიიტანს მეძნეურთან. ასე მიაქვს მეორე, მესამე და  
ზოგჯერ მეტ მომკელს, მეძნეური უცდის ულოთი, ხელეურის მიტა-  
ნისას მომკელი მიუმღერებს, მეძნეურიც შეეხმარება.

მეძნეურთა ლექს-სიმღერები დიდად არ განსხვავდება სამკალი  
სიმღერებისაგან. სპეციალური ტერმინები: ხელეური, ულო, ძნა, მეძ-  
ნეური, მეთავთავე და სხვ. გამოყოფს მომკელის შრომისაგან მეძნე-  
ურის შრომას და ტექსტებსაც თავის სპეციფიკურ დაღს ასვამს.  
მკაში ხელეურების, ნამჭების ზრდასთან ერთად ჩნდება მოთხოვნი-  
ლება მეძნეურებზე, ამაზე მიგვიითითებს 1883 წელს თიანეთში ჩაწე-  
რილი ლექსი:

სადაა მეძნეურები,  
დაიწყო ხელეურები<sup>221</sup>.

როგორც ცნობილია, მკაში შრომა დანაწილებულია. მომკელის  
მიერ მოკრილ ნამჭებს მეძნეური ჰკონავს მეულოვეს დამზადებული  
ულოთი.

მშრომელს ანარებს პურის უხვი მოსავალი:

ხელეური და ულოო, შენ გაიხარე გულოო<sup>222</sup>.

დიდი ოჯახის ტრადიცია ძლიერი იყო საქართველოში. გლეხი-  
სათვის მას წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა. საერთო  
ძალით მუშაობა მეტ შედეგს იძლეოდა. ლექსში ნაჩვენებია გაყრილი,  
დაშლილი ოჯახის განადგურებული მეურნეობა:

<sup>221</sup> ო. კ ა რ გ ა რ ე თ ე ლ ი, სახ. სიმღერები, ნოტებზე გადაღებული, 1877,  
გვ. 72.

<sup>222</sup> ბ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. წიგნი, გვ. 334.

<sup>223</sup> იქვე, გვ. 336.

შმა რომ შმასა გეყერება, ველარ დასდგამს ძირსა ძნასა...  
ველარც შებამს გუთანსა და ველარც გაუელის კვალსა,  
უანის სამკალათ რომ წავა, იქ მოგონებდა შმასა,  
თითონ წყალზედ წაეილოდა, ხელეურო მიქონდა ქარსა<sup>224</sup>.

სატრფიალო მოტივი, როგორც სამკალი პოეზიის აუცილებელი ატრიბუტი, მეძნეურთა ლექს-სიმღერებშიც ძლიერად იჩენდა თავს; მკაში თავთავის ამკრეფად, მეთათავთვებად ქალები იყვნენ<sup>225</sup>. ასეთი ლექსები გამოირჩევა თავისი მსუბუქი ფორმითა და აწეული ტონით, დამახასიათებელი სამეურნეო საგნებისა და სატრფიალო ობიექტთა მხატვრული შედარებებით.

გრ. ჩხიკვაძის მიერ ველისციხეში ჩაწერილი „მეძნეურის სიმღერა“ ორი სტრიქონისაგან შედგება. ლექსში ქალ-ვაჟთა ურთიერთდამოკიდებულება და მკის პროცესის დინამიკური სურათთა მოცემული:

შეძახილებო—გაეაზურო გოგოებო!  
—შენი ჳირიშე ბიქო!<sup>226</sup>.

მთელ რიგ ლექსებში აღბეჭდილია ლექთა თარეში, დარბევა-დაწიოკება მოსავლის აღების დროს:

ქართლისა არაბასაო, ქალი უდგემდა ძნასაო.  
ქალო, ნუ უდგამ ძნასაო, მოსულა ლეკი ზღუასაო...<sup>227</sup>.

ამ ტექსტში ხმარებულ ტერმინს „არაბა“, თითქოს განმარტავს ერთი ხალხური ლექსის სტრიქონები:

რუსები რი გადმოვიდნენ.  
ურჯშს დაარქვეს არაბა...

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ აქ საქმე გვაქვს ხალხური ტრანსპორტის რუსულ სახელწოდებასთან, მაგრამ არაბა-თურქულად ურჯშს ნიშნავს. ალბათ, ამით აიხსნება. რომ სამხრეთ საქართველოში იმავე ცნების გამომხატველად გავრცელებულია „არაბა“. სამეგრელოშიაც ურჯშის აღსანიშნავად „არაბას“ ხმარობენ. რაც ლაზების ვზით უნდა იყოს შემოსული თურქულიდან, ლეჩხუმში „არაბა“ ეწოდება საბარო ურჯშს, აქარაშიაც ურჯშის ნაცვლად მხოლოდ „არაბა“ იხმარება<sup>228</sup>.

<sup>224</sup> ხელნაწ. ინსტ., H—1926/198.

<sup>225</sup> ა. ქ. წ ე რ თ ე ლ ი. ლექსები, ტ. II. 1950, გვ. 81.

<sup>226</sup> მოგვაწოდა პროფ. გრ. ჩხიკვაძე მ.

<sup>227</sup> პ. უ მ ი კ ა შ ე ი ლ ი. დასახ. წიგნი, გვ. 217.

<sup>228</sup> ცნობა მოგვაწოდა პროფ. ს. ქ ი ჯ ი ა შ.



# კალოური

## კ ა ლ ო უ რ ი

სამკალ პოეზიასთან მკიდროდაა დაკავშირებული კალოური ლექს-სიმღერები, კალოური სამუშაოები არსებითად განსხვავდება სამკალი სამუშაოებისაგან. თუ ამ უკანასკნელში შეიმჩნევა თანდათანობით გადასვლა ჩქარ ტემპზე და რიტმის სისწრაფის კულმინაციურ წერტილზე ასვლა, კალოური სამუშაო დასაწყისიდან დამთავრებამდე ნელი ტემპისაა, რიტმიც თავისი შესაფერი აქვს და მელოდიაც ნელი, მონოტონურია. კალოური ლექსები შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება.

პური სპეციალურად მომზადებულ მოედანზე—კალოზე იღეწება ამ მოედნის მომზადებასა და კალოზე მუშაობას დეტალურად აგვიწერს ბარონ გაკსტაუზენი<sup>229</sup>, ლუბროვინი<sup>230</sup>, მ. ჭანაშვილი<sup>231</sup>, ს. მაკალათია<sup>232</sup>, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯანხიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში დატული, 1935 წელს შეკრებილი, შინამრეწველობის მასალები<sup>233</sup> და სხვ.

კალოურ სამუშაოებთან დაკავშირებულ დალოცვის ცერემონიალს გადმოგვცემს ერთი მთქმელი: „პირველათ რო ჩაუშლით კალოს, მაშინ კევრზე დაველაგებთ პურსა და ღვინოს და სახლის უმფროსი მამაკაცი დაილოცება: ღმერთო, მოგვეცი პური, ღვინო აუარებელი, რომ სებასაჲ ერგოს და მეცა მქონდეს“. „პირველი გაღეწილი კალო-

<sup>229</sup> Закавказский край, ч. I, 1857, გვ. 38.

<sup>230</sup> Д у б р о в и н и, История войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. II. 1871, გვ. 178.

<sup>231</sup> მ. ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საინგილო, ეთნოგრაფიული წერილები, „ივერია“, 1889, № 200.

<sup>232</sup> ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევსურეთი, 1935, გვ. 62.

<sup>233</sup> ეთნოგრ. განყ-ბა, შინამრეწვ. მას. 1935.



დან დაფქულ პურს გამოვაცხოვებთ,—განავრძობს იგი,—ამოვჭრით პურზე ჭვარსა და ჩავდებთ ამბარში. ხორბალს ზევიდან ვაყრით და ეს პური მეორე წლამდე უნდა იყვეს. მეორე მოსავლის აღების დროს, მამასახლისი ამოიღებს ამ პურს, ლეინოში დააღობს და შეს-კვამს, ამბარში კი ახალ პურსა სდებს ჭვარიანსა<sup>224</sup>.

მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული სამუშაოების უმრავლესობა: ხენა, თოხნა, მკა და სხვ. იწყებოდა ერთი და იმავე ლექს-სიმღერით. რომელიც ღმერთისა და ბატონის სამსახურზე მიუთითებდა. კალოზე საქმიანობასაც ამავე ტექსტით იწყებდა გლეხობა. მათი წლიური ნამუშევრის დიდი ნაწილი ბატონს ეკუთვნოდა, ეს ხარკი აღნიშნული იყო ლექსის დასაწყისშივე<sup>225</sup>.

კალოურ ლექს-სიმღერებს ზოგჯერ „ოროველასაც“ უწოდებენ. ორმოს გათხრა ხორბლეულის შესანახად უკავშირდებოდა კალოობას. მ. კელენჯერიძის ცნობით: „ქართველებს სწამდათ... მიწის, მოსავლის კეთილი ღმერთი ოროველი“<sup>226</sup>. შწერალ დ. შენგელაიას აზრით, ოროველი სიციხისა და მზის სადიდებელ გალობას წარმოადგენს<sup>227</sup>. ოროველი რელიგიურ პერსონად არის მიჩნეული უახლოეს გამოკვლევებშიაც<sup>228</sup>.

ყოველ შემთხვევაში ეს სახელი დღემდე შემორჩენია სიმღერას, რომელიც სწორედ კალოობის სამზადისს განეკუთვნება:

ოროველ,  
ორმო ჩასთხარე ქვიანი,  
მოგვეც ბარაქო.

კალოურ ლექს-სიმღერებში სოციალური უთანასწორობის ღრმა განცდაა გადმოცემული. გლეხი, რომელსაც ლუკმას ართმევდნენ. უფროსილდებოდა თავის სიმღერას, მისი ქირ-ვარამის განუყრელ მეგობარს:

ოროველ, შოდი კალოსა.  
არაფინ მოგიპაროსა<sup>229</sup>.

<sup>224</sup> ფ. არქ. № 10720. მთქმ. ს. ბუხრიკიძე. ჩამწ. ვ. კოტეტიშვილი, ბაქურიანი, 1936.

<sup>225</sup> ფ. არქ. № 10721. მთქმ. ს. ბუხრიკიძე. ჩამწ. ვ. კოტეტიშვილი, ბაქურიანი, 1936.

<sup>226</sup> მ. კელენჯერიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ნაწ. I, 1920, გვ. 8.

<sup>227</sup> დ. შენგელია, ორომი, ვაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1941, № 21.

<sup>228</sup> მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტ., 1956, გვ. 238; მისივე, БСЭ, т.31, „Орочево“, გვ. 219.

<sup>229</sup> ფ. არქ. № 32515. მთქმ. დ. სინაძე, ჩამწ. თ. ოქროშიძე, სოფ. ვალაყანი, 1949.

ვარიანტს შემდეგი ორი სტრიქონი ემატება:

არაინ შეგვას. შეგკამოს,  
არაინ წაგიყვანოსა<sup>20</sup>.

ზოგჯერ ვარიანტებში „ოროველას“ ნაცვლად ხარს მიმართავენ.

ქართველი გლეხის დიდი გამოცდილება გამოსკვივის ქვემო-  
მოტანილ ანდაზაში:

რავარც შევხედები ალოსაო.  
ისე გავლენავ კალოსაო.

მშრალი ამინდები და მზის აღმური აუცილებელი იყო კალოზე  
მუშაობისათვის. ხორბალი ადვილად სცილდებოდა თავთავს. ამ  
შრომის თითქმის ყოველი დეტალი ქცეულა ხალხური მხატვრული  
შემოქმედების საგნად, ყოველი მონაკვეთი აუყვანია მას პოეტური  
ფანტაზიის სიმაღლემდე. მშრომელს საკუთარი მარჯვენით მოწეული  
ხორბლის განიყვება გულს სიხარულით უესებს:

ამოქოლდი ზენა ქარო, უნდა ზევი ვახორხარო.  
გამოვატხო თბილი პური და ბავშვები გავახარო<sup>21</sup>.

კალოურ ლექს-სიმღერებში ისე, როგორც საერთოდ სამკალ პო-  
ეზიაში, ქარბად შესულა სატრფიალო მოტივი. საქართველოს მთი-  
ანეთში ადრე დაზამთრების გამო გლეხი მოსავლის აღებას ვერ ას-  
წრებს. ფშაურ შაირში უმღერიან წაწალს, რომელსაც საკალოე დაუ-  
თოვა:

ვაჰე. ჩემო წაწალოო, ჩაგითონა საკალოო,  
ფიწლის ტარზე ხელს დაგყინავს, რაღას იქამ საწყალოო<sup>22</sup>.

რომანტიული ეპოსიდან „აბესალომ და ეთერი“-ს ერთი ფრაგ-  
მენტი დაკავშირებია კალოს სამუშაოებს<sup>23</sup>. ი. კარგარეთელის ცნო-  
ბით, კალოზე მღეროდნენ ნაწყვეტს „თავფარავნელი კაბუკი“-ს ბა-  
ლადიდან<sup>24</sup>. ბერძნული ლიტერატურის მკვლევარი ბ. ვ. გორნუნგი

<sup>20</sup> ხელნაწ. ინსტ., H—1922/27.

<sup>21</sup> ხალხ. სიტყვ., წ. I, ეჭვთ. თაყაიშვილის რედაქტ., გვ. 329.

<sup>22</sup> საუნჯე, 1935, გვ. 232.

<sup>23</sup> ბ. უმიკაშვილი, დსახ. წიგნი, გვ. 340.

<sup>24</sup> ი. კარგარეთელი, თავფარავნელი კაბუკი, შესავალი. „ქართული  
მწერლობა“, 1927, № 11—12.

გადმოგვეცემს, რომ საქართველოში კალოზე პურის ლეწვის დროს ზოგჯერ ასრულებდნენ „ვეფხისტყაოსანს“<sup>245</sup>. კალოს ლეწვასთანაა დაკავშირებული სუანური სამონადირეო ეპოსის გმირის ბეთქანის ანუ ბეთქილის სახელი<sup>246</sup>.

კალოური ლექს-სიმღერების თემატიკა შედის სამკალი ლექსების თემატიკის რკალში.

აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული სამკალი ლექს-სიმღერები კოლექტიური შრომის, კოლექტიური შესრულების საუკეთესო და თვალსაჩინო ილუსტრაციაა. სამკალს ნადურთან ერთად ახასიათებს შრომის ტემპის ინტენსიური აღმავლობა ხალისიან, ენერგიულ შეძახილებში ადგილს ვერ პოულობს მინორული ტონი, ამიტომ, შრომის ამ ხახის დამახასიათებელი სატრფიალო-ეროტიული მოტივი, განუყრელად თან ახლავს სამკალი ლექს-სიმღერების საყოფაცხოვრებო თუ ქართველთა ისტორიულ ბედთან დაკავშირებულ ტრადიციულ საგმირო თემატიკას.

<sup>245</sup> История греческой литературы, т. I, 1946, гл. 76.

<sup>246</sup> პ. უშიკაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 374.





## მთბლური

ქართულ ხალხურ შრომის პოეზიაში მეტად თავისებური ადგილი უკირავს მთბლურ ლექს-სიმღერებს. იგი გავრცელებულია საქართველოს მთიანეთში/მესაქონლეობის რაიონებში, შრომის ამ სახეს თან ახლავს მისი რიტმის ამსახველი მელოდია ტექსტითურთ.

საქართველოს მთიანეთში უძველესი ყოფისა და ზნე-ჩვეულებათა გადმონაშთებთან ერთად/მთბლურების სახით დაცულია არქაული ლექსი, რაზედაც პირველად მიგვითითა აკად. აკ. შანიძემ/ მან პირველმა გაუსვა ხაზი მთბლურების თავისებურ ფორმას, მის ურთიმობას. ცხრამარცვლოვან საზომს და შესრულების წესს, რომელიც მას განასხვავებს დანარჩენი ლექს-სიმღერებისაგან. „ლექსს მთაში,— წერს აკ. შანიძე,—კიდევ აქვს შენარჩუნებული ძველი ხასიათი, შესრულებულ იქნეს მუსიკალურად, ე. ი. სიტყვები გალობით იქნეს წარმოთქმული, ან დამღერებულ იქნეს ფანდურზე, ხშირად მესამე ელემენტთან შეერთებით, პლასტიკასთან, ტაშის-კერითა („ტაშ-ფანდური“) და ცეკვა-თამაშობით“<sup>247</sup>. ამრიგად, ხევისურულ პოეზიაში დაცულია ის ადრინდელი საფეხური ლექსის შესრულებისა, როცა სინკრეტულ ფორმაში ელინდებოდა ხელოვნების სხვადასხვა დარგი.

მთბლური ლექსების ურთიმობა ხალხური პოეზიის განვითარების ასევე უძველეს საფეხურად მიიჩნია პროფ. მ. ჩიქოვანმა, რომელმაც მისი ისტორიული შესწავლის საკითხი დააყენა/და იქვე მიუთითა ანალოგიური ფორმისა და შესრულების სევანურ ლექსებზე<sup>248</sup>.

პროფ. გ. ჩიტაია, ხმით ნატირალების თიბვის დროს „გვირინში“ შესრულებას თელის წინაპრის კულტის გამოხატულებად, კერძოდ, მიცვალებულთა მოგონების ერთ-ერთ სახედ<sup>249</sup>.

<sup>247</sup> აკ. შანიძე, დასახ. წიგნი, გვ. 022.

<sup>248</sup> მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, წ. I, 1938, გვ. 113—114; მისივე. ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტორია, 1956, გვ. 242—44.

<sup>249</sup> მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, III, თბ., 1940, 1940, გვ. XIII.

ეთნოგრაფი თ. ოჩიაური მნიშვნელოვნად აფართოებს მთიბლურ-რი ლექს-სიმღერების რეპერტუარს, რომლის ძირითად ნაწილად მას „ხმით ნატირალები“ მიაჩნია: „ყველა „ხმით ნატირალის“ ცელის ტარზე დამღერება შეიძლებოდა“<sup>250</sup>. — ამბობს იგი. მთიბლურების „ხმით ნატირალებთან“ ორგანულ კავშირზე მიუთითებს აგრეთვე, მისი აზრით, მთიბლური ლექსების შესრულების წესის საერთო სახელწოდება „გვრინი“, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით არის „საგლოელი კმაჲ“, ხოლო გვრინვა „საგლოელი კმიანობაჲ“. თ. ოჩიაურს მთიბლური შრომის სიმღერა ხმით ნატირალის ტრადიციებზე აღმოცენებულ მეორად მოვლენად მიაჩნია<sup>251</sup>.

სოცხალ ყოფაში დაცული ხევესურული ლექსების ანალიზმა პროფ. პ. ბერაძე ეთნოგრაფთა საპირისპირო დასკვნამდე მიიყვანა. თიბვის დროს ხმით ნატირალების შესრულება მიცვალებულის მოგონებას კი არ უნდა ნიშნავდეს, არამედ ერთისა და იმავე მასალის თანაბრად გამოყენებას, როგორც ტირილში, ისე შრომის დროს<sup>252</sup>.

ამას სავსებით ადასტურებს მის მიერ დამოწმებული კომპ. დ. არაყიშვილის ჩაწერილი ხევესურული „მგზავრული“, რომლის მუსიკალური ფორმა სავსებით ემთხვევა კომპ. გრ. ჩხიკვაძის ჩაწერილ ხმით ნატირალს. ამავე დროს პ. ბერაძეს მოჰყავს ხევესური არაბულა ლიქოკელის ნათქვამი: „გზაში სელის დროს, როცა მარტო ვართ, მთიბლურს ვიტყვიეთო“<sup>253</sup>.

ფოლკლორისტმა ელ. ვირსალაძემ 1946 და 1950 წწ. მთიულეთ-გუდამაყარში, ხოლო 1953 წელს რაჭაში დაადასტურა მთიბლურების უძველესი აქტიური ტრადიცია. გამოიჩვენა, რომ მთიულური და რაჭული მთიბლურები ფორმითაც და შესრულებიან წესითაც ხევესურულ მთიბლურებს ენათესავენ. ხევესურული მთიბლურების მსგავსად, მათ არ გააჩნიათ რითმა, არც რეფრენი. ამ უკანასკნელის მაგიერობას სწევს სტრიქონის ბოლო ბგერა. მთქმელთა ცნობით, რაჭულ მთიბლურებში მკვდრის დატირებასაც ამბობენ<sup>254</sup>. რაც მკვლევარს .....სა-

<sup>250</sup> თ. ო ჩ ი ა უ რ ი, ხევესურული მთიბლური სიმღერა—გვრინი. მიმოხილველი, ტ. II, 1951, გვ. 428.

<sup>251</sup> თ. ო ჩ ი ა უ რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 429.

<sup>252</sup> პ. ბ ე რ ა ძ ე, ბერძნული დაქტლური ქვგზამეტრის ქართული საწყისება, 1949, გვ. 65.

<sup>253</sup> იქვე.

<sup>254</sup> ქართველ მთიულთა ზეპირსიტყვიერება მთიულეთ-გუდამაყარი. ტექსტ. შრომ. რედაქცია, გამოკვლევა და შენიშვნები ელ. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ი ს ა, თბ., 1958, გვ. 52.

ზოგადობის განვითარების. მისი იდეოლოგიის გარკვეული საფეხურიის<sup>253</sup>. მაჩვენებლად მიაჩნია.

ელ. ვირსალაძის სრულიად სამართლიანი აზრით, „მთიბლური სიმღერა შრომით საქმიანობაშია შექმნილი და შრომის პროცესიდან... ამოზრდილი“ და რომ „მას თავიდანვე დამოუკიდებელი ხასიათი ჰქონდა“<sup>254</sup>.

შეიძლება, მთიბლური მომდინარეობდეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ცნობილი სამკალი ლექს-სიმღერებიდან, რომელიც „მცენარეულობის კვდომად და აღდგომად ღმერთებს“ უკავშირდება.

თიბვის დროს შესრულებულ ლექს-სიმღერებში<sup>255</sup> როგორც თვითონ სახელწოდება „მთიბლური“ მიუთითებს, უნდა ჰქონდეს რაღაც სპეციფიკა, რომელიც მას „ხვით ნატირალებისაგან“ განასხვავებს. ამ სპეციფიკას უსვამს ხაზს აკ. შანიძის მოსაზრება მთიბლურებზე, რომ ისინი „მთლიანად შრომის ჰანგებზე აწყობილ სიმღერებს წარმოადგენენ“<sup>256</sup>. რასაც კარგად გრძნობს ამ პოეზიის შექმნილი ხალხი. მთიბლურების თავისებურებას უთუოდ ცელით მუშაობის რიტმიც განსაზღვრავს.

მთიბლურის შესრულება თიბვის პროცესთან არის დაკავშირებული, ხევისურეთში მას „ცელის ტარზე დამღერებასაც“<sup>257</sup> უწოდებენ. მთიბლური ლექს-სიმღერები თემატიკის მიხედვით სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: 1. მთიბლური—საყოფაცხოვრებო, 2. მთიბლური—ხვით ნატირალი და 3. მთიბლური—სატრფილო.

მთიბლურ-საყოფაცხოვრებო ლექსებში დახასიათებულია მთიელთა ოჯახური თუ სამეურნეო საქმიანობა, მშრომელთა ურთიერთდამოკიდებულება, ზნეჩვეულებანი<sup>258</sup> ამ ჯგუფში შემავალ ლექსებში თიბვის სამუშაოების დასაწყისის მაჩვენებელი ტექსტები გვამცნობენ:

თობად გავიდეს (ამა) ჩარგალენი (ოოოო)....<sup>259</sup>.

ხშირად მთიბლური ლექსი შრომის იარაღისადმი მიმართვას წარმოადგენს. ასეთ ნიმუშებში ხაზგასმულია შრომაში გაცვეთილ-დალეული იარაღის ღირსება. ფშაურ ტექსტში ნათქვამია:

<sup>253</sup> იქვე, გვ. 62.

<sup>254</sup> იქვე.

<sup>257</sup> თ. ო ჩ ი ა უ რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 428.

<sup>258</sup> ა. კ. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. წიგნი, გვ. 288.

ცელო, ნალევთი ძალევი ხარ,  
ბალახთა ძირის დამლევი ხარ<sup>289</sup>,

ან:

ცელო, გამიქერ, გზისპირაა,  
გამაილიან, სირცხვილია<sup>290</sup>.

საყოფაცხოვრებო მთიბლურიდან აღსანიშნავია ცოლის უხეირო-  
ბის მაჩვენებელი რიგი ლექსებისა:

ცელო ვლესე და ვერ გაულესე,  
გადალესული ყოფილიყვა.  
ცოლო ვწურთნე და ვერ გავწურთნე  
თავში უწურთნი ყოფილიყვა<sup>291</sup>.

ვარიანტის უკანასკნელ სტრიქონში ვკითხულობთ:

ქალეთა უწურთნი ყოფილიყვაო<sup>292</sup>.

ანალოგიური თემატიკის შემსველ სხვა ლექსებში „ცული ცე-  
ლისა“ და „ცული ცოლის“ პატრონი თიბვაშიაც ვერ ხეირობს, სამა-  
გიეროდ „ცელ-ლამაზი“ და „ცოლ-ლამაზი“ ყოველთვის გამარჯვე-  
ბულია<sup>293</sup>.

მთიბლურ პოეზიაში სიყვარულით იხსენიებენ კარგ მთიბელს.  
აქებენ და აღიღებენ მას/ კარგი მთიბელი, ისევე, როგორც კარგი  
გუთნისდგა, სასურველი ქმარია გასათხოვარი ქალისათვის. ხეესუ-  
რული ხალხური პოეზია იცნობს მთიბელ გიგაი გიგაურს:

ქალი დედასა უჩიოდა,  
ვამდიოდა საჩივარი:  
დედაე, არ მინდა ბაჩანაი,  
მინდა გიგაბ გიგაური...<sup>294</sup>.

ამ სახელგანთქმული მთიბელის შესახებ ჩამწერი შენიშნავს.  
„ეს გიგათ გიგა იყო კარგი ვაჟკაცი, მაგრამ მის შესახებ არ არის ნა-“

<sup>289</sup> ფ. არქ. № 2476: ხალხური ლექსები თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ-  
ბალხური სიტყვიერება, ტ. III, შ. ჩიქოვანის რედაქციით, 1953, გვ. 89.

<sup>290</sup> ე. ლ. ვ. ი. რ. ს. ა. ლ. ა. ქ. რ. თ. მ. თ. ე. ლ. ზ. პ. ი. ს. ი. ტ. ვ. გ. 292.

<sup>291</sup> ა. კ. შ. ა. ნ. ი. ქ. ე. დ. ა. ს. ხ. წ. ი. გ. ნ. გ. 289.

<sup>292</sup> მ. ა. ს. ა. ქ. ე. თ. ნ., III, 1940, გვ. 124.

<sup>293</sup> ა. კ. შ. ა. ნ. ი. ქ. ე. დ. ა. ს. ხ. წ. ი. გ. ნ. გ. 295.

<sup>294</sup> ი. ქ. ე. გ. 293.

ტირალი, არამედ როცა მას თიბეაში ეჭიბრებოდნენ მაშინდელი კაფეები<sup>265</sup>. მართლაც, ლექსს მრავალი ვარიანტი მოეპოვება. რიგორც ჩანს, კაფეები გიგა გიგაურზე ერთი ძირითადი ვრცელი ტექსტიდან გავრცელებულა.

| მთიბლურ პოეზიაში ხშირად იხსენიება ჩარგლელი. ასევე სახელგანთქმული მონადირე მისრია, მის კართან ხარ-იჩრემი ვერ ჩაივლიდა თურმე. იქვე აუტდენელად მოხვდებოდა მისრიას ისარი. დიალოგურ მთიბლურ ლექსში<sup>266</sup> გადმოცემულია მშაველის ან ფშაველის და ჩარგალელის დაპირისპირება. ჩარგალი ფშავეის შუა სოფელია. იქ მოსახლეობა დამკვიდრებულა არა უადრეს 1819 წლისა<sup>267</sup>. აღნიშნული ლექსი ეტყობა იმ პერიოდისაა, როცა ჩარგალში მოსახლეობა ახალი დაფუძნებული იყო და ფშაველები მათ ჯერ კიდევ უცხოდ უყურებდნენ. როგორც ლექსიდან ჩანს, ჩარგლის მოსახლეობა მონადირეობას მისდევდა, ჩარგალი განთქმული ყოფილა ვეძათა სიმრავლით.

| საქართველოს მთიანეთში ძალიან გავრცელებულია ლექსი „ამანათზე“. თ. რაზიკაშვილის განმარტებით, ამანათი „შენიზნული, სხვა სოფლის ან თემის კაცია, უმამულო“. შენიზნულ კაცს სოფელი აძლევდა სამოწყალოდ სახნავ-სათესს, ეხმარებოდა ყოველმხრივ, სამაგიეროდ ამანათიც თავმდაბლად უნდა ყოფილიყო სოფელში. ამანათზეა ლაპარაკი ლექსში:

არა ჰრის ამანათის ცელი,  
ამანათობა მასწყენიყო;  
აისრე ამანათის ცოლსა,  
მაგის დედათა ფერობაი<sup>268</sup>.

ვარიანტის მეორე ნახევარში ცელს მიმართავენ:

ცელო, გაუქერ ამანათსა,  
ამანათობას დაჯერე!<sup>269</sup>

გუდამაყრულ ჩანაწერში:

ერბო მიქმივე ბიძისო,  
გონჯას ვერ უქრეინებია.

<sup>265</sup> მას. საქ. ეთნ., III, გვ. 103—104.

<sup>266</sup> ა. კ. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. წიგნი, გვ. 293.

<sup>267</sup> ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ე ი ლ ი, ვაჟა-ფშაველა, 1957, გვ. 1.

<sup>268</sup> ა. კ. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. წიგნი, გვ. 296.

<sup>269</sup> ხალხ. სიტყვ. ტ. III, გვ. 88.



მთიბლური ლექსები შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება ბარში/აქ მას ის სპეციფიკა არ გააჩნია, რაც მთაში. ბარის თიბვის ლექსები ჩვეულებრივი ლექსებისაგან მხოლოდ შინაარსით თუ განსხვავდება, ფორმა, რითმა და შესრულების წესები ისეთივე აქვს, როგორც სხვა ლექსებს. ასეთია რეამარცვლოვანი მთიულური მთიბლური: „ღმერთო, რისხვა აგვაცილე...“<sup>270</sup>, „უმცვრიავ. დედა მტრისასა“<sup>271</sup>, „ვაიმე ჩემო სათიბგო“<sup>272</sup>, „ჩემ ტერსაც გაუთავლება“<sup>273</sup> და სხვ.

ქართულ ლიტერატურაში მთიბლურების თემატიკის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ვაჟა-ფშაველა. მწერლის მიერ თიბვის სცენაში ჩართული ლექსი -კა ვაჟი. მგელი, პრწივი“... საგმირო პოეზიის ნიმუშია იგი მრავალ ვარიანტადაა ცნობილი მთიულეთსა და ხევში. ვაჟა-ფშაველას ეს ცნობა ადასტურებს საგმირო ლექსების გამოყენებას საერთოდ შრომის პოეზიასა და კერძოდ მთიბლურებში<sup>274</sup>.

1898 წლის ჟურნალ „მოამბეში“ დაბეჭდილია ი. კახელის (იოსებ ცისკარიშვილის) წერილი „ორი კვირა მთაში“, სადაც მას საგმირო ამბების შემცველი მთიბლურის საინტერესო ტექსტი ჩაუწერია. ი. კახელი წერს: „ლულის მინდერებს რომ გავცდით და ქალაში გადავუხვიეთ, გზიდან ცოტა მოშორებით სერზე მთიბავ ხევსურების სიმღერა შემოგვესმა. ცხენი შევაყენე, დაუვადე სიმღერას ყური, მაგრამ ერთობილი ნაღვლიანი ხმის მეტი ვერა გავარჩიე—რა. სამუშაო ხევსურების ლექსის გაგება მინდოდა, ვეღარ მოვითმინე და მთიბავებს ხმა მივეცი. რამდენსამე წაშში ჩემს გვერდით იდგა ცნობილი მინდია. სალამის უმალ მინდიას ვსთხოვე ეთქო ის ლექსი. რომელსაც ისინი მღეროდნენ. „ამ ლექსს ჩვენ მუშაობის დროს ვმღერითო“, მითხრა მინდიამ და ნელა გარკვევით სთქვა:

ღორათ შაბურა არ ხარავო, კარო ნაბამო რკინისაო,  
ვეღო ნაგდებო სინისაო, გამოგორკვილო რკინის კვერაო...“<sup>275</sup> და სხვ.

<sup>270</sup> ალ. ხახანაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 65.

<sup>271</sup> ი. ხორნაულცი, დასახ. წიგნი, 1950, გვ. 167.

<sup>272</sup> იქვე, გვ. 172.

<sup>273</sup> ფ. არქ. № 20925. მთქმ. გ. ბადაგაძე, ჩამწ. გ. კალანდარიძე, სოფ. გრემისხევი, 1939.

<sup>274</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებულ, ხუთ ტომად, თბ., 1961, გვ. 204.

<sup>275</sup> ი. კახელი, ორი კვირა მთაში, ჟურნ. „მოამბე“, 1898, № VI, გვ. 94.

მთიბელი ღორათ შაბურა სიმაგრითა და ვაჟაკობით შედარებულია რკინის კართან, სინის კედთან ანუ კეტთან, ხოლო „სინა“, ს. ორბელიანის განმარტებით, რვალი არს უთეთრესი და ხმაკეთილ მელერალე“... გამოგორგვილ რკინის კვერთან, საფრანგეთს ნაქედ ხმალთან, ყირიმში ნაქედ თოფთან, ურუმში ნაქსოვ ჯაჰვთან. ლექსის მეორე ნახევარში ღორათ შაბურას მტერთან შებმის ამბებია გადმოცემული. როგორ ესტუმრა იგი შატლში ბიძებს, როგორ იომა ურჯულოებთან, მტერს ხელი მოკვეთა და წეს-ჩვეულების მიხედვით, თავის ქვიტკირს მიაკრა

როგორც ზემოთაც ვთქვით, ირკვევა, რომ ყველა „ხმით ნატირალის“ ცულის ტარზე დამღერება შეიძლებოდა. მთიბლურის მეორე თემატიკურ ჯგუფში ჩვენ შევიტანეთ ხმით ნატირალების ის ტექსტები, რომელშიაც ჩანს მკიდრო კავშირი თიბვის პროცესთან.

მთიბლურში სამღერალდ გამოყენებული ხმით ნატირალი „შარანაულის“ ანუ „შარმანაულის“ ამბებს გადმოგვცემს.

აღნიშნულ ლექსში დატირილი მაღალ მხატვრულ სახეებშია გადმოცემული:

ფხიტუს მაღალ, გადამიშვი,  
ნისლის კოტორო. გადამრიდე!...<sup>276</sup>

მთიბლურის ლექს-სიმღერად გამოყენებულია ხმით ნატირალი „სულა და კურდღელა“, რომელიც მრავალ ვარიანტად არის გავრცელებული ფშავ-ხევსურეთში. „სულა და კურდღელა“ ვრცელი ლექსია და შეიცავს „მისრიას“ ლექსს, „ქალო რომელი გირჩევს ქმარი“ და სხვ.) ჩამწერის შენიშვნით: „სულა და კურდღელა იყვნენ ჩარგალელნი, კარგი მონადირეები“<sup>277</sup>... რომლებიც მძინარენი დახოცეს ლეკებმა.

სულას და კურდღელას ვრცელი ტექსტი დაბეჭდილია „მასალებში საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, III, 1940. აკ. შანიძის კრებულში მთიბლურებთან გამოქვეყნებულია მოკლე ტექსტი „მამის ტირილი“:

შვილნი დავგზავნენ სათიბრად  
ახუნო, არცად გინახავა?<sup>278</sup>...

<sup>276</sup> აკ. შანიძე, დასახ. წიგნი, გვ. 292.

<sup>277</sup> ხალხ. სიტყვა, III, გვ. 87.

<sup>278</sup> აკ. შანიძე, დასახ. წიგნი, გვ. 292—293.

სულასა და კურდღელას შესახებ „მამის ტირილის“ გარდა ცნობილია „ძახილით ტირილი დისა ძმაზე“, სადაც „თიბის შამშაბათი“-იხსენიება, რასაც ხშირად ვხვდებით მთიბლურ ლექსებში და „ხმით ნატირლებში“. „თიბის შამშაბათი“, თ. ოჩიაურის ცნობით, ხეცურეთში დაკავშირებულია მიცვალებულის კულტთან, როცა სოფელი პირველად გადის სათიბად. მიცვალებულის გახსენებისათვის დაწესებულ ამ დღეს გარკვეული ცერემონიალის შესრულების შემდეგ (სუფრის გამართვა, „სულის ხუცესის“ მიერ „ტაბლოს“ შენდობის თქმა, „ტალაუარის“ დატირება) სოფელს ნება ჰქონდა, რომ „ეელი ბალახში შეეტანა“. მანამდე კი არავინ არ წავიდოდა სათიბად ჰირისუფალის ხათრით. იმ დღეს ჰირისუფალი თვითონაც მოსთიბდა<sup>270</sup>. ფოლკლორისტ დ. გოგოჭურის გადმოცემით კი „თიბის შამშაბათი“-მიცვალებულის კულტიდან დამოუკიდებლად არსებობს. იგი საერთოდ თიბის სამუშაოების დაწყების დღეთაა დაწესებული და ყოველწლიურად აღინიშნება, ხოლო თუ ვისმეს ახალი მიცვალებული ჰყავს, იგი განსაკუთრებით, ტაბლის გამართვით აღნიშნავს ამ დღეს:

რახელ თიბის შამშაბათი გოქვ ძმაო,  
 სხუან სათიბად ეშადებთან ძმაო,  
 შენ ცოლ უპატრონო ას ძმაო,  
 მიწა შენს დასა ძმაო.  
 შენ სწორებ თიბანი მაღალეზთან ძმაო.  
 ქვე დაგლიან მიწანი ძმაო<sup>280</sup>.

ადგილზე ატეხილი დავის გამოა ნათქვამი მთიბლური ხმით ნატირალი „სისხლიანი წყალი“, რომელსაც „მასალებში საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“ „გუდელა“ ან „დედიძმათაზე ნატირალი“ ეწოდება.

გუდელას მუშა აირივო,  
 წყალი მოვიდა სისხლიანიო  
 გიგა არ გვინდა კაცებჩივო,  
 დედი ძმა თაქე მაიწვედაო,  
 დისწულ ხომ დედი ძმათააო<sup>281</sup>.

ლექსში ჩანს დედის ხაზით სისხლით ნათესაობის ფშავ-ხეცსურთა უძველესი ტრადიცია.

<sup>270</sup> თ. ო ჩ ი ა უ რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 427.

<sup>280</sup> შას. საქ. ეთნ., III, გვ. 89.

<sup>281</sup> იქვე, გვ. 133—139..

ჩვენ მიერ ჩაწერილ გუდამაყრულ მთიბლურში გადმოცემულია ცხრა ძმისა და დის ზეგეში დაღუპვა. მთქმელის შენიშვნით, „მაშალითა მთა არი, ცხრა ძმისა თივა უზიდნია ზამთარში, თოვლში დაზოილა და წამაუღნია. დას სადილი წაუღია და ისიც ჩამაუგდია ზოვსა/ნატირალია იმაზედა, ლექსია“:

შენი ბრალი მაშალითაო,  
ჩემო მტერო და მოსისხლეგო,  
შენ ჩამოყარი ცხრანი ძმანიო,  
მეათე ქალი ბატარძალიო.  
რექოო, ნუ გაირეე ქუდოს წყალსაო,  
თავსისხლიანსა ცოდვიანსაო.,  
მანდ დაურჩვია ცხრანი ძმანიო,  
მეათე ქალი ბატარძალიო<sup>282</sup>.

მთიბლური პოეზიის მესამე თემატურულ ჯგუფში წარმოდგენილია ლექს-სიმღერები სატრფიალო მოტივებით. ასეთი ლექსები შედარებით მცირეა.

თივა მთიბლების ნათიბი, ირმების ნაველარია.  
არ გვინდა კარგი ქალაი, ბევრის ყმის ნახელარია<sup>283</sup>.

იგივე ლექსი ფიქსირებული აქვს ვაჟა-ფშაველას<sup>284</sup>.

ხევსურეთში ცოლის თანასოფლელ ყველა ქალს ცოლისდას ეძახიან, რაც ხაზგასმულია ქვემომოტანილ ლექსში:

მაგრეს ოხრადა, ცოლის დაოო,  
წითელ-ყვითელნი ქოქომონიო!  
მე შენდა გამახედენაშიაო  
ცელი ჩორჩში გავამტერიო<sup>285</sup>.

მაგრამ არც ქალები ჩამორჩებიან მამაკაცებს ტრფიალში, მთიულურ მთიბლურში აშკარად ქლერს კანონით აკრძალული სიყვარულის მოტივი:

გულქრულად დაგიტირებდო.  
არ მაშინებდეს ქმარიო<sup>286</sup>.

<sup>282</sup> ფ. არქ. № 33913. მთქმ. ა. აფციური, ჩამწ. თ. იქროშიძე, სოფ. დუმატხო, 1950.

<sup>283</sup> „ქვალი“, 1893, № 22.

<sup>284</sup> ვაჟა-ფშაველა, მოთხრობები, ტ. VI, 1939, გვ. 71.

<sup>285</sup> ა. კ. შანიძე, დასახ. წიგნი, გვ. 290.

<sup>286</sup> ელ. ვირსალაძე, ქართვ. მთ. ზეპირსიტყ. გვ. 161.

მკაში თუ თიბეაში სამღერალ ტექსტად გუდამაყარში ჩვენ ჩავიწერეთ საქართველოს ყველა კუთხეში გავრცელებული ლექსი „სამი ქალი თივას თიბდა“.

აღ. ხახანაშვილს მთიბლურ ლექსებში შეაქვს „ქალო კრულო გეხვეწები“<sup>287</sup>.

მთიბლური პოეზია დამახასიათებელია საქართველოს მთიანეთისათვის, სადაც იგი მესაქონლეობასთან დაკავშირებულ სამეურნეო პროცესს, თიბეას ასახავს. მთიბლური პოეზიის თავისებურებანი — ცხრა მარცვლოვანი საზომი, ურითმობა, შესრულების თავისებური წესი, კავშირი ხმით ნატირალებთან, — დაშოუკიდებელი კვლევის საკნად ხდის მას მთიბლური ლექს-სიმღერები გუნდურადაც სრულდება.

---

<sup>287</sup> აღ. ხახანაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 65.





# სეკუნაზო

მევენახეობა-მელვინეობა ქართული სასოფლო მეურნეობის უძველესი დარგია/მცხეთა-სამთავროს, თრიალეთის, ალაზნის ხეობისა და სხვ. არქეოლოგიურ გათხრებში აღმოჩენილია მევენახეობა-მელვინეობის კულტურის დამახასიათებელი იარაღები, დათარიღებული ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი, მეორე და მესამე ათასეული წლებით. ჩვენში ამ დარგის სიძველეს მოწმობს აგრეთვე მასთან დაკავშირებული არქაული ტერმინოლოგია. დაბადების ქართულ თარგმანში „ვაზის აღსანიშნავად ვენახი არის ნახმარი“<sup>288</sup>

საქართველოს „მიწა-წყლის ორ მთავარ გეოგრაფიულ და ბოტანიკურ-აგრონომიულ ნაწილად, მთად და ბარად, გაყოფა,—წერს აკად. ივ. ჭავჭავიძე, —სწორედ მევენახეობის გავრცელების თვალსაზრისზე იყო დამყარებული: სადამდისაც მევენახეობა შესაძლებელი იყო, იქამდის ქვეყანა ბარად ითვლებოდა, საითგანაც ვაზის მოყვანა უკვე შეუძლებელი იყო, იმ ხაზითგან მოყოლებული უკვე მთად იყო მიჩნეული“<sup>289</sup>.

საქართველოს ეკონომიკაში ძველთაგანვე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მევენახეობა-მელვინეობას. „ქართული ღვინო უძველეს დროითგანვე საექსპორტო საგანს შეადგენდა“<sup>290</sup>.

ვენახის სამუშაოებს თავისი დამახასიათებელი ლექს-სიმღერები ჰქონდა, სპეციფიკური შრომის რიტმითა და ტემპით. აღ. ჭამბაკურობელიანი ამ სამუშაოებიდან აღნიშნავს შემდეგს: „1) სიმღერა ვენახის მუშაობისა, 2) ქვევრის გარეცხვისა, 3) ყურძნის დაწურვისა“<sup>291</sup>

<sup>288</sup> ივ. ჭავჭავიძე, საქართველო. გეოგრაფია, წიგნი II, 1935, გვ. 290.

<sup>289</sup> იქვე, გვ. 289.

<sup>290</sup> იქვე.

<sup>291</sup> აღ. ჭამბაკურობელიანი, დასახ. წერილი, გვ. 157.

კახეთში ყურძნის კრეფასა და მასთან დაკავშირებულ სიმღერებს აღწერს ეურნ. „სოფრემენიკში“ მოთავსებული სტატიის ავტორი<sup>272</sup>.

ნ. ბერძენოვის ცნობით, რთველის დადგომისას დიასახლისი იწვევს ნადს, მამითაღს<sup>273</sup>. კომპოზიტორი იპოლიტოვ-ივანოვი, 1883 წელს, ქართული ხალხური სიმღერების შესჯრებად, კახეთს ესტუმრა ყურძნის კრეფის დროს. იგი აღწერს ყურძნის წურვის პროცესს და მასთან შერწყმულ სიმღერებს. „ყოველივე ეს,—აზბობს კომპოზიტორი,—მიმდინარეობს მუშათა საკმაოდ მონოტონური სიმღერის თანხლებით, რომელსაც ხანდახან ჩაერთვის ხოლმე მკვირცხლი, ორიგინალური მკაფიო რიტმიული შეძახილები და მოულოდნელი პარმონიული საქცევები“<sup>274</sup>.

ქართველ მწერალთა თხზულებებში ფიქსირებულია ვენახის სამუშაოებთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები<sup>275</sup>. მ. არაგვისპირელს ნაჩვენებია აქვს ვენახის ბარვის დროს ნათქვამი სიმღერის გამამხნევებელი ძალა<sup>276</sup>. ყურძნის წურვის დროს სიმღერებზე მიგვიითიებს ი. ქავჭავაძე<sup>277</sup>. საწნახლური ლექს-სიმღერების კავშირს შრომასთან მომუშავეთა მოძრაობის მკაფიოდ გამოკვეთილი რიტმისა და სიმღერის ურთიერთობას აგვიწერს ირ. ევდოშვილი<sup>278</sup>. მ. კელენჯერიძე საწნახლის სამუშაოებთან ერთად აღნიშნავს ქვევრის რეცხვის სიმღერებს<sup>279</sup>.

ზოგიერთი მწერლის ნაწარმოებში შრომის პოეზიის ისეთი ნომუშია ფიქსირებული, რომელიც სხვაგან არ შეგვხვედრია. ამ მხრივ მწერლობას, მართლაც, მნიშვნელოვანი სამსახური გაუწევია ფოლკლორისტიკისათვის. ან. ერისთავ-ხოშტარიას გადმოცემული აქვს ყურძნის წურვასთან დაკავშირებული სიმღერის მეტად საინტერესო ტექსტი:

ჟერი, ჟერი ქართლის ქალო, რა ლაშაზი რაშა ხარო,  
დამკრახულო ბუდეშურო, მინდა შალე დავეშურო.  
ანდრიულო, დავიურეო, შავ კაპიტოს დაჟა ბიჭო,

<sup>272</sup> Десять лет на Кавказе, „Современник“, 1854, т. 47. № 3, გვ. 25.

<sup>273</sup> Н. Берзенов, Очерки деревенских нравов Грузии, „Кавказ“, 1854, № 72.

<sup>274</sup> М. М. Иполитов-Иванов, Воспоминания, გვ. 61.

<sup>275</sup> მ. არაგვისპირელი, თხზულებანი, ტ. I, 1947, გვ. 105.

<sup>276</sup> ი. ქავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937, გვ. 456.

<sup>277</sup> ირ. ევდოშვილი, მოთხრობები, ტ. III, 1937, გვ. 249.

<sup>278</sup> მ. კელენჯერიძე, ქართული ქრესტომათია, ტ. I, წ. I, 1907. გვ. 310.

ანგრე ბიკო, გენაცვალე, ზარყობას ნუ აცალე,  
შეტი ბიკო. დაჟა ფეხო, აგრამე შეგაწევა ლმერთი<sup>299</sup>.

1 ვენახის ლექს-სიმღერები გავრცელებულია მთელ საქართველო-ში. შრომის ეს სახე შეიცავს ვენახის დამუშავების ყოველ მომენტს: ვენახის ბარვას, თოხნას, ვაზის წამლობას, გასხვლას, ყურძნის კრეფას, წურვას, ქვევრების რეცხვასა და სხვ.

1 სავენახო ლექს-სიმღერები უმთავრესად კოლექტიურად სრულდებოდა მან ვენახის თოხნისა, ყურძნის კრეფისა და წურვისა, ე. ი. სავენახურად, ხოლო ვენახის ბარვის, ვაზის გასხვლა-შეწამვლისა და ქვევრების რეცხვისა ინდივიდუალური ხასიათისა იყო. შრომის მიხედვით ერთ ჩგუფად გამოიყოფა ვენახის პირველადი დამუშავება: სავენახე მიწის ბარვის, თოხნის, ვაზის გასხვლის ან წამლობის დროს ნათქვამი ლექსები; მეორე ჩგუფში შევა ყურძნის კრეფის, წურვის და ქვევრების რეცხვის ლექსები. ყველა ეს სავენახო ლექს-სიმღერა მრავლად შეიცავს სოციალურს, საყოფაცხოვრებოსა და სატრფიალო მოტივებს.

1 ბარვის ლექს-სიმღერები უმთავრესად ურითმოა, მის მაგიერობას ასრულებს ლექსის ყოველ სტრიქონზე სიმღერის დროს დართული რეფრენი „ჰეო“. ასეთ ლექსებში სატრფიალო მოტივი ჰარბობს:

გოგოვ. გოგოვი შეთვალაო—ჰეო.

ნეტა რას იმალებიო—ჰეო.

მაჰანკალთან ნუ წამიყვან—ჰეო.

რატო არ გებზალებიო—ჰეო... და სხე<sup>300</sup>.

1 საქართველოს ყოველ კუთხეშია გავრცელებული ხალხური ლექსი სათაურით „ბაგა“ / სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ბაგად ითქმის ახალი (ახალნაშენი) ვენახი“. ტექსტში სწორედ ასეთ ვენახზეა ლაპარაკი. ვაზი პატრონისაგან მოითხოვს კარგ მოვლას, სამაგიეროდ უხვ მოსაგვალს პირდება მას<sup>301</sup>.

1 სავენახო ლექს-სიმღერები ხასიათდება სპეციფიკური სიტყვიერი მასალით. ვაზის სხვლაში ერთ ტექსტს მღეროდნენ, წამლობის დროს სხვასა და ა. შ. ვენახის თოხნაში ნადის კოლექტიურ მუშაობას წარმოგვიდგენს ლექსი „დავთოხნოთ ძმებო ვენახი“<sup>302</sup>. მრავალ ვარი-

<sup>299</sup> ა. ნ. ერისთავის ოცბარია, ბედის ტრიალი, 1948, გვ. 320; ქს. ს. ა. ხარულიძე, ქრესტომათია, გვ. 32—33.

<sup>300</sup> ე. კოტეტიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 142.

<sup>301</sup> იქვე, გვ. 142—143.

<sup>302</sup> პ. უმრქაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 325.



ანტად არის ცნობილი რ. ერისთავის ლექსი „ვეენახის სიპ-  
ლერა“, იგი უკვე ხალხის საკუთრებად ქცეულა.

დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით გავრცელებული  
იყო მალღარი ვენახი/რ. ერისთავის ცნობით, მალღარი აღმოსავლეთ  
საქართველოშიაც ყოფილა<sup>305</sup>. ხეზე გაშვებული ვაზი ნახევრად ვე-  
ლურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მას ნაკლები მოვლა-პატრონობა  
სჭირდებოდა. მალღარს თავისი მოკრეფის წესი ჰქონდა, ყურძნის  
მკრეფავი ხეზე ადიოდა გიღლით და უკანასკნელს ავსებდას ნიშანს  
მისცემდა ქვევით მდგომს, რომელიც ხიდან ჩამოშვებულ გიღელს  
დასცლიდა. ეს წესი და მასთან ერთად ღვინის დაყენების მთელ  
პროცესი აღწერილია ქვემოთმოტანილ ხალხურ ლექსში:

ხის წვეროში ჩიტი გჰამდა, გიღლით ჩამოგიტანეო,  
საწნახელში რომ ჩაგყარე, ფეხით გამოგიყვანეო.  
ქვევრები რომ გაგირეცხე, ჩაფით გამოგიტანეო,  
ამდენი შრომა გაეწიე, შაინც არ გამოიტანეო<sup>306</sup>.

საინტერესოა თ. სახოკიას მიერ გასული საუკუნის 90-იან წლებ-  
ში აჭარაში მოგზაურობის დროს ჩაწერილი ლექსი „ვენახმა სთქვა“<sup>307</sup>...  
რომელშიაც ასევე გადმოცემულია მალღარი ვენახის კრეფა, ყურძნის  
გოდრებით ზიდვა, ჭიჭინაში ანუ საწნახელის თვალში დაწურვა და  
ღვინოდ დადუღება. აღნიშნულ ტექსტს ჩაწერის ადგილზე ქე-  
დაში. —უკანასკნელი ორი ათეული წლების მანძილზე ჩატარებულმა  
ექსპედიციებმა ველარ მიაკვლია. ამის გამო ზოგიერთ ფოლკლო-  
რისტს იგი დაკარგულად მიაჩნია<sup>308</sup>.

დ. თომაშვილის ცნობით, ოკრიბაში მალღარი ვენახის კრეფი-  
სას ხიდან ჩამოშვებდნენ გიღელს თოკით და ერთმანეთს გადასძა-  
ხებდნენ:

ქე გიღელა, კუნძულა, უუუ!  
გიღელა, კუნძულია, უუუ!<sup>309</sup>

დ. შენგელაია მალღარის რთველში საწესო ხასიათის სიმღერის  
შესრულებაზე მიგვითითებს<sup>310</sup>.

<sup>305</sup> ი. ვ. ქ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორია, წ. 11,  
1935, გვ. 334.

<sup>306</sup> „აკაკის კრებული“, 1899, X, 11, გვ. 35—36.

<sup>307</sup> თ. სახოკია, მოგზაურობანი, 1950, გვ. 174.

<sup>308</sup> ქ. ჩხეიძე, დასახ. წიგნი, გვ. 57.

<sup>309</sup> საკუთარი მასალებიდან.

<sup>310</sup> დ. შენგელია, ბათა-ქექია, 1948, გვ. 248—249.

მალღარი ვენახის ლექსები ხშირად სამკალი სიმღერის ტექსტად არის გამოყენებული<sup>300</sup>.

ვენახი მშრომელი გლეხობის იმედი იყო, მისი ჳირისა და ლხინის გამასტუმრებელი რთველს შემოდგომაზე ჳორწილები მოსდევდა, ახალ ოჯახებს ეყრებოდა საძირკველი. ეს დრო იყო სოფლად, როცა გლეხები ივიწყებდნენ გულის ვარამს და ლხინს მიეცემოდნენ. წლის ამ მონაკვეთში გლეხი ეკონომიურად შედარებით ღონიერად გრძნობდა თავს, ამის ამსახველია ის უჩვეულო სილაღე, რომელიც მოსჩქეფს ლექსიდან:

ცაო დასქეჳ მითხარი, სად არის ჩუმი სტემარი,  
მომიყუა თუნდა ორასი. ქვეერში ჩუხჩუხებს მაჳარი.  
საწყალი კაცის იმედო. მაჳარო, გენაცუალუბო.  
ყოველი წვეთი ოჳროა შენამც ნუ დამელუარებაო<sup>301</sup>.

შევენახეობის ლექს-სიმღერები მკაფიოდ გამოხატავს მშრომელთა ფიქრს, მათ ყოველდღიურ ჳრუნვას ვახზე, მშრომის პოეზიის ნიმუშებში გადმოცემულია სტიქიის—სეტყვა, თრთვილისა და წყალდიდობისაგან მიყენებული ჳარალი. სოფ. ველისციხეში ჩაწერილი ვრცელი ლექსი<sup>302</sup> გლეხის გოდებას წარმოადგენს დასეტყვილ ვენახზე.

მძიმეა თრთვილისაგან გამოწვეული ჳარალიც. თ. რაზიკაშვილის შენიშვნით: „ქართლში გაზაფხულზედ ვენახებს, ბაღებს, ფეხის მოსავალს ხშირად ახდენს ხოლმე რთვილი, ამის ბრალს იალბუზს (ბურთსაბძელსა) და რაზმითის მთას სდებენ ხოლმე“. ამის გამოა ნათქვამი ეს ლექსი:

იმ წყულმა იალბუზმა, გადაივარცხნა წვერია.  
კალობა მოიყვანა, იღარ გვაჩვენა რთველია<sup>302</sup>.

სოფლად დიდი ვენახის პატრონი მდიდარ კაცად და ამდენად სასურველ სასიძოდ ითვლებოდა. ამ აზრს გამოხატავს ლექსები „სიღედრო შავგრემანობით“<sup>303</sup>, „ტყიდან გამორბის ნადირი“<sup>304</sup>. და სხვ.

<sup>300</sup> რ. ფაეღანიშვილი, გიორგი ქიღებსაშვილი, მოამბე, 1896, IV. გვ. 37.

<sup>301</sup> ფ. არქ.; № 18431. მთქმ. გ. პაპალაშვილი, ჩამწ. მ. ჩიქოვანი, სოფ. იყალთო, 1938.

<sup>302</sup> კ. უმიკაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 230.

<sup>303</sup> ხალხ. სიტყე. I. ეჭვთ. თაყაიშვილის რედაქტ., გვ. 329.

<sup>304</sup> იქვე, გვ. 248.

<sup>305</sup> ხელნაწ. ინსტ., H—1915/90.

სავენახო ლექს-სიმღერებში ასახულია სოციალური ჩაგვრა სოფლად. გაბატონებული წოდება ძალით ითვისებდა გლეხის ნაოფლ-ნაშრომს. ბატონი ან ჩარჩ-ვაჟარი მარტო გლეხის ნაშრომს არ ჭერდებოდა, იგი ზოგჯერ მთელ ვენახებსაც კი ისაკუთრებდა. ეს მომენტი ბევრ ლექსშია ნაჩვენები: სოციალური უკუღმართობით გაშწარებული მევენახის გულისწყრომას წარმოადგენს ქვემომოტანილი ლექსი, რომლის შესახებ მოქმელი შენიშნავს: „აქ ის ვენახია დაწყველილი, რომელიც გლეხისათვის წაურთმევია ბატონს“:

ჰეი, შენ ჩემო ვენახო, ვარს რთელი შემოგდებოდეს,  
უურძნით მოკელილ სწნახელს, კარგი ღღე არ დასდგომოდეს,  
გცემდნენ და ვიბაჟუნებდნენ, ცუარი არ გამოვლენოდეს,  
მოგსვლოდეს გულის სტუმარი, სირცხვილის ოფლი გსდენოდეს<sup>115</sup>.

ან:

ან:  
ნარჩმან, შენსა ვენახსა, ჰიგო უღგია მსხლისაო,  
იმას რაც ლეინო გამოვა, ნახევარია სხეისაო<sup>116</sup>.

სავენახო ლექს-სიმღერებში ასახულია ქართველი ერის ისტორიიდან ცალკეული ტრაგიკული პერიოდებიც, როგორცაა დასაველეო საქართველოს აოხრება თურქთა მიერ. ქვემომოტანილი ლექსის ჩამწერის ცნობით: „სოფ. მერისში (ქედას რაიონი, აჭარა) ამბობენ: თათრებმა საქართველოს ჩაღმა ჩაყრილი ვენახი მოთხარეს და აღმა ჩაყარესო“. ლექსი მკაფიოდ გამოხატავს მტრის მიერ განადგურებული მეურნეობით გამოწვეულ გლოვას: შშრომელი გულის ტკივილით მიმართავს თავის ხელით ნაზარდ ვენახს.

ჩაღმა ჩაყრილო ვენახო, სად წადი და სად მოგნახო?  
ჩემო გაზრდილო ვენახო, სად წადი და რომელ მხარეს?  
მამაპაპურო ვენახო, სად წადი და სად მოგნახო<sup>117</sup>.

აჭარის დასახელებულ რაიონში აღნიშნული ტექსტის სამი ვარიანტის არსებობაზე მიგვიითითებს ჯ. ჩხეიძე, მას ორსტრიქონიანი ლექსი ვაზის ქება-პიმნი პირველ არქაულ ვარიანტად მიაჩნია<sup>118</sup>:

ჩაღმა ჩაყრილო ვენახო,  
ამოღმა ამოკურდებო.

<sup>115</sup> ფ. არქ. № 33818. შოქმ. ფ. აზირაშვილი, ჩამწ. გ. ასატურთვი, სოფ. უღე, 1948.

<sup>116</sup> „თეატრი“, 1886, № 17, გვ. 183.

<sup>117</sup> ჯ. ჩხეიძე, დასახ. წიგნი, გვ. 65—66.

<sup>118</sup> იქვე, გვ. 65—67.


დამოუკიდებლად გავრცელებული ეს მოკლე ტექსტი, მართლაც, შეიძლება მიუთითებდეს მის უძველესობაზე, კერძოდ, აყვავებული მევენახეობის პერიოდზე აჭარაში, ხოლო მესამე ვარიანტი ტრადიციული ფოლკლორის ნიმუშის თანამედროვე ტრანსფორმაციას წარმოადგენს<sup>39</sup>.



ამრიგად, სავენახო ლექს-სიმღერები შრომის პოეზიის უძველესი სახეა. იგი გავრცელებული იყო მთელ საქართველოში და უმთაქრესად კოლექტიურად სრულდებოდა, მაგ. ყურძნის კრეფისა და წურვისა-საწნახლური. გვაქვს ინდივიდუალური შესრულების ტექსტებიც: ვენახის ბარვისა და ქვევრის რეცხვისა. ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელი სავენახო რვამარცვლიანი ლექსების გვერდით გვხვდება ურითმო ტექსტები რეფრენით, რაც ისტორიული განვითარების ადრინდელ საფეხურზე მიგვითითებს.

---

<sup>39</sup> ჩ ხ ე ი ძ ე, დასახელებული წიგნი, გვ. 66.





# ს ა ფ ე ი ქ რ ი

შრომის პოეზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა შინამრეწველობის საფეიქრო დარგთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები. ამგვარ ნაწარმოებთა უმთავერესი ნაწილი შექმნილია შრომის პროცესში; იგი ასახავს შრომის ტექნიკასა და წყობას, რომელშიაც მიმდინარეობს საქმიანობა. ტერმინი „ფეიქარი“ გვიანდელი შემოსულია ჩვენში. რუსთაველი მის ნაცვლად „ქსლის მბეჭველს“ ხმარობს: კაცი ჭაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა<sup>320</sup>. ხევისურულ ლექსში „ქსლის ქსოვაზეა“ ლაპარაკი:

ქსელთა ექსოვ მაშის ეზოთა,  
ზალტეთა ვაჟრიალება<sup>321</sup>.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ფეიქარი ახსნილია, როგორც „ლარის მქსოელი“.

საფეიქრო მრეწველობა საქართველოში უხსოვარი დროიდან დასტურდება. ანტიურ ხანამდე კოლხური საქსოვი დაზგის განვითარებასა და სხვადასხვაგვარი ქსოვილის არსებობაზე მიგვიჩვენებენ არქეოლოგები ბ. ა. კუფტინი<sup>322</sup> და ლ. ნ. სოლოვიოვი<sup>323</sup>. სელის დამუშავებასა და განვითარებულ საფეიქრო მრეწველობას დასაველეთ საქართველოში აღნიშნავს ჰეროდოტე<sup>324</sup>.

<sup>320</sup> შოთარულსთაველი. ეფთხისტყაოსანი, 1951, სტროფი 799.

<sup>321</sup> ა. კ. შანიძე, დასახ. წიგნი, გვ. 160.

<sup>322</sup> Б. А. К у ф т и н, Материалы к археологии Колхиды, II, 1950, 33. 274—297.

<sup>323</sup> А. Н. Соловьёв. Селища с текстильной керамикой на побережье западной Грузии. журн. „Советская археология.“ 1930, XIV, გვ. 265—286.

<sup>324</sup> თ. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ. 1960, 2, 105.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე I; ათასეულის მეორე ნახევრიდან, ამავე დროს ბერძენი ისტორიკოსის პეროდოტეს ცნობები საფეიქრო მრეწველობის შესახებ შუქს-ფენს ქართველთა ყოფაცხოვრებასა და საქმიანობას. საქართველოში გვიანამდე შემორჩენილი შინამრეწველობის ჩვენთვის საინტერესო დარგს წინ უსწრებდა ხანგრძლივი და განვითარებული მეურნეობა.

ნატურალური მეურნეობის ფორმები, როგორც ცნობილია, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შემორჩენილი იყო XIX საუკ. ბოლომდე, მისთვის დამახასიათებელი ოჯახური მრეწველობით.

შინამრეწველობის პროდუქტებს ხმარობდა მთელი საქართველო განურჩევლად ბარისა და მთიანეთისა. შრომის ეს სახე დამახასიათებელია კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების წინა პერიოდისათვის, რომელსაც ასე აღწერს ვ. ი. ლენინი: „...გლეხის ოჯახში „ძველთა ძველი დროიდან“ შემოღებულია, რომ ცოლი მოსავეს ქმარს, თავის თავსაც და ბავშვებსაც“<sup>325</sup>. ამრიგად, გლეხის ოჯახი საკუთარი ძალებით აწარმოებდა მოხმარების პროდუქტებს, თვითონვე იკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებებს შინ დამზადებული საფეიქრო ნაწარმით.

ბუნებრივი პირობები ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის გარკვეული დარგების წარმოშობასა და შინამრეწველობის სხვადასხვა სახეთა განვითარებას. მთიან რაიონებში, სადაც მეჭოგეობა იყო გავრცელებული მუშავდებოდა მატყლი, შალების, ნაბდების და ქუდების საწარმოებლად; ბარში ბამბისა და აბრეშუმის ნედლეულის არსებობა ხელს უწყობდა ხამის, დარაიის, ნარმისა და სხვ. ქსოვილების დამზადებას.

ამიერკავკასიასა და კერძოდ საქართველოში შინამრეწველობის დარგთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა საფეიქრო მრეწველობას: შალეულის, აბრეშუმეულის, ნიჟ-ფარდაგების დამზადებასა და ქარგვა-ქსოვას.

1830-იან წლებში მოგზაური დიუბუა აღნიშნავდა, რომ ამიერკავკასიაში ოჯახური მრეწველობა, ხელსაქმე, ოჯახშივე დამზადება, წაგალითად, ბამბისა, შალისა და აბრეშუმის ქსოვილებისა, საყოველთაოდ იყო გავრცელებული<sup>326</sup>.

ქართულ ხალხურ შემოქმედებას დაუცავს ტოპონიმიკურ სახელებთან დაკავშირებული საინტერესო ლეგენდა-თქმულებანი, რაც

<sup>325</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. I, 1948, გვ. 129.

<sup>326</sup> ციტირებულია პ. გუგუშვილის მიხედვით, იხ. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, 1950, IV, გვ. 50.

აგრეთვე ადასტურებს აღნიშნული მრეწველობის უძველეს ტრადიციას ჩვენში.

საფეიქრო მრეწველობა უმთავრესად ქალთა საქმიანობას წარმოადგენდა. კ. ბიუხერსაც აღნიშნული აქვს ძაფის დამზადებასა და ქსოვაში ქალთა როლი. საბერძნეთში საფეიქრო სიმღერებს ასრულებდნენ მქსოველი მონა ქალები. საფრანგეთში არსებობდა ფეიქართა სიმღერები *chansons de toiles*, რომელსაც მღეროდნენ ქალები ხელსაქმის დროს. ასევე ცნობილია ინგლისში სიმღერები რთვის დროს. რუსეთში საფეიქრო საქმიანობაში ჩაბმულნი იყვნენ მხოლოდ ქალები.

საქართველოში ქალთა საოჯახო შრომაში დიდი ადგილი ეკრძა მოხელსაქმეობას, რასაც ვაჟა-ფშაველა სპეციალური ტერმინით<sup>327</sup> გამოკყოფს. ეს „სადედაკაცო საქმე“, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეშია ცნობილი. კერძოდ. ფშავეში, ხევსურეთში, თუშეთში, მესხეთ-ჯავახეთსა და სხვ. სამუშაო დროთ განსაკუთრებით ითვლება ზამთრის პერიოდში, სადაც „სადედაკაცო კერასთან“ მსხდომი „მჩეჩლის მუშა“ ქალები სჩეჩენ, ართავენ მატყლს, ქსოვენ<sup>328</sup>. ამ გამუდმებულ საქმიანობას თან ახლდა ხმაშეწყობილი სიმღერა.

საქართველოში ფრიად გავრცელებულმა საფეიქრო მრეწველობამ გამოძახილი ჰპოვა ხალხის მხატვრულ სიტყვიერებაში. ასეთი ლექსები საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება. იგი შრომის პოეზიის მრავალფეროვანი სახისა და თემატიკის მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს და გამოხატავს ნატურალური მეურნეობის დროს მძიმე ეკონომიურ ტვირთქვეშ მყოფ ქალთა განცდებს.

საფეიქრო სიმღერებში გადმოცემულია ქალის მდგომარეობა ოჯახში, დამოკიდებულება ქმართან. დედამთილ-მამამთილთან, მულთან. მასშიღე ქარბად გვხვდება სოციალური. სატრფიალო და სატირულ-იუმორისტული მოტივები.

თემატიკის მიხედვით ქართული საფეიქრო ლექს-სიმღერები ორ ძირითად ჯგუფს წარმოადგენს: 1. საფეიქრო-საყოფაცხოვრებოს, რომელშიაც შევა ჩეჩვასა და რთვისთან დაკავშირებული სიმღერება და 2. საფეიქრო-სატრფიალო სიმღერები.

საფეიქრო ლექს-სიმღერები შესრულების მიხედვით შეიძლება იყოს ინდივიდუალური და კოლექტიური. რადგან ეს შრომა ნატურალური მეურნეობის ძირითადი და დამახასიათებელი დარგია. დღეს იგი გარდასულ საქმიანობად ითვლება და ცოცხალ ყოფაში აღარ

<sup>327</sup> ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, 1937, გვ. 87.

<sup>328</sup> იქვე, გვ. 37.

გვხვდება. ხშირად საფეიქრო ლექსი მელოდიის გარეშე ითქმება და ამდენად შესრულების წესების აღდგენა მთქმელთა ცნობებზეა დამოკიდებული.

სართავ ლექს-სიმღერებში ლაპარაკია ნედლეულზე—ბამბასა ვა აბრეშუმზე. სოფ. მარტყოფში 1889 წელს ჩაწერილ ლექსში—„ბამბამ უთხრა აბრეშუმსა“—ერთმანეთს ეჭიბრება ორი ძირითადი ნედლეული:

ბამბამ უთხრა აბრეშუმსა: შენ ჩემზედ მეტი რა ჰქენი?  
გლეხიკაცი ვაუამდიდრე, ფეიქარსაც დავსდე ფერი.  
ერთმა კაცმა მოინდომა ერთი შეიდიში შენი,  
სახლის ავეჯი გაჰყიდა, არა ჰქონდა ფასი შენი<sup>229</sup>.

ლექსი, ჩვენი აზრით, უნდა წარმოადგენდეს გაბაასების უანრის ფრაგმენტს, იგი იწყება პირდაპირ ბამბის პასუხით, რომელიც აშკარად გულისხმობს აბრეშუმის მიერ რალაც აღრე თქმულს.

დასავლეთ საქართველოში გავრცელებულია მსუბუქი განწყობილების იუმორისტული ლექსი, მიძახილით „ჩარიჩამა“:

ჩარიჩამა შემოვძახოთ, ჩარიჩამა ბებიაო,  
აბრეშუმმა გვიღალატა, ბამბა მაინც ბევრიაო<sup>230</sup>.

ბამბასა და აბრეშუმთან ერთად გვხვდება ლექსი, რომელიც ასახავს მატყლის მოპოებასა და დამზადებას:

შე დალოცვილო მეცხვარე, ძაღლებს არ დამაგლეჯინო.  
პატარა მატყლი მაჩუქე, გოგოებს დაეჩეჩინო<sup>231</sup>.

„მჩეჩელთ შაყრა“-ზე ანუ ქალთა ნაღზე მიგვითითებს ხევსურეთში ანა ოჩიაურის მიერ 1955 წელს ჩაწერილი ლექსი. ქალთა კოლექტიური შრომის ეს მეტად საინტერესო ნიმუში წარმოგვიდგენს ხევსურეთში გავრცელებულ საფეიქრო საქმიანობას. შრომელ ქალთა მხიარული კრებული ზამთრის დამეებში „3—4 საათამდე ავრძელებდა ჩეჩვას“. ლექსი მსუბუქი იუმორით გადმოგვცემს მატყლის მჩეჩელთა ჭანსად განწყობილებას, მეგობრულ შეხუმრებას:

კალოთანელთ მჩეჩელნი ხყვან, დადგა მატყლის წეწაო,  
შუღალამე მათანა, არ გაჩეჩეს კეკაიო.  
ჩვენი ნინო გაუჩავრდა.—უნდა დავსცე ჩეკაიო!

<sup>229</sup> „ივერია“, 1889, № 236.

<sup>230</sup> ვ. კოტეტიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 176.

<sup>231</sup> თ. ოქროშიძე, დასახ. კრებული, გვ. 169.



ამაგის მალექსებელსა ერთ თამბაქოს წყევაიო,  
მწარე ეეგეთა იყოს, რო დავიწყა სწევკაიო<sup>332</sup>.

ხალხურ პოეზიაში შექმნილია გამრჩე ქალი, რომელიც თავისი ენერგიული საქმიანობით შედარებულია დაუსრულებლად მოტრიალე „ხარატულის ჯარასთან“<sup>333</sup>.

საფეიქრო პოეზია უმთავრეს წილად ქალთა შემოქმედებას წარმოადგენს. ამგვარი ლირიკის შესანიშნავი ნიმუშია ფშავში ჩაწერილი ლექსი „ქალის სიმღერა“. ძაფის რთვას აქსოვს მშრომელი ქალი თავის ტრფიალს. ოპტიმისტური განწყობით გაუღწეოთილი ლექსი თავიდან ბოლომდე ერთი შეუწყნებელი ტემპითაა ჩამოსხმული:

ერთე, ერთე ფარტენაო, ჩაეხეე ტარზედაო,  
ჩემი გულის ნანდაურო, კახეთს არის ცხვარზედაო.  
წადგება და წამოდგება კახელების ბანზედაო.  
წელწადს დილას მოსელა მითხრა, თვალი მაქვის გზაზედაო.

მხატვრის ფუნქციით არის დახატული მხედარი—სატრფო. თეთრი, ლურჯი, წითელი და შავი ფერები ენაცვლება ერთმანეთს. ასევე ამღერებული ფერადებით ეღერს თვითონ ლექსიც:

გავხედენ და მოგოგავდა, ლურჯა ცხენი ნაღზედაო.  
აყედებოდა თეთრი ჩოხა წითელ ახალუხზედაო,  
უხდებოდა შავი ქელი მთვარესავით პირზედაო.

განსაკუთრებით ძლიერი გრძნობით გაისმის ლექსის ფინალი:

შვეინარიმც ენაცვლება შამვენებულს ტანზედაო<sup>334</sup>.

საფეიქრო ლექს-სიმღერებში სიყვარულის გრძნობა ზოგჯერ ეროტიკაში გადადის. ხალხურმა პოეზიამ შემოგვინახა გარდასული საქმიანობის ასეთი ნიმუშებიც სიმღერებისა თუ ლექსების სახით. ნ. ლორთქიფანიძე ერთ-ერთ ნაწარმოებში გვიხატავს ქართული შინამრეწველობის რეალისტურ სურათს დიდი ფეოდალის ოჯახში: „საქალეობოში ჩვეულებრივი მუშაობა იყო გახურებული,—წერს იგი,— ერთი ართავდა და მღეროდა:

ახლა დილილმე, დილილმე, დამტოვე დაბნედილი მე,  
კახისა ზორტი შემხსენ და პერანგისა დილი მე.

<sup>332</sup> ქ ს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, დასახ. კრესტომათია, გვ. 40.

<sup>333</sup> ხალხ. სიტყვ., წ. 1, ე ქ ვ თ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ის რ ე ლ ა ქ ტ., გვ. 128.

<sup>334</sup> ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. წიგნი, გვ. 17.

ენტავი როდის მელიროს შენთან წოლა და ძილი მე.  
თვალ-ქოჩორ გადახატულო, ტანი ალვისა, ქირიშე<sup>225</sup>.

ჩვენამდე მოღწეული ეს ტექსტი მოწყვეტილია საფუძველს, რო-  
მელმაც იგი წარმოშვა: მწერლის მიერ დახატული ეპიზოდები და  
სცენები ნაწილობრივ მაინც იძლევა საშუალებას ცოცხლად წარმო-  
ვიდგინოთ ლექსის ბუნებრივი გარემო.

საფეიქრო პოეზიის საქსოვი რეპერტუარიდან მეტად საინტერე-  
სოა ლექსი „ძველებური ქართული სიმღერა ქალებისა ძილის გა-  
საფრთხობი“. სათაურიდანვე ჩანს, რომ ლექსი ეხება ღამით მოხელ-  
საქმე ქალს. ეს უკანასკნელი კი ძილის გასაფრთხობად მღერის.

თითოეულ ტაქზე რეფრენის სახით დართული სიღარიბისა და  
ჩაგვრის გამომხატველი ფრაზა „მე საბრალოსაო“, ლექსს ბოლომდე  
გასდევს და ამით ხაზს უსვამს მომღერლის დაბეჩავებულ მდგომარ-  
ეობას. სიმღერაში გადმოცემულია იმ გრძელი, უძილო ზამთრის ღა-  
მეების სიმძიმე: რომელიც წილად ხვდენოდა გლეხის ქალს:

ძილო, რასა შეძინები, მე საბრალოსაო,  
მე ძილმა ასე მიბრძანა, მე საბრალოსაო,  
ღაწეკ და ღაიძინეო, მე საბრალოსაო.  
ვინც რომ გულითა გიყუარდეს, მე საბრალოსაო,  
ისიც გვერდს მოიწვინეო, მე საბრალოსაო.  
ძილო, ნუ დამეძინები, მე საბრალოსაო,  
ღაურთაე და შეუყერაე იმ საბრალოსაო.

ლექსის მეორე ნახევარში ქალი ვედრებით მიმართავს სართავ და  
საქსოვ იარაღებს:

თითისტარო, კვირისტაეო, მე საბრალოსაო  
ჩქარა დაბრუნდი, დაბრუნდი, მე საბრალოსაო...<sup>226</sup> და სხვ.

ლექსს მრავალი ვარიანტი მოეპოვება. ზოგ მათჯანში დასახელე-  
ბული, საგანგებოდ შერჩეული სიტყვა, იუმორისტულ განწყობილე-  
ბას ქმნის, იწვევს სიცილს და აფხიზლებს ღამით მომუშავე ქალს.  
აქარაში გავრცელებული საფეიქრო სიმღერა<sup>227</sup>, რომელსაც თა-  
ვისი მკვეთრი კოლორიტი ახასიათებს, უძველესი შინამრეწველური

<sup>225</sup> ნ. ლორთქიფანიძე, რჩეულო თხზულებანი, ტ. I, 1950, გვ. 136—137.

<sup>226</sup> ვ. კოტეტიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 117.

<sup>227</sup> ჟ. ჩხეიძე, დასახ. წიგნი, გვ. 80: თ. ოქროშიძე, დასახ. კრებ. ქ-  
ლო, გვ. 177.

საქმიანობის ამსახველი ზემომოტანილი ზოგად-ქართული ლექსის ერთი მნიშვნელოვანი ვარიანტია.

საყურადღებოა აღნიშნული ლექსის რაზიკაშვილისეული მოკლე ვარიანტი, რომლის უკანასკნელი ორი სტრიქონი:

სიღარიბისა არგანსა  
ხელთ მოცემ, დაიბჯინეო<sup>328</sup>.

ძირითადად ტექსტში არ გვხვდება, სამაგიეროდ, ვარიანტში არ არის ძირითადი ტექსტის დამახასიათებელი და თავისებური რეფრენი „მე საბრალოსაო“. ვარიანტში დაცული ტერმინი „არგანი“ სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „არს კვერთხი უგრძესი, საბრჭენლად კაცთა უძღურათთვის“. ვფიქრობთ, ლექსში ლაპარაკია არა ფიზიკურ უძღურებაზე, არამედ იმ საერთო სიღარიბეზე, რომელიც მძიმე ტვირთად აწვა გლეხობას გასულ საუკუნეებში.

ამ შესანიშნავ ლირიკულ ნაწარმოებში წარმოდგენილია ზამთრის გრძელ ღამეებში ფეოდალურ ქართულ სოფელში მომუშავე ქალი, რომელიც საქსოვი იარაღების რიტმზე მოკვეთილი მუსიკალური ფრაზებით მღერის აღნიშნულ ლექსს.

მთხერხებულად არის გამოყენებული ქალთა საქმიანობის ამსახველი ლექსი მობეზრებული სტუმრის მიმართ. ლექსი იწყება სპეციალური საფეიქრო ტერმინით „ორხოვილი“, რაც ნიშნავს ორხოიანს, ხალიჩისებურ ქსოვას. პროფ. პ. გუგუშვილი „ორხოულს“ განმარტავს როგორც მისაქსველ ძაფს.

ორხოვილად მოქსოვილო. ჭეჭიმურად დადგიმულო.

ეს სტუმარი არსად მიდის. შეკამანდი დადგი მულო...<sup>329</sup> და სხვ.

ლექსის ვარიანტში პირველი სტრიქონის მეორე ნახევარში გვაქვს „ადგინულად დადგენულო“. ჩვენი აზრით, თავდაპირველად უნდა ყოფილიყო „ჭეჭიმურად დადგიმულო“. ჭეჭიმი ხალიჩის სახესხვაობაა, ხოლო „დადგიმული“ კი ღვიში გატარებას ნიშნავს.

ფშაველისათვის იდეალია ქალი, რომელმაც რთვაც იცის და ქსოვაც. საქართველოს მთიანეთში დიდხანს მოსაედა ოჯახს ქალი საკუთარი ხელით დაჩეჩილ-დართული მატყლით, ქსოვდა ქმარ-შვილისათვის ტანსაცმელს. ამიტომ გასაგებია, რომ მთელ რიგ საფეიქრო ლექსებში სალანძღავად და სათრეველად გამხდარა უქნარა ცოლის სახელი.

<sup>328</sup> ხალხ. სიტყვა. წ. 1, ეჭვთ. თაყაიშვილის რედაქტ., გვ. 219.

<sup>329</sup> „ლექსტი ნი.გვაწოჯა პოეტ-აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ.

საფეიქრო მრეწველობის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს სათევზაო ბადეების ქსოვა. იმ მცირეოდენი მასალიდან, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ 1951 წლის ქუთაის-ტყიბულის ექსპედიციის დროს, ჩანს, რომ სატრფიალო მოტივს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აღნიშნულ მრეწველობაში. მთქმელმა ელ. ტყაბლაძემ, სოფ. გელათიდან (ქუთაისის რ-ნი), გადმოგვცა: „სათევზაო ბადის ქსოვის დროს ვმღეროდით ამ ლექსსო“:

გოგო, რა კარგი თეთრი ხარ, წელში ხარ ბაწანწალაო;  
შენმა ქაერმა და სურვილმა ლეკვით მაწაწკანაო.

რამ გამოიწვია სათევზაო ბადეების ქსოვა. ოკრიბის მხარეში, გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ რომ, სოფ. გელათის ბოლოს ჩამოდის მოზრდილი მდინარე წყალწითელა, სადაც თევზაობდნენ. დ. თომაშვილის ცნობით: „გელათში სათევზაო ბადეებს ქსოვდნენ. გაჰქონდათ გასასყიდათ ქუთაისში, ზესტაფონში, ზუგდიდსა და ოზურგეთში, ქსოვდნენ სასროლსა და ხელბადეებს“.

საფეიქრო მრეწველობის ამსახველი პოეზია საკმაოდ მდიდარია საქართველოში. მისი თემატიკა საყოფაცხოვრებო და სატრფიალო მოტივებით განისაზღვრება, იგი ქალთა შემოქმედების ნაყოფია და ამგვარად სრულად გამოსახავს იმ გარემოს, რომელშიაც უხდებოდა მუშაობა ქალთა კოლექტივის. საფეიქრო ლექს-სიმღერები შესრულების მხრით ინდივიდუალური და კოლექტიური. ლექსები მოკლე და უმთავრესად რეამარცვლოვანი ზომისაა.





# საწყაღხელ

საქართველოში საფეიქრო ლექსებთან ერთად/ძველთაგანვე გავრცელებული ყოფილა საწყაღხელო<sup>340</sup> ლექსები და სიმღერები. შრომის პოეზიის ამ სახით განსაკუთრებით მდიდარია აღმოსავლეთი საქართველო/ წყაროების სიმცირეს გამო აქაურ მოსახლეობას წყლის შორიდან ზიდვა უხდებოდა./

! წყლის შოტანა „სადედაკაცო საქმედ“ ითვლებოდა. მხატვრულ ლიტერატურაში აღწერილი ეპიზოდები გვიდასტურებს ქალთა ამ საქმიანობის ძლიერ ტრადიციას<sup>341</sup>.

<sup>340</sup> წყლის მოსატანი სიმღერების აღსანიშნავი ტერმინი სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე ცნობილი არ იყო. აღ. ქამბაქერ-ირბელიანი მას უბრალოდ „წყლის მოსატან სიმღერებს“ უწოდებდა (ცისკარი, 1861, № 1, გვ. 149) და ქართულ ფოლკლორისტიკაშიაც იგი ამავე სახელწოდებით იყო დამკვიდრებული. როგორც ხევისურული მასალებიდან ჩანს, საქართველოში შრომის ეს სახეობა წინათ აღინიშნებოდა საგანგებო ტერმინით, ასე. მაგალითად, ერთ-ერთ ხევისურულ ლექსში ვკითხულობთ:

წამავე საწყაღხედოდა, გადიწვერენს მზენია,  
თვალთ მავხილდე მწვანითა, რაქე სხვაგვარად ვქენია.

(იხ. ქართული სიტყვიერება, ქრესტომათია. შეადგინა, შესავალი წერილი, განმარტებითი ბარათები და შენიშვნები დაურთო ქს. სიხარულიძემ, 1956, გვ. 44. ჩამწერი ანა ოჩიაურა).

ეფიქრობთ, აღნიშნული შრომის პროცესთან დაკავშირებულ ლექს-სიმღერებს კარგად გამოხატავს ხევისურული ტერმინი „საწყაღხელო“.

<sup>341</sup> აღ. ყ ა ზ ბ ე გ ი, თხზულებანი, ტ. 1, 1948, გვ. 192; ე. კ. გაბაშვილი, რჩეული ნაწერები, 1932, გვ. 68; მ. ე. ლ ა ნ ი ა, ბნელო, 1950, გვ. 180; დ. კ. ო ნ - ქ ა ძ ე, სურამის ციხე, 1932, გვ. 79.

ხალხური შემოქმედების პროზაულსა თუ პოეტურ ჟანრებში მკაფიოდ ჩანს ქალთა შრომა. ოჯახში წყლის ზიდვა ევალებოდა ქალს, განსაკუთრებით ახალგაზრდას. სწორედ ეს აღუბეჭდავს ხალხურ ლექსს:

ღეღე. რაზე გამათხოვე ასე პატარა ქალია,  
ვერ შევიძელ ოჯახობა, ვერ მოვიტანე წყალია.

აღნიშნულ შრომას უკავშირდება ალ. ყაზბეგის მიერ აღწერილი საქორწინო ცერემონიალის ერთი მომენტი. ეს არის ქორწილის შემდეგ პატარძლის „წყალზე გაყვანა“, მასში შემონახულია მოხვევთა ზნე-ჩვეულება.

წყლის მოსატანად ქალთა მთელი ჯგუფი მიდიოდა, სიმღერებიც გუნდურად სრულდებოდა. ასეთ ლექსებში დიდი რაოდენობითაა შესული სატრფიალო მოტივი, გვხვდება ქალის ოჯახური მდგომარეობის აღწერა და სატირა-იუმორიც.

ამრიგად, საწყალზელო ლექს-სიმღერები ორ ჯგუფად იყოფა: 1. სატრფიალო და 2. საყოფაცხოვრებო. /3. კოტეტიშვილის აზრით/ რადგანაც ამ შრომას სამი რიტმული მომენტი ახასიათებს: წყალზე გამგზავრება, ავსება და დაბრუნება<sup>342</sup>, ამიტომ მასთან დაკავშირებულ ლექს-სიმღერებიც ასეთივე მუხლობრივი უნდა იყოს. აღნიშნული მომენტების ლოკალური გამოხატულება ქართულ ფოლკლორში არა ჩანს.

სოფლებში წყალს ეზიდებოდნენ დილაადრიაანად და საღამოთი. ალ. ჯამბაყურ-ორბელიანი წერს: „ბევრჯელ მახსოვს ესეც. ერთი სოფლის დედაკაცები და გაუთხოვარი ქალები, ერთათ შეყრილნი საღამო ჟამს, წყალზე მიმავალნი კოკებითა მხრებზედ შედგმული თან შეწყობილსა სიმღერას ამბობდნენ ამას მეტად კარგად: „თინა მიდის წყალზედა, ახ თინანო, თინანო“... და სხუანი. ესეც წყლის მოსატანი სიმღერა არის“<sup>343</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ვ. კოტეტიშვილს ეს ტექსტი ხელთ არა ჰქონია, მისი მიგნების იმედს მკვლევარი მაინც არ კარგავდა<sup>344</sup>. და, მართლაც, ჩვენი აზრით, აღნიშნული სიმღერა შემონახულა ვ. უმიკიაშვილის კრებულში გამოქვეყნებული ტიპიური საწყალზელო ლექსის სახით, რომელიც დაახლოებით ისევე იწყება: როგორც ალ. ჯამბაყურ-ორბელიანის მიერ მითითებული ტაეპი:

<sup>342</sup> ვ. კოტეტიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 324.

<sup>343</sup> ალ. ჯამბაყურ-ორბელიანი, ივერიანელების გალობა, სიმღერა და ლილინი. „ცისკარი“, 1861, № 1, გვ. 149.

<sup>344</sup> ვ. კოტეტიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 324.

აი თინანო, ოინანო, ვაი თუ ბოლოს ინანო!  
თინა მიდის წყალზედა, კოკა უღევს მხარზედა.  
თინამ კოკა ძირს დადო,—გამიგორდა მკლავზედა!  
თინამ დაკლა ქათამი, არ მაქამა ბარკალი,  
ღმერთო, შენ გაუწყვიტე. კუპულა და ქათამი<sup>345</sup>.

ლექსში ორგანულად არის შესული სატრფიალო მოტივი, რაც საერთოდ წყლის მოსატანი სიმღერების ლეიტმოტივია.

წყლის მოტანასთანაა დაკავშირებული „თებრონე მიდის, წყალზედა“ რომელიც ზემომოტანილ ლექსთან ციკლს ეკუთვნის. ორივე განსატრფიალო-ეროტიკული მოტივი შერწყმულია წყლის ზიდვასთან. სიმღერის ტემპი სოფლის ორღობეებში მხარზე კოკაშედგმულ ქალთა გუნდის ნელი მსვლელობის ტემპს ამჟღავნებს. მდინარეებისა და წყაროების კალაპოტები უმთავრესად ჩაეკებულ ხეობას, ხევებს წარმოადგენს. აქედან უნდა მომდინარეობდეს აღნიშნული ლექსის მტკიცედ ჩამოყალიბებული რეფრენი „ხევ-ხევ თებრონეო“. წყარო შეყვარებულთა შეხვედრის ადგილიც იყო:

თებრონე მიდის წყალზედა, კოკა უღვია მხარზედა,  
კობტა გოგო გენაცვალე. ხევ-ხევ თებრონეო!  
ქარგო, მოგივალ წყალზედა, გავოცებ ორსავ თვალზედა... და სხვ.

ქალი ავსებულ კოკას მხარზე შეიდგამს და უკან ბრუნდება, გზაში ქოჩორა ბიჭს შეასწრებს თვალს. მთელი ეს მეტყველი სცენა ნიჭიერი ოსტატის მიერ არის დახატული. ერთი პატარა ექსტით ნაჩვენებია სოფლის მორცხვი გოგონა:

თებრონემ კოკა ჩამოღვა  
მანდილს იფარებს თავზედა<sup>346</sup>...

ივ. ჯავახიშვილს „თებრონე მიდის წყალზედა“ ძველისძველ სიმღერად მიაჩნდა<sup>347</sup>. აღნიშნული ლექსის უკანასკნელი სტროფის ვარიანტია ოთხსტრიქონიანი ნიმუში „ქალმა რომ კოკა აავსო“. ჩანს, იგი მოწყვეტია ძირითად ტექსტს და ურეფრენოდ დამოუკიდებელ ლექსად გავრცელებულა.

<sup>345</sup> პ. უ შ ი კ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. წიგნი, გვ. 396. იხ. თ. ო ქ რ ო შ ი ძ ე, ქართული ხალხური შრომის პოეზიის ძირითადი სახეები, საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, 1953, გვ. 373; ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, დასახ. ქრესტომათია, გვ. 43.

<sup>346</sup> ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. წიგნი, გვ. 32.

<sup>347</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. მუს. ისტ. ძირითადი საკითხები. 1938, გვ. 335.

ზემოაღნიშნული ლექსების ციკლს ეკუთვნის აგრეთვე ა. მირა-ქიშვილის მიერ ჩაწერილი: „ქვეე მიდის წყალზედა“. აქ საინტერესოა ალიტერაციის შექმნის ცდა:

ქვე მიდის წყალზედაო, კოკა უღევს მხარზედაო,  
ქვეე კოკა ძირს ჩამოდგი, გამოგორდი მკლავზედაო<sup>348</sup>.

საგულისხმოა ი. კარგარეთელის 1899 წელს სოფ. ბიწმენდში გაგონილი და ნოტებზე გადაღებული „ქართლური სიმღერა“<sup>349</sup>, რომელსაც დასაწყისში „თებრონე მიდის წყალზედა“-ს ერთი სტროფი ერთვის. მას თან მისდევს დამოუკიდებელი, საინტერესო ბალადა, სადაც რომანტიულ-სიმბოლისტური სურათის პარალელურად ვითარდება ქალის ხელპირის ნაბანში ვაჟის დაღრჩობისა და დედის დატირების მძაფრი რეალისტური სურათი. ერთი მხრით გვაქვს, სი-ცოცხლე და მშვენიერება წყაროდ გადმომდინარი, მეორე მხრით, სიკვდილის ღრმა შეგრძნება. წყლის სიმბოლიკის შემცველი ამ ბალადის დაკავშირება შრომის სიმღერებთან შემთხვევითი არ უნდა იყოს.

სატრფიალო პოეზიაში ხშირად გვხვდება ქალი საოჯახო საქმიანობაში, რომლის ერთ მომენტს წყლის ზიდვა წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა გრ. აფშინაშვილის ფშავში ჩაწერილი ლექსი „ზეცას შენ შუქურ ვარსკვლავო“<sup>350</sup> ტექსტი იწყება ქალის გარეგნული სილამაზის აღწერით, შესადაგებლად გამოყენებულია მზე, ღრუბელი, ბნელი ღამე, ალვის ხე, მაყვალი და სხვ. ლექსში თანდათან მალა იწევს მხატვრული შედარებანი. შემდეგ კი აფორიაქებული პოეტი დინჯდება, ეპითეტების მწვერვალიდან ძირს ეშვება და ტრფობის ობიექტიც კონკრეტულ, ხორცშესხმულ არსებად გვევლინება. მთავრდება ლექსის ხოტბითი ნაწილი და იწყება მეორე, ქალის საქმიანობის აღწერა:

ხშირ უბანს, ქალო, შენ სდგეხარ, სახლი გაქვს ქვითკირისაო,  
წყალი შორსა გაქვს საზიდი, დილ-დილით ზომავ გზასაო.  
შენ მენანები, ქალო, შორით რომ ზიდავ წყალსაო,  
ერთხელ შარაზე დამიხედი, თუნგი გვეიდა ქალსაო,  
გვერდითა სხვანი მოგდევდნენ, მათ უმშვენებდი მხარსაო... და სხვ.

ამ ლექსის ვარიანტი ჩაწერილია ს. მაკალათიას მიერ თუშეთში<sup>351</sup>.

<sup>348</sup> ხელნაწ. ინსტ., H—1936/51.

<sup>349</sup> ი. კარგარეთელი, სახალხო სიმღერები, ნოტებზე გადაღებულნი, 1899, გვ. 82.

<sup>350</sup> ვ. კობეტიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 18—19.

<sup>351</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, გვ. 152.



ფუნჯის ერთი მოსმითაა დახატული მინიატურა, საიდანაც ახალგაზრდა, სასძლოდ შედერებული, მზარხედ კოკა შედგმული ქალი გვიღიმის.

საიდან მოხვალ შენ, ქალო, მზარხედ რომ ვიდგას კოკაო?  
მომზადებულხარ სისძლოდა, დაგწითლებია ლოყაო<sup>352</sup>.

( ვფიქრობთ, საწყალზედო ლექს-სიმღერა უნდა იყოს „იო, ჩემო იო“, ჩაწერილი თ. რაზიკაშვილის მიერ ქართლში) იგი წარმოადგენს ლექსის „ქართლელი ქალის ტირილი-ს“ ფრაგმენტს. თავისი მხრით ეს უძველესი სასიმღერო თქმულება არის და შეიცავს წყლის სტიქიონის სიმბოლიკას. მოსაკლავად დადევნებულ ქმარს ცოლ ეუბნება:

ვყო, რა ვინდა, რას მომდევ, შენი რა წამილიაო,  
ცივი წყლით სახლი მომირწყავს, ზედ ვარდი გამიშლიაო<sup>353</sup>.

ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტი ამ სტროფის ვარიანტია და არდგანაც ძირითადი ტექსტი წყლის სიმბოლიკის შემცველია, მისგან გამოყოფილ ეპიზოდსაც დამოუკიდებელი, წყლის მოსატანი ლექსის სახე მიუღია:

იო, ჩემო იო, შენი რა წამილიაო,  
შენი კოკა და კუბალი, ცივ წყაროს დამიდგაო,  
სახლი ცივი წყლით მომირწყავს, ზედ ვარდი გამიშლიაო<sup>354</sup>.

ლექსში მოცემულია საწყალზედო სიმღერის ყველა დამახასიათებელი სიტუაცია და ატრიბუტი: ქალ-ვაჟი, წყარო და წყლის კურკელთა დასახელება.

(საყოფაცხოვრებო შინაარსისაა მესხეთში ვინმე მესხის მიერ ფიქსირებული ლექსი „ქალი წავიდა წყალზედა“<sup>355</sup>), რომლის ვარიანტები საქართველოს სხვა კუთხეებშიაც გვხვდება.

მსუბუქი, ჭანსადი იუმორი იგრძნობა სოფ. სასხორში (ქართლი) ზ. ქიტუაშვილისაგან ჩაწერილ ლექსში „ამ ჩვენებიანთ ქალსაო“<sup>356</sup>.

<sup>352</sup> „ივერია“, 1892, № 136.

<sup>353</sup> ვ. კ. ო. ტ. ე. ტ. ი. შ. ე. ი. ლ. ი, დასახ. წიგნი, გვ. 59.

<sup>354</sup> ხალხ. სიტყვ., წ. I, ე ქ ე თ. თ ა ყ ა ი შ ე ი ლ ა ს რ ე დ. გვ. 394.

<sup>355</sup> იქვე, გვ. 426.

<sup>356</sup> ვ. კ. ო. ტ. ე. ტ. ი. შ. ე. ი. ლ. ი, დასახ. წიგნი, გვ. 56.

ასეთია ძირითადად საწყალზედო ლექს-სიმღერები, შრომის პოეზიის ეს სახე ნათლად წარმოგვიდგენს ქართველი გლეხის ყოფას განუვითარებელი ტექნიკის პირობებში. წყლის ზიდვა მძიმე ტვირთად აწუხა ოჯახს, ქალთა პერსონალს, მაგრამ აკენიდანეე გარჯას შეზრდილნი, თავისი მძიმე მდგომარეობის შემსუბუქებასაც ეძიებდნენ, ასეთ შემსუბუქებას იგი მხოლოდ ლექსებისა და სიმღერების სახით აღწევდა დიდი ხნის განმავლობაში.)





# მეტეველი

საქართველოში შრომის სხვა სახეებთან ერთად გავრცელებული იყო ნაოსნობა, რომლის განვითარებას ხელს უწყობდა ჩვენში უხვი მდინარეების არსებობა. ადრინდელი ცნობები ფაზისზე, მტკვარზე, არაგვსა და ალაზანზე ზომალდებითა და ნავებით მიმოსვლის შესახებ ეკუთვნის პეროდოტეს<sup>357</sup> და სტრაბონს<sup>358</sup>. XII საუკუნის ისტორიკოსი თამარ მეფისადმი მიმართულ მხვენელთა ხოტბაში მენავეებსაც<sup>359</sup> იხსენიებს.

ნაოსნობის უძველესი სახეთაგანია მეტივეობა. ხე-ტყის მდინარეებით ჩამოტანას ჩვენში ჯერ კიდევ სტრაბონი აღნიშნავდა: „ფაზისზე მდებარეობს მისი მოსახელე ქალაქი, კოლხთა სავაჭრო ადგილი გარშემორტყმული მდინარით. ტბითა და ზღვით... ქვეყანაში კარგი ნაყოფები იცის... (და მოიპოვება) ნავთსაშენი ყოველივე მასალა რადგან იზრდება აქ მრავალი ტყე და მდინარეებითაც ჩამოიტანება“<sup>360</sup>.

ამრიგად, მდინარეებზე ხე-ტყის ტრანსპორტირება ძველთაგანვე ცნობილი ყოფილა საქართველოში. მეტივეობა განვითარებული იყო თბილისის მიდამოებში, მესხეთ-ჭავჭავთში; იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, რაჭაში, ლეჩხუმსა და სვანეთში.

მეტივეობა შინამრეწველობის ერთი დარგი იყო/ ტივზე მუშაობა მიწათმოქმედ გლეხს უკეთეს ეკონომიურ პირობებს უქმნიდა,

<sup>357</sup> თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. პეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, 1960, 1. 2.

<sup>358</sup> თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, 1957, გვ. 123—124, 127—128.

<sup>359</sup> ქართლის ცხოვრება. 1959, გვ. 146.

<sup>360</sup> თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონი, გვ. 123—124; მ. გეგეშიძე. წყლის ტრანსპორტი დასავლეთ საქართველოში, მიმოხილველი, III, გვ. 244.

ამიტომ ზოგი გლეხი ტოვებდა მიწის მეურნეობას და ხიფათით სავსე მეტრეეობას იწყებდა.

(მეტრეეთა ყოფა-ცხოვრება ბევრი ქართველი მწერლისა<sup>31</sup> შემოქმედების საგანი გამსდარა) ისინი ნათლად გეინასიათებენ ტივზე მომუშავეთა მძიმე შრომას. წყალს მინდობილი მეტივეები, ეგნ. ნინოშვილის მოთხრობის გმირების მსგავსად, ხშირად ცხოვრების დასასრულს წყალშივე აპოვებდნენ.

მეტრეეობასთან დაკავშირებული, თემატიკურად არც ისე მრავალფეროვანი ნიმუშები მრავალ ვარიანტულ სხვაობას იძლევა. მეტივეური ან ხეური სიმღერების შესრულების წესის შესახებ ივენს ხელთ არსებული მცირეოდენი ცნობებითა და ლექს-სიმღერების მიხედვით შეიძლება აღნიშნული შრომის პროცესის სურათი ნაწილობრივ გაინც აღვადგინოთ.

(მეტივეური კოლექტიური სიმღერაა.) ტივზე ორი ან სამი<sup>32</sup> კაცი მუშაობს. მაშასადამე, ისინი სიმღერასაც ერთად ასრულებენ (ზოგერთი სიმღერა ამებეური ტიპისაა) მაგ., ხალხოსანი მწერლის ზ. გულისაშვილის მოთხრობაში ტივზე ორი კაცი რიგ-რიგად იმღერის:

ქარელში ტივი აუშვი. იქვე მოიღერა ყელი.  
საყორნიას მივატანე, ფინთათ შემოცვალა ფერი.  
ორივე წყალში დამეხჩხო, მებოლოე, ხელის მკერაელი.

მეორე უპასუხებს:

მამაშენს კარგად ვიცნობდი. თავ-თხელს ესროდა ბადესა.  
შენ იმის შეილი არა ხარ, ტუულად ახეთქამ ბაქებსა<sup>33</sup>... და სხვ.

‘შესრულების წესის მიხედვით ასეთივე ამებეური სიმღერას წარმოადგენს მეტივეური ლექსი, რომლის პირველ ნახევარს, საგაზაფხულო რიტუალის შემცველ ლექსს, კონტამინაციით უკავშირდება პატრიოტულ-ისტორიული შინაარსის მოკლე ლექსი კონტა ბელადის შესახებ:)

პირველი:

ქარი ქარს. ქარი გრიადებს შალა ჩარდახსა პებრასო  
შიგა ზის ქალი ღამაზი, მოვის პერანგსა ქყერამო.

<sup>31</sup> ზ. გულისაშვილი. მოთხრობები. [არქივები. 1953. გვ. 74; ეგნ. ნინოშვილი. თხზულებანი. ტ. 1. 1950. გვ. 235; ნ. ლორთქიფანიძე. თხზულებანი. ტ. 1. 1950. გვ. 159; ზ. ანტონოვი. თხზულებანი, 1876. გვ. 442; გ. ლეონიძე. ლექსები, 1939. გვ. 97--98.

<sup>32</sup> ეთნოგრ. განუ-ბა შინამრეწე. მას., 1935.

<sup>33</sup> ზ. გულისაშვილი. დასახ. წიგნი. გვ. 70--71.

შეორე:

ვინ მოკლა კობთა ბელადი. სეტაკი იშის დედასა,  
აქყარა თოფ-იარაღი, ეწია გულის ნებასა<sup>361</sup>.

ტივის სააღებ-მიცემო მნიშვნელობას ხაზს უსვამს გავრცელებული ლექსი:

ჩემო ტეო, მაშინ გაქვბ, რომ ქალაქში ჩასულიყო.  
თავს მეშტარი დაგხეოდეს, სხვაზე მეტად გასულიყო<sup>362</sup>.

( მეტივეური ლექსების თემატიკაში დასასაათებუღია შრომის გარემო, გვხვდება საუბარი ტივის გამართვაზე. ორთაყვირებზე. გეოკრაფიულ ადგილებზე. საიდანაც მტკვარში ტივებს უშვებდნენ)

მთელ რიგ ლექსებში ხალხური პოეტი კიცხავს გაუფრთხილებელ მეტივეს, რომელმაც წინდაუხედაობით დაღუპა ტივი<sup>363</sup>. ხალხს არ უყვარს ორგული მომუშავე, სამაგიეროდ გამბედავი მეტივე საგმირო პოეზიის აღიარებულ გმირად-როსტომად წარმოუდგენია მთქმელს.

სოფ. გრემისხევეში 1939 წელს ჩაწერილ ლექსში<sup>364</sup> აღწერილია გლეხის ოჯახის გაყრა-გაყოფა. გაყრის შემდეგ თითოეულს ქონების ისე მცირე ნაწილი ხვდებოდა, რომ თავს ვერ ირჩენდა და იძულებული იყო სხვა გზისათვის მიემართნა. ასე გადადიოდა გლეხი მიწის მეურნეობიდან მეტივეობაზე.

სოფლის მეურნეობიდან შინამრეწველობაზე გადასული გეშინდელი გლეხის, დღეს კი მეტივის, ფსიქოლოგიას გვაცნობს მკვეთარი სოციალური შინაარსის ქვემომოტანილი ლექსი, რომელსაც მეტივეები მღეროდნენ:

მუხრან ბატონის ყმობითა, პური ვერ დაეღვი გოდრითა,  
ვერც ლურჯი ჩიხა ჩაეიყუე. ვერც ახალობი ქოშითა.  
ვერც გავსარღე დეკეული. ვერც კაღო ეღეწე მოხვრითა<sup>365</sup>.

ეს მეტივეური მრავალ ვარიანტად არის გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

<sup>361</sup> ფ. არქ. № 1461. მთქმ. დ. ბარნაბიშვილი, ჩამწ. ვ. კოტეტიშვილი, სოფ. მეტეხი.

<sup>362</sup> ვ. კოტეტიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 175.

<sup>363</sup> ვ. კოტეტიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 175.

<sup>364</sup> ფ. არქ. № 20884. მთქმ. ი. ბადაგიძე, ჩამწ. გ. კალანდაძე, სოფ. გრემისხევი, 1939.

<sup>365</sup> ფ. არქ. № 32511. მთქმ. დ. სინაძე, ჩამწ. თ. ოქროშიძე, სოფ. გაღვანი, 1949.

(მეტივეობის ამსახველი ლექსების ერთი ნაწილი ფილოსოფიური სიდინჯით, გულგრილი უბრალოებითა და ლაკონურობით გვიხასიათებს ადამიანურ ტრაგედიას-სიკვდილის გარდუვალობას.)

თემატიკურად არც ისე მრავალფეროვანი მეტივეური ლექს-სიმღერები მრავალ ვარიანტულ სხვაობას ამჟღავნებს. შინამრეწველობის ეს დარგი ასახავს მეტივეთა მდგომარეობას, მათ საქმიანობას, ყოფას. აქ ხალხური პოეტის ფანტაზია პრაქტიკული საქმიანობის ირგვლივ ტრიალებს და ნაკლებად გადადის რომანტიკაში. შესრულების მხრივ მეტივეური ლექს-სიმღერები კოლექტიურია.





# ურმულ

შრომის პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ურმულ სიმღერას/ უძველესი დროიდან გავრცელებული, ქართველი მშრომელი ხალხის ღირ-ვარამის გამომხატველი/ურმული განსაკუთრებით შემონახულია აღმოსავლეთ საქართველოში.

ფეოდალური საქართველოს ძირითადი და არქაული სატრანსპორტო საშუალება ურეში იყო; ურმებით ეზიდებოდნენ ღირნახულს, საშენ ხე-ტყის მასალას. მარილს. ურემს, როგორც გადასაზიდ საშუალებას, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მემინდვრეობისა და მევენახეობა-მელვინეობისათვის. ურმებით გადაჰქონდათ ყურძენი, რუმბებით ღვინო, ურმებით შემოჰქონდათ იმერეთიდან რაქასა და ქართლში საღვინე ჭურჭელი-ქვევრები<sup>369</sup>.

ურმებით მოგზაურობდნენ სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში/ გადაჰყავთ ქალები, ბავშვები, ავადმყოფები. იონანე საბანის-ძის თხზულებაში (VIII საუკ.) ურემი გამოყენებულია, როგორც მიცვალებულის გადასაყვანი საშუალება<sup>370</sup>.

ამირანის ეპოსში, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ება ურემს, რომელშიაც ანდრერობი იწვა...<sup>371</sup>/ურემი როგორც სამგზავრო საშუალება, ხშირად გვხვდება ქართულ ზღაპრებშიაც.

ძველ საქართველოში მოჩარდახული ურმებით მიდიოდნენ ხატში სალოცავად<sup>372</sup>.

<sup>369</sup> მ. გეგეშიძე, დასახ. წიგნი, გვ. 119.

<sup>370</sup> იონანე საბანის-ძე, მარტილობა პაბოასი. ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I. 1947, გვ. 361.

<sup>371</sup> მ. ჩიქოვანი, მიქაქეული ამირანი, 1947, გვ. 361.

<sup>372</sup> მ. ჭანაშვილი, საინგილო, ძე. საქ.-ლო, ტ. II, გვ. 178—179; ი. ჯავჭავაძე, მხატვრული პროზა, ტ. II, 1950, გვ. 194.

ქვეყნის სავაჭრო. სააღებ-მიცემო ვითარებაშიაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ულემს. სავაჭრო ურთიერთობას შორეულ ქვეყნებთან ხელს უწყობდა განვითარებული სანაოსნო გზები, მაგრამ: „კოლხებს სხვაგვარ გზებზედაც უზრუნველათ,—წერს აკად. ივ. ჭავჭავაძე,—როდეს რომ მიმოსვლა არ შეეფერებინა სტრატონის სიტყვით, მდინარეზე 120 ხიდი ყოფილა გაკეთებული, ხოლო შორაპნიდან მოყოლებული იბერიის საზღვრამდე ოთხი დღის სავალი ურმის გზა იყო გაყვანილი“<sup>373</sup>.

პროფ. პ. გუგუშვილის ცნობით: „ყულევიდან ტფილისისაკენ საქონელი მიჰქონდათ... ურმებით“<sup>374</sup>, მისივე გადმოცემით: „სახმელეთო გზებზე საქონელი მიმოქონდათ... უკანასკნელ დრომდის დარჩენილი ორბორბლებიანი ურმებით, რომელშიდაც უბამდენ ერთ ან რამდენიმე ულელ სარს ან კამეჩს. ურემი წვიმისა და სიციხისაკენ იფარებოდა ფარდაგებით“<sup>375</sup>.

საქართველო იმ. თავითვე განიცდიდა მარილის ნაკლებობას. ზოგიერთ კუთხეში, მაგ. „სვანეთში მარილი ფრიად მიუწვდომელ ფუფუნების საგნად ითვლებოდა“<sup>376</sup>. ეს ასახულა სვანურ ლეგენდაში, სადაც ნადირობის ქალღმერთი დალი მარილს ესესხება მეზობელს. ამ ლეგენდის მიხედვით სვანები ზოგჯერ მარილისათვის ქართლ-კახეთს მიდიოდნენ<sup>377</sup>.

აღმოსავლეთ საქართველოში მარილი შემოქონდათ უმთავრესად ერევნიდან (ყულფიდან) და ყარსიდან, ხოლო დას. საქართველოში ყირიმიდან და ბესარაბიიდან“<sup>378</sup>.

XVIII საუკუნეში სავაჭრო ქარავნებს, რომელსაც მარილი მოჰქონდა ქართველებისათვის, აუცილებლად ესაქიროებოდა დამცველ-გამყოლები. ამ დამცველებს ნიშნავდნენ მეფეები, რომლებიც უშუალოდ ერეოდნენ ქვეყნის მარილით მომარაგების საქმეში<sup>379</sup>.

<sup>373</sup> ივ. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია. 1951. გვ. 33.

<sup>374</sup> პ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოში და ა/კ-ში. 1941, გვ. 76—77.

<sup>375</sup> პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ა/კ. ეკონომიური განვითარება XIX—XX სს. ტ. I, 1948, გვ. 152.

<sup>376</sup> იქვე, გვ. 101.

<sup>377</sup> ლეგენდა გადმოგვცა მ. ქალანდია.

<sup>378</sup> პ. გუგუშვილი, საქ. და ა/კ. ეკ. განვით... გვ. 102.

<sup>379</sup> იქვე, გვ. 127. „1796 წელს ერეკლე II უბრძანებს ქარავნის გამყოლ ქარავანბაშს: „მიშკარბაშო იოსებს შერე ერთი ამხანაგიც შენ უნდა გაყვანდეს ნასალი—ბაშის ნაიბი ვეზირისშვილი გიორგი და რაც მარილზედა ახლა ურმები წაერდეს თქვენ უნდა უთაოთ რივიანად, დაწყობით და სიფრთხილით უნდა წაიყვანოთ (ყარსს) და, როდესაც ღვთის მოწყალებით დაბრუნდნენ იქილამაც სიფრთხილით და ერთმანეთის მოუშორებლად უნდა წამოიყვანოთ“.



გიორგი XII-ის მიერ ყულფში მარილზე გაგზავნილმა ქარავანმა ერთ თვეზე მოიტანა... „200 ურემი და 700 აქლემებითა მარილი მრავლად“<sup>300</sup>.

ქურნ. „ივერიაში“ მოთავსებულ ფელეტონში აღწერილია მარილის მოტანის ისტორია: „ყველამ კარგად იცის.-გადმოგვეყენა ფელეტონისტი,—რომ ჩვენმა გლეხ-კაცებმა ქარავნით წასვლა იცოდნენ ერევნისკენ (ყულფში) მარილზედ. შეიყრებოდნენ ერთად. შეაბამდნენ ასს; ორასს ურემს და სიმღერით გაუდგებოდნენ გზასა“...“<sup>301</sup>.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში გორის მაზრის გლეხობის საშემოსავლო წყაროდ ითვლებოდა ქარავნობა. გლეხები თანდათან ურმებით გადიოდნენ ქირაზე, მოქონდათ მარილი და ბაზარში გაქონდათ ქირანახული. „სხვა სამუშაოებთან ერთად ირკვევა ურმის „ქირაზე სიარული“,—წერს მ. გეგეშიძე.—...ქირაზე სიარული სხვადასხვა ხასიათისა იყო, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში შორ მანძილზე წასვლას გულისხმობდა“<sup>302</sup>.

აღმოსავლეთ საქართველოდან ურმის ქირაზე სიარულის საინტერესო ცნობას გვაწვდის ს. მგალობლიშვილი: „შეძლებელი ოჯახი მოინარჩუნებდა ერთის ან ორი ურმის ხარკამბეჩსა. მიდიოდა ქალაქში, ტფილისში და იქიდან მიჰქონდა საქონელი სხვა ქალაქებში, მაგალითად ბაქოში, გუმბრში, ერევანში, ქუთაისში. ფოთში, ყულფეში. ქარავანი ქარავანზე გადაბმული მიდიოდა ფოსტის გზებზე. მთელი ზაფხული, მაისიდან მოკიდებული ღვინობისთვემდე. ქირაზე დადიოდნენ და კაი ფულსაც იღებდნენ. ქარავანი შეიარაღებული იყო თოფ-იარაღით, ჰყავდათ თან ძაღლები და მამლები ღამის მიმდინარეობის გასაგებად. ქირაზე მოსიარულე კაცი პატრიცემულჩ იყო თავისი გამოცდილებითა, ბევრი ახალი ამბავი შემოჰქონდა სოფელში, ნანახსა და გაგონილს უზიარებდა სოფელსა...“<sup>303</sup>.

საქართველოში მეტად გავრცელებული იყო სიმღერა ურმული. რომლის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ალ. ჭამბაკურ-ორბელიანი. „სხუა და სსუა მუშაობის სიმღერებთან ერთად იგი იხსენიებს „საბაროს ურმით წასვლა-წამოსვლის“ სიმღერასაც“<sup>304</sup>.

<sup>300</sup> იქვე.

<sup>301</sup> „ივერია“, 1881, № 2, გვ. 83.

<sup>302</sup> მ. გეგეშიძე, დასახ. წიგნი, გვ. 109.

<sup>303</sup> ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938, გვ. 14.

<sup>304</sup> ალ. ჭამბაკურ-ორბელიანი, დასახ. წერილი, გვ. 157.

„საბარო ურმის“...გავრცელების არე მოიცავს მთლიანად საქართველოს ბარს... ეს ურემი „სამგზავრიოზე“ გამოიყენება<sup>345</sup>, „მგზავრებს“, როგორც ამას აღნიშნავს ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოში მთაწკარავის რაიონში უწოდებენ დიდი გამოცდილებით მქონე პირებს. რომელთაც გადასვლის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ<sup>346</sup>.

ურმულის სიმღერები უმთავრესად ჩაწერილია აღმოსავლეთ საქართველოში. უმთავრესად, ვამბობთ იმის გამო. რომ, ჩვენი აზრით, არ შეიძლებოდა „ურმული“ არ ყოფილიყო დასავლეთ საქართველოშიაც: რიონის, ცხენისწყლის, ყვირილის, სუფსის ხეობებში, სადაც ტრადიციული ტრანსპორტის იმავე სახეობით ანალოგიური მგზავრობა, ვფიქრობთ, აუცილებლად მოითხოვდა ანალოგიური ტიპის მელოდიასაც. სამწუხაროდ, მეურმეობასთან დაკავშირებული ეს სიმღერები თავის დროზე არ იქნა ფიქსირებული დას. საქართველოში. მუსიკათმცოდნეთა კატეგორიული განცხადება „ურმულის გაშლილი მელოდია მ ხ ო ლ ო დ (ხაზი ჩვენია თ. ო.) ალაზნისა და ქართლის ველ-სივრცეებს შეეხება...“<sup>347</sup>. მეტ ჩაფიქრებასა და ძიებას მოითხოვს.

„ურმული“ ქართული გლეხის საყვარელი სიმღერაა/დ. მაჩაბელი გადმოგვცემს, რომ ეს უძველესი სიმღერა „აღმოდებული თვით ბუნებიდან“, სუფთა ნაციონალური ჰანგია<sup>348</sup>.

ქართული მხატვრული ლიტერატურა მდიდარია ცნობებით „ურმულის“ შესახებ/„ურმულის“ მელოდია, შესრულების წესი და მისი საერთო გარემო დახასიათებულია არა ერთი მწერლის შემოქმედებაში.

ი. ჭავჭავაძე ორ სტრიქონში გადმოგვცემს აღნიშნული მელოდის მთელ რაობასა და ხასიათს:

ლუღენი იგი ჩამრჩენია გულს,  
მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი...

ასევე გვიხასიათებენ ურმულს შ. არაგვისპირელი<sup>349</sup> და ირ. ევლოშვილი<sup>350</sup>. შესანიშნავად გადმოგვცა ურმულის შესრულების

<sup>345</sup> მ. გ ე ვ შ ი ძ ე, დასახ. წიგნი, გვ. 106.

<sup>346</sup> ციტირებულია თ. მამალაძე, ქართლ-კახური შრომის სიმღერა-ურმული. მას. საქ. ეთნ., ტ. IV, 1955, გვ. 220.

<sup>347</sup> იქვე, გვ. 200.

<sup>348</sup> დ. მაჩაბელი, დასახ. წერილი, „ციცქარი“, 1864, V, გვ. 54—55.

<sup>349</sup> შ. არაგვისპირელი, თხზულებანი, ტ. III, 1947, გვ. 3—4.

<sup>350</sup> ირ. ევლოშვილი, მოთხრობები, ტ. III, 1937, გვ. 263.

ტრადიცია რ. ერისთავმა ლექსში, რომელსაც ურმულის ცნობილი ხალხური ტექსტის სახელწოდება „აღზევანს წასვლა“ მისცა. პოეტმა გააცოცხლა წარსული ყოფა, — აღზევანს გამგზავრება გლეხი ბიჭებისა ურმებით. ლექსში ჩართულია ურმულის ხალხური ტექსტი რეფერენითურთ<sup>301</sup>. პოეტი ლექსში „გოგოს ჰირიმე“ საინტერესო ცნობებს იძლევა ურმულის ხასიათისა და თემატიკის შესახებ.

ეკ. გაბაშვილის მოთხრობაში „მეურმის ფიქრები“, სევდიანი ურმულის ნაცვლად ჩართულია სატრფიალო ღირიკის ნიმუში:

აი მთვარეო, მთვარეო, ლამაზ ქალს მიმაპარეო,  
გათუნებაძღე მამყოფე, გათუნდეს გამაპარეო<sup>302</sup>.

აკაკი წერეთელს ეკუთვნის „ბაში-აჩუქში“ მოცემული ურმულის დახასიათება ეროვნული სიტყვიერების ფონზე. მწერალი გვიხატავს გარემოს, რომელშიაც სრულდებოდა ეს ნაღვლიანი მელოდია. სამშობლოს ბედზე ჩაფიქრებულ მოთხრობის გმირს საბრძოლველად ადაგზნებს გლეხის ურმული, რომელიც დიდაქტიკურ მოტივებს შეიცავს:

ნუ ეძაღები წყალდიდსა, უნდა ეძებდე ფონებსო!  
ხერხი სქობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსო<sup>303</sup>.

ი. ზურაბიშვილი ურმულს „ფიქრის სიმღერას“ უწოდებს: „მხოლოდ ურემზე შეიძლებოდა დაბადებულოყო ეს საკვირველი ჰანგი, — წერს იგი. — ურმული... მთელი ხალხის ფიქრის სიმღერაა. განა სად და რა ვითარებაში შეეძლო ჩვენს ხალხს, ჩვენს გლეხს ფიქრს მისცემოდა, თუ არა ურმის კოფოზე... აქ ყველაფერი ხელს უწყობდა საამისოდ. მეტწილ უმოძრაოდ ყოფნა, მძიმე ბრუნვა ურმის თვლებისა; თანაც კრიალით, რომელსაც სმენას აჩვევ და ყურადღებას აღარ აქცევ მის გულმაწვრილებელ ჰიი-ჰიის... დარბაისლური ტაქტით და ფეხის ბაკა-ბუკით სვლა ხარ-კამეჩისა; სახრის თხლამუნი და შოლტის ტყლაშუნი, — ერთი სიტყვით, ყოველივე ეს თითქო ბუნებრივი აკომპანემენტია ურმულისა. ზედაც მყუდროება მთვარიანი ღამისა“<sup>304</sup>.

გ. ლეონიძე მეტად გონებამახვილურად უწოდებს ურმულს „უღლის სიმღერას“ და ხაზს უსვამს მის მწუხარე მელოდიას.

<sup>301</sup> რ. ერისთავი, ლექსები, ტ. 1, 1935, გვ. 162.

<sup>302</sup> ეკ. გაბაშვილი, რჩეული ნაწერები, 1932, გვ. 125.

<sup>303</sup> აკ. წერეთელი, მოთხრობები, ტ. IV, 1948, გვ. 106.

<sup>304</sup> ი. ზურაბიშვილი, ხალხის შემოქმედი გენია... ურმული. 1949, გვ. 56—57.

„ურმული“ ინდივიდუალური სიმღერაა. დავ. მაჩაბლის ცნობით: „...ნმა ესე გამოხატავს საით უტურფესსა მელოდისა: ითქმის საკუთარს ერთსავე ხმად“. ურმულის მელოდისა შემდეგნაირად ახასიათებს ი. ზურაბიშვილი: „ურმულს სიმჟანგე, სიმძლავრე არ უხდება— ურმული ნიავეით სათუთი ჰანგია, პატარა, მაგრამ მთაგრეხილოვანია...“<sup>303</sup> ი. ზურაბიშვილი ასახელებს ურმულის ცნობილ შემსრულებელს—სესიკაშვილს, რომელიც „...არავითარ სიტყვას არ მიმართავდა პარალო-პარი-პარალოს გარდა... და, აგრეთვე ერთი-ორი გასმოვანებული შორისდებულისა, როგორცაა, მაგ. პამ. ო-ო-ო“<sup>304</sup>.

ურმულის სევდიანი ჰანგი გამოხატავს გლეხის ჰირ-ვარამსა და საზრუნავს მის ფიქრსა და ოცნებას. ურმული სიმღერით ფიქრია აღადიანთა უთანაწირობაზე, ჩაგვრახე, გლეხი სასიცოცხლო ენერჯიას არ ზოგავს თავისი გამწარებული ყოფის გასაუმჯობესებლად და ასე მადის მისი შუქ-მიუტანებელი ცხოვრება. გლეხის გონება, გული და ფიქრი ბედკრულ აწმყოს დატრიალებს, მას ოფლით მოპოვებულნი. შრომით სავსე დღე უდგას თვალწინ. ამიტომ, ვფიქრობთ, სადავოა პროფ. დ. არაყიშვილის ცდა, როცა ის ჰანგის მიხედვით ეძიებს ურმულის ტექსტს ისტორიულ თემაზე<sup>307</sup>.

ურმულში მთავარი არ არის ტექსტი. ამიტომაც უწოდებენ მას „ესიტყვო სიმღერას“, „ფიქრის სიმღერას“. დაკვირვება ცხადყოფს, რომ თავდაპირველად ურმულს ტექსტებს შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. ეს შეპირობებული იყო მშრომელის განწყობილებით, მელოდის ღრმად ლირიკული ხასიათით და საერთოდ იმ გარემოთი, რომელშიაც სრულდებოდა ურმული. დროთა ვითარებაში. სოციალურ ურთიერთობათა გართულების გამო ურმულში თანდათან გამოიკვეთა და დამკვიდრდა მშრომელთა ყოფისა და განცდათა გამომსახველი ლექსები.

მუსიკათმცოდნე თ. მამალაძე ურმულის პოეტურ ნიმუშებად თვლია მღერა აქონლით წარმოებულ შრომასთან დაკავშირებულ ლექსებს და ეს მომენტი მიაჩნია „მხოლოდ“ ურმულის სპეციფიკად: ამათ „...აღა ეანრის (იგულისხმება ალბათ სახე.— თ. ო.) სიმღერებში არ ეხვდებათო“<sup>308</sup>. ჩვენ უნდა შევნიშნოთ, რომ ფოლკლორის დამახასიათებელი კონტამინაცია, ასეთი კატეგორიული განცხადების სა-

<sup>303</sup> ჯგვ. 33. 64.

<sup>304</sup> ჯგვ. 33. 67—69.

<sup>305</sup> Д. И. А р а к и ш в и л и. Краткий очерк развития грузинской казачьино-кадетинской народной песни. 1905, გვ. 24.

<sup>306</sup> თ. მამალაძე, ღვთაბ. წერილი, გვ. 212.

შუალეხას ნაკლებად იძლევა, რასაც მკვლევარის მიერ იქვე დამოწმებული ტექსტები გვიჩვენებს, მაგ., „ჩემი ღვინია ხარები“, რომელიც პროფ. ქს. სიხარულიძეს საწესჩვეულებო პოეზიაში აქვს განხილული, გუთნურის ჩვეულებრივი ნიმუში „კამეჩო, შენი მებრე ვარ“ და სსვ.). ხარ-კამეჩისადმი მიმართული იგივე ლექსებო საკმაო რაოდენობით გვხვდება გუთნურსა და კალაურში და როგორც ვხედავთ, ზოგჯერ სცილდება შრომის პოეზიის ფარგლებსაც.

ურმულის ლექს-სიმღერების თემატიკა ფართოა. აქ აღწერილია ოჯახური გარემო და მარილზე წასვლა. ზრუნვა მუშა საქონელზე. ურემზე. გვხვდება დიდაქტიური და ურმულთან ორგანულად შერწყმული სატრფიალო და ფილოსოფიური მოტივები.

თემატიკის მიხედვით ურმულის ლექსები, სამ ჯგუფად იყოფა: საყოფაცხოვრებო, სატრფიალო და ფილოსოფიურ-დიდაქტიური.

საყოფაცხოვრებო თემატიკის მხრით უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ პოპულარული (ხალხური ლექს-სიმღერა „აღზევანს წასვლა“). ურმულში მტკიცედ დამკვიდრებულა ეს გეოგრაფიული სახელწოდება. Кашиман ასო. ქართული გამოთქმით აღზევანი, მღებარეობს თურქეთის საზღვარზე, ყარსის ოლქში. მდინარე არაქაის მიდამოებში. ადრინდევ ცნობილი აღზევნის ქვამარილის საბადოებიდან ურმებთან შემოპქონდათ აღმოსავლეთ საქართველოში მარილი<sup>400</sup>. ლექსმა აგვისახა ის სიძნელები და დაბრკოლებანი, რაც წინ ეღობებოდა მშრომელს.

ქარალო, ქარი ქარაღე-ოდა  
აღზევანს წაეღ მარაღსთინ—და  
მარილს მოვიტან ჩემი ცხვრისთინ—და  
ჩემი ცხვრისთინა შაე თაღისთინ—და...<sup>400</sup>.

ლექსში გადმოცემულია ხანგრძლივი მგზავრობის სამზადისი, პურის ჩაკვრა-ჩაწყობა, „მარილეთს“ ანუ მარილის მღვიმეში წასვლა და მუშაობა, ურმების დატვირთვა და ბოლოს ის მარცხი, რაც მოსალოდნელი იყო ქვამარილის მტვრეველისათვის პრიმიტიული ხერხით მუშაობის გამო. სწორედ ამ სიძნელებებზე მიგვიჩვენებს ს. მგალობლიშვილი მოგონებებში: „აღზევნიდან დაბრუნება შინ მშვიდობით, დღესასწაული იყო“. მაგრამ ლექსის მეორე მხარე საფუძველს ვეძლევა დავუკავშიროთ იგი გარკვეულ რიტუალს. წყევლა, სიზმ-

<sup>400</sup> Н. Хоштарпа, К вопросу о слабжеинии солью древней Грузии. ციტირებულია თ. მამალაძე, დასახ. წერილი, გვ. 218.

<sup>400</sup> ვ. კოტეტიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 225—226.

რის ბილვა მომასწავებელი უბედურების შესახებ, მარილის მღვიმეში დალუპვა, დაბოლოს, სიკვდილის ზეიმი-ხელის ფრჩხილების დაყვავილება-ვარდის მოსხმა, ფეხის ფრჩხილების ფესვის-ბორჯის გადგმა, სულის მოსახსენებლად ცხვრის დაკვლა და ლექსის საერთო განწყობილება, ადასტურებს ამ ტექსტის სხვა გარემოში და არა ურმით მგზავრობის დროს წარმოშობას. ანალოგიური სიუჟეტის შემცველი ნიმუშები სხვა ხალხთა შემოქმედებაში დაკავშირებულია ფერხულებთან. ფოლკლორის გამოჩენილი მკვლევარი ვ. კოტეტიშვილი ხაზს უსვამს სწორედ ამ გარემოებას, აღნიშნული ლექსი „თავისი წყობით და ჰანგითაც გუნდობრივი შესრულების ნიმუშებს მოიცავს,—წერს იგი,—შესრულების ასეთი ფორმა, რომელსაც ლექსი ამჟღავნებს, საწესო ხასიათისაა და შეიძლება ფერხულის წესითაც სრულდებოდა, რადგან კორიფეის პარტია და გუნდის რეფრენი, რომელიც ლექსს დღემდე შერჩენია განმეორებათა სახით. ამისათვის საკმაო საფუძველს იძლევა“<sup>401</sup>.

ტექსტის არქაულობაზე მეტყველებს მისი ურითმობა, სალექსო ზომა. იგი ცხრა, ათმარცვლიანია და, მაშასადამე, თავისი წყობით განსხვავდება ჩვეულებრივი ხალხური რეამარცვლიანი ლექსისაგან.

არქაულობის თვალსაზრისით უთუოდ საყურადღებოა ის მომენტებიც, რომ საერთოდ ათმარცვლიან ამ ლექსში ზოგ ცხრა მარცვლიან პოეტურ სტრიქონს დამამთავრებელ მეათე მარცვლად ერთვის „და“, როგორც ცნობილია, ანალოგიურ როლს ასრულებს მთიბლურებში ბგერა „ო“.

ლექსი თავისი მუსიკალური შესრულების წესითაც არ მიეკუთვნება ჩვეულებრივ ურმულს. ურმული ინდივიდუალური შესრულების ლექს-სიმღერაა, ხოლო „აღზევანს წასვლა“ ამებეურად სრულება და ახასიათებს გუნდის რეფრენი<sup>402</sup>.

მუსიკათმცოდნეებიც, დასახელებულ ლექს-სიმღერას, თავისი მუსიკალური სტრუქტურით ძველ საწესო ხასიათის სიმღერებსა და ფერხულებს უკავშირებენ და სრულიად მართებულად იგი „ქართული ხალხური სიმღერის განვითარების უძველესი პერიოდის ნიმუშად მიაჩნიათ“<sup>403</sup>.

აღნიშნული დიდი ლექსის ფრაგმენტია ის მცირე მოცულობის გავრცელებული ლექსი, სადაც ასევე ათმარცვლიანი საზომითაა გად-

<sup>401</sup> ვ. კოტეტიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 371.

<sup>402</sup> Д. А р а к и ш в и л и, Обзор народной песни Восточной Грузии, 1948, გვ. 20.

<sup>403</sup> თ. შ ა მ ა ლ ა ძ ე, დასახ. წერილი, გვ. 218.

მოცემული აღზევანს წასვლა მკედრის სულის მოსახსენებელი ცხერისათვის მარილის მოსატანად<sup>404</sup>.

აღზევანს მარილზე წასვლის მეორე ჯგუფის ლექსები ინდივიდუალურად სრულდება, დაკავშირებულია ურმის სამუშაოებთან და გავრცელებულია ურმულის სახელწოდებით. ტიპიურ საყოფაცხოვრებო ლექსში წარმოდგენილია გლეხის ოჯახი, ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ შინ მშვიდობით დაბრუნებული ოჯახის პატრონის სიხარული:

აღზევანს წავალ მარილზე. მარილს შოვიტან ბროლსაო,  
ქერ დედას გადავხვევი. მერე შვილსა და ცოლსაო<sup>405</sup>,

სოფ. შრომაში ჩაწერილ ვარიანტს ემატება მეორე სტროფი, სადაც მუშა საქონელზე ზრუნვაა გამოხატული:

აღზევანს მივალთ კამეჩო, რატო არ გაგიხარდება,  
მე-ათ და ლეკ მარილი. არაეინ გაგჩავრდება<sup>406</sup>.

ურმულის ძირითად რეპერტუართან ორგანულადაა დაკავშირებული მშრომელი ხალხის საყვარელი სასიმღერო ტექსტი:

შენ ჩემო შავო კამეჩო, რა დავაშავე შენზედა,  
ზაფხულ გითიბე (გაძოვე) ბალახი, ზამთარ დავაბი მზეზედა<sup>407</sup>.

რომლის გავრცელებას ლიტერატურასა და მუსიკაში დიდად შეუწყობელი ქართულმა ოპერამ.

<sup>404</sup> ფ. არქ. № 20600. მთქმ. თ. ს ი დ ა მ ო ნ ი ძ ე, ჩამწ. მ ო რ ჩ ი ლ ა ძ ე, სოფ. ნოსტე, 1939.

<sup>405</sup> ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ე ო ლ ი, მოგონებანი, 1938, გვ. 15.

<sup>406</sup> ფ. არქ. № 13237. მთქმ. თ. მირზოშვილი, ჩამწ. ი. ძ ა მ ი ა შ ვ ი ლ ი, სოფ. შრომა, 1937.

<sup>407</sup> „აქაის კრებული“, 1937. IX. III. გვ. 34, ჩამწ. ს. მ ე რ კ ე ვ ი ლ ა ძ ე: ურმულის ამ ტექსტის შესახებ ვაზ. „ობილსის“, 1961 წლის 9 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილია ვ. სიღამონიძის შეკითხვა „როგორ ვიმღეროთ ურმულში“, სადაც ავტორი დ. არაყიშვილის ოპერაში („თქმულებ-მოთა რუსთაველებ“) დამკვიდრებული ტექსტის:

შენ ჩემო შავო კამეჩო, რა დავაშავე შენ წინა,  
გაძოვე ზაფხულ ბალახი, ზამთარ დავაბი მზეზედა.

ნაცვლად გეთავაზობს:

შენ ჩემო შავო კამეჩო, რა დავაშავე შენზედა,  
ზაფხულ გითიბე ბალახი, ზამთარ დავაბი ქერზედა.

იმევე გახეთის 16 სექტემბრის ნომერში ამ შეკითხვას გამოეხმაურა აკად. აკ. შანიძე.

ქარაენით მგზავრობის ამბავია აღწერილი. ლექსში „მე რომ მარილზე წავედი“<sup>408</sup> საინტერესოა, რომ ხალხური პოეზიის ნიმუშებს ზუსტად აღუნუსხავთ მარილის მოსატანად გამგზავრებულთა საქმიანობა გზაში: მუშა საქონელზე ზრუნვა ჩულის ან „საოფლეს“ გადაფარება სიცხისაგან დასაცავად, ურმის დაყენება და შესვენება შუადღისას, რათა ღამით განაგრძონ გზა და სსვ.

ხარების დაკარგვით გამოწვეული განცდებია აღმოცენებული ლექსში „ნონიას მარილზე წასვლა“. ლექსის მძაფრი სტრიქონები გვაკრძნობინებს გლეხის განცდებს:

ნეტამც არ დაკარგულიყვნენ, დახოცილიყვნენ ქირთა,  
ტყუასა ქალმხალ გაუცევილი, ხორცსა შევქამლი ღხინითა?<sup>409</sup>

მთელ რიგ ლექსებში, სამგზავრო საქმიანობის სხვა დეტალებთან ერთად, მითითებულია მარილზე წასვლის დრო და მარშრუტი. ს. მგალობლიშვილის ცნობით, მარილის მოსატანად მიდოდნენ „მარიობისთვის ნახევრიდან, როცა კალოობას მისწურავდნენ“<sup>410</sup>. გლეხს გარკვეული სამეურნეო კალენდარი ჰქონდა: ხნავდა, თესავდა, რგავდა. ახმობდა საზამთროდ ხილს, მგზავრობდა და სსვ. ქვემომოტანილი ლექსი სწორედ ამ მომენტს შეიცავს:

ჩემი მარილზე წასვლაი. არ არი დიდი ხანია,—  
ცამ დაიხვია ღრუბელი, როდეს მიქველდა მთვარეა?<sup>411</sup>

---

პატრიკემულმა მეცნიერმა დ. არაყიშვილის ოპერაში ურშელის ტექსტ-„შერყენილად“ მიიჩნია, მაგრამ ვ. სიღამონიძის ვარიანტით მისი შეცვლაც არ სენო მიზანშეწონილად. „ქერი ცხენის საქმელია და არა ხარ-კამენისა.—ასაბუთებს თავის მოსაზრებას ავტორი.—იმ კუთხეებში, სადაც პური, ქერი და სეილი (ქეაჟი) მოჰყავთ და ლეწენ, საქონლის საკვები ზამთარში არის ამ კირნახელის ნალეწი, ე. ი. ბზე“. აქედან უნდა იყოს მიღებული მესამე ვარიანტის ბოლო რიჟმა „ბზე-ზედა“.

ამრიგად, აკად. აკ. შანიძემ, სრულიად მართებულად, ქართულ ფოლკლორში არსებული სამი ვარიანტიდან როგორც აზრობრივად ისე პოეტურად გამართული პოპულარული ტექსტი მოგვანოდა.

ჩვენც ეს ვარიანტი გვაქვს გამოქვეყნებული „შრომის“ სიმღერების კრებულში (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო, 1962 წ. გვ. 163).

<sup>408</sup> ხელნაწ. ინსტ., H—1992 გ/26.

<sup>409</sup> ხელნაწ. ინსტ., H—1992 გ/33.

<sup>410</sup> ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938, გვ. 14—15.

<sup>411</sup> „ივერია“, 1887, № 270.



ქართულ ფოლკლორში მარილის მოტანაზე ლექსების მთელი კიკლია შექმნილი. დანარჩენი ლექს-სიმღერები დაკავშირებულია მეურმის სხვა სამუშაოებთან. ურმულში ხშირად გვხვდება ურითმო ლექსები, სადაც რითმის მაგიერობას რეფრენი ასრულებს.

გორის მაზრაში 1891 წელს ალ. გარსევანიშვილის მიერ ჩაწერილია „მეურმული სიმღერა“. ეს ლექსი ძლიერ გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში. ჩამწერს ზუსტად დაუთავს ტექსტისა და რეფრენის ურთიერთობა:

ურემო ფერსო მალალო, არი არალო, დაა!  
ხუნდი გიგორამს გიშრისა, არიარალო, არალო, დაა!  
აგებულება კარგა გაქვს. ეგ ერთი ფერსო გიშლისა.  
არიარალო, დაა!  
თუ კაცი თითონ არ არი, არიარალო, არალო, დაა!  
ცუდია მისი ცხოვრება, არი არალო, არალო, დაა!..<sup>412</sup>

ტექსტის მეორე ნახევარი კონტრამინაციის წესითაა შესული ამ ნაწარმოებში. იგი წარმოადგენს ცნობილი ხალხური აფორიზმის გადაკეთებას: თუ კაცი კაცად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა, ამითაც დასტურდება ურმულის თემატიკაში სხვა ეანრების ნიმუშების შექცრა. ლექსის ვარიანტი თითქოს პასუხია ზემომოტანილ ტექსტზე:

ურემო, ფერსო მალალო, მორგვი გიყრია გიშრისა,  
გალადი, გალაპტერე, რომელი სოლიც გიშლისა!<sup>413</sup>

თ. ბეგიაშვილის ქრესტომათიაში მეტივეურად წარმოდგენილი ტექსტი ჩვენ ურმულში შეგვაქვს, ვინაიდან შინაარსობრივად იგი ამ უკანასკნელს უფრო უკავშირდება. ლექსში გადმოცემულია ტიპური გარემო, რომელშიაც სრულდებოდა ურმული:

ურემო მყავს შესაბმელი, ვარხი ვარალო,  
შემა უნდა მოვიტანო, ვარხი ვარალო...<sup>414</sup> და სხვა.

ურმის წინამძღოლს მეურმე ეწოდება, მეურმეობას თავისი გამოცდილება სჭირდებოდა, რომელსაც გლეხი ურმით ხანგრძლივ მოგზაურობაში იძენდა ქართლში ჩაწერილ ლექსებში დასცინიან გამოუცდელ კახელ მეურმეს:

<sup>412</sup> ხელნაწ. ინსტ., H—1992 იბ/140.

<sup>413</sup> მ. გ. გ. გ. შ. ი. ძ. ე. დასახ. წიგნი, გვ. 148.

<sup>414</sup> თ. ბ. გ. ი. ა. შ. ე. ლ. ი, დასახ. წიგნი, გვ. 41.

კახურ მეურმეს აქებენ, უბოა კრელი ხარები,  
გადააბრუნა ურემი, სულ დაამტერია ქალები<sup>115</sup>.

ამ ლექსის ვარიანტში<sup>116</sup> ურმის გადაბრუნების მიზეზი ღვინია ხარებია.

ცნობილია, რომ „სოფელი სულს ითქვამდა... ქირაობით მარლის მოტანით აღზევნიდან და ბაზარში ნაქირნახულების გატანით“<sup>117</sup>, ურმის ამ საალებშიცემო მნიშვნელობაზე მიგვითითებს კახეთში 1871 წელს ელ. ჩერქეზიშვილის მიერ ჩაწერილი ლექსი:

ასა ურემსა დაუღებ, ორას უღელსა ხარსაო,  
ზოდის და მიაპროქინებს, მიაბტერევეს კოფო-ქალსაო,  
მეუღ და იქ ჩამოვხტები დიდი შეუფის ქარსაო,  
ლოტრას აბახათ გაეყიდი.—უყურე მოგებასაო<sup>118</sup>.

დ. არაყიშვილის ცნობით, სოფ. აწყურში ურმულის ტექსტად გავრცელებული ყოფილა კამეჩის ლექსი „კამეჩი წევს და იცოხნის“<sup>119</sup>, რომელიც გუთნურშიაც გვხვდება.

მეურმეები მამაკაცები იყვნენ, ურმულიც მათი რეპერტუარია, თუმცა იშვიათად ზოგიერთ ლექსში, მაინც გვხვდება ქალი—მეურმე, რაც სრულიად უცხოა ქართული სოფლისათვის. ეს მომენტი ურმულში სატრფიალო ელემენტის შექრით უნდა აიხსნას:

ქალმა დაუღვა ურემსა, ზედ გაურიგა ბერაო,  
დაუქდა ურმის თავზედა, ხმაწერილად დაამღერაო<sup>120</sup>.

დ. არაყიშვილის მიერ ფიქსირებულ ურმულში ქალის ბედს შენატრის მეურმე:

ნეტავი ჩემო დედაო, დაგბადებიაყ ქალიო,  
ეგება გამათხოვებდი, შორს წამიყვანდა ქმარიო<sup>121</sup>.

(ურმულში მნიშვნელოვანი ადგილი უქირავს სატრფიალო მოტივებს. „მეურმულ სიმღერაში“ ახალგაზრდა მეურმე ოცნებობს სატრფოზე, გულის საიდუმლოს ამცნობს ბნელ ღამესა და მიძინებულ არემარეს:)

<sup>115</sup> პ. უ შ ი კ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. წიგნი, გვ. 338.

<sup>116</sup> ხალხ. სიტყვ. წ. I, ე ქ ე თ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რ ე ლ., გვ. 238.

<sup>117</sup> ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. წიგნი, გვ. 14.

<sup>118</sup> პ. უ შ ი კ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. წიგნი, გვ. 336.

<sup>119</sup> უ შ ი კ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. წიგნი გვ. 424.

<sup>120</sup> ხელნაწ. ინსტ., H—1992, იმ/134.

<sup>121</sup> Д. А. Р. Ә. х и ш в и л и, Груз. Нар. Музык. Творчество, 1916 გვ. 40, № 2.

არალაღე, არალე, დააა! სარალო, დააა!  
შემოგხედამ ბროლის პირსა,  
წარბი ხშირად იგეყარა... პარალო, დააა!  
ცხრა ნაწნაეი, ვიშრის თმანი,  
მხარ-ბეკებზე გადგეყარა,  
აროარალე, პარალე, პარალო, დააა!<sup>122</sup>

შრომის ამ სახეში ფილოსოფიურ-დიდაქტიკური მოტივებიც გვხვდება. თ. რაზიკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილი ლექსი „სიბერე ძნელი ყოფილა“<sup>123</sup> აკ. წერეთლის ცნობით ურმულში იმღერება აკაკის ხელნაწერი პიესის ფრაგმენტში ურმულის ტექსტად არის გამოყენებული ლექსი, რომლის ქვემომოტანილი ვარიანტი „ვინმე მესხის“ მიერ მესხეთში 1884 წელს ჩაწერილი, ადასტურებს მის სიმღერო ხასიათს:

აღარა შესძლებია-რა კლარა შერთულს ბერსაო,  
ხელდახელ დათვი მოუქლამს, ემუქარება დეესაო, და კაი!<sup>124</sup>

სოციალური უკუღმართობის მსხვერპლია გლეხი, რომლის ურემი უფსკრულში გადაიჩეხა. ლექსის პირველი სტრიქონი სიმბოლური შავი ფერით გვიჩვენებს დაჩაგრული, დაბეჩავებული ადამიანის ბედს:

შავო, შავბნელო ივანე, ვერ ამოუხველ სევდასა,  
კლდეში ჩაჩეხე ურეში კაცი ვერ. გაღბეღამსა!<sup>125</sup>

ურმულის თემატიკაში შესულა ი. დავითაშვილის ლექსის „მომაკედავი ყმაწვილი“-ს გახალხურებული ვარიანტი „ისმის ტირილი დარბაზში“, რომელიც იმღერებოდა აგრეთვე რევოლუციის დროს დაღუპული მუშების დაკრძალვისას.)

ურმულის მელოდია და ტექსტების უმრავლესობა ჩაწერილია აღმოსავლეთ საქართველოში. მისი თემატიკა საყოფაცხოვრებო, სატრფიალო და ფილოსოფიურ-დიდაქტიკური მოტივებით ხასიათდება. ურმულის უძველესობის დამადასტურებელია მასში შერწყმული საკულტო მოტივი, ასეთი ლექს-სიმღერები სრულდება გუნდის ფონზე ორი სოლისტის მონაცვლეობით, რომლის სათანადო მაგალითს ლექსი „აღზევანს წასვლა“ წარმოადგენს.

<sup>122</sup> ხელნაწ. ინსტ., H—1922 იბ/139.

<sup>123</sup> ხალხ. სიტყვ., წ. I. გვეთ. თაყაიშვილის რედ., გვ. 213.

<sup>124</sup> კ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. წიგნი, გვ. 346.

<sup>125</sup> „იმედი“, 1881, № III—IV, გვ. 17.

საქართველოს ბუნების მრავალფეროვნებამ შექმნა შრომის სახეების მრავალფეროვნება. მსოფლიოში გავრცელებული შრომის თითქმის ყველა ძირითადი სახე მოიპოვება ჩვენში. მოსაქმეობის ყველა დარგს თან ახლავს შესაფერისი რიტმისა და შინაარსის ამსახველი პოეზია (ხვნა, თოხნა, მკა, ლეწვა, თიბვა, ყურძნის კრეფა, დაწურვა, ფეიქრობა, წყლის მოტანა, მეტივეობა, მეურმეობა და სხვ.).

შრომის პოეზიაში მკვეთრად ვლინდება ხალხის მსოფლმხედველობა, ეთნოგრაფიული ყოფა, აგრარული წეს-ჩვეულებანი, შრომის პროცესი და მისი ტექნიკა.

(რევოლუციამდელი ქართული ხალხური შრომის პოეზია ასახავს სოციალურ ჩაგვრას, მშრომელთა მოლოდინს, მიზნებსა და მისწრაფებებს უკეთესი მომავლისაკენ.)





## მხატვრული ეპის საკითხები

ხალხური მხატვრული ნაწარმოები თავისი გენეზისით ორგანულადაა დაკავშირებული კონკრეტული ერის ენობრივ ბაზასთან, ეთნიკურ ყოფასთან, გარემომცველ სამყაროსთან; იგი თავის მრავალფეროვან გამოვლინებაში გადმოგვცემს აღნიშნული მტკიცე საფუძვლის ძირითად არსს.

ხალხური პოეზიის ცალკეული უბანი შეიცავს რა ზოგადი პოეტის ელემენტებს, ამასთან ერთად გამოიმუშავებს საკუთარ ხერხებს, საკუთარ სახეებს, რომლებიც მხოლოდ მისი სპეციფიკაა, მისი დამახასიათებელია, პირველად აქ ჩამოყალიბდა და ხალხური პოეზიის სხვა დარგებში არ გვხვდება.

ქართულ ხალხურ შრომის ლექსებში, უპირველეს ყოვლისა: შეინიშნება უდიდესი სიახლოვე ჩვეულებრივ სასაუბრო ენასთან. ზოგი ნიმუში თვითონ ან საუბრის მონაკვეთის შთაბეჭდილებას სტრუქტურებს, რაც ყურადღებიდან არ გამოჩენია კომპოზიტორ დ. არაყიშვილს: „...ეს სიმღერა არის მელოდიური რეჩიტატივი, გაგრძელებული ბგერები, რომელიც ცოცხალი მეტყველების წესებს ემორჩილება...“<sup>426</sup>—გადმოგვცემს მკვლევარი თავის დაკვირვებას ერთ ტექსტზე.

„ზეპირი მეტყველების დროს,—ამბობს გრ. კიკნაძე,—თავს იჩენს ის სიტყვები, რომლებიც მეტყველის განკარგულებაშია ამჟამად და დაუყოვნებლივ წარმოსათქმელად არის მზად. იგივე ითქმის თვით წინადადების გამართვისა, მათი ურთიერთშეხამებისა და, საზოგადოდ, ფრაზის კონსტრუქციის შესახებ“<sup>427</sup>.

ყოველივე ეს, ადამიანის ზეპირი მეტყველების გამო, ზუსტად შეიძლება გადატანილ იქნეს შრომის, პოეზიაზე. ხალხური მხატვრუ-

<sup>426</sup> Д. Н. Аракишвили, Обзор народной песни Восточной Грузии, 1948, გვ. 15; ციტირებულია ვლ. ვირსალაძე, ქართ. ხალხ. ლირიკის ძირითადი სახეობანი. ლიტ. ძიება. VIII, 1953, გვ. 281.

<sup>427</sup> გრ. კიკნაძე, მეტყველებს სტილის საკითხები, 1957, გვ. 33.

ლი სიტყვიერი შემოქმედების ნიმუშში სწორედ „სიტყვების საგანგებოდ შერჩევის ტენდენცია“ არ იგრძნობა.

—ლექსი ივსება სიტყვებით,—წერს რუსული ლექსის მკვლევარი მ. პ. შტოკმარი,—რომელიც იმავე პრინციპებით ერთიანდება სიტყვიერ კომპლექსებში, სინტაგმებში და სინტაქსში, როგორც საერთოდ ადამიანის მეტყველება<sup>128</sup>.

პროზაულ მეტყველებასთან შრომის პოეზიის, კერძოდ, გურული ნადურის ტექსტების უახლოეს კავშირზე მიგვითითებს ჯ. ბარდაველიძე თავის ნაშრომში<sup>129</sup>. ასეთი სიახლოვე ენასთან განსაკუთრებით ორგანული და დამახასიათებელია, როგორც ითქვა, ხალხური პოეზიის აღნიშნული სახისათვის.

მხატვრული თვალსაზრისით შრომის პოეზიაში მთავარია ხალხისეული ძარღვიანი, სადა და ნათელი პოეტური ენა, საგნისა თუ მოვლენის უშუალო რეალისტური აღქმა. შრომის პოეზიის თავისებურებას განსაზღვრავს პოეტურ ჩარჩოში ჩასმული ესკიზები, ნატურმორტები, სამეურნეო საქმის ოსტატთა პორტრეტები, გამწევი მუშა საქონელი, მთელი შრომის გარემო და ფონი, რომელშიაც შიმდინარეობს მშრომელთა ცხოვრება.

სასოფლო-სამეურნეო ტერმინების ორგანულობა ტექსტებში, მრის სიმრავლე შრომის პოეზიის სხვადასხვა უბანზე, მიმართების ობიექტი, გარემო, სიტუაცია და განწყობა რელიეფურობას ანიჭებს აღნიშნულ დარგს და სიტყვიერი ფაქტურით შეპირობებულ კოლორიტს ქმნის.

ჩვენთვის საინტერესოა შრომის პოეზიის ლექსიკური ფონდი, პოეტური ენა, სადაც დიდი ადგილი უჭირავს სამეურნეო იარაღების დასახელებას, საზოგადოებრივ ურთიერთობათა გამომხატველ ტერმინებს სოფლად, გეოგრაფიულ სახელწოდებებსა და სხვ. სიტყვათა მთელი ეს მარაგი პოეტური შემოქმედების გარკვეულ მიზანს: კერძოდ, შრომის პოეტური ტექსტების შექმნას ემსახურება.

58-ტაეპიანი რვა მარცვლოვანი ლექსი „გუთნის მომართვა“<sup>130</sup> შეიცავს სახვნელი იარაღისა და მისი ნაწილების თორმეტ დასახელებას: აპეური, გუთანნი, დედანი, რვილი, საყვეარი, სახლმე, ტაბიკი, უღელი, ფერსო, ღირღიტი, ყელი, ხელკუდი.

<sup>128</sup> М. П. Штокмар. Исследования в области русского народного стихосложения. 1952, გვ. 226.

<sup>129</sup> ჯ. ბარდაველიძე, ქართული ხალხური ლექსთწყობის საკითხები.. ხელნაწ. დისერტაცია, 1960, გვ. 68.

<sup>130</sup> „ქეკელი“, 1891, VI; ხალხური სიტყვიერება, შედგ. მიხ. ჩიქოვანი, ს. მეერ, 1940, გვ. 9.

ზემოჩამოთვლილი სახელები მეტნაკლებ კეთილმოვანებას ქმნის ტექსტში, რომელიც ქართული სამიწათმოქმედო ტერმინების თავისებური მხატვრული ენციკლოპედიაა, თავისებური ლექსიკონი. ეს ნაკლებ პოეტური ლექსი, სახენელი იარაღის გამართვის მთელ პროცესს რომ ასახავს თავის დინამიკაში, მკაფიო მაგალითია შრომის პოეზიის სიახლოვისა სასაუბრო ძეტყველებასთან.

გუთნურში ცნობილია გაბაასების უანრის ნიმუშების მთელი ციკლი. მათ შორის აღსანიშნავია „სახნისმა სთქვა“<sup>421</sup> და „ჭამბარამ სთქვა“<sup>422</sup>. ორივე ლექსში თავისებური ხერხითაა გადმოცემული გუთნის თითოეული ნაწილის ფუნქცია და ხენაში განკუთვნილი როლი:

ჭამბარამ: სთქვა, ჩემი საქმე მობზლარასამც მოსელა

დედანმა სთქვა, გვერდზე ცურვით გვერდის ტუაი გადამქრება,  
ფრთემ სთქვა. კვლისა ბრუნებითა ნეკნები სულ ღამემტრეგვა,  
ბარმა სთქვა. ქვეშ-ქვეშ ტარებით მე შვის შუქი მენატრება,  
საკვეთმა სთქვა. წინ ტარებით წინა კბილი არა მრჩება  
რელიმა სთქვა, წელში წვენითა წელის მძივი გადამწყდება,  
ღირღიტმა სთქვა, ძახილითა კრინტი ხმა აღარა მრჩება...

მთელ ამ ნაწილებისაგან შემდგარ ანსამბლს ანუ გუთანს ეწევა ხარი გუთნისდედისა და მეხრის ხელმძღვანელობით.

სახნისისა და საკვეთელის მუშაობის სპეციფიკა ხაზგასმულია ოთხტაქიან ლექსში<sup>423</sup>, რომელიც მიწათმოქმედთა ყოველდღიურ სასაუბრო ლექსიკას შეიცავს, რაც მის სიმარტივესა და ერთგვარად პროზაულობაზე მიგვითითებს.

შრომის პოეზიამ შემოგვინახა გუთნის ნაცვალი ზოგი ადრინდელი და ზოგიც კუთხური ტერმინი: არონა, აჩაჩა, ბარული გუთანი. კავი, ორხელა, ოქოქა, ჩეკა, ჩუტკავი, ჭილდა. აგრეთვე: ანეული; ახო. გოხი, კორდოხი, ნალარი.

გუთნისა და მუშა საქონლის მართვისათვის მიწათმოქმედს გამომუშავებული აქვს სიგნალიზაცია, სპეციალური მიმართვები, რომელიც მხოლოდ გუთანზე მომუშავესათვის არის გასაგები. ერთ-ერთი ასეთი ტერმინია „ზედა“. ამ სიტყვას კვალიდან ამოსული ხარის ჩასაყენებლად დაუძახებს გუთნისდედა პირველ მეხრეს:

გუთანო, გუთნისდედაო, ხარი მათხოვე მტრედაო  
დაუქექ და მიეაყოლე, ვეძახე ზედა, ზედაო!<sup>424</sup>

<sup>421</sup> თ. ოქროშიძე, დასახ. კრებ., გვ. 29.

<sup>422</sup> იქვე, გვ. 30.

<sup>423</sup> იქვე, გვ. 31.

<sup>424</sup> იქვე, გვ. 32.

ან:

ახალსა გუთნისდელასა ხარი დაუდის ნებასა,  
ეგრე გავა და გამოვა ერთხელ არ იტყვის ზედასა<sup>435</sup>.

აღნიშნული ტერმინი ზმნისართად ქცეულა სხვა ლექსებში:

ზ ე დ ა ო ბ ი თ ა გუთანო  
კვალი არ გაგვიტანია...<sup>436</sup>.

გუთნურის მთელ რიგ ტექსტებში გვხვდება ონომატოპეის შემთხვევები, ასეთებია, ხარ-კამეჩისადმი მიმართული შეძახილები: „პო.—ტუ“, „პოტფრუ“, „პოტუ“, „ოტფუ“, „ოტუტუშაო“ და სხვ., რაც დროთა განმავლობაში სტროფის დასაწყისის ორგანულ ნაწილად ქცეულა და რითმის ფარგლებში დამკვიდრებულა:

1. პოტუ კამეჩო ლოშაო...
2. პოტფრუ, კამეჩო ღვინაო...
3. ოტფუ, კამეჩო კაკლიაო...
4. ოტუტუშაო კამეჩო... და სხვ.

შრომის პოეზიის ნიმუშები თანმიმდევრულად გადმოგვცემს მხვნელ-მთესველთა ცხოვრებას, აღნუსხავს ყოველ მომენტს შრომის დასაწყისიდან-დასასრულამდე. ლექს-სიმღერებში სამეურნეო ტერმინებთან ერთად თავისი ადგილი ეძებნება მიწათმოქმედთა ურთიერთობის ამსახველ სიტყვებს, რომელიც მტკიცედ ჩასმული პოეტურ ტაეპში, ორგანულ კავშირში იმყოფება შინაარსთან. ამ მხრივ საინტერესოა ზენაში შეამხანაგების აღმნიშვნელი, გუთნურის ლექსში ფიქსირებული ტერმინი „მოღგამი“:

გუთნიდელა და მოღგამი  
დადიან უბან-უბანა...<sup>437</sup>.

ყოველწლიურად იკრიბებოდა გუთნეულის შემადგენლობა, ყოველწლიურად მეორდებოდა სოფლიდან-სოფელში მოღგამის სახელი, რამაც ერთგვარი ფორმულის სახე მიიღო კიდევ წმინდა პრაქტიკულ ნიადაგზე ამოზრდილ ზემოხსენებულ ლექსში.

ამ ტიპისაა მეორე ტერმინი „ხანული“ ან „ხანულობა“, რომლის შესახებ პ. უმიკაშვილი პირად ბარათში ფ. ჯოგინაიშვილს წერს: „...ხანულობა ხომ გეცოდინება, სოფელში დედაკაცები ერთმანეთმ-

<sup>435</sup> იქვე.

<sup>436</sup> იქვე.

<sup>437</sup> იქვე, გვ. 33.



პირობას ჰკრავენ, რძეს აგროვებენ ჯერ ერთხან, მერე მეორესთან<sup>438</sup>. ასევე განმარტავს მას სულხან-საბა ორბელიანი: „რძის მოზიარენი“ „ღიაცი“<sup>439</sup>. ანდაზაშიაც „ხანულობა“ დაკავშირებულია ფურთან— ფური მოკედა, ხანულობა გადაეარდაო“. ეს ტერმინი ასეთ კონტექსტში იჩენს თავს ხალხურ პოეზიაში:

ახალი გუთნისდედა ხარ მიწა ვერ მოხან გველული,  
ადეკ და წადი ჟაეახეთს, იქ მოიკიდე ხანული<sup>440</sup>.

ჩვეულებრივი სასაუბრო ფრაზებისაგანაა შემდგარი ფოლკლორისტ ელ. ვირსალაძის მიერ გადმოწერილი ეპიტაფია გუთნისდედის საფლავზე სხალტბაში:

საქმისთვინ ეიყავ მგელიო, გუთნისთვინ კარგი მქნელიო.  
ქერი და პური მიყვარდა ორმოში ძველისძველიო<sup>441</sup>.

გუთნურის ტექსტებში აღწერილია მეხრეთა შრომა, შერჩეულია სიტყვათა ისეთი კომპლექსი, რომელიც ზუსტად გადმოგვცემს მათ საქმიანობას:

მეხრეო, ხართა მლალაო,  
ნიადაგ მოუღალაო<sup>442</sup>.

პირველ სტრიქონში „ხართა მლალაო“ მეხრის სინონიმაცია და მისი შრომის სპეციფიკის მაჩვენებელიც, ხოლო მეორე სტრიქონში გამოვლინებულია მშრომელის დაუშრეტელი ენერგია.

გუთნის სამუშაოებში ცნობილია დღისა და ღამის მეხრე, გუთნის თავისა და სამეტაო ანუ პატარა მეხრე. თითოეულ მათგანს თავისი ადგილი და ფუნქცია აქვს განკუთვნილი, რაც ასევე ფიქსირებულია გუთნურში.

სოფ. ჩაბანოში (თიანეთი), 1955 წელს ფოლკლორისტ აპ. ცანავას მიერ ჩაწერილი ლექსი ბევრ კუთხურ სამეურნეო ტერმინსა და ამასთანავე შრომის რომანტიკას შეიცავს:

სალამიო გუთან მიყორს, ზედ დაქდობა, მ ე ხ რ ე ო ბ ა  
ასეთ ნაჩხატს მიუკიდე ბ უ ს ნ ა რ შ ი ა რ ი რ ჩ ე ო ღ ა .

<sup>438</sup> ფ. არქ., უმკ. 4;

<sup>439</sup> თ. ოქროსიძე, დასახ. კრება, გვ. 34.

<sup>440</sup> იქვე, გვ. 36.

<sup>441</sup> იქვე.

გუთნის დედას გაუქირდა. ხელკუდს მალა ეწეოდა.  
ქეჩიანი ყოფილყო საკეთლის წეარს ეხვეოდა<sup>442</sup>.

საყოფიერო მომენტებზე მიგვითითებს გუთნურ ლექსებში ფიქსირებული არა მარტო სამეურნეო, არამედ დანაყრებასთან დაკავშირებული ტერმინებიც—გუთნის ჭერი, სადილი, სამხარი;

დაბუაშილო ლელო, ეგრე რამ გაგამგელო,  
გუთნის ჭერი არ გეყოფა, ერთი ქოთანი წველოა<sup>443</sup>.

ან გურიასი ჩაწერილი ნადური, სადაც შეტანილია სამხრის აღმნიშვნელი კუთხური ტერმინი „ზარმელა“:

ხარი დაკლეს კაბელო,  
სად ხარ ჩემო ზარმელაო<sup>444</sup>.

გუთნურის მსგავსად, სამკალ პოეზიაში შრომის დამახასიათებელი სამეურნეო იარაღებს, ტერმინების, ადამიანთა ურთიერთობების, განწყობის, რეალისტური აზროვნებისა და თემატიკის მნიშვნელოვანი მომენტები და ფორმები იჩენს თავს. ლექსიკური ფონდი განაპირობებს შრომის პოეზიის კონკრეტულ სახეს. უპირველეს ყოვლისა, ამ ნიშნით გამოიყოფა სამკალი გუთნურისაგან. ტექსტების მიხედვით, სამკალში ტრიალებს ნამგალი, მის ირგვლოვ საუკუნეთა მანძილზე დაგროვილა ხალხის დაკვირვება და პოეტური ხედვის ობიექტად გაუხდია იგი.

მკის დასაწყისის მაჩვენებელი ორტაეპიანი მინიატურა, მიუხედავად ოთხი სამეურნეო ტერმინისა, პოეტურ განწყობილებას ქმნის:

ივანობასა ცელი მანასა,  
ნამგალი შუას ყანასა<sup>445</sup>

სათანადო ლექსიკური ფაქტურის გამოყენებით ზოგან სამკალად მომწიფებული ყანაა დახატული, ზოგან კიდევ ცოცხალი შრომის პროცესია წარმოდგენილი. მიწათმოქმედის რეპერტუარში ნამგლისადმი მიმართვის ვარიაციებია ცნობილი, სადაც საკმაო რაოდენობით გვხვდება ნამგლის სინონიმები: რკინის კავი, რკინის უღელი, ხენცილო, ღული.

<sup>442</sup> თ. ოქროშიძე, დასახ. წიგნი, გვ. 39.

<sup>443</sup> იქვე, გვ. 67.

<sup>444</sup> ა. პ. წულაძე, ეთნოგრაფიული გურია, „მნათობი“, 1939, № 3, გვ. 187.

<sup>445</sup> თ. ოქროშიძე, დასახ. კრებ... გვ. 88.

ბ ე ნ ც ე ლ ი ნამგლის სახელწოდებაა მოხვეურ დოღლექტში, ხოლო დული ხევსურულში:

ჩემო ბენცელო, რკინაო,  
გასქერ, გამოძელ წინაო...<sup>446</sup>  
ან:  
პატარუნა ქალაი ვარ,  
ყანასა ვმეო დ უ ლ ი თ ა ო<sup>447</sup>.

მომკელს მხარში უდგას ლეგა ნამგალი, რომელიც მისი სახელის, მისი ღირსების საქმეს ემსახურება:

გამიძებ ლეგა ნამგალო, ვანგს შეუქმნიხარ ტიალო,  
თუ ვხლა არ მასახელე, როდის-ღა დაგატრიალო<sup>448</sup>.

სამკალ ტექსტებში ხშირად ნამგლის ნაცვლად მიმართვაში თავს იჩენს „მარაგი“: „ბიქო, გამოქკარ მარაგი“. ნამგლის ტარიდან პირამდე, უმკრელო ნაწილს ეწოდება „მარანგი“ ან „მარაგი“. ლექსში იგი სინონიმურად ნამგლის პირის ფუნქციას ითავსებს.

ყანის მკის ხელმძღვანელი ანუ მესვეური გულისხმობს უსათუოდ საუკეთესო მომკელს. მესვეური რომ დაწინაურდება მკაში, იმას უწოდებენ „გაპარვას“, ხალხს ცოცხალი მეტყველების ხარჯზე, თავისებურად, პოეტურად აუსახავს ეს მომენტი:

მესვეური გაგვეპარა. ყანას გამოსკრა ყელიო.  
გადაუგრიხა კისერო, დაატეო თავის ხელო<sup>449</sup>.

ვაქეაცობის კანონიზირებულ კოდექსში კარგ შრომას ვერაო მთავარი მუხლთაგანი უჭირავს, რასაც ხალხი გამოსთქვამს კიდეც ლექსებში:

ვგრე უნდა ვაქეაცობა  
ყ ა ნ ა წვერში მ ო წ ე ე რ ო ს ა...<sup>450</sup>  
ან:  
გაპარვებული კახელო  
ყანას ქოჩორში სკრიდაო...<sup>451</sup>.

<sup>446</sup> ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევი, გვ. 65.

<sup>447</sup> თ. ო ქ რ ო შ ი ძ ე, დასახ. კრებ., გვ. 106.

<sup>448</sup> იქვე, გვ. 94.

<sup>449</sup> იქვე, გვ. 99.

<sup>450</sup> იქვე, გვ. 111.

<sup>451</sup> იქვე, გვ. 100.

სამკალი შრომის ამ სპეციალურ ტერმინს „მოწვევას“ განმარტავს იქვე შოტანელი მეორე ნიმუშის ერთი ტაეპი „ყანას ქოჩორში კრიდაო“.

საუკეთესო მომკელთა სახელები ორგანულად ჩაურთავს ხალხს თავის პოეზიაში. ტექსტებში ზოგან მხოლოდ რამდენიმე შტრიხით არის გამოძერწილი თაკარა მზისაგან გარუჯულო, კუნთმაგარი, შრომაში მოზენივე მომკელთა მარადიული სიცოცხლით მსუნთქაეი სახელები: აზამბურელი, ერგნელი, მუხრანელი, უზანდარელი, უთანელი, უთარელი და სხვ.

მომკელთა შეჭიბრში ფიქსირებულია შრომის ველზე სასიკვდილოთ დაცემულთა სახელებიც, ასეთია: „მომკალი უზანდარელი“. ამ ლექსში მიუხედავად მისი რომანტიკული ხასიათისა, სამეურნეო ტერმინები დიდ მხატვრულ სიმაღლემდეა აყვანილი და თვით სიკვდილიც უნაზეს პოეტურ სახეს იძლევა:

არც ვიც. რამ მოკლა მომკალი, ნარმა თუ გვირილაშაო?  
სათითეს ნარზე ეკიდნენ, ნამგალი გვირილასაო<sup>452</sup>.

ურთიერთდახმარების, ე. წ. მამითადის ტრადიცია მკვეთრად აღბეჭდილია სამკალ ლექსებში. ეს მომენტი შეიცავს მკაში შეჭიბრსაც. ზოგიერთ ტექსტში მკის პროცესი „ნამგლობად“, „ნამჯობადაა“ წოდებული, იქვეა ფიქსირებული კოლექტიური შრომის გამომხატველი ტერმინი მამითადი:

ნამგალობა მოვიდა, ნამგალობა, ნამჯობა,  
წრევანდელ მამითადშია მკაში ვერაინ მაჯობა<sup>453</sup>.

სამკალ ტექსტებში ყურადღებას იპყრობს ტერმინი „კუდი“;

სადაც დიდი კუდაო  
შავი ბივი ჰყუდიო...<sup>454</sup>.

აღმოსავლეთ საქართველოში მომკილ პურის ყანაში დარჩენილ მოსამკელ პატარა ადგილს ეწოდება „კუდი“, ხოლო ყანის მკაში ჩამორჩენილ მომკალს, აჭედან წარმოებული სახელი „მეკუდურე“.

<sup>452</sup> იქვე, გვ. 109.

<sup>453</sup> იქვე, გვ. 117.

<sup>454</sup> იქვე, გვ. 102.

ეს ტერმინი სოციალური აზრის შემცველ მოტივად გამოუყენებია ხალხურ მთქმელს:

აქა კ უ დ ი დარჩენილა, მოდი წინ წაუყენოთო,  
ლარიბ კაცსა მოვეზმაროთ, ფეხზე წამოყაყენოთო<sup>485</sup>.

ლექსის ვარიანტში<sup>486</sup> იგი საზოგადოებრივი განვითარების გარკვეული საფეხურის, კერძოდ, ბატონყმური ურთიერთობის ამსახველია. აქ გადმოცემულია სოციალური უთანასწორობის მძიმე ფაქტი, გლეხთა გაუპიროვნების დამამცირებელი სურათი წარსულში.

შრომის პოეტური ტექსტები ხასიათდება დიდი მგრძნობიარებით, იგი გადმოგვცემს შრომის პროცესის ყოველ ცვლილებას, რაც, კონკრეტულ შემთხვევაში, შეინიშნება ლექსებში სპეციალური ტერმინების გახშირებით: ძნა, ულო, ხელეური, ხუთულა, მეველე, შეთვალყურე, მეძნეური.

პურის მკის აუცილებელი მომენტია მეძნეურთა შრომა, რომელიც კვალდაკვალ მიჰყვება მას. მცირე ტექსტი გვაძნობს ამ მუშაობრივ ნიუანსს:

სადა მეძნეურები  
დაიწყო ხელეურები<sup>487</sup>.

სამკალი შრომის დასასრული სურათი იცვლება, იწყება სხვა სახის საქმიანობა და მასთან დაკავშირებული ახალი ლექსიკა. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ტექსტი-დალოცვა, რაც ისე ორგანულია კალოურისათვის:

ოროველ  
ორმო ჩასთხარე კვიანი,  
მოგვეც ბარაქაო<sup>488</sup>.

კალოურის ტექსტები იმ ტერმინებს შეიცავს, რომელიც ადრე არ შეგვხვედრია: ალო, არნადი, განიავება, კალო, კევრი, მზეკაბანი, ორთითი, საბძელი, სათითე, საკალოე, სამკლავე, ფიწალი, ფიწლას ტარი, ფხა, ცოცხი, ხვაევი, ხორხარი.

<sup>485</sup> იქვე.

<sup>486</sup> ფ. არქ. № 31890. მთქმ. გ. მ რ ე ლ ა შ ე ი ლ ი, ჩამწ. მ. ჩ ი ქ ო ე ა ნ ი, ს. ი ყ ა ლ თ ო, 1948.

<sup>487</sup> თ. ო ქ რ ო შ ი ძ ე, დასახ. კრებ., გვ. 119.

<sup>488</sup> მ. კ ე ლ ე ნ ც ე რ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ნაწ. 1, გვ. 8.

თერთმეტი სიტყვისაგან შემდგარ ტიპიურ კალოურ ტექსტში  
ზუთი სამეურნეო ტერმინია:

მ ო ზ ვ ე რ ო. მოდის კ ა ლ ო ნ ი, თვალი ბ ზ ი თ გაგვესებაო,  
წეტავ მოვიდეს კ ა ლ ო ნ ი ს ა ბ ძ ე ლ ი ამევესებაო<sup>459</sup>.

ნადურის ტექსტები თავისი ლექსიკური შემადგენლობით განსხვავდება გუთნური და სამკალი ლექსებისაგან. შრომის პოეზიის თუ ეს ორი უკანასკნელი სახე მთლიანად დაკავშირებულია ცოცხალ სასაუბრო მეტყველებასთან, ნადურის მხოლოდ მცირე მოცულობის ლექსების გარკვეული ნაწილი იჩენს ამ სიახლოვეს ენასთან.

ტექსტებში გვხვდება ის სიტყვიერი მასალა, რომელსაც მიწის მეურნე ყოველდღიურ მეტყველებაში ხმარობს. ასეთ პროზაულ ტექსტს წარმოადგენს ქვემოთმოტანილი ლექსი:

სიმინდი რომ ამოვიდა, ჩემსა ძმასა ეს ვუთხარი:  
ღურგლობაში ნაქები ხარ, თოხს დამიგე გრძელი ტარი.  
დაყოვნება არ გვარგია, სულ გაუთოხნოთ სათოხარი,  
ხარებს უნდა ჩალა-ჩულა და ქათმებსა საყენკარი<sup>460</sup>.

ცოცხალ მეტყველებასთან ასეთივე სიახლოვეს იჩენს ნადურის სხვა ტექსტებიც, კერძოდ, „ეთოხნოთ და ეთოხნოთ სიმინდი“, „მობძანდი მკადო ღორიელს“, „ავიტანეთ ჩვენ ნაპირი“ და სხვ.

აღნიშნული ტიპის ტექსტები შეიცავეს ნადურის სამეურნეობისათვის დამახასიათებელ სამეურნეო ტერმინებს, როგორიცაა: ახო, გეჩეჩი, მკადი, ნაქურჩალა, სამარგელი, სიმინდი, ტარო, ტატაბი, ღომი, ყანა, ძარი, ხელხვაგი.

ცნობილია, რომ ნადურის რეპერტუარში შედის ვრცელი ტექსტები, სადაც შრომისა და საწესჩვეულებო ლექსები ენაცვლება ერთმანეთს, მაგრამ მიუხედავად ფრაგმენტულობისა იგი ერთ ლერძზე ასხმული მთლიანის შთაბეჭდილებას სტოვებს.

უთუოდ ჩამაფიქრებელია ის გარემოება, რომ ნადურში შემავალი საწესჩვეულებო ხასიათის, პ. უშიკაშვილის კრებულში მოთავსებული, თითქმის ყველა ტექსტი სამეგრელოშია ჩაწერილი 1871 წელს დ. ბარნაბიშვილის მიერ. თითოეულ მათგანს თან ახლავს ჩამწერის შენიშვნა: „ამ ლექსს მღეროდნენ იქ თოხნის დროს და დღესასწაულ დღეებშიაც“. არც ერთ აღნიშნულ ტექსტში არ მოიძებნება შრომის ტიპიური ლექსიკა.

<sup>459</sup> თ. ო ქ რ ო შ ი ძ ე, დასახ. კრებ., გვ. 123.

<sup>460</sup> იქვე, გვ. 73.

ნადურის ზოგიერთ ტექსტს, კერძოდ, გურიასა და აქარაში ჩაწერილ ლექსებს გასაოცარი მსგავსება აქვს აგრეთვე შელოცვებთან<sup>461</sup>.

აღნიშნული ტექსტების გარკვეულ ურთიერთობაზე შელოცვებთან მიგვიითივებს ნადის სამუშაოებში სამღერალი ლექსების მთელი ციკლი სათაურით „ნადურის საჩივარი“. ბევრ მათგანს დასაწყისში კომპოზიციის თვალსაზრისით შელოცვის ტრადიციული ფორმულა აკლია, თორემ განწყობა, ურთიმობა, რიტმული თხრობა, შელოცვის ძირითადი ტექსტების დასრულებულ სახეს აძლევს მას:

აგერ მოვა წყალი შავი,  
მას ზოკონდა გველი შავი,  
გაუწუნდონ ვაშლის ჭოხი,  
მოვითრიე კობშიდანა.  
დაედევ ქვასა, დავკარ შები  
ვაქცევიე სისხლი—შხამი,  
იგი აესა, მწყენარსა<sup>462</sup>.

ტექსტის მთელი იერი, ტაქტითა სტრუქტურა, სიტყვიერი მასალის განლაგება: „წყალი შავი, გველი შავი“, „ვაშლის ჭოხი“, რწმენები, ყოველივე ეს მიუთითებს მის არა შრომით გარემოში, არამედ გარკვეული მაგიური მსოფლმხედველობის ნიადაგზე წარმოშობას. ქართველი ხალხის რწმენით, ავი თვალისაგან დასაცავად, ხარებს უღელში ასკრლის ან ვაშლის ხის ტაბიკებს უკეთებენ<sup>463</sup>.

როგორც შრომის პოეზიის სხვა სახეები, ისე მთიბლურიც ახლოს დგას ცოცხალ სასაუბრო მეტყველებასთან. ვინაიდან, განსაკუთრებით, ხევისურთში ჭერ კიდევ კარგად არის დაცული დიალექტი.

---

<sup>461</sup> ი. ვ. შილაკაძე. ქართული ხალხური მუსიკის შესწავლისათვის, 1949. გვ. 43—44.

<sup>462</sup> ა. ჯ. წულაძე. გვ. 187.

<sup>463</sup> ქ. ნოდარდელი, ეთნოგრაფიული ნარკვევი აქარაში-ს ყოფაცხოვრებრიდან. 1935. გვ. 48—49: „უაჩის მუშას გაზაფხულზე პირველად შეემა ვუთანში ხარები და თურმე მიწას ხნაედა. ახლო გზა ყოფილა და იქ ერთ გლენს გაუვლია, ის გლენი თურმე იქვე ახლო ცხოვრობდა. სახლში რომ მისულა, თავისი ვაჩისათვის უთქვამს: შეილო, ამა და ამ ადგილას წალი. იქ ერთი გლენი ყანას ხნაედა. ახლა ხარი დაკლული ეყოლება. ხორცი იყიდვ და ამოიტანე. შეილი წესილი, უსაზავს, რომ კაეში ხარები უბია და მიწას ხნავს, დაბრუნებულა სახლში და მამისთვის ნახული მოუხსენებია. მამას გაუცინია და შეილისათვის უთქვამს: „ობაჲ წოთილი ვაშლის. ან ტყემლის ტაბიკები ჰქონია გაკეთებული, თორემ მისეთი თვალის მაქვს, რომ უთუოდ მოკლავდა ხარსო“.

სწორედ ანალოგიური მოვლენები იგულისხმება ქვემომოტანილ მო-  
საზრებაში:

„...არ შეიძლება...არ შევეამჩნიოთ ფაქტი, რომელიც მეორდება  
ყველა ხალხის ისტორიაში: ხალხები, რომელთა ენას ჯერ არ გაუვლია  
ძველი ფორმების გარდაქმნის პერიოდი, ენის ძველ ფორმებთან ერ-  
თად ინარჩუნებენ მის კანონზომიერებასა და მნიშვნელობას უბრალო  
სასაუბრო მეტყველებაშიაც კი“<sup>464</sup>.

მთიბლური პოეზიის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ იქ არა  
მარტო სიტყვიერი მასალაა არქაული, არამედ მეტყველების გრამა-  
ტიკული ნორმებიც, მაგრამ რაც არ უნდა არქაულ ნიშნულთან გვეკონ-  
დეს საქმე ხალხურ პოეზიაში, მისი ენა მკაფიო, სხარტი და მოქნი-  
ლია, აზრი ნათელი.

მთიანეთის დამახასიათებელ აღნიშნულ მეურნეობასაც დაუცავს  
საინტერესო ტერმინები, გარდა ამისა მთიბლურის რეპერტუარის  
მნიშვნელოვან ნაწილს ხალხური სიტყვიერი შემოქმედების სხვა დარ-  
გი, კერძოდ, ხმით ნატირალი შეკედლებია, რომელსაც გარკვეულ  
მომენტთან დაკავშირებული საკუთარი სიტყვა, საკუთარი სახეები  
მოუტანია მთიბლურში.

პოეტურ ტექსტებში გვხვდება შრომისა და სამეურნეო იარაღთა  
დასახელებანი: დაფხაება, თიბვა, თივათ ყენება, თივის სათრელი,  
ნალევი, ნალევთ-ნალევი, ნამჭრევი, სალესი, უღელი, ქალიწი,  
ქასური სალესი, ჩორჩი, ცელი.

აღნუსხულია მეურნეობის მიხედვით მშრომელთა პროფილები:  
მთიბელნი, მამკალნი. მესვეურნი, მუშა. აგრეთვე: სათითიანნი; სამჯ-  
ლავენი, ორცელიანი, ორცულიანი, წერი.

გვხვდება საინტერესო სპეციფიკური ტერმინი „თიბის სამშაბა-  
თი“, თიბვის სამუშაოების დასაწყისის დადგენილი დღე ბევსურეთში,  
იგი ორგანულია მთიბლური ტექსტებისათვის:

(აი) თიბის სამშაბათსამც მათიბიოა  
იმ ჩემი ბროლიით (აი) ცელითა (ოოოო)<sup>465</sup>.

მშრომელთა წარმოდგენით:

მთიბელი მარიანობითგანა  
შკლავითა შაგარი უნდა ვაეი<sup>466</sup>.

<sup>464</sup> „Русский фольклор“, 1884, XI, № 1, გვ. 21. ციტირებულია  
მ. შტოკმარი, დასახ. წიგნი, გვ. 227.

<sup>465</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე. დასახ. წიგნი, გვ. 641.

<sup>466</sup> ქართული ხალხური სიმღერა, ტ. I, რედაქტორ-შემდგენელი გ. რ. ჩხიკ-  
ვაძე, 1960, გვ. 5.



ჩვენს ყურადღებას იქცევს პოეტური სახე, რომელიც თიბვის პროცესთანაა დაკავშირებული:

ქოჩნი ჩამამცდეს წამუტუნითაო,  
ცელის ნალევის დატუქსვილნო<sup>467</sup>.

ეს საინტერესო ლირიკულ-ემოციური სურათი გასაგები გახდა უთნოგრაფ თ. ოჩიაურის განმარტების შემდეგ: ბალახი ქოჩი, თიბვის დროს ხმას გამოსცემს წრიპინ-წამუტუნით, ბაეშვის ტირილის ხმით, თითქოს ცელის ნალევის დატუქსვილნო.

გუთნურსა და, განსაკუთრებით, სამკალ პოეზიაში ჩვენ გავეცანით საუკეთესო მშრომელთა სახელების უკედავყოფის ტენდენციას. ეს მოვლენა, განსაკუთრებით, საგრძნობია ხევსურეთში და, საერთოდ. მთიანეთში, სადაც საგმირო პოეზიის ძლიერი ტრადიცია არსებობს. ამ ტრადიციას აქტიურად ეხმაურება სამგლოვიარო პოეზია<sup>468</sup> მთიბლურში ცნობილია მარჯვე მთიბელი გიგაი გიგაური:

ქალი დედასა უჩიოდა გამადიოდა საჩივარი.  
დედაე, არ მინდა ბაჩანაი, მინდა გიგაი გიგაური<sup>469</sup>.

გიგა გიგაურის სახელის ქება არა მარტო მთიბლურ ლექსებში გვხვდება, არამედ ხმით ნატირალუბშიაც, სადაც მის სამაგალითო შრომასა და გამრჩელობას ხაზს უსვამს გოლიათური სიდიდის სამეურნეო იარაღები:

მთიბელ ვინ იყვა ისეთაიო,  
ვიგა რო იყვა ვიგაურიო,  
შვიდი მტკაველი ხქონდა ცელიო,  
შვიდი მტკაველი სალესველიო.  
შვიდნი თიბანი დაეთიბნესო.  
სადილობამდენ ვიგაურსაო<sup>470</sup>.

მეორე ხმით ნატირალში გიგა გიგაური წარმოდგენილია კარგ მთიბელად, მონადირედ და ქალთა მოტრფიალედ. იგი ხან თიბდა, ხან ნადირობდა და ხან „ქიჩოს ქალებში ლოვინობდაო“<sup>471</sup>.

<sup>467</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. წიგნი, გვ. 289.

<sup>468</sup> ქ. ს. ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, სამგლოვიარო ლექსები, ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ნაწ. I, 1960, გვ. 294; ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება. ტექსტების მოშაადება, რედაქცია, გამოკვლევა და შენიშვნები ელენე ვირსალაძისა, 1958, გვ. 67.

<sup>469</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. წიგნი, გვ. 293.

<sup>470</sup> მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, გვ. 182.

<sup>471</sup> იქვე.

სავენახო ლექსებში ფიქსირებულია დაბლარი და მდლარი ვენახის თუ მის სამუშაოებთან დაკავშირებული სამეურნეო ტერმინები: ბაგა, ვაზი, ზვარი, რქა, ყურძენი, მეზერე, მსხლავი, სხვლა, ყურძნის ჭიშები: ანდრიული, ბუღეშური, შავი კაპიტო. სავენახო-სამეურნეო ინვენტარი: გიდელი, თალარი, მარანი, სარი, სარცხ, საწნახელი, რთელი, ქვეერი, ჩაფი; ჭური, ჭიგო.

სავენახო ლექსებში აღინიშნება ხშირი ხსენება სეტყვისა, რომელიც განსაკუთრებით ვენახის მტერია

მეტიურს თან ახლავს არც ისე მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ტექსტები. ამიტომ მისი დამახასიათებელი სამეურნეო ტერმინებიც განსაზღვრულია: ორთაყვირი, სატიო, ტივი, მებოლოვე, მეტივე, ხელის მკერელი.

ამვე შრომასთანაა დაკავშირებული საყოველთაო ტერმინი ფონი, ყოველივე ეს განაპირობებს აღნიშნულ შრომის სახესა და მის პოეზიას.

ურმული თავისებური შრომის ამსახველი უსიტყვო სიმღერაა, რომელსაც მოგვიანებით დაუკავშირდა ლექსი. დროთა ვითარებაში ურმულის რეპერტუარი თანდათან შეივსო მრავალფეროვანი თემატიკის შემცველი ტექსტებით. ხალხური პოეზიის ეს ნიმუშები ასახავს შრომის დამახასიათებელ მომენტებსა და სამეურნეო ტერმინებს, გეოგრაფიულ ადგილებს, სამგზავრო მარშრუტებსა და სიმძნელებს, მუშა საქონლისა და ადამიანთა ურთიერთობებსა და სხვ.

ხალხურ პოეზიაში ცნობილია მარილის მოსატანად ურმით მგზავრობა. ტექსტებმა დიდი სიზუსტით ასახა გავლილი გზა, პოეტურ ტაეპებში აღბეჭდა გეოგრაფიული სახელწოდებანი: ალზევანი, გუმბრი, კავთისხევი, კარაკლისი, კოშკის-ყელი, ღართის-კარი, ყულეები, ძაღლის წყარო, კოპორტი.

ურმით მგზავრობის სააღებ-მიცემო მნიშვნელობა გამოვლინდა ლექსებში ფიქსირებული წონის ერთეულებში: კასრი, ლიტრი, სტილი, ფუთი.

ბოლო ქართული ხალხური სამგზავრო ტრანსპორტისა და მისი ნაწილების დასახელება: კონკილა, კოფო-ქალი. მორგვი, საყვეარო, სოლა, ურემი, ფერსო, ხუნდი და აგრეთვე ქარავანი (ცგულისხმება ურმების ქარავანი) ამთავრებს ურმულის ტექსტების ძირითად სამეურნეო სიტყვიერ ფონდს.

ურმულის ერთი ციკლის ლექსების დასაწყისი ტაქები ერთფე-  
როვანი და პროზაულია:

1. „ჩემი მარილზე წასვლაი...“
2. „მე რომ მარილზე წაველი...“
3. „მე რომ მარილზე ვიყავი...“
4. „შენი მარილზე წასვლაი...“
5. „მარილზე წასვლას აპირობ...“

მარილის მოსატანად გამგზავრების პროცესი, როგორც ვხედავთ, ბევრ ლექსს აღუბეჭდავს, მაგრამ არის კიდევ ურმულის ერთი ტექსტი „აღზევანს მივალ მარილზე“. ეს უკანასკნელი იმდენად პოპულარულია ჩვენში, ალბათ. ურმულის ლირიკული მელიოდის წყალობით, იმდენად ორგანული და სიტყვიერი და მულოდიური ასოციაციებით ბუნებრივად გადაჯაჭვული, რომ იქმნება შთაბეჭდილება მათი ერთიანობის. მათი ინოვაციური განწყობილობის შესახებ:

აღზევანს მივალ მარილზე, მარილს მოვიტან ბროლსაო,  
ურ ღვიას გადავეხვევი, მერე შევლსა და ცოლსაი<sup>172</sup>.

საწყალზედო ლექსები შრომის დამახასიათებელ თემატიკასთან ერთად მოიცავს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებულ წყლის კურკლის სახელწოდებებს: თუნგი, კოკა, კუტალი, სურა, ტაგანა.

მათ შორის, განსაკუთრებით, ხშირად გვხვდება კოკა და კუტალი. ასეთ ლექსებში. ისევე, როგორც შრომის პოეზიის სხვა სახეებში სპეციფიკურ სიტუაციებსა და ეპიზოდებს აძლიერებს პოეტურ კონტექსტთან ორგანულად შერწყმული ზემოჩამოთვლილი ტერმინები. უძველესი დროიდან ცნობილი და გავრცელებული სიმღერის პირველი ორი ტაქები:

თებრონე მიდის წყალზედა,  
კოკა უდგა მხარზედა...<sup>173</sup>

სიტყვიერ ორნამენტად ჩარჩენილა ქართველთა მესხიერებაში. ამავე დროს ქალი კოკით მხარზე წყლის ზიდვის რეალისტური სურათია, პრაქტიკული საქმიანობის ანარეკლი.

საწყალზედო ლექსების დამახასიათებელ ატრიბუტებში შედის აგრეთვე წყარო, წყალი. რითაც იმთავითვე ლოკალიზებულია შრომის სახე და მასთან დაკავშირებული პოეზია:

<sup>172</sup> თ. არქ. № 18026. მთქმ. შ. მ ა კ ა რ ო ვ ი, ჩაშ. შ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, სოფ. იუალთო, 1938.

<sup>173</sup> თ. ო ქ რ ო შ ი ძ ე. დასახ. კრებ., გვ. 188.

ქალ: წაიდა წყალზედა, თან გაეყოლე თვალია,  
აავსო კოკა, კუტალი, შიგ გაუყარა თმანია...<sup>474</sup>.

ყველა ტიპიური საწყალზედო ტექსტი შეიცავს ძირითადად დაღ-  
გენილ ერთსა და იმავე პოეტურ ტაქსს, სტროფს:

1. ქვეე მიდის წყალზედაო.  
კოკა უღვეს მხარზედაო...<sup>475</sup>
2. დედაკაცი გუიოო.  
ზურგზე კოკა პკილიაო...<sup>476</sup>
3. შენი კოკა და კუტალი  
ციე წყაროს დამიღვიაო...<sup>477</sup>
4. ჩემო ხელის მომკიდეო,  
ტაგანაი მომკიდეო<sup>478</sup>.
5. ერთხელ შარაზე დამიხვედი,  
თუნგი გეკიდა ქალსაო...<sup>479</sup> და სხვა.

საწყალზედო ლექსებში გამოიყოფა ქალთა საქმიანობის აღწ-  
ნიშნული 6, 10 და 11 მარცვლოვანი რამდენიმე ტექსტი, ჩაწერილი  
სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოში—ახალციხეში, მარაბდასა  
და ბარაღეთში. საინტერესოა, რომ ამ ტექსტებს ქართული არქაული  
პოეტური საზომის გვერდით ქალაქური ფოლკლორისა და ერთგვა-  
რად აშუღური პოეზიის იერი დაჰკრავს. ლექსებში ტიპიურ ეპიზო-  
დებს გარდა მხოლოდ ერთგან გვხვდება საწყალზედო სიმღერის და-  
მახასიათებელი სურათი:

ხელნი სურა შენ გეკირა წყლისთვისა...<sup>480</sup>

სპეციალური ტერმინებითა და სიტუაციებით მდიდარია შრომის  
პოეზიის ის უბანი, რომელიც ქართული შინამრეწველობის საფეიქ-  
რო დარგს ასახავს. ხალხური სიტყვიერი შემოქმედება არა მარტო  
მოზღვავებული მხატვრული ფანტაზიის გამოვლინების ფაქტი იყო  
მხოლოდ. არამედ ხალხთა ყოფისა და საქმიანობის, მისი ისტორიისა  
და ეკონომიკის ამსახველი. ჩვენამდე მოტანილ თითოეულ ტერმინს

<sup>474</sup> იქვე, გვ. 187.  
<sup>475</sup> იქვე, გვ. 184.  
<sup>476</sup> იქვე, გვ. 185.  
<sup>477</sup> იქვე.  
<sup>478</sup> იქვე.  
<sup>479</sup> იქვე, გვ. 184.

<sup>480</sup> ფ. არქ. № 13884. მთქმ. ი. გოვოლაძე, ჩაპწ. გ. გოვოლაძე, სოფ.  
ბარაღეთი, 1938.

თავისებურად გააზრებული შემოქმედებითი თავგადასავალი აქვს, თითოეული მათგანი ტექსტში მთქმელის შემოქმედებით, პოეტურ ქურაშია გატარებული.

ლექსებში საფეიქრო ნედლეულიდან დაწყებული დამთავრებული საქსოვი იარაღების ნაწილებამდე ფიქსირებულია ყოველი დეტალი. საფეიქრო ნედლეულის ორ სახეზე მიგვივლითებს ლექსი:

ჩაირაშა შემოვძახოთ, ჩაირაშა ბუზიაო,  
აბრეშუმმა გვილაღატა ბ ა მ ბ ა მაინც ბიჯრიაო<sup>481</sup>.

აბრეშუმისა და ბამბის გვერდით საფეიქრო პოეზიაში სრულუფლებიანია ნედლეულის მესამე სახე მატყლი:

1. შე, დალოცვილო მესხვარე. ძალღებს არ დამაგლეჯინო.  
პატარა მატყლი მაჩუქე. გოგოებს დავაჩეჩინო<sup>482</sup>.
2. კალთანელთ მჩეჩელნი ხუვან  
დადგა მატყლის წეწაო...<sup>483</sup>
3. საჩეჩელო, გამოქარო,  
მატყლი არის გასაჩეჩიო<sup>484</sup>.

ამრიგად საფეიქრო ნედლეულიდან გამოიყოფა: აბრეშუმი, ბამბა, მატყლი.

საფეიქრო სამუშაოებთან დაკავშირებულია სპეციალური ტერმინები: დართვა, მჩეჩელნი, ნაგულარას ნაგულარა, ნართი, ფარტენა, ჩასთვა, ჩეჩვა, წეწა. ეს ტერმინები უზვად გვხვდება აღნიშნული თემატიკის ლექსებში:

1. ერთე. ერთე ფარტენაო,  
ჩაეხვიე ტარზე დაო...<sup>485</sup>
2. ვერც ჩაასთნო ფარტენანი,  
ვერც მოქსოვა ფარდაგაო<sup>486</sup>.
3. მამის ძმათ შაირ არ უნდა  
ფარტენათ უნდა ჩასთვაო<sup>487</sup>.
4. ჩემო რძალო, ჩემო რძალო, მალე დამირთიო,  
ნაგულარას ნაგულარა წინდა პაიქო<sup>488</sup>.

<sup>481</sup> თ. ოქროშიძე, დასახ. კრებ., გვ. 170.

<sup>482</sup> იქვე, გვ. 169.

<sup>483</sup> იქვე.

<sup>484</sup> მოგვაწოდა ჟ. ნოლაიდეღმა.

<sup>485</sup> თ. ოქროშიძე, დასახ. კრებ., გვ. 170.

<sup>486</sup> იქვე, გვ. 172.

<sup>487</sup> იქვე.

<sup>488</sup> იქვე, გვ. 171.

საფეიქრო იარაღებიდან პოეტურ ტექსტებს აღუნუსხავს: თითის-ტარი, კვირისტავა, კვირტისთავი, საჩეჩელი, ტარი, ხერტალი, ხოკერი. ხოკერი. ხის ქერქის ჭურჭელია, რომელშიაც მატყლის ფარტენებს, ფთილებს აწობენ. თითისტარს ანუ ტარს აქარულ დიალექტზე „ხერტალს“ უწოდებენ, ეს იგივეა რაც „ხელტარი“ მეტათეზისის შედეგად მიღებული და მტკიცედ დამკვიდრებული აქარულ პოეტურ ტექსტებში:

ხ ე რ ტ ა ლ მ ა ხ ე ლ ი დ ა მ გ ა ლ ა  
 ხ ე რ ტ ა ლ გ ა ს ა ტ ე ხ ე ლ მ ა...<sup>499</sup>

მეტად საინტერესოა საფეიქრო ლექსები, რომლებშიაც მოცემულია აღნიშნული დარგის ტრადიციული სამეურნეო იარაღებისა და მათი დამახასიათებელი ხმაურის და რიტმის მიბაძვა:

ჭ ა რ ა ვ , ჭ ა რ ა ვ ბ ზ ი ო .  
 ნ ა რ თ ი დ ა მ ი რ თ ი ო ...<sup>490</sup>

მაგრამ დანარჩენ ლექსებში, სადაც დგიმ-საფარცხელის ნაწილების სახელწოდებანია ჩამოთვლილი, ერთმანეთს ცვლის ბ ე ქ ი ჯ ა წ ი წ ვ ი , ბ ე ქ -ს ა ხ ე ხ ა ვ ნ ი , ა ზ ნ ი -დ ა ზ ნ ი , ა ნ ჰ ი -მ ა ნ ჰ ი , ი წ ლ ი -ბ ი წ ლ ო , ზ ე დ ა დ ა ქ ე ე დ ა მ ა ჭ ა ჭ გ ა ნ ა ი , ს ა ვ ა რ -ც ხ ე ლ ი დ ა ს ხ გ . ასეთ ლექსებში შთაბეჭდილება იქმნება თითქოს ფოლკლორისა თუ ცოცხალი სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელ სიტყვათა თამაშთან ან ფუძის გაორკეცებასთან გვექონდეს საქმე, ნამდვილად კი მთქმელთა გადმოცემით, თითოეული მათგანი საქსოვი იარაღის ცალკეულ დეტალს აღნიშნავს.

დგიმ-საფარცხელის ნაწილებს სახელები შერქმეული აქვს ქსოვაში განკუთვნილი ფუნქციის მიხედვით, საკუთარი ნიშანთვისებების საფუძველზე. საყურადღებოა, რომ ჩვენს ხელთ არსებული სამი ლექსი, შეიძლება ითქვას, სამი ვარიანტი, საქსოვი იარაღების დეტალების სხვადასხვა სახელწოდებებს შეიცავს. ორი მათგანი ჩაწერილია რაქვაში, სოფ. ქვემობაჯში, 1914 წელს და სოფ. გლოლაში (ზემო-რაქა) 1962 წელს, ხოლო მესამე კი ახალციხეში:

1. ქ ა ლ ო , თ ა ვ ი დ ა ვ ი რ ჩ ე ბ ა ; ი წ ლ ო , ბ ი წ ლ ო მ ა თ ხ ო ვ ე ო ,  
 შ ი შ ტ უ ა დ ა შ ი გ ა ვ ა რ დ ა მ ო ს ა ჭ ე ჭ გ ი მ ა თ ხ ო ვ ე ო <sup>491</sup>.

<sup>490</sup> იქვე, გვ. 173.

<sup>490</sup> იქვე, გვ. 175.

<sup>491</sup> იქვე, გვ. 176.

ტექსტის ჩამწერის ი. მაისურაძის შენიშვნაში ვკითხულობთ: ესენი სულ დგიმ-სავარცხელის ნაწილებია<sup>482</sup>.

2. აზნი, ღაზნი მათხოვეო, ზედა მაჯაჯგანაიო  
ქვედა მაჯაჯგანაო, შიგამ გავარდენაიო<sup>483</sup>.

ჩამწერის ვ. მეტრეველის ცნობით, „აზნი ღაზნი“ დგიმ-სავარცხელს ნიშნავს, „ზედა და ქვედა მაჯაჯგანაი“ სავარცხლებს, ხოლო „გავარდენაი“ მაქვას.

3. დღაჩემმა გამაგზანა, ანჭი, მანქი მათხოვეო,  
ქვეშ გამაუღეს, ზედ გამარტყეს, სავარცხელი მათხოვეო<sup>484</sup>.

მიუხედავად სახელწოდებათა სხვადასხვაობისა ამ სამი ვარიანტის წყობა, ტენდენცია და მიმართების ობიექტი იდენტურია: კუთხური დიალექტის შემცველი არა საქმოდ პოეტური ტექსტები მშრალ აღწერილობას გვაძლევს, თუმცა სამივეში შრომის ცოცხალ პროცესთან ერთად უთუოდ დატულია ქსოვის რიტმიც.

ვარიანტებად არის გავრცელებული ლექსი საქსოვი იარაღის ერთ მნიშვნელოვან ნაწილზე მაქო ანუ მაქვაზე. ასეთ ტექსტებში საერთო ანსამბლიდან პირდაპირაა გამოყოფილი მისი ფუნქცია, რაც დაუსრულებელ ქმედობაში გამოიხატება:

1. მაქო, მაქო, ჩემო მაქო, მე რა გიყო, სხვამ არ გაქო,  
მაგრამა შენი სიკარგე შენვე გააქ-გამოგაქო<sup>485</sup>.
2. მაქვა ვარბის-გამორბის  
ექსოვ, ვქსოვ, ვქსოვ...<sup>485</sup>.

დანარჩენ ვარიანტებში გვხვდება ტერმინები: მასრაქო, მასრა-მაქო და მასტიკო.

ქართული ხალხური შრომის პოეზიის კვლევის დროს ჩვენ აღნიშნული გვეკონდა საფეიქრო ტერმინი „ვეფხისტყაოსანში“—„ქსლისა მბეჭველი“. სულხან-საბა ორბელიანს ქსელი განმარტებული აქვს, როგორც „საქსოვარი“, მაშასადამე, „ქსელი“ თავისთავად უკვე მზა ქსოვილს ნიშნავს, რასაც საფეიქრო პოეზიის ნიმუშები ადასტურებს:

1. ქსელი ქსოვა კეკლუაო...  
2. ქსელს ავქსოვ მაშის ეზოთა...  
3. ახალთ ხორკია ორ  
სამ დღეს მამქსოვი ქსლისაო...

<sup>482</sup> მოგვაწოდა ვ. მეტრეველი.

<sup>483</sup> ფ. არქ. № 17254. მთქმ. ნ. აბაზაშვილი, ჩამწ. ნ. ასათიანი აღბლიცხე.

<sup>484</sup> თ. ოქროშიძე, დასახ. კრებ., გვ. 176.

<sup>485</sup> იქვე, გვ. 179.

გარდა ამისა, ჩვენს ყურადღებას იპყრობს რუსთაველის ტერმინის მეორე ნახევარი - „მბეჭველი“, ე. ი. იგი, „ვინც ბეჭავს, ვინც საბეჭავს ხმარობს ყდაზე ქსოვის დროს“.

საფეიქრო პოეზიაში გვხვდება ქსლის იარაღები „ბეჭ-სახეხავნი“.

მიეცით ბ ე კ - ს ა ხ ე ხ ა ვ ნ ი

გააწყრალოს ტარიო

ან:

ბ ე კ ი და წ ი წ ე ი დაყარენ,

გულს დაიკრიფენ ხელნია...

ბეჭი, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით არის „საქსოვი იარაღი საეარცხელივით დაკბილული (უპირატესად ხისა, აგრეთვე ხარის ბეჭისა), ქსელზე ზედას ჩასაბეჭავად (სინონ. საეარცხელი, საბეჭი)“...აქედან არის წარმოებული სახელი არსებითი მბეჭველი.

საინტერესოა ქართული მხატვრული ლიტერატურის უძველეს ძეგლში „მარტილობაჲ შუშანიკისი“ ფიქსირებული ხელსაქმეობა: „...წმიდამან შუშანიკ ნაცვლად კ ი ბ ნ ა უ ხ ტ ი ს ა საქმისა დიდთა გულს მოდგინებითა კელთა აღიხუნა დავითნი“... სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „კიბნაური (16—13 ეზეკი) აბრეშუმია“, რაც საქართველოში ოდითგანვე ცნობილი იყო საფეიქრო სამუშაოების ნედლეულ მასალად და რაც ისე უხვადაა შემონახული შრომის პოეზიაში სხვა ტერმინით.

საფეიქრო ლექსებში გვხვდება მითითება ქსოვილის მრავალსახეობაზე. ამ მხრივ საყურადღებოა ქვემოთმოტანილი ლექსი:

ო რ ხ ი ვ ი ლ ა დ მ ო ქ ს ო ვ ი ლ ო,

ქ ე ქ ი მ უ რ ა დ და დ გ ი მ უ ლ ი ო...<sup>497</sup>.

ეს არის ის ძირითადი, მყარი სიტყვიერი ფონდი, რომლის ირგვლივ იქმნება შრომის სახეების დამახასიათებელი პოეტური ტექსტები. ხალხური პოეზიის სახეებიდან შრომა ყველაზე მეტად არის დაკავშირებული საერთოდ პოეტური მეტყველების გენეზისთან, ამავე დროს იგი ძალიან ახლო დგას ცოცხალ სასაუბრო ენასთანაც. სიტყვიერი ფაქტორით შრომის ლექსები მკვეთრად ემიჯნება პოეზიის მოსაზღვრე უბნებს.

<sup>496</sup> იქვე, გვ. 172.

<sup>497</sup> თ. ოქროშიძე, დასახ. კრებ., გვ. 182



ხალხური პოეზიის და, საერთოდ, ხალხური შემოქმედების დიდი უნარი და სპეციფიკა იმაშია, მდგომარეობს, რომ მას თამამად შემოაქვს ერის დიალექტები და კილოკავები, მონათესავე ენების დამახასიათებელი ტერმინები, გრამატიკული ნორმები, არქაიზმები, გარემოთი განსაზღვრული მხატვრული სახეები, კუთხის წესჩვეულებები, ეთნოგრაფიული მომენტები. ხალხური შემოქმედების ელასტიკური საზღვრები არა თუ იტევს ყოველივე ამას, არამედ იზიდავს მას და სათუთად იცავს თავის უბეში, ავითარებს, ხვეწავს და აძლევს დასრულებულ ფორმებს.

შრომის თითოეული სახე შემოდის დიდი ქართული ხალხური პოეზიის ოჯახში საკუთარი სიტყვიერი პოეტური მარაგით, ინდივიდუალური ლიტერატურისათვის უცნობი ლექსიკით, პოეტურ სიმაღლემდე აყვანილი სამეურნეო ტერმინოლოგიით.



## შ ო ნ ა ა რ ს ო

1. შესავალი	83
	5
2. ქართული ხალხური შრომის პოეზია ძველ შწერლობაში	10
3. შრომის პოეზიის შესწავლის საკითხისათვის	16
4. შრომის პოეზიის სახეები	25
გუთნური	27
ნადური	69
ხელხვაეი	78
სამკალი	82
კალოური	94
მთიბლური	98
საენახო	108
საფეიქრო	115
საწყალზედო	123
მეტივეური	129
ურმული	133
მხატვრული ენის საკითხები	147

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

•

რედაქტორი მ. ი. შ. შიქოვანი  
გამომცემლობის რედაქტორი ნ. შაისურაძე  
ტექნიკური რედაქტორი ნ. ჯაფარიძე  
კორექტორი ლ. გელოვანი  
მხატვარი გ. ნადირაძე

გადაეცა წარმოებას 16.1.1963; ანაწილების ზომა 8×10; ხელმოწერილია  
დასაბეჭდად 14.5.1963; ქაღალდის ზომა 80×92<sup>1</sup>/<sub>16</sub>;  
ქაღალდის ფურცელი 5,3; საბეჭდი ფურცელი 10,8; სააგრო  
ფურცელი 8,5; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 8,6;  
შეკვეთა 71; უფ 03671; ტირაჟი 1000  
ფასი 57 კაბ.

---

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა,  
თბილისი, გ. ტახიძის ქ. № 3/5